ა. ქალაბლაძე

ლექსი ბრესტის სიმაგრეში

• ნაკადული • თბილისი • 1968

355. 48 (47) „1941:1945)
~~ᲯᲐ 183~~

7-3-3

ალექსანდრე კალანდაძის წიგნი „დღეები ბრესტის სიმაგრეში“ მკითხველს მოუთხრობს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ადამიანების უმაგალითო გმირობასა და მამაცობაზე.

ბრესტის გმირი ციხე-სიმაგრის დაცვა არის ლეგენდარული ეპოპეა, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების, საბჭოთა ადამიანის უძლეველობისა და სამშობლოს სიყვარულის უკვდავი სიმბოლო.

ავტორი უშუალო მონაწილე იყო ბრესტის ბრძოლებისა. მან აღადგინა და გააცოცხლა სახელოვანი სიკვდილით დაცემული მრავალი ქართველი მებრძოლის სახე, რომლებმაც საბჭოთა ხალხის სხვა შვილებთან ერთად დიდებით შემოსეს ჩვენი არმიის საბრძოლო დროშები.

1964 წელს „დღეები ბრესტის სიმაგრეში“ რუსულ ენაზე მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ავტორმა ათასობით წერილი მიიღო, მათ შორის ბრესტის ციხე-სიმაგრის დაცვის მონაწილეთა, ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრებისა და ნაცნობ-მეგობრებისაგან. დაგროვდა ახალი, საინტერესო მასალა, გამოირკვა 1961 წლის ქართულ გამოცემაში მოხსენიებულ უცნობ გმირთა ვინაობა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა თავგადასავალი. ეს მეორე ქართული გამოცემა შევსებული და გადამუშავებულია აღნიშნული ცნობების საფუძველზე.

„ომის პირველ დღეებში საბჭოთა მეომრების პატრიოტული გმირობის მკაფიო მაგალითია ბრესტის ციხესიმაგრის დაცვა“.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია)



* * *

შემოდგომის დღე თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, როცა სოფელ ნიგვზიანში კითხვა-კითხვით მივადექი ძველი მეგობრის ეზოს.

ჭიშკარი ღია იყო, მაგრამ ეზოში შესვლა ვერ გავბედე, კარგა ხანს ველოდი. ვფიქრობდი, ვინმე გამოვა-მეთქი. არავინ ჩანდა. ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

დაბინდდა. კვანჭუხეთის გორაკები მონაცრისფრო ნისლში ჩაიკარგა. ბინდს შეერია აივნის ბოძების სილუეტები. ის იყო გავიფიქრე, ალბათ შინ არ არიან-მეთქი, რომ სახლის უკანა მხრიდან ნაჯახის კაკუნი მომესმა. ნაბიჯი წინ წავდგი და გავძახე:

— მასპინძელო!

სიბნელე კარიდან გამოჭრილმა შუქმა გაკვეთა და ისევ ჩამობნელდა. ეზოდან მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოისმა. ჭიშკარში სახელოებდაკაპიწებული მოხუცი ქალი გამომეგება და შინ შემიპატიჟა.

მოხუცი ოთახში შესვლისთანავე აფუსფუსდა. სკამი შემომთავაზა, აკეცილ სახელოებს ნაჩქარევად ისწორებდა და თან წუხდა, დიდხანს გაცდევინეო. მეც, რაც შემეძლო, ვარწმუნებდი, სულ რამდენიმე წუთია მოვედი და დაძახებაც ვერ მოვასწარი-მეთქი.

— საცაა ამბროსიც გამოჩნდება, ნენა. მასწავლებლის საბჭო თუა დღეს, თვარა ამ დროზე ყოველთვის შინაა.

ძნელი ყოფილა სათქმელად მომზადებული სიტყვის შენახვა და მეც უნებურად წამომცდა:

— ამბროსის არ ვიცნობ, ბიცოლა, პანტელეიმონის ამხანაგი ვარ.

ქალმა თავი მოაბრუნა, ნელა მომიახლოვდა. ახლაღა შევამჩნიე ჩაკენკილი ნაოჭები და თვალის უპეებში ჩამდგარი ნაღველი. სკამზე უღონოდ ჩამოჯდა.

თვალი გავუსწორე და მოჩვენებითი სიმშვიდით ვუთხარი:

— მე და პანტელეიმონი ორ წელიწადს ერთად ვმსახურობდით, ერთ ნაწილში.

მოხუცი ჯერ უსიტყვოდ შემომაჩერდა, შემდეგ ფიცხლად წამოდგა, კარი გამოაღო და ქმარს გასძახა:

— ქრისტეფორე! ქრისტეფორე!

ნაჯახის კაკუნი შეწყდა. მოისმა კიბის ყრუ ჭრიალი და ვიღაცამ კარის ზღურბლთან დაიბერტყა დასველებული წაღე-

ბი. ოთახში შემოვიდა მთლად გათეთრებული ბრგე მამაკაცი. მას ფეხდაფეხ შემოჰყვნენ ახალგაზრდა ქალი და ორი ბავშვი — გოგო და ბიჭი.

— ქრისტეფორე, ჩვენი პანტელეიმონის ამხანაგი გვესტუმრა, — უთხრა ცოლმა და უცებ დაბოხებული ხმა ხველებით ჩაიწმინდა. ბერიკაცმა დაფანჩული, თეთრი წარბების ქვემოდან გამომხედა, ხელი ჩამომართვა, მაგიდას მიუჯდა და ბრტყელი ხელისგულები ამობურცულ მუხლისთავებზე დაიწყო. ცოლს რომ შეშფოთება შეატყო, ვითომდა მშვიდად თქვა:

— ბედნიერი იყოს, შვილო, თქვენი შემოსვლა ამ ოჯახში. რა გვარი ბრძანდებით?

თვალი შევავლე მის ათრთოლებულ მუხლებს და ჩემი გვარი ვუთხარი.

ბერიკაცმა თავი დაიქნია და სკამი ჩემკენ მოსწია.

— გიცნობთ, შვილო!.. პირველ ქაღალდში იწერებოდა თქვენს ამბავს — ჩვენებური კაცი გავიცანიო. მერეც ხშირად გიხსენიებდათ წერილებში. დღე არ გავიდოდა, მისი ქაღალდი არ მიგვეღო... პირველი თოფი რომ გავარდა, მერე აღარაფერი ვიცით მისი, ვერ გავიგეთ, სად გაქრა ასე უკვალოდ... თქვენთან ერთი ჩვენი სოფლელიც იყო, შენგელია. მტერი რომ დავამარცხეთ და შინ მშვიდობით დაბრუნდა, ვკითხეთ შვილის ამბავი, მარა ვერაფერი გვითხრა. თქვენთან მოგვასწავლა — იმას ეცოდინებაო. ბევრი გეძებეთ. ამბროსიმ ვიღაცას კიდეც მისწერა თბილისში, თქვენს მისამართს სთხოვდა. ახლა, მადლობა ღმერთს, ვეღირსეთ თქვენს ნახვას.

ყველა დაჟინებით შემომყურებს. ბავშვები ბებიას ეხუტებიან. მოხუცი ქალი ხან ერთს, ხან მეორეს ათრთოლებული თითებით ნელა უვარცხნის წაბლისფერ თმას. რძალი კედელ-

თან დგას და ანგარიშმიუცემლად მისჩერებია ერთ წერტილს. შემოდგომის ქარს შემოაქვს ფოთლების იდუმალი შრიალი და მე ფრთხილად, დაკვირვებით ვყვები, როგორ გავიცანი პანტელეიმონი, როგორ ვატარებდით დღეებს სამხედრო სამსახურში, როგორ დაიწყო ომი.

დედა მოულოდნელად სიტყვას მართმევს და მიამბობს, როგორი ბეჯითი და კეთილი იყო მისი ბიჭი, როგორ უყვარდა ოჯახი, როგორ გაემგზავრა არმიაში.

ვამჩნევ, დოდადრო როგორ ებურცება ფერწასული, დამსკდარი ქვედა ტუჩი და როგორ უთრთის ყელთან ჩაყოლებული მსხვილი ლურჯი ძარღვი.

— ჩვენს სოფელში მუშაობდა, — გულს იოხებს დედა, — ქე დეინახავდი გზაზე დიდ შენობას. იმ სკოლაში სწავლობდა და მერე ორივე ძმამ აქვე დაიწყო მასწავლებლობა.

ბავშვები უფრო მაგრად ეკვრიან ბებიას და მოხუცი ჩუმდება, ესიყვარულება პატარებს.

— უიმე! რამ გამომაშტერა აი დედაბერი, — მეუბნება ანაზდად, — ვეღარ გაგაცანი ჩემი ამბროსის ცოლ-შვილი.

მერე ქმარს მიუბრუნდა:

— ქრისტეფორე, კაცო, ჩადი პალატში, მიხედე ქვაბს...

ბერიკაცი სასწრაფოდ გადის და მე უსიამოდ ვფიქრობ, რომ უდროო დროს მოვედი. შემოდგომაა, ათასი საქმე აქვს ახლა გლეხკაცს.

ცხრა საათისათვის ამბროსიც მოვიდა. გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ძმას.

ამბროსის მიწერ-მოწერით დიდი ხანია ვიცნობდი და ახლა ბევრი აღარ გვილაპარაკია.

— ჟინჟღლიანი დღეა, — აჩქარებით თქვა მან, — გრილა,

წყალმანკიანი შემოდგომაა წელს. სტუმარს შესცივდება, პატარა ოთახში გავიდეთ, ცეცხლი დავანთოთ.

გაიხურა თუ არა მოხუცმა კარი, ამბროსი შემომეეედრა:

— ნუ ეტყვი, რომ ჩემი ძმა დაიღუპა. ამაზე არასოდეს ვლაპარაკობთ, თქვენი წერილის შინაარსიც არ გამიმხელია. ვახსენებთ, როგორც ცოცხალს და მოხუცებს სჯერათ, რომ დაბრუნდება. ამ მოლოდინს შეჩვეულები არიან.

ამბროსიმ პასუხი აღარ დამაცალა, ხელი მომკიდა და მეორე ოთახში გამიყვანა.

მრგვალ მაგიდაზე, ბრტყელ კიდეჩამოტეხილ თეფშზე, ლამპა დგას. თეთრ კედელზე ჩვენი უზარმაზარი ლანდები მოძრაობენ. ბუხარში რცხილა გუზგუზებს. ცეცხლთან, სამფეხა სკამზე, ჩაფიქრებული ქრისტეფორე ზის. გრძელი დანით მუხის მოზრდილ ნაჭერს აჩუქურთმებს.

მეც მერევა ფიქრი, არეული. დაულაგებელი; ერთ წამში რომ შემოგატარებს ცაცა და ხმელეთს... აქ, ამ ბუხართან, ოდესღაც ჩემი მეგობარი იჯდა. ოცი წელიწადია, რაც წავიდა და არ დაბრუნებულა. არც დაბრუნდება. აქ კი მაინც განაგრძობს სიცოცხლეს... ელიან... არავის გაუკვირდება, უცებ კარი რომ შემოაღოს... რა ახლოსაა ერთმანეთთან სიკვდილი და სიცოცხლე!

ცელქი გოგონა სახელურს ჩამოჰკიდებია, კარს აჭრიალებს და თან ითვლის — ერთი, ორი, სამი... ბებია სთხოვს, დახურე კარი, შინ შემოდიო. განაწყენებული ბალღი მორჩილად მისჩერებია მოხუცს... კარი კი ისევ ჭრიალებს... ოჯახის მამა ალმიმქრალ მუგუზლებს უჩუჩხუნებს და შეშას უმატებს...

რძალ-დედამთილი ბუხართან სწევს მაგიდას. სუფრას შლიან, ბოთლებით იზაბელას მაჭარი შემოაქვთ. ჩუქურთმაში ამო-

ღებულ ზარდახშსა და დანას მამა ჯორკოზე აწყობს, მაჭრიან ბოთლებს დაკოჟრილი ხელით იღებს და გარეთ გადის. მალე ფუჩეჩით თავდაცული დოქი შემოაქვს და ბუხრის წინ დგამს.

— უიმე, ღმერთო კი მომკალი! — წუხს დედა, — ვეღარ მოვისაზრე ჩხავერის შემოტანა...

ქმარმა ჭაღარა წარბებს ქვემოდან ცერად გახედა, ეგ რა შენი საქმეა, მე ვიცი.

ამბროსიმ მითხრა, ეზოში შერჩენილ რამდენიმე ძირ ჩხავერს მოხუცი საგულდაგულოდ უვლის, — „ერთი ჭარიკა ღვინო დგება“ და ხელუხლებლად ინახავს ახალ მოსავლამდე, — პანტელეიმონს უყვარდა და იყოს მაინცო.

ოჯახის უფროსი ჭიქებს ქარვისფერი ღვინით ავსებს და ჯარისკაცს ადღეგრძელებს, — გული ერჩოდეს, თვალი უჭრიდეს, მუხლმა არ უმტყუნოს, თოფს ტყვია შორს გაჰქონდესო.

მაგარი ღვინოა ჩხავერი. სამიოდ სასმისის შემდეგ გაკვირვებული ვამჩნევ, რამდენი მქონია სათქმელი, რა გრძელი ყოფილა ომის ამბავი. მეგონა კი, რომ ეს წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა და ორიოდე სიტყვით შეიძლებოდა ყველაფრის თქმა... რაც დრო გადის, ის საზარელი ამბავი თანდათან ფერმკრთალდება ჩემში და ისე პატარავდება, როგორც ნაპირი ზღვაში მიმავალი გემიდან.

სულგანაბული მისმენენ. დროდადრო რცხილადან ავარდნილი ნაპერწკალი ტკრციალებს და მისი ცეცხლოვანი წერტილები ტკაცანით მოფრინავენ ჩვენკენ; მაშინ მოხუცი კვლავ მუგუზლებს უჩუჩხუნებს და ცეცხლი ცოტა ხნით მშვიდდება.

მე კი აღარ ვიცი, სად შევჩერდე, როგორ შევჩერდე. ასე მგონია, რაღაც ვერ ვთქვი, ცუდად ვთქვი და განვაგრძობ, მაინც განვაგრძობ, არავინ არაფერს მეკითხება, არც მაჩერებს

ვინმე; თვალებში შემომცქერიან მოლოდინით, ვედრებით, გამომცდელად, მაგრამ აღთქმული არ მავიწყდება, წყლულს გარშემო ვუვლი...

დედამ წერილებით სავსე ორი ფუთა და ალბომები შემოიტანა, სკამზე დამიწყო. თეფშები და ჩხავერით თავმოდგმული ჭიქები განზე გავწიე, მაგიდაზე ადგილი გავითავისუფლე და ალბომი გადავშალე.

ქრისტეფორემ სამფეხა სკამზე გადაინაცვლა, კოლოფის გამოჭრა განაგრძო... ზოგჯერ თავს წამოსწევს, შორიდან შემოგვხედავს.

დედა გვერდით მომიჯდა, ჩემთან ერთად ჩაჰყურებს ალბომს. დანარჩენები გარს შემოგვისხდნენ. უსიტყვოდ დავცქერი ფოტოსურათზე აღბეჭდილ ნაცნობ სახეს. მიყვარს ფერმიმქრალი სურათი, მისგან მონაბერი ჩუმი სევდა.

ქარი ისევ ზუზუნებს, წვიმა არ წყდება... დედა ჩუმი ხმით მიამბობს:

— აი სურათი, ნენა, მაშინ გადაიღო, ლანჩხუთში რომ სწავლობდა. ამფერი კოხტა ჩაცმა-დახურვა უყვარდა ბაღნობიდან. არა კაცს არ შეაწუხებდა, თვითონ უვლიდა თავს... აგი სტუდენტობის დროინდელია, ქუთაისში გადაიღო ამხანაგებთან. შაფათ-კვირე ისე არ გეივლიდა, შინ რომ არ ჩამოსულიყო. ათი წლის უნახავივით ყველა მეზობელს ჩამოურბენდა, ყველა ხეს ჩაეხუტებოდა, თოხსა და წალდს ხელს წამოავლებდა... მაინც ქე მოგვენატრებოდა. მე და მამამისიც ავაკითხავდით თვეში ორ-სამჯერ. უთქმელი ბაღანე იყო და დავხედავდით, ხომ არაფერი მოაკლდა-თქვა... ამ სურათზე, ნენა, მის შეგირდებთანაა გადაღებული ნიგვზიანში. ჯერ ლანჩხუთში იყო მასწავლებლად, მერე აქ გადმეიყვანეს...

მე კი ვფურცლავ და ვფურცლავ. ახალ-ახალ სახეებს ვეცნობი. ამ გვერდში ორი დამჭკნარი ჩაის ვარდი ძევს. ფერწასულ სურათს ფრთხილად ვაშორებ მის გახევებულ ფოთლებს... ჩემს მეგობარს გრუზა თმა წარბებამდე ჩამოშლია, ოდნავ გადახრილი, ალერსით უმზერს თეთრკაბიან ახალგაზრდა ქალს, რომელიც მაღალზურგიან სკამს მიყრდნობია, თითზე ქორწინების ბეჭედი უბზინავს.

დედა სახეს მარიდებს. ფართოდ გახელილი თვალებით მიშტერებია ლამპის მოლიცლიცე შუქს. ბავშვებს უხმოდ ეალერსება, თითქო ვეღარც კი მამჩნევს. მამა გასაკრავად მომზადებულ ასანთის ღერს მაგიდაზე დებს, გიზგიზა ნაღვერდალს იღებს, არ ჩქარობს ჩიბუხის გაღვივებას.

თავს დაბლა ვხრი... მიყვარს სურათის მეორე მხარეს წარწერების ძებნა, მაგრამ ეს სურათი?..

აი, ჩემი მეგობარი უკვე სამხედრო ფორმაშია. თავგადახოტრილს პილოტურა გვერდზე მოუგდია. ქამარშემოჭერილ ხალათს თეთრი საყელო უმშვენებს. ქართულად გადაკეთებული გალიფე ფართოყელიან ჯარისკაცურ ჩექმაში ჩაუტანებია. ულვაშმოპარსული სახე უცინის.

სურათს ვაბრუნებ და ვკითხულობ: „ძვირფას მშობლებს. ქ. ბრესტ-ლიტოვსკი. 1940 წ. 10 ივლისი“.

ბავშვებს არ ეძინებათ. გოგონა დიდ ბურთს მოაგორებს და თან უდარდელად ტიკტიკებს:

— თუ მოხვდა, ერთი ქულა! იცოდე, ერთი ქულა მეჭნება!..

უნებურად მეღიმება და გამალებით ვშლი ახალ გვერდს. კვლავ ნაცნობი სახე, ბრესტელები — ჩემი ამხანაგები.

დედა ჯერ უსიტყვოდ ჩაჰყურებს ალბომს, მერე თითქმის ჩურჩულით მეკითხება:

— ეს ზესტაფონელი ბრიგადირი ხომ კარგად არის, ნენა, ხომ მშვიდობით დაუბრუნდა ცოლ-შვილს?

— არა, ბიცოლა, პირველსავე შეტაკებაში დაიღუპა.

— უბედური დედამისი! საწყალი მისი ოჯახი! ეს კახელი ბიჭი, შვილო, კაი მოჭიდავე რომ ყოფილა?

— დაიღუპა, ბიცოლა, ომის დაწყებისთანავე დაიღუპა, მაგრამ გვასახელა: დაჭრილი, მუხლზე დაცემული ებრძოდა მტერს.

ოჯახის მამა წელში გაიმართა, წარბშეკრული მოგვიახლოვდა... ზემოდან დაგვყურებს და ხმას არ იღებს. თვალს ვარიდებ მის გამომცდელ მზერას და მშვიდად ვპასუხობ დედის შეკითხვებს...

— ეს მოსკოველი სერჟანტი მდინარის გადაცურვისას მოკლეს...

აღათის ყველა ებრალება, ოხვრით ამბობს:

— უბედური მისი დედა! ვაი, საწყალ მის მშობლებს!

ქრისტეფორე ნერვულად აბოლებს ჩიბუხს. მატყლივით მოთეელილ წვერს გამწარებით იწიწკნის და ვეღარ ითმენს:

— ომი, აბა, რის ომია, ქალო!.. ვინ გაიმარჯვა, აბა! ვინ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა? ვინც წავიდა, ყველა ხომ ვერ დაბრუნდებოდა?!

დედა დუმს. მიმქრალი ცეცხლი ლეგა ფერფლით იბურება, ბავშვები ბურთს ეძიძგილავებიან, გოგონა გახარებული ყვირის:

— არის ერთი ქუდა! არის ერთი ქუდა!

ბებია მათ ყურადღებას აღარ აქცევს. თავს მაღლა სწევს.

თეთრი თმა სახეზე ჩამოშლია. წარბებაზიდული ქმარს შესცქერის და ამბობს:

— რეიზა ჩივი ვითამ მაგას! ჩვენ სხვაზე ნაკლები შვილები გავზარდეთ თუ? ჩემი შვილი, ნენა, ყველაფერში კაი იყო — სიტყვაში კაი, მასწავლებლობაში კაი, მტერ-მოყვრობაში კაი. რაფერ დავიჯერო, რომ იქინე შეგვარცხვენდა. არა, კი ვიცი, მის მოსვლას ვეღარ მოვესწრები, სიკვდილს რა გადაუდგება წინ! ვინც მოსასვლელი იყო, ქე მოვიდა, შვილო, დიდი ხანია... მაგრამ ცუდი ქართველი არც ჩვენ გაგვიზრდია, ნენა.

დანაოჭებულ ლოყებზე ორი მსხვილი ცრემლი მოგორავს.

მამა კვლავ ბუხარს უბრუნდება, შეშას უმატებს. რცხილას ნოლად ედება ალი და კვლავინდებურად გიზგიზებს.

შუაღამისას ქარს ახალგაზრდული სიმღერა შეება. მიყვარს ეს ხალისიანი სიმღერა, მისი მიამიტური ხვეულები. შეზარხოშებულ გურულ ძმაბიჭებთან უნდა მოისმინო იგი, გურიის ამწვანებულ მთის კალთებზე უნდა მიუგდო ყური და მაშინ დასდებ ღირსეულ ფასს, მაშინ დარწმუნდები, რომ „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“...

— ბიცოლა! ბიცოლა აღათი! — გაისმა ომახიანად.

დედამ თავსაფრის ბოლოთი ცრემლი მოიწმინდა და აივანზე გავიდა. ტკბილად გაეხმიანა მომსვლელთ.

— ჩემი ძმისწულია, — მითხრა საქმეზე ხელაჩქარებულმა მამამ, — ჯარში ვაგზავნით ხვალ დილით. საგზალს ვუმზადებთ. ეს პატარა კოლოფიც მინდა სახსოვრად გავატანო, წერილებსა და სურათებს შეინახავს. აი ბიჭი ჩემი პანტელიეს მაგიერია. იმან რომ უკანასკნელად გამეიხურა ჭიშკარი, იმ წელიწადს დეიბადა. კოლოფის სახურავში ჩემი შვილის სურათს

ჩავსვამ. ჩვენ, შვილო, ეს წელიწადს აღარაფერი გვიკლია. ჩვენი სიკვდილი აღარა კაცს არ გაუკვირდება. იგი ბაღანეა ჯერ და შეინახავს ამ სურათს, გეიხსენებს ხანდისხანე და კაია...

ბავშვები კარგა ხანია დაწვნენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარიც მეორე ოთახში გავიდა დასაძინებლად. მე კი შეუსვენებლივ ვათვალიერებ ფერწასულ სურათებს. ბრესტის გმირული დაცვის მუზეუმისთვის მასალას ვარჩევ.

ალბომები სკამზე გადავაწყვე და პირველად გავხსენი წერილებით სავსე შეკვრა. სულმოუთქმელად გავშალე საგანგებოდ გაკეცილი ჯარისკაცური სამკუთხედები; სტრიქონთა შორის ფრონტელი მეგობრის სუნთქვას ვგრძნობდი.

ქარი კი არ ისვენებდა. ბავშვებს უზრუნველად ეძინათ. დედა ღამეს ტეხდა, წერილებს ჩასცქეროდა და ჩურჩულებდა:

— გლახა არ გამიზრდია, ნენა. თავს რავა შეირცხვენდა... მარა, ვინ იცის. შვილო, რა დარდი გაჰყვა, რა ნაკვერცხალი ენთო გულში! უმტერმოყვარო ვინაა ქვეყანაზე, იგი რომ ყოფილიყო. ბიჭი ყველაფერს ხომ არ ეტყოდა დედას...

გაცილება

შაშინ საგარეჯოში ვიყავი მასწავლებლად.

სამი წელიწადი შეუმჩნევლად გამიფრინდა. 1939 წლის შემოდგომაზე არმიაში გამიწვიეს. რამდენიმე კვირამ გამგზავრების მოლოდინში განვლო. ბავშვებს ათასგვარი სახსოვარი მოჰქონდათ. ყველა ჯგუფთან სურათი გადავიღე. მეგობრებმა გზა დამილოცეს. როგორც იქნა, ეტლი ადგილს მოწყდა და სადგურისკენ დაეშვა.

აი, სკოლის პატარა შენობაც გაუჩინარდა. სოფელს მთის კალთა მოეფარა. მე კი მაინც დიდხანს გავცქეროდი საყვარელ ადგილებს...

ვერ გამეგო მწყინდა თუ მიხაროდა. ერთი გული აქ მრჩებოდა, მეორე კი წინ მეწეოდა. ვისმე რომ ეთქვა: დარჩი, ნუ მიდიხარო, მეწყინებოდა.

მარტო არ ვიყავი. ჩემთან ერთად ბევრი ჩემი ნამოწაფარიც მოდიოდა.

წვეევამდელები ცალკე ვაგონში მოვთავსდით და საგზალიც ნაადრევად ამოვალაგეთ. თუმცა გამცილებელმა ოფიცერმა მაგარი სასმელები აგვიკრძალა, ბიჭებმა მალულად ამოაცოცეს

არაყიანი მათარები და, მოგეცა ლხენა, გავაჩაღეთ სადღეგრძელოები. ერთმანეთს გზას ვულოცავდით, შინ დარჩენილებს მშვიდობას ვუსურვებდით.

დრო სწრაფად მიქროდა და კახეთის მატარებელი უჩვეულოდ ჩქარი მეჩვენებოდა.

მაგონდება ერთი აწოწილი, თმააბურძგნილი, შავტუხა ბიჭი სოფელ კაკაბეთიდან, გვარად, მგონი, ჭიკაძე. დილიდანვე კარგად დამბალიყო ღვინოში... გრძელ, გაფოფრილ ფაფახს ხან ჰაერში აისროდა, ხან წარბებამდე ჩამოიფხატავდა, გახუნებული ფარაჯის კალთებს კუდივით აიბზეკდა, მთიულურს დასჭყივლებდა და რაღაც უცნაურ დავლურს დაუვლიდა.

— უფროსო, გვიკადრე რაღა, — არ ასვენებდა გამცილებელ ოფიცერს, — გზა დაგვილოცე! ტალიკ-ტალიკი ბიჭები მივდივართ სამშობლოს დასაცავად, ასჩაფიანი ქვევრით უნდა დალიო ჩვენი სადღეგრძელო. აფსუს, ტიკებო, ორ წელიწადს მშრალი იქნებით ჩემთვის!...

გამცილებელი ღიმილით აფრთხილებდა კაკაბელ ბიჭს. მერე ისიც ჩვენთან ჩამოჯდა და კისერწაგრძელებული გვისმენდა.

ფანჯარასთან შეჯგუფულნი მომავალ სამსახურზე ვბაასობთ — თითქო ჩვენს სურვილზეაო, ჯარის სახეობასა და ადგილსამყოფელს ვირჩევთ.

ბავშვური გამომეტყველების ვეება ფშაველი, ლეო გახუტელაშვილი არტილერიაზე ოცნებობს; კუნთმაგარი, ჩასკვნილი გოგია გულისაშვილი ავიაციას ამჯობინებს; ზოგიერთს მეზღვაურის გადაფენილი ლურჯი საყელო მოსწონს. მე ქვეითი ჯარი მირჩევნია. გოგია სოზაშვილი და მიხა ოთიაშვილიც იზიარებენ ჩემს აზრს. სართიჭალელი მჭედელი კოლმეურნე

ედუარდ დამი, სქელი, ჩოფურა ბიჭი, იშვიათად ერევა საუბარში. იმდენი ხელობა იცის, ყველგან გამოდგება.

კრასნოგორკელი რუსები: პავლე სტრუჩალინი, რემიზოვი, და შირინი კადრში აპირებენ დარჩენას.

კაკაბელი ბიჭი სხვას არა ჰგავს.

— ცხენის ტყავზე დავიბადე, — გვიმტკიცებს. — ჩემი აკვანი ახური იყო. ლაჯები ლანჩასავით მაქვს გამოთელილი. ორ ვერსზე გაჭიმულ ფარას ხან წინიდან წამოვურბენდი ქარივითა, ხან ბოლოდან. ჭიხვინას და ფაფარიანს ვენაცვალე, ჩემი ადგილი ცხენოსანშია — გვერდზე ხმალი, ხელში მათრახი.

— კაკაბელო! — კენწლავს ალექსი ჯარიაშვილი. — ხომ არ გგონია, გენერლად დაგნიშნავენ კავალერიაში! გიყვარდეს, დილით ნიჩაბი და საღამოთი სამეურველი.

წვეევამდელები ხარხარებენ, მაგრამ კაკაბელი იხტიბარს არ იტეხს:

— მაშინაც ნახეთ, ლახტის ტყლაშუნითა და თქარათქურით რომ ჩამოგიქროლებთ წელში მოკაკულ ქვეითებსა.

ვერა და ვერ ისვენებს კაკაბელი. მღერის, ოხუნჯობს, დაროგორც ყველა გარეჯელი, ჭიდაობაზე სდებს თავს. ხან ერთს გაებღლარძუნება, ხან მეორეს. ღონეს ისინჯავს, მაგრამ ხელს არავინ ჰკიდებს. სკამიდან ოდნავ წამოიწევენ, ფეხს გამოსდებენ და რამდენსამე წუთს ასე აწვალებენ, მერე თავს წაახრევინებენ და ამ საერთო სიცილ-ხარხარში უხერხულად ძიძგილაობს კაკაბელი.

— არ წახდე, კაკაბელო! სარმა, სარმა გამოსდე! — ისმის ყოველი მხრიდან.

კაფანდარა კაკაბელი უმწეოდ იგრიხება, ფეხს ულაზათოდ გამოჰკრავს და გამხდარი ბეჭებით ზომავს ვაგონის იატაკს...

მაინც არ მშვიდდება. ცალს დაეძებს. კახელი ბიჭებიდან კი ვინ იკადრებდა მასთან შებმას. ვატყობ, ჩემზეც უჭირავს თვალი, მაგრამ ჩემი ნამოწაფარი ფალავნების შიშით ვერას მიბედავს. სხვა გზა არა აქვს, ისევ ნაცადი მოჭიდავეებისაკენ მიიწევს... ისევ და ისევ გააქვს ზღარბთანი ვაგონის მტვრიან იატაკზე.

— კაკაბელო, ე მაგრე ჩლუტეს კავალერიაში ვინ მიგიღებს, გაგაპანღურებენ, — აჯავრებენ უიღბლო მოჭიდავეს, რომელიც უდარდელად იკრიჭება და ვაგონის კედელზე „საჭიდაოს“ უბრახუნებს...

ნავთლუღის სატვირთო სადგური უკვე სავსეა ზესტაფონელი, ლანჩხუთელი და თბილისელი წვევამდელებით. გარეჯელები ერთ ვაგონში მოვთავსდით. მეზობლად თელაველები არიან.

დეკემბერი იდგა, მაგრამ თბილი, მზიანი დღე იყო. შავნაბადა ოქროსფრად ბრწყინავდა ლურჯ ჰორიზონტზე.

წვევამდელებს გული არ უდგებოდათ ვაგონში, მზისგულზე გამოეფინენ. მოედანი ბიჭებით გაივსო. ზოგს ფარაჯა აცვია, ზოგს დაბამბული ჯუბა, ზოგსაც კოსტუმი.

ლაშქრად მიმავალი სხვადასხვა კუთხის ქართველნი ერთმანეთს ვეცნობით.

რამდენიმე ადგილას წრე შეუკრავთ. ერთგან მღერიან, სხვაგან — ცეკვავენ, ყველაზე დიდ წრეში კი ჭიდაობაა გახურებული.

კაკაბელმა ბიჭმა მოსვლისთანავე თვალი ჰკიდა ჭიდაობას. რაკი გაიგო, გურული ბიჭები ჭიდაობენო, გული მოიცა, გუდა-ნაბადი ვაგონის თაროზე შეჰყარა და წრეში შეიჭრა. ჯიქურ ეძგერა ბრგე ფალავანს, ქამარში ხელი სტაცა, ცეკვა-ხტუნვით შეათამაშა, ფეხი ფეხზე შემოაგრიხა. მოწინააღმდე-

გე, რომელსაც ვიწრო გალიფე მაღალ წინდებში ჰქონდა ჩატანებული, ჩაეჭიდა კაფანდარა კახელს, მოგვერდით მოუნდომა გადაგდება, მაგრამ კაკაბელმა ელვისებური სარმა გამოჰკრა და ფალავანი ძირს გაიშხლართა.

წათამამდა კაკაბელი ბიჭი. მაყურებლებს ძალით ითრევს საჭიდაოდ. აღარავინ მიჰყვება, ერიდებიან.

გახარებულმა გარეჯელებმა ფიცხელი გარეკახური საჭიდაო დასცხეს.

— ყოჩაღ, კაკაბელო! არ შეგვარცხვინო, ჩემპიონობა არ დაკარგო! — ხორხოცობენ თანასოფლელნი.

დოლ-ფანდური მუცელზე იფხრიწება, „საჭიდაო“ სისხლს აფორიაქებს, მაგრამ „ჩემპიონთან“ შერკინებას ვერავინ ბედავს. დამკლავებული კაკაბელი ბიჭი ქორივით დაჰქრის წრეში. ჩია ხალხს უკადრისობს, დევგმირებს ეძებს.

უცებ შეჩერდა. ვიღაც მოუვიდა თვალში. გამგელებულმა წრე გაარღვია და შავგვრემან გოლიათს ჩაებღაუჭა. ეს ლურჯ-კოსტუმიანი ვაჟკაცი განმარტოებით იდგა ჩაფიქრებული. შორიდან თვალს ადევნებდა ამხანაგების გართობას. კაკაბელმა ბიჭმა ძვრა ვერ უყო, მაგრამ სეირის მოყვარულნი წამოეშველნენ, გაძალიანებული ჭაბუკი წრეში შეაგდეს. იგი თითქოს შველას ითხოვსო, აქეთ-იქით თვალს აცეცებდა, ლამობდა გათავისუფლებულიყო, წრე გაერღვია, მაგრამ გაფიცხდა „საჭიდაო“. კაკაბელ ბიჭს ფეხი აუტოკდა, ჭირვეულ მეტოქეს სარმა გამოსდო და წამოაჩოქა. ვაჟკაცი უმალ ზეწამოიჭრა, გულდაგულ ეკვეთა აბეზარს, მაგრამ კაკაბელი ბიჭის სარმამ ახლა ორსავე მუხლებზე დასცა.

ხალხი შეჩოჩქოლდა. წაქცეული ნელა წამოდგა და არამკითხე მოჭიდავისკენ გაიწია.

— გეყო, გეყო, კაკაბელო! — გაბრაზებით მიაძახეს ჩვენებურებმა, — რას გადაეკიდე, ხომ ხედავ, კაცი გამოუცდელია ჭიდაობაში.

კაკაბელი ბიჭი შეყოყმანდა. დაბნეულ მეტოქეს ხელი გაუშვა.

მეზობლად გურული სიმღერა შეწყდა. ბაჯაჯგინა, ცქაფშა ლანჩხუთელმა გოგუამ ცხვირწინ მუშტი დაუტრიალა კაკაბელს, რომელსაც რიგიანად ვერც კი მოესაზრებინა, რას ერჩოდნენ.

— სხვაი ვერი კაცი ნახე, მაგას რომ დიეტაკე? — სხაპასხუპით მიაყარა გოგუამ. — რავა, ჩვენს მასწავლებელს შენ უნდა ეძიძგილაო ახლა? რომ იკადროს, ნაკერავზე გაგხეთქავს, შე გლახა. ერთი რომ სული შეგიბეროს, ჰაერში გაგაფრენს, ჭიაყელასავით რომ წაგიგრძელებია მაი კისერი...

საქმეში ჩაერია ჩემი ნამოწაფარი, წყნარი, მუდამ უშფოთველი ლეო გახუტელაშვილი.

— არაფერი გეწყინოთ, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე, — თავაზიანად სთხოვა მათ.—ეს კაკაბელი ახირებული კაცია. ჭიდაობაზე თავსა სდებს... შეეძლოს მაინცა! ისე კი არ არის ავგული! აი, ნახავთ, ერთად ვიქნებით, შეგიყვარდებათ...

ასე გავიცანით პანტელეიმონ აფხაზავა, რომელსაც მკაცრ იერს აძლევდა ხშირი წარბები, მოკუმული თხელი ტუჩები და ჯარისკაცურად გაკრეჭილი თმა.

ახლა სიბრაზე აღარ ეტყობოდა. ოდნავ მოღიმარე, ცერად გაჰყურებდა კაკაბელს და თავისიანებს ამშვიდებდა.

მალე გაისმა ეშელონის უფროსის ბრძანება:

— ვაგონებში!

გუნდ-გუნდად შეკრული ხალხი დაიშალა. წამსვლელ-დამრჩომნი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ.

მიმავალნი კისერწაგრძელებული ვიყურებით ვაგონებიდან. შეზარხოშებული გამცილებელი ბიჭები უდარდელად მღერიან. ორთქლმავალმა ქშენას უმატა. წასვლის ნიშანიც მისცეს. ცხვირაახოცების ფრიალი გახშირდა. მატარებელმა ნელ-ნელა დატოვა ბაქანი. ზოგი ფეხდაფეხ მოსდევს ვაგონებს... რაღაც დავიწყებიათ, აბარებენ, არიგებენ, ამხნევებენ...

აი, უწვერულვაშო, ახოვანი ბიჭი ვერ დაეწია წინა ვაგონს, ჩამორჩა, ეტყობა, გადაკრულშია. ახლა ჩვენკენ იბრუნა პირი, გვიცინის, გვემშვიდობება.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო! — მხიარულად მოგვძახის. — არ დაღონდეთ!.. გოგოებს ჩვენ მოვუვლით.

კაკაბელი ბიჭი უპასუხოდ არ ტოვებს ენამწარეს:

— ჰეი, ქალაქელო! შენც მალე გადაგკრეჭენ მაგ ხუჭუჭა მატყლს.

ეტყობა, გაიგონა. გულიანად იცინის.

ხარბად გავყურებთ დედაქალაქს...

შემდეგ ერთურთს ვეჯიბრებით, აბა ვინ გამოიცნობს, რომელ სადგურში შეჩერდება ჩვენი ეშელონი-თქო.

გადის დღეები. მატულობს ყინვა და თოვლი. უფრო და უფრო სქლად იჭირხლება ვაგონის მინები და ალაგ-ალაგ თოვლით აჭრელებული მინდვრები ერთიანად იფარება თეთრით... გავიარეთ ბაქო, მახაჩ-ყალა, როსტოვი, ხარკოვი, ორიოლი, სმოლენსკი, მინსკი, ბარანოვიჩი და... როცა სადგურის ფასადზე წავიკითხეთ: „ბრესტ-ლიტოვსკი“, მივხვდით, რომ ამას იქით ჩვენი მატარებელი აღარ წავიდოდა.

ბუგის ნაპირებზე

სადგურს ჯერ კიდევ აჩნდა გერმანია-პოლონეთის 1939 წლის ბრძოლის ნაკვალევი. უკანა ლიანდაგებზე ყუმბარის ნამსხვრევებისაგან ჩალეწილი ტყვიით დაცხრილული ვაგონები იდგა გერმანული და პოლონური წარწერებით. მათი ჩაშავებული ფანჯრებიდან შერუჯული ფიცრები და თუნუქის ნაჭრები მოჩანდა. ირგვლივ მაზუთისა და ნავთის მძიმე სუნი ტრიალებდა.

ბაქანზე ჯარისკაცები ირეოდნენ — დაჭმუჭნილი მაზარები ეცვათ და თავზე ყურებიანი თბილი ქუდი ეხურათ. მძიმე ჩექმებჭვეშ მშრალი თოვლი ხრაშუნობდა.

ყინავდა.

ძვალსა და რბილში ატანდა ქარი.

ჩვენი ბიჭები ვაგონიდან ჩამოსვლისთანავე ბაქანზე შეჯგუფდნენ და ტაშფანდურა გააჩაღეს. კაკაბელი ბიჭი და წინანდლელი ალექსი მამალაშვილი ფეხის წვერებზე დაქროდნენ წრეში და თან გათოშილ ხელებს იორთქლავდნენ.

გაოცებული და გამხიარულებული მაყურებლები მალიმალ ისრესდნენ ცხვირის ნესტოებს და წრის შუაგულისაკენ მიიწევდნენ...

ჩვენს წასაყვანად მოსულ ტანმაღალ მეთაურს რომ მოვკარით თვალი, „ქართველიაო", სიხარულით გადავუჩურჩულეთ ერთმანეთს. არც შევმცდარვართ: ახალწვეულთა მისაღებად სიმაგრიდან კაპიტანი ხარაბაძე გამოეგზავნათ. ეს მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, სათნო სახის კაცი ბრესტში ჩამოსვლისას ბატალიონს მეთაურობდა თურმე; შემდეგ პოლკის მეთაურის მოადგილედ გადაიყვანეს, ხოლო მოგვიანებით ტანკსაწინააღმდეგო ბატარეა ჩააბარეს.

ხარაბაძე მეგობრულად გამოგვესაუბრა, ნაცნობები მოიკითხა და გაგვაფრთხილა: ჩვენს პოლკში ბევრი ქართველი ოფიცერია, ყველა მოუთმენლად მოგელით და აბა, თქვენ იცით, გვასახელეთ, კარგად მოიქეცითო.

ოთხი კილომეტრი გავიარეთ. ჩრდილოეთის კარიბჭით ციხე-სიმაგრეში შევედით, რამდენიმე ხიდი გადავჭერით და ცენტრალურ კუნძულზე შევჩერდით.

ყაზარმის წინ, ფართო მოედანზე, ასეულებში გაგვანაწილეს. დაგვაპურეს, ცხელი შხაპი მიგვაღებინეს და სამხედრო ფორმა დაგვირიგეს. უმცროსი ლეიტენანტი ზიმინი დიდხანს არჩევდა სარგო შარვალ-ხალათს პანტელეიმონ აფხაზავასთვის, ლეო გახუტელაშვილისათვის და, ასე გასინჯეთ, გოგუასთვისაც კი.

მეტად გულთბილი კაცი იყო ეს ზიმინი, მოძრავი, მხიარული, სიტყვამოსწრებული, საუკეთესო სპორტსმენი და მემწყობრე. ჩვენი პოლკიდან მალე გადაიყვანეს, მაგრამ სამუდამოდ დამამახსოვრდა, როგორც პირველი მასწავლებელი.

იმავე საღამოს პოლიტხელმა ბლინოვმა და მისმა მოადგილემ პიროგოვმა ლენინის ოთახში საუბარი ჩაგვიტარეს, 333-ე პოლკის ისტორია გაგვაცნეს. საამაყო წარსული ჰქონდა ჩვენს პოლკს. ორიოლის წითელდროშოვანი დივიზია, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, 1918 წელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა გააცილა ფსკოვის ფრონტზე და აღმაფრთოვანებელი სიტყვით მიმართა მებრძოლებს; სამოქალაქო ომში ეს დივიზია თავზარს სცემდა დენიკინს.

პოლკის მეთაური მაიორი ტერენტი ურთქმელიძე პირველსავე დღეებში გამოგვემცნაურა და ძამაშვილურად დაგვარიგა. ამ დაბალ, ჩამკვრივებულ ვაჟკაცს ვერასოდეს შეამჩნევდით

ალექსანდრე ხარაბაძე.

ღიმილს. მისი მკაცრი სახე სრულებით არ გამოხატავდა იმ გულკეთილობას, რისთვისაც ასე უყვარდა ყველას.

ჩვენს ნაწილში სხვა ქართველი მეთაურებიც იყვნენ. უმცროს მეთაურთა სკოლას კაპიტანი ალექსანდრე ჯიჯიშვილი ხელმძღვანელობდა; პირველი ბატალიონის მესამე ასეულს — უფროსი ლეიტენანტი იაკობ გელაშვილი — კაცი ჯმუხი და სიტყვაძვირი. მალე მეორე ასეულის უფროსად დანიშნეს ლე-

ლეიტენანტი გოგი ანანიაშვილი — მაღალი, ტანხმელი, ფერმკრთალი ახალგაზრდა. შეორე ბატალიონის ერთ-ერთ ასეულს ლეიტენანტი ნესტორ ბოკერია ბეთაურობდა.

ნაწრთობი, ცეცხლში გამოვლილი ოფიცრები იყვნენ. მთელი გარნიზონი პატივს სცემდა კაპიტან ჯიჯიშვილს — პირველ მსროლელსა და სპორტსმენს. ყველას ხიბლავდა მისი სიდინჯე, თავდაჭერა, მხედრული გამართულობა. ღერძსა და ორძელზე ალექსანდრეს ოსტატურ ვარჯიშს აღტაცებაში მოჰყავდა ამხანაგები.

ახალწვეულებმა სამოქალაქო ქურქი კარგა ხანს ვერ გამოვიცვალეთ. რამდენსამე კვირას მოგონებებით ვსუნთქავდით. ზოგს ოჯახი და შეყვარებული აგონდებოდა, ზოგი საფერავსა და მწვადს გაიხსენებდა, ზოგიც, ჭირვეული დედაბერივით შუა იანვარში მარწყვსა და ყურძენს მოინატრებდა.

ცოდვა გამოტეხილი ჯობია და, არც მე მასვენებდა ფიქრები. მეორე თუ მესამე დღეს ავიღე ერთი სქელი ბლოკნოტი, ჩემი ორწლიანი სამხედრო სამსახურის თვე და რიცხვი სათითაოდ ჩამოვწერე ფურცლებზე და გადავწყვიტე, ყოველ საღამოს წამეშალა განვლილი დღე. ხშირად ვფურცლავდი ამ უცნაურ კალენდარს; დაჟინებით ვშლიდი ერთსა და იმავე რიცხვს და გული მწყდებოდა, ასე რომ მიზოზინობდა დრო.

ჩემთან მოხვდნენ ლეო გახუტელაშვილი, გიორგი გულისაშვილი, გიორგი სოზაშვილი, მიხეილ ოთიაშვილი, სამსონ მარიდაშვილი, სოლიკო სონიშვილი, ნიკა მეკოკიშვილი, მიხაკო ფირცხალაიშვილი, გიორგი გოგუა, ვლადიმერ ჩხარტიშვილი, აკაკი შევარდნაძე, შალვა გოგეშვილი, ვალერიან კილაძე, ზესტაფონელი ლინსიმე ხათიანი, მიხეილ მუმლაძე, გოგია ბარბაქაძე, გენადი ჭაბუტურიძე, ალოშა ქათამაძე, ძმები



მარცხნიდან: ონისიმე ასათიანი, სერგო ბაშალეიშვილი, ა. კალანდაძე

კაპანაძეები, გრიგოლ კვეტენაძე, ბეგლარ ავალიანი, შოთა კვეტენაძე, დავით ნებიერიძე, ბუჭუ კალატოზი, ამბროსი კვეტენაძე, შოთა ქვათაძე, თელაველები გოგია დათიშვილი, სერგო ბაშალეიშვილი, გიგლო მეზვრიშვილი, ვანო კევლიშვილი, ალავერდა იმანოვი, ალიოშა ტაგიევი და მრავალი სხვა.

პანტელეიმონ ოფხაზავა, როგორც მათემატიკოსი, ორმოცდახუთ მილიმეტრიან ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ბატარეაში ჩარიცხეს, ედუარდ დამი კი — პოლკის სასულე ორკესტრში. მასთან რამდენიმე ქართველიც მსახურობდა.

აფხაზავა იშვიათად მოდიოდა ჩვენთან. დღისით მეცადინეობდა, ღამით წერილების წერასა და კითხვას უნდებოდა.

როცა ნიგვზიანიდან საგულდაგულოდ შერჩეულ ამანათს მიიღებდა, ყველას დაგვიძახებდა და მაშინ ბუგის ნაპირებზე პირს ვიტკბარუნებდით გურული ჯანჯუხით, ხურმის ჩირით და ტკბილისკვერით.

სხვა დროს პანტელეიმონს ჩვენგან შორს ეჭირა თავი. მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა. ენაკვიმატებმა „ალგებრის მასწავლებელი“ შეარქვეს და ბიჭები მუდამ რიდითა და კრძალვით ეპყრობოდნენ.

ყველაზე მეტად ონისიმე ასათიანსა და სერგო ბაშალეიშვილს დავუახლოვდი.

ონისიმე ობოლი ბიჭი იყო, დედობილ-მამობილს დიდი სიყვარულით იგონებდა. საშუალო სკოლა ახლახან დაემთავრებინა ზესტაფონის რაიონში.

კომკავშირელი, პარტიის წევრობის კანდიდატი ონისიმე ასათიანი სამხედრო სამსახურს გასაოცარი გულმოდგინებით მოეკიდა. მართალია, სროლაში ბედი არ სწყალობდა, მაგრამ სხვა მხრივ სანიმუშო ვაჟკაცი იყო.

უყვარდა ამხანაგების დარიგება, მუდამ მხნედ და კმაყოფილი გამოიყურებოდა. ბიჭებს საოხუნჯოდ ჰქონდათ მისი გადაჭარბებული თავაზიანობა. „გამარჯობასაც“ არ იტყოდა, „თ“ რომ არ დაეყოლებინა: „გამარჯობათ“, „აქა მშვიდობათ!“

სვილისფერი, ოდნავ შებერებული გამხდარი სახე ჰქონდა, კეხიანი ცხვირი. მუდამ უცინოდა ჭროღა თვალები. ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა. ხშირად ლაპარაკობდა შეყვარებულზე, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოვარკვიე, მოგონილი იყო ეს სატრფიალო ამბავი, თუ მართლა უყვარდა ვინმე.

სერგო ბაშალეიშვილი ჩვენს პოლკში მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად. ისე უხაროდა, რომ მზად იყო თავისი დაზგის ტყვიამფრქვევი დღე-ღამ შეუსვენებლივ ეტარებინა.

სერგო დაბალი და მკვრივი აგებულების ლამაზი ჭაბუკი იყო. შვენოდა მოკლედ შეკრეჭილი ულვაში, ვერავითარი მუქარითა და შეგონებით რომ ვერ მოაპარსვინეს. თითით საჩვენებელი იყო მისი სიკოხტავე და სიფაქიზე.

სერგო და ონისიმე შექილიკებული იყვნენ ერთმანეთთან:

— ე, ბიჭო, ფუქსალია, ერთხელ მაინც ეიწიე ზევით, შენც ისიამოვნე ამ სუფთა ჰაერით! — გამოიწვევდა კაფანდარა ზესტაფონელი.

გულფიცხ სერგოს მეტიც არ უნდოდა, მაშინვე ალმური მოედებოდა და ბრაზმორეული უპასუხებდა:

— გირჩევნია, ემაგ შვილივით მოსწრებულ ცხვირს მიხედო, ბეჩარა კისერი არ ჩამოგწყვიტოს.

ერთი გურული ბიჭი, გვარად გორგილაძე, მოსვენებას არ აძლევდა ონისიმეს: ყურს მოჰკრავდა თუ არა, ბაშალეიშვილს ეკამათებაო, უმალ იქ გაჩნდებოდა და მწარე-მწარე სიტყვებით კენწლავდა.

ერთხელ ონისიმემ ვეღარ მოითმინა და ირონიულად უთხრა:

— მაი დაგაბარათ ნენამ, ჯარში რომ მოდიოდით?

გორგილაძემ მაშინვე ხმა გაკმინდა, მაგრამ ასათიანს მაინც აღარ მოვეშვით, სანამ არ ვათქმევინეთ, რა დააბარა ნენამ გორგილაძეს.

— ეს ყმაწვილი სადგურამდე გამოუცილებია დედას; გზაში სულ ასე ეჩიჩინებოდა თურმე: „თოფს და ზარბაზანს არ მიეკარო, ტყვია არ გაგივარდესო!“

გაწითლებული გორგილაძე ირწმუნებოდა, ეს ამბავი ჩვე-

ნებურებმა მომიგონეს, დედას არ გამოვუცილებივარო, მაგრამ მთელ პოლკში მაინც სასაცილო გახდა: „ნენა, ფრთხილად იყავი, თოფი არ გაგივარდესო!“

კაკაბელი ბიჭიც ჩვენს ასეულში მოხვდა. არც აქ ისვენებდა, ვერც აქ მოიშალა თავისი ახირებულობა. მაგონდება ერთი ამბავი. საველე სამზარეულო კარგა მოშორებით იდგა ჩვენი ყაზარმიდან. ძილის წინ ცხელი ჩაი ყველას გვსიამოვნებდა, მაგრამ თბილი ოთახიდან გასვლა მაინცადამაინც არავის ეჭაშნიკებოდა. გარეთ ყინავდა. კაკაბელმა ბიჭმა აქაც გამოძებნა იოლი გამოსავალი... თავისი კარდალა მორიდებით გაუწოდა ონისიმეს და ენატკბილად მიუთითისმა:

— პატივცემულო, ანისიმ! თქვენისთანა მორუსულე აქ არავინ მეგულება. ვინმეს რომ გამაჩეროს, სიტყვას ვერ მოვაბრუნებ, ჯორივით დავდგები. ქენი სიკეთე, ეს ერთი კარდალა ადუღებული წყალი ამომიტანე, შენი კვნესამე. ჩაი მინდა დავლიო...

რუსული ონისიმესაც უჭირდა, მაგრამ ცოდნაზე თავს სდებდა: არაფერს დაიზარებდა, თუკი ვინმე სარუსულო რაბეს დაასაქმებდა. ახლაც დაუფიქრებლად სტაცა ხელი კარდალას და თვალის დახამხამებაში ამოურბენინა ადუღებული წყალი. ჩვენ სიცილ-ხარხარით შევეგებეთ ცხვირწამოწითლებულ „მორუსულეს“, კაკაბელი ბიჭი კი ნეტარებისაგან გალურსულიყო და ვითომც აქ არაფერიო, ნება-ნება ხვრეპდა ცხელ ჩაის.

ერთხელ კაკაბელი ბიჭი ღამის მორიგედ იყო... უდროო დროს გაგვაღვიძა... თვითონ კი დამდგარიყო სერგოს ლოგინთან და ხითჩითებდა... თელაველს მაგრად ჩაეხუტებინა ბალიში და ფეხები მეზობელი ჯარისკაცისათვის ჩაეგრიხა.

— არ გამოაღვიძოთ, სიზმარი არ დაუფრთხოთ! — ქირ-ქილებდა კაკაბელი, — ეგ ახლა თელავშია, ცოლთან...

სამხედრო ფიცი რომ მივიღეთ, ნამდვილ ჯარისკაცებად მაშინ ვიგრძენით თავი.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე. საზეიმოდ ვიმეორებდით ფიცის თვითეულ სიტყვას და ჩვენს ხმაში ფოლადის წკრიალი გვესმოდა.

დიადი, წმინდა სიტყვაა ფიცი. კაკაბელი ბიჭიც ტუჩებს ბურცავდა და მალულად ისრესდა ცხვირის წვერს.

ამის შემდეგ წინანდელზე მეტსაც გვავალებდნენ და უფრო მკაცრადაც გვთხოვდნენ.

რიჟრაჟზე ვდგებოდით: რამდენსამე წამში ვიცვამდით. ვემზადებოდით, და ნასაუზმევს სუსხიან ქარბუქში გავუდგებოდით სასროლეთის გზას.

იქ საღამომდე ვრჩებოდით. გაშლილ მინდორზე ნიშანში ვისროდით, წელამდე თოვლში ტაქტიკურ ამოცანებს ვასრულებდით, საჭმელს თვითონვე ვიმზადებდით, ხოლო საღამოს, ციხე-სიმაგრემდე შეუსვენებელი სირბილით გავდიოდით რვა კილომეტრს. დაბრუნებისთანავე იარაღს გავწმენდდით, ზემდეგს შევამოწმებინებდით და დაღლილ-დაქანცულნი ვიძინებდით. გვეგონა გამოვშუშდებოდით, მაგრამ ახალ ჩაძინებულებს ხშირად გვაღვიძებდა განგაში და კვლავ სალაშქროდ მივდიოდით.

კაცმა რომ თქვას, გამიჭირდა. ზოგჯერ გავჯიქდებოდი კიდეც, ათმეთაურსაც შევუბღვერდი, მაგრამ არ მახსოვს, რომ ჩემთვის დაეთმოს. რაც წესდებაში არ ეწერა, არ დამავალებდა, მაგრამ ბრძანების შეუსრულებლობას არ შემარჩენდა. ჯარგა ხანს ვძიძგილაობდით მე და სამხედრო დისციპლინა.

ერთხელ, ტექნიკური მეცადინეობის შემდეგ, დაღლილნი გზატკეცილზე მივდივართ. ანაზდად ათმეთაურის ბრძანება მესმის:

— დიზგის ტყვიამფრქვევმა ტყის განაპირას, გუბურაში, საბრძოლო პოზიცია დაიკავოს!

ეს ნიშნავდა, რომ ასიოდე მეტრი გამერბინა და ტყვიამფრქვევით ჭაობში ჩავწოლილიყავი.

„რას მიჰქარავს“, — გავიფიქრე, — „რა საჭიროა ახლა ასეთი ბრძანება?“ რამდენიმე წუთს უძრავად ვიდექი და გაკვირვებული შევყურებდი ჩემს უფროსს... ასეთი ფილოსოფოსობისათვის მაგრად შემახურა ასმეთაურმა გელაშვილმა.

მეორედ, გულმოდგინედ ვერ მივესალმე ათმეთაურს, რომელიც ასჯერ მაინც მენახა იმ დღეს. სამწყობრო ნაბიჯი და ხელის აღება ერთმანეთს არ შეეხამა. არც ეს შემარჩინა. გამაჩერა და მთელი საათი საჯაროდ მამეორებინა სალამი. ავბუზღუნდი, მაგრამ აქაც მე დავრჩი მტყუანი.

პოლკის კომისარი, ძველი, გამოცდილი მეთაური მუზნიჩენკო მზრუნველ მამასავით თავს გვევლებოდა. პირადად იცნობდა ყველას, იცოდა, ვის როგორ უნდა მოქცეოდა, სამართალს არასოდეს გადაღუნავდა და ჩვენც ვცდილობდით სირცხვილი არ გვეჭამა.

საინტერესო კაცი იყო ბატალიონის მეთაური, კავალერიაში ნამსახური კაპიტანი, ყაზანელი თათარი გაიფულინი.

იშვიათად გაიღიმებდა და პირველ ხანებში ძალიან გვეშინოდა მისი. მაგრამ, როცა გავკაჟდით და ჩვენი მომზადებაყოფაქცევით ყმაყოფილი იყო, ბედნიერად ვთვლიდით თავს. ერთმანეთს ვანიშნებდით: „შეხედეთ, შეხედეთ! ჩვენს კაპიტანს გაეღიმა!“

ახლაც თვალწინ მიდგას კაპიტანი გორნოსტაევი — პოლკის

მეთაურის მოადგილე სამწყობრო ნაწილში, მაღალი, ზორბა ვაჟკაცი. გასაოცრად შვენოდა საპარადო ნაბიჯი. მთელი დღე შეუსვენებლად შეეძლო მკერდის სიმაღლეზე აწეული, გამართული ნაბიჯებით სიარული. ჩვენც ამასვე გვასწავლიდა. მის თვალს არასოდეს გამოეპარებოდა, მწყობრში ვინმეს ნაბიჯი თუ აერეოდა; მაშინვე მასთან გაჩნდებოდა, უსიტყვოდ გვერდში ამოუდგებოდა და სახეგაღიმებული ურტყამდა მიწას მაღლა აქნეულ ფეხს.

გორნოსტაევი შემდეგ ქალაქ ბრესტის კომენდანტად გადაიყვანეს.

რა დამავიწყებს ჩუმ, ქალივით ლამაზ პოლიტხელ ნიკოლოზ ივანოვს; ჩია ტანის, ბეჭებში მოხრილ უფროს ლეიტენანტ ემელიანოვს — პოლკის ყველაზე კარგ მეტყვიამფრქვევეს; საოცრად ახმახ, ფაშფაშა ინტენდანტ იურიევს, რომელმაც კაპიტანი ხარაბაძე შეცვალა პოლკის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე.

ზოგიერთის სახე კი უკვალოდ წაიშალა ჩემს მეხსიერებაში, მხოლოდ მათი გვარებიღა მახსოვს. მე უკვე აღარ შემიძლია წარმოვიდგინო პოლკის შტაბის უფროსის რევიაკინისა და მისი ნაცვალგარდის — ვორონცოვის პორტრეტი. აღარც ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის ოცმეთაურის — ვინოგრადოვის შესახედაობა მაგონდება. ისღა მახსოვს, რომ ჩვენს პოლკში პირდაპირ სამხედრო აკადემიიდან მოვიდა, კარგი არტილერისტი იყო და სხვებთან ერთად პანტელეიმონ აფხაზავასაც ასწავლიდა.

პირველ ხანებში გული გვწყდებოდა, რომ ბრესტში წასვლის ნებას არ გვაძლევდნენ, მაგრამ მალე მე და ასათიანი პოლკის კომისარმა საარჩევნო უბანს მიგვამაგრა აგიტატო-

რებად და ხშირად დავდიოდით ამ ძველისძველ სლავურ ქალაქში.

პუშკინის ქუჩაზე, სადაც მე და ონისიმე მიგვამაგრეს აგიტატორებად, მშრომელები იმედით ეგებებოდნენ არჩევნებს, მომავალს რწმენით შეჰყურებდნენ.

ზაფხული ჩვენმა პოლკმა მალორიტის ტევრში გაატარა.

პოლიტხელის მოადგილე პიროგოვი, ვიქტორ ჩორნი, პეტია სტუკალენკო, პანტელეიმონი, ონისიმე, სერგო და მე შაბათ-კვირას საბანაოდ დავდიოდით ბანაკიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, სადაც ხეების ჩრდილქვეშ საამურად განაბულიყო წყალკამკამა აუზი. ოდესღაც გრაფისა თუ თავადის სასახლე ყოფილა აქ. მემამულეს მარმარილოთი მოეპირკეთებინა საგუბარი, რომელიც მარმარილოსვე კიბით კოშკს უერთდებოდა. ფრთხილ მემამულეს სასახლე მკვიდრი გალავნით შემოეზღუდა. ახლა მხოლოდ ციხის ნანგრევებიღა შემორჩენილიყო. ჩამოშლილი კედლები სუროს დაებურა და ბასტიონის ნაშთებს რამდენიმე ნაბიჯიდანაც ვერ შეამჩნევდით.

აუზიდან მონაბერი გრილი ნიავი ქოჩორს უვარცხნის ფრთათეთრას, ვარდკანაფას, შროშანს, ტაძრის თაღივით რომ გადაჰხურვია სიჩუმეში გარინდულ ანკარა წყალს.

ჩვენ მიერ არჩეულ მყუდრო ადგილს ვერხვისა და ალატის ჩრდილი ეფინება. მათი ტოტებისა და ფოთლების ლივლივი უცნაური სახეებით ხატავს მიწას.

გვიყვარს აქ განმარტოება და საუბარი, არყნარში მიმალული სიძველეები, მათი იდუმალებით მოცული თავგადასავალი. შემოგარენის სიმაგრეთა სქელ კედლებზე არტილერიის მთელ ისტორიას აღადგენს კაცი. თავშესაფრის ასაგებად რა ღრმად შეჭრილა ადამიანი მიწაში, მაგრამ ცეცხლითა და მახვილით

მოსულა მტერი და ციხე-ბურჯი დამცველთათვის სამარედ უქცევია.

აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით მებრძოლის საფლავს, რომელთაგან ზოგი ჟამთა სიავისაგან წაშლილა და გაჭრალა.

როგორც ქალაქში, ისე ქალაქგარეთ, ერთეულ საფლავების გარდა, რამდენიმე კეთილმოწყობილი სამარხია. მათ შორის ყველაზე მეტად მაოცებდა 1914 — 1918 წლების ომში დაღუპულ ძმათა სასაფლაო, ბრესტ-ვისოკოეს გზის მარცხნივ რომ შემორჩენილა. აქ ყოველი მებრძოლი მკვიდრად დასახლებულა, თავს ვეება ლოდი წამოუხურავს და ახლა აღარავის აწუხებს! თორმეტი ათასი კაცი ერთ მტკაველ მიწაზე მოთავსებულა და მათი სამყოფელი შემაზრზენ დუმილს მოუცავს.

მოსულან აქ ბოღმით, ზიზღითა და მტრობით აღვსილნი, ველური ყიჟინით დასჯახებიან ერთმანეთს, რათა სამუდამოდ დამცხრალიყვნენ. ახლა აქ აღარც შურია და აღარც მტრობა, არც ყიჟინა და არც ხიშტის ტრიალი, აქ მხოლოდ დუმილი მეფობს — მარადიული და საზარელი. სასაფლაოს ნახვა, ჩვეულებრივ, სიცოცხლის წარმავლობაზე აგვიშლის ფიქრებს. აქ რატომღაც სხვა გრძნობა მერევა. ვინ იცის, რა უსაზღვრო იყო მათი ოცნებები, სურვილები, და რა მოკლეა აწ და მარადის მათი ეპიტაფია: „აქ განისვენებს ჰაინრიხ ველერი, დაბად. ვაიმარში, 189... წელს. დაიღუპა ბრესტ-ლიტოვსკში 1916 წელს“... ამ საფლავიდან არცთუ ისე მოშორებით სხვა წარწერებიცაა რუსული, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ განისვენებს ამა და ამ პოლკის ჯარისკაცი ნიკოლოზ ალექსის ძე მიშკოვი...

განმარტოებულ ხის ძირას ერთხელ ქართველი ჯარისკაცის საფლავს წავაწყდი. ძლივს ამოვიკითხე ქარწვიმისაგან გადა-

შლილი წარწერა. იქნებ დღესაც მოელიან ხონში მსოფლიო ომში დაღუპულ უწვერულვაშო ყრმას...

— დაშამათებული ადგილია! — მითხრა ერთხელ მოხუცმა ბელორუსმა. — არც ერთი ომი ამ ქალაქს არ ასცდენია. შვილს მამისეულ სახლში კერა ვერ გაუჩაღებია. ყოველ თაობას ერთი ომის გადახდა მაინც უხდება. მამაჩემის აშენებული სახლი პრუსიელებმა დასწვეს 1914 წელს. შემდეგ მე ავაშენე ახალი სახლი, ისიც იმათ დამინგრიეს შარშან; ახლა ისევ მინდა ავაშენო, მაგრამ... მოგვასვენებენ?

ვიქტორ ჩორნის თავდავიწყებით უყვარს ისტორია. ბევრი რამ წაუკითხავს და გაუგონია, ბევრ საინტერესოს გვიამბობს. მასთან არასოდეს მოიწყენს კაცი. ეს უზარმაზარი, მსუქანი, შავგვრემანი ახალგაზრდა მეტად გულჩვილია. რომ იტყვიან, ჭიას ფეხს არ დაადგამს.

ვიქტორს გვიან დავუმეგობრდით. ზონზროხა ჭაბუკი ძალიან ქედმაღალი და თან დონდლო გვეგონა. ამიტომ, როცა კაპიტან გაიფულინს ჟაბინკის სასროლეთიდან ციხე-სიმაგრემდე სირბილით მივყავდით, ვცდილობდით სწრაფად გვერბინა: დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩორნი უკან დარჩებოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე!.. ვიტია მშვიდად, აუღელვებლად კეცავდა გზას და ჩვენც თვითონ მისი მოსაშველებელი ვხდებოდით; ჩამორჩენილს დაუყოვნებლად ჩამოართმევდა დისკს ან ტყვიამფრქვევს და ისე ხალვათად მირბოდა, ვითომდა აქ არაფერიაო.

პეტია სტუკალენკო ერთი შეხედვით უფრო მკაცრი მოგეჩვენებოდათ, მაგრამ ისიც მეტად გულალალი კაცი იყო.

— ეჰ! საუკუნე ერთი წუთია! — დაიწყებდა ფილოსოფოსობას ონისიმე, როცა ამ ადგილებს გადახედავდა. — განა

დიდი ხანია, რაც აქ სუვოროვი და კუტუზოვი იბრძოდნენ?! და მათთან ერთად ჩვენი სახელოვანი თანამემამულე პეტრე ბაგრატიონიც. ცოტა მოგვიანებით, ძმებო, ბრესტში ალექსანდრე გრიბოედოვსაც უმსახურია, შემდეგ მთელი ქვეყანა მოიარა, სადღაც სპარსეთში მტრის ტყვიამ განგმირა და ჩვენს მშობლიურ თბილისში, თავის საყვარელ მთაწმინდაზე, ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

კაკაბელმა ბიჭმაც თავისი ამქარი მონახა. თავდაპირველად ყველას როდი ესმოდა მისი ლაზღანდარობა. უადგილოდ ვის სარმას გამოჰკრავდა, ვის მოგვერდით წამოიღებდა. ჭიდაობაში აღარავინ მიჰყვებოდა. კვანტის სამართლიანობაზეც დიდი კამათი და პაექრობა იმართებოდა. მისი უკრაინელი მეგობრები გაუალა და ზაიკა „ვერაგულ კაუჭს“ კანონის აღმაშფოთებელ დარღვევად თვლიდნენ. თავის მხრივ, კაკაბელი ბიჭიც ვერ ურიგდებოდა ფეხებში ხელით შევარდნას. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მორიგდნენ. კაკაბელი ბიჭი დიდი გულმოდგინებით ასწავლიდა ახალ მეგობრებს „ეშმაკურ კვანტს“.

როცა ციხის ნანგრევებთან სვიატოპოლკსა და სუვოროვზე ვსაუბრობდით, ამ „მხიარულ ტრიოს“ ტყის ნაპირას ჭიდაობის გაკვეთილები ჰქონდა.

ამ დროს ბანაკში ყველა სასიამოვნო სანახავი იყო: ხორშაკით გაფიცხებული და მზით შერუჯული ჯანსაღი სახე, დაკუნთული სხეული, მოქნილი, მოსხლეტილი ნაბიჯი, მხნე, მხიარული გამოხედვა.

თვითონვე მიკვირდა, როგორ შევიცვალე, თითქო ფრთები გამომესხაო, ისე მსუბუქად და ლაღად დავაბიჯებდი. ხარბად ვსუნთქავდი ტყის ჯანსაღ ჰაერს და სისხამ დილით, წყაროზე

პირის დასაბანად რომ მივეშურებოდი, გული უჩვევი სიხარულით მევსებოდა, აუწერელ სიამეს ვგრძნობდი, როცა ახალპირდაბანილი, ტანდაზელილი, ხალისიანად მიედიოდი რეპროდუქტორიდან გადმომქუხარი სამხედრო მარშის ხმაზე, უჩვეულო გამოძახილს რომ გამოსცემდა უღრანი ტყის მყუდროებაში. ვამაყობდი და ვისაც სამხედრო ხალათი არ ეტარებინა, ვაჟკაცადაც არ მიმაჩნდა.

დღეები სწრაფად მიქროდნენ. სამოქალაქო ცხოვრებას ისე მღელვარებით აღარ ვიხსენებდით. და ერთხელ, ძველი ქაღალდების გადათვალიერებისას, ჩემს ბლოკნოტს რომ წავაწყდი, გამეცინა: რვა თვე დამრჩენოდა წაუშლელი...

1941 წელი ბედნიერად დაიწყო. დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა პიმენოვმა ჩორნის, ოსადჩის, ასათიანსა და შევარდნაძეს პარტიული ბილეთები გადასცა.

გაზაფხულზე საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე წითელარმიელები მოკლევადიან კურსებზე გაგვიწვიეს. მალე უმცროსი სერჟანტის წოდებაც მოგვანიჭეს, ამას სასიხარულო წარმატება მოჰყვა. ჩორნი პოლკის შტაბში გადაიყვანეს. ოსადჩი კომკავშირის კომიტეტის მდივანი გახდა. ონისიმე ახალშექმნილი ნაღმსატყორცნი ასეულის პოლიტხელად დანიშნეს, შევარდნაძე და ბაშალეიშვილი კი — ოცმეთაურის მოადგილეებად. მე მესამე ასეულშივე დავრჩი, როგორც პოლიტხელის მოადგილე. დაწინაურება პირველად ჩემმა ათმეთაურმა მომილოცა. გადამეხვია და გადამკოცნა. ახლა თვითონვე საჰაგალითოდ ასრულებდა ჩემს ბრძანებას. მრცხვენოდა, როცა ვიგონებდი ჩემს საქციელს სამსახურის პირველ დღეებში.

მაისის შუა რიცხვებში ბრესტის ციხე-სიმაგრე თითქმის

დაცარიელდა. სამხედრო ნაწილები საზაფხულო ბანაკებსა და სამუშაოებზე გაიკრიფნენ. სიმაგრეში მხოლოდ შტაბები, სამეურნეო ნაწილები და მორიგე ასეულები დარჩნენ.

ჩვენი პოლკი სამ ნაწილად გაიყო. მეორე ბატალიონი ხეტყის დასანზადებლად გაგზავნეს, მესამე — სასროლ წვრთნას გადიოდა. ხოლო ჩვენ სიმაგრის ჩრდილოეთით, მდინარე ლესნაიას ნაპირზე გავემგზავრეთ შემოდგომით დაწყებული სასაზღვრო ხაზის ნაგებობათა დასამთავრებლად.

ზედ ბუგის ნაპირებზე — შტოშის, ნიჟის, ბოგვის ბუჩქნარებში, თეთრი კარვები გავშალეთ და მუშაობას შევუდექით.

იმ გაზაფხულზე ყველამ შეამჩნია, როგორ გამოიცვალა საზღვრის გაღმა განლაგებული გერმანიის ჯარის ნაწილები. თითქმის აღარც მალავდნენ თავიანთ მტრობას. ხშირად მდინარეზედაც გადმოდიოდნენ ქურდულად და როცა დავიჭერდით, — „გზა აგვერიაო“, —ამბობდნენ.

15 ივნისს, მდინარისპირად საგუშაგოზე მყოფ გაჟალას დამტვრეული რუსულით დედა შეაგინეს. კაკაბელი ბიჭის ძმობილი დიპლომატიაში სუსტად ერკვეოდა და ეს უხამსობა უპასუხოდ არ დატოვა.

19 ივნისს, სადილობის დროს ჩვენს ბანაკს „მეზობლის“ ხუთმა თვითმფრინავმა გრიალით გადაუქროლა. ყველანი გარეთ გამოვცვივდით. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენმა ათმა გამანადგურებელმა საზღვრის დამრღვევნი წინ გაიგდო და საზღვრამდე „მიაცილა“.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ბუგს გაღმიდან ოცმა თვითმფრინავმა ხელახლა გადმოსერა საზღვარი, ჩვენს მიწა-წყალზე შემოიჭრა და თვალს მიეფარა.

განაბული გავყურებდით ცას.

ცოტა ხნის შემდეგ საზღვრის დამრღვევებს რისხვაღ დაატყდა ოცდახუთი საბჭოთა თვითმფრინავი. ამჯერად გერმანელები ისე იოლად არ აპირებდნენ უკან გაბრუნებას. ჩვენს ზემოთ ტყვიამფრქვევების კაკანი გაისმა...

ვგრძნობდით, როგორ იქუფრებოდა ცა, გროვდებოდა საავდრო ღრუბელი, მაგრამ მეხის ხმა ჯერ არ ისმოდა და ჩვენც მშვიდად განვაგრძობდით საქმეს.

მაისის ბოლოს ჩვენი ასეულის პოლიტხელი პარშინი გაათავისუფლეს და მის ნაცვლად მე დამნიშნეს. ამ საქმეზე 21 ივნისს, შაბათს, პოლკის შტაბში ვიყავით ორივე დაბარებული.

ამხანაგებს გამოვეთხოვეთ და ციხე-სიმაგრისაკენ ადრიანად გავწიეთ, რადგან რვა კილომეტრი ფეხით უნდა გაგვევლო.

საღამო მშვიდობისა და დილა ბრძოლისა

აღმოსავლეთის ფორტს რომ მივატანეთ, პარშინმა საერთო საცხოვრებლისაკენ გაუხვია, მე ციტადელში წავედი.

მზე დასავალზე იყო.

ცის კიდეს ვარაყივით შემორჩენოდა მეწამული. სიმაგრე ნაირფრად ელავდა ბუნების მშვიდ ფონზე.

ცის კაბადონს მიწაყრილის მომაღლო ქედი კვეთდა, ფორტის ბალახოვანი კალთები ჩამავალი მზის ოქროსფერ სხივებში ლივლივებდა.

ციტადელის სამთაღოვან ალაყაფში, რომელიც მუხავეცის

ხიდს კეტავს, გრილი ნიავი ქროდა. ნიავი არბილებდა ივნისის თაკარას, მდინარის ნაპირზე შეფენილ შტოშის ბუჩქნარს ალერსიანი ჰაერი ელაციცებოდა.

მყუდროება სუფევდა სიმაგრეში. მრგვალი ყაზარმის კედლებთან თითო-ოროლა ჯარისკაცს შეამჩნევდით გახუნებულ ხალათსა, მაღალყელიან ხამლებში და აჩაჩულ ტოლაღებში. ესენი მოკლევადიან გადამზადებაზე გაწვეული ბელორუსები იყვნენ.

დაცარიელებული სიმაგრე მაგონებდა საზაფხულო არდადეგების პერიოდში დროებით მიტოვებულ სკოლას... ბავშვობისას ძალზე მიყვარდა ზაფხულობით დაცარიელებული სკოლის ეზოს, საყვარელი ადგილების შემორბენა. იმ უჩვეულო მდუმარებაში რაღაც განსაკუთრებით ძვირფასსა და საოცნებოს ვპოულობდი. გულმა არც ახლა მომითმინა, ჯერ თეთრი ყაზარმისაკენ გადავუხვიე, მერე ჩვენი შტაბის უკან, სასპორტო მოედანზე, გავედი. ყოფილი ეკლესიის, იმჟამად სასადილოს, შენობაში შევირბინე, კლუბში ახალი ჟურნალ-გაზეთები გადავათვალიერე და პოლკის მორიგესთან გამოვცხადდი.

მეორე სართულის კიბეზე რომ ჩამოვრბოდი, პოლკის პარტბიუროს მდივანმა ივანე პოჩერნიკოვმა შემაჩერა.

— ოჰო! თქვენ უკვე ჩამოსულხართ! — მომაძახა და გაღიმებულმა ხელი გამომიწოდა. — რა ამბავია ასეულში, როგორ არის საქმე?

უკანასკნელი სიტყვა უფროსმა პოლიტხელმა ქართულად წარმოთქვა და თვალები უფრო გაუშუქდა.

მინდოდა, იქვე ორიოდე სიტყვით მეპასუხა მის შეკითხვაზე, მაგრამ პოჩერნიკოვმა მკლავში ხელი მომკიდა, თავის სამუშაო ოთახში შემიყვანა და კარგა ხანს მესაუბრა.

ეს ფერმკრთალი კაცი, რომელსაც ჭორფლი ისე მორეოდა, რომ ნაყვავილარი გეგონებოდათ, უსაყვარლეს ადამიანად ითვლებოდა ჩვენს პოლკში. ასე მომხიბლავად გაღიმება მხოლოდ სპეტაკი სულის ადამიანებმა იციან. იმ დღეს, როცა პარტბიუროს მდივანი ღიმილს შემომაგებებდა, არაჩვეულებრივ სიხარულს ვგრძნობდი, თითქოს რაღაც დიდი ჯილდო მიმეღო.

მეც გამორჩეულად მიყვარდა ეს გულმართალი მეთაური, ისიც ვიცოდი, რომ პოლიტხელის თანამდებობაზე მან წარმადგინა და მის წინაშე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი.

— არ შემარცხვინო! — მითხრა პოჩერნიკოვმა გამომშვიდობებისას. — პარშინის შეცდომები კარგად გაითვალისწინე! ასეულში სულ თანამემამულეები გყავს და შენთვის უფრო ადვილი იქნება მათთან მუშაობა... ხომ იცი, როგორი დროა, სიფრთხილე გვმართებს...

ხელს რომ მართმევდა, ერთხელ კიდევ გამოაჩინა ღიმილით გაშუქებული, მეტისმეტად მსხვილი ვერცხლის კბილები და თითის დაქნევით დაუმატა:

— ქართულ ლიტერატურაზე როდისღა აპირებ საჯარო ლექციის ჩატარებას? ჯერ შოთა რუსთაველზე უნდა წაიკითხო აუცილებლად. მაგრად მოემზადე! იცოდე, „ვეფხისტყაოსანი“ შინ გვაქვს .და ყოველ ღამით ვკითხულობთ მე და ჩემი მეუღლე. უფრო დაწვრილებით კი ორშაბათს მოვილაპარაკოთ ყველაფერზე...

ჩვენი ასეულის ბინა, სადაც ღამის გათევას ვაპირებდი, არეულ-დარეული დამხვდა, დერეფანი ჩახერგილი იყო მაგიდებით, სკამებით, ერთმანეთზე შედგმული ტახტებითა და კა-

რადებით. კართან ეყარა საღებავიანი ვედროები და გრძელტარიანი ფუნჯები.

ვიფიქრე, ონისიმეს ვნახავ, ამაღამ იმასთან დავრჩები-მეთქი, მაგრამ პირველ სართულზე, სადაც ნაღმმტყორცნელთა ასეული იმყოფებოდა, მორიგემ მომახსენა — არ ვიცი, პოლიტხელი სად წავიდაო.

შტაბში გავბრუნდი. მითხრეს, რემონტი რამდენიმე დღეს გაგრძელდება, თქვენს გარდა, პირველი ბატალიონიდან თხუთმეტი კაცი კიდევ არის უბინაოდ, ზოგი ჰოსპიტლიდან გამოეწერა, ზოგიც შვებულებიდან დაბრუნდა, ჩაიბარე ისინი და ძეორე ასეულის დიდ დარბაზში მოთავსდითო.

კარი რომ გამოვაღეთ, დახუთული ჰაერი გვეცა. რემონტი ჯერ კიდევ არ დაეწყოთ, მაგრამ ოთახი მთელ თვეა დაკეტილი ჰქონოდათ. ფანჯარა გავაღეთ და კარიც ღია დავტოვეთ, რომ ჰაერს ემოძრავა. დერეფნიდან ორსართულიანი საწოლები და ლეიბები შემოვიტანეთ.

დაბალმა, მწითურმა სერჟანტმა საწოლი ფანჯარასთან დადგა, ზემო საწოლი დაიკავა, ზედ ზურგჩანთა დადო და ჩემი დავალებით, ერთ ჯარისკაცს საბნებისა და ზეწრების მოსატანად გაჰყვა.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოიჭრა ალმურმოდებული წითელარმიელი, რომელსაც გიმნასტურა მხარზე გადაეგდო და შიშველ ფეხებზე წამოცმულ ხამლებს მოაფლატუნებდა. ტანწვრილი ბიჭი იყო, საულვაშე ქერა ღინღლით ჰქონდა შემოსილი. ზურგზე გადაკიდებული ტომარა დაუდევრად ეჭირა ცალი ღვედით. თავაწეული ერთი კი შეჩერდა კარებში, არც მოგვესალმა, არც არავის წარუდგა, პირდაპირ ფანჯრისკენ გაექანა. ნათქვამია, უფროსს ზოგჯერ ცალი თვალი ბრმა უნდა

ჰქონდეს და ცალი ყური ყრუო... მეც თვალი მოვარიდე და საბნებით დატვირთულ სერჟანტს მივეგებე.

საბან-გობანი მაგიდაზე დავაწყვეთ და ის იყო საწოლებზე უნდა ჩამოგვერიგებინა, რომ ის გაღეღილი ჯარისკაცი მოვარდა, არც აცია, არც აცხელა, თეთრეული აურდაურია, ხან ერთს წაეპოტინა, ხან მეორეს; გული ეთანაღრებოდა, უნდოდა ყველაზე უკეთესი ამოერჩია. სერჟანტმა მკაცრად გააფრთხილა, მაგრამ თითქოს არ გაუგონიაო, ყურიც არ გააბარტყუნა, იღლიაში ამოჩრილი ზეწარი და საბანი ისევ შეურია დანარჩენებს და გამომწვევი სიმშვიდით განაგრძო ამორჩევა.

ჩამორიგება რომ დამთავრდა, სერჟანტმა თავის საწოლს მიაშურა, მაგრამ ზურგჩანთა ეუცხოვა, გაოცებულმა ხელი დაავლო ტომარას და ხმამაღლა იკითხა:

— ჩემი ზურგჩანთა ვინ აიღო, ვისია ეს ბარგი-ბარხანა?..

ყმაწვილი გულარხეინად იცქირებოდა ფანჯარაში, მაგრამ ამ სიტყვებზე სწრაფად მობრუნდა და მკლავში ეცა სერჟანტს:

— ახლავე დადე თავის ადგილზე! მანდ მე ვწევარ. შენი ჩანთა იქ, სადმე, დაბლა მონახე!

სერჟანტი გაკვირვებული მისჩერებოდა გაცეცხლებულ ბიჭს, რომელიც ცდილობდა ჩანთა ხელიდან გამოეგლიჯა და მამლაყინწასავით იფხორებოდა.

— რას ნიშნავს, თავის ადგილზე დავდო! ცუდად იდო თუ რა, ძირს რომ ჩამოგიგდია? რას ჰგავს ეს? რა უდისციპლინობაა!..

— უდისციპლინობაა!.. — გამოაჯავრა ბიჭმა. — უნდა იცოდე, სად დაიკავო ადგილი.

— ამხანაგო მებრძოლო, სწორდი! — დაუყვირა მოთმინებადაკარგულმა სერჟანტმა და ჩანთას ხელი შეუშვა.

ბიჭი გამარჯვებულივით შებრუნდა საწოლისაკენ და ჩანთა მაღლა ააგდო.

— სწორდი!.. ვითომ მაგის მაჩანჩალა ვიყო! მე ყველაზე ადრე მოვედი, ჰკითხე, თუ გინდა, შტაბის მორიგეს... ოთახი ვერ მიშოვეს და ფეხბურთს ვთამაშობდი. რაკი შემომასწარი, შენ უნდა დაიკავო უკეთესი ადგილი?.. დღეს საავადმყოფოდან გამომწერეს, დასუსტებული ვარ, სამი თვე ვიწექი. სუფთა ჰაერი მესაჭიროება. ფანჯარასთან მე უნდა დავიძინო.

სერჟანტი უსიტყვოდ გაეცალა.

დათმობა აღარ შემეძლო.

— რა ამბავია, სად გგონიათ თავი! — დავუყვირე უცნაურ ჯარისკაცს, რომელიც ამასობაში გულდამშვიდებით შლიდა ლოგინს. — გუშინ ხომ არ მოსულხართ არმიაში? არ გესმით, როგორ უნდა მოექცეთ თქვენს უფროსს — უმცროს სერჟანტს?..

წესრიგის დამრღვევმა დაკვირვებით ამათვალ-ჩამათვალიერა. გარეგნულად რიგითი ჯარისკაცისაგან არაფრით განვსხვავდებოდი: ისეთივე ჯარისკაცური ჩექმები, ისეთივე გიმნასტურა და გალიფე, იგივე პილოტურა... ოდნავ წამოზრდილი თმა... საყელოზე ნიშნები არ მეკეთა, მხოლოდ მარცხენა სახელოზე დაკერებული წითელი ვარსკვლავით გამოვირჩეოდი. არ ვიცი, შეამჩნია თუ არა ეს ვარსკვლავი, აინუნშიაც არ ჩავუგდივარ, დაცინვით ჩაილაპარაკა:

— ჩემი უფროსი!.. ერთი ამას დამიხედეთ, დიდი ვინმე ბრძანებულა!.. უმცროსი სერჟანტი!.. გამომიჩნდა რაღა გენერალი, რომ პატივით მივეგებო, ადგილი დავუთმო! ფრთხილად, ძამია, მე ურალელი გახლავარ, აგრე იოლად ვერ მომ-

თოკავ! შენ კი, — მომმართა ირონიულად, — მეცამეტე გოჭივით სხვის საქმეში ნუ ეჩრები...

წამოვენთე. მუქარით თვალი თვალში გავუყარე. ახალბედა ჯარისკაცი შეკრთა, უმანკო, ბავშვური სახე გაუფითრდა, წამწამები აუთამაშდა, თხელი, ფერმკრთალი ტუჩები აუთრთოლდა, ასე მეგონა, თავს ვერ შეიკავებს, საცაა ტირილი წასკდებამეთქი.

— მე პოლიტხელი ვარ, გიბრძანებ, ახლავე გაათავისუფლო უმცროსი სერჟანტის ადგილი! კმარა უდისციპლინობა!..

ურალელმა თავი დახარა. ერთხელ კიდევ მალულად შეავლო თვალი ჩემს მტვრიან სამოსელს, გაქუცულ ჩექმებს... ყოყმანობდა... სიტყვის უკან წაღება უჭირდა... ბოლოს მზერა ჩემს სახელოზე შეაჩერა და ზანტად, უკმაყოფილოდ აკრიფა გუდა-ნაბადი.

შევატყვე, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და ჩუმად, მაგრამ სხვების გასაგონად ბუზღუნებდა:

— გაგონილა ასეთი დაბრიყვება?.. ხმას ვერ ამოიღებ!.. ეა რა პანები გამომიჩნდნენ!.. ვითომ რით მჯობიან, ა?

— ამხანაგო პოლიტხელის მოადგილევ, — მითხრა მეორე ასეულის ერთ-ერთმა მებრძოლმა. — ეს ურალელი ახალწვეულია. ჩამოსვლისთანავე ავად გახდა და რამდენიმე თვეს ჰოსპიტალში იწვა. მგონი, ფიციც არ მიუღია ჯერ. პოეტია, ლექსებს თხზავს... ჯერ ხამია... მაგას ლეიტენანტი ანანიაშვილი მოარჯულებს...

გულზე მომეშვა. გასაგებია ეს ჭირვეულობა... ნაწილები აქ არ არიან... ყაზარმებში რემონტია. ყველაფერი აყრილ-დაყრილია... საშუალო სკოლიდან პირდაპირ ჰოსპიტალში მოსულა... ოჩნობს. უნებურად სარგებლობს არეულობით...

გულკერპ ურალელს დავემუქრე, დაგსჯი-მეთქი და, რადგან ჯერ კიდევ ადრე იყო, მეგობრების სანახავად წავედი.

კარებში რომ გავდიოდი, ურალელის ქაქანი მომესმა:

— კინაღამ გული გამისკდა! პოლიტხელის მოადგილე!.. ბიჭოს, ბიჭოს, ვინ ყოფილა!.. პირში წყალი უნდა დავიგუბო, რაღა!..

დაბინდდა.

ამ დროს ჩვენი ბიჭები ეკლესიის წინ, მოედანზე გროვდებოდნენ ხოლმე, ზოგჯერ ჰოსპიტლისკენ მიდიოდნენ, სამხრეთ კუნძულზე, სადაც მუდამ გრილა, მაგრამ უფრო ხშირად აქვე, მოტომექანიზებული ბატალიონის მახლობლად, მუხავეცის ნაპირზე იკრიბებოდნენ. იყო ტანსაცმლისა და კარდალების ერთი რეცხვა-ხეხვა, ბანაობა, სილაში გორაობა, ცხელ-ცხელი ამბების მოყოლა. მეც იქით გავუხვიე და არც შევმცდარვარ.

აგონებ ყველა ჩვენი პოლკელი, ვინც ამ ზაფხულს სიმაგრეში დარჩა, მუხავეცის ოკრობოკრო ნაპირზე გამოფენილიყო. მხიარულად შემხვდნენ ვიტია ჩორნი, პეტია სტუკალენკო, ონისიმე, პანტელეიმონი, კაკაბელი ბიჭი, მაღლაკელიძე, ალექსი ჯარიაშვილი, გიგინეიშვილი, ნიკა აბზიანიძე, პავლე შირინი, ალავერდა იმანოვი, ნიკოლოზ რემიზოვი, სოლიკო სონიშვილი, იოსებ რთველიაშვილი, ნიკა მეკოკიშვილი, ედუარდ დამი, პრონინი, ლისაუკი, კურენოი...

დამხვდურებს მეგობართა ამბები ჩავუკენჭე, ჩვენი ასეულის წარმატებებით წავიტრაბახე, ბუგგაღმელი „მეზობლების“ უკეთურობაც ვახსენე.

გაოცებულნი მისმენდნენ. ნათქვამი არ სჯეროდათ, მაგრამ ჩორნიმაც დამიდასტურა: ვიცი, ასეთი შემთხვევები სიმაგრის

უბანზეც იყოო. ამის გაგონებაზე ყველა გაილურსა. გუნება გამოეცვალათ. განსაკუთრებით პანტელეიმონ აფხაზავას დაეტყო შეშფოთება. შინიდან მიღებული წერილები დაჩქარებით უხმობდნენ ახალგაზრდა ცოლთან, რომელთან სიშორე კლავდა და მოსვენებას არ აძლევდა...

ონისიმემ ასაცილოდ აგვიგდო:

— ე. ბიჭო, რას ჩამოგტირით ცხვირ-პირი. დამიჯერეთ, არაფერი მოხდება. ახალ შემთხვევებს პოლიტიკის ენაზე საასაზღვრო ინციდენტი ჰქვია. რამეს რომ აპირებდნენ, უფრო მოიკატუნებდნენ თავს. მართლა საშიში რომ იყოს, ჩვენც გავიგებდით რაღაცას.

თვალებგაბრწყინებულმა აფხაზავამ ბანჯგვლიანი ფეხებით სილაში მოიკეცა და მხარზე ხელი მოუთათუნა ასათიანს:

— შენს პირს შაქარი, ჩემო ონისიმე!..

— დამიჯერეთ, პანტელეიმონ, ტეხა-კრეფაზე შინ ვიქნებით. ხომ ხედავთ, რა მალე გაირბინა ორმა წელიწადმა... თვითონ დაფიქრდით ახლა: საშიშროება რომ იყოს, ანანიაშვილი და გელაშვილი საქართველოდან ცოლ-შვილს ჩამოიყვანდნენ? წერილი გაუგზავნეს, — ჩამოდითო და გუშინღამ ჩამოაკითხეს... ამ ზაფხულს სიმაგრეში გაატარებენ, მეთაურთა სახლში... ჯიჯიშვილის ოჯახიც ხომ აქ არის... დღესაც დავინახე თამარი, კლარა ივანოვნასთან ერთად ბიდიოდა კლუბში, ბიჭუნაც თან ჰყავდა... ესენი კადრის ოფიცრები არიან და ყველაფერი კარგად იციან. მერე, გერმანელების კომისიას, მგონი, ჯერაც არ დაუმთავრებია ომში დახოცილი ოფიცრების ამოთხრა და წასვენება... სხვანაირად რომ იყოს საქმე, ამისთვის მოიცლიდნენ ახლა?.. არც ჩვენები მისცემდნენ ამის ნებას...

ონისიმეს საბუთებს ხომ წყალიც არ გაუვიდოდა.

ბიჭები დამშვიდნენ. ყველაზე მეტად აფხაზავა გამხიარულდა.

ონისიმემ გამყივანი ხმით სიმღერა წამოიწყო, პანტელეიმონს ხელი გადაჰხვია და სხვებმაც ბანი უთხრეს:

ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მოსვლა —
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო...

წყლის ნაპირთან ჩამომჯდარმა კაკაბელმა ბიჭმა, რომელსაც ფეხები მდინარეში ჩაეყო, კნაჭა კანჭები აატყაპუნა და გაგვწუწა. მერე ამხანაგებს სიმღერა ჩამოართვა და სულ სხვა ხმაზე დასჭყივლა:

გზა ყივის წამავალისა, დამჭოლელისა ლოგინი.

წყალში შორს შესვლას ვერ ბედავს კაკაბელი ბიჭი — ცურვა არ იცის. არადა, არ შორდება ნაპირს. ზოგჯერ ფრთხილად შევა მდინარეში, ფსკერს ფეხის წვერებით მოსინჯავს, სახედაჭიმული ჭყუმპალაობს, ნაპირზე კი ხარხარებენ: — კაკაბელო, ნუ ღუპავ შეყვარებულს, ქვევრის ღვინო და ცვრიანი მწვადი გაიხსენეო. თავქუდმოგლეჯილი გამორბის. ნაპირზე რომ გამოვა, სიხარულისაგან შეკუნტრუშდება და უჩინარ მეტოქეს სარმას სარმაზე გამოსდებს.

ბავშვობიდანვე მომყვება: ზაფხული ზაფხულად არ მიმაჩნია, ცურვით თუ გული არ ვიჯერე. იმ წელს ივნისი ისე მიილია, რომ ცივ წყალში ფეხი არ ჩამიდგამს. ბუგი საზღვრით იყო გა-

დასერილი და სად უნდა მებანავა!.. მინდოდა ახლა მაინც ამესრულებინა წადილი, სასწრაფოდ გავიხადე და გადავეშვი მდინარეში.

მაგრამ აქაც სიფრთხილე იყო საჭირო. გაღმა ვერ გასცურავდი, ეკლიანი მავთულხლართი არ გაგიშვებდა; ხიდსაც ვერ გასცდებოდი, რადგან ბუგის შესართავთან მიახლოება საზღვრის დარღვევად ითვლებოდა, ხიდის ერთი ნაწილი წითლად იყო შეღებილი, მეორე — თეთრად. ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა გვეტყაპუნებინა ხელი, როგორც ვარცლში, და ჩვენც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ წინდახედულებას ვიჩენდით, რომ „მეზობელს“ უსაფუძვლო ეჭვები არ აღძვროდა.

ხერთვისებზე მძიმედ ჩამოწვა ბინდი.

დასავლეთისაკენ ცა ჩამუქდა.

პოლკის შტაბის წინ, მოედანზე ფრენბურთის ბადე იყო გაბმული. მექანიკოსებს კლუბის კედელზე კინოეკრანი გაეჭიმათ.

ისეთი ალერსიანი, თბილი ნიავი გვიღიტინებდა, ისე მსუბუქად ვგრძნობდით თავს, ისე ამაღელვებელი იყო რეპროდუქტორიდან გამომქუხარი მარშები, რომ კინოსეანსის დაწყებამდე მშვიდად ვინ გაძლებდა...

ალავერდა იმანოვმა დაჯაგრული წარბები აძგიბა და ბილიარდის სათამაშოდ პოლკის კლუბისაკენ გასწია.

ჩორნიმ ტყავის ბურთი გამოიტანა და თამაში დავიწყეთ.

ერთ მხარეზე შტაბის მუშაკები იყვნენ, მეორეზე „ნაკრები“ — მუსიკოსები, ნაღმმტყორცნელები, არტილერისტები. პანტელეიმონი არ თამაშობდა, შორიდან გვადევნებდა თვალს.

ქაკაბელ ბიჭს არ ვათამაშებდით, თამაშის წესებს აღვევდა — მოთამაშეებს კვანტს უდებდა.

„ნაკრების“ გუნდის წევრებმა რამდენიმე ბურთი გავიტანეთ. შტაბის თანამშრომლები ამაოდ ცდილობდნენ ანგარიშის გაქვითვას. მათ ვერც ახმახმა მეკარემ, ვიტია ჩორნიმ. უშველა.

ჩამობნელდა, მაგრამ გულგაღეღილნი და გაოფლიანებულნი მაინც დავდევდით ბურთს. მხოლოდ მაშინ დავიშალეთ, როცა გაისმა კინოსაპროექციო აპარატის ტკაცუნი და ეკრანზე ჩრდილები ათამაშდა. გრძელ სკამებზე ჩამოვსხედით და ახალ სურათს მივაჩერდით.

მებუკემ ფილმის დამთავრებისთანავე დაუკრა საღამოს საარი, მაგრამ ჩვენ კიდევ დიდხანს ვბაასობდით ეზოში. მხოლოდ მაშინ ვიკადრეთ დასაძინებლად წასვლა, როცა პოლკის მორიგემ კატეგორიულად გაგვაფრთხილა.

პანტელეიმონი მრგვალი ყაზარმისაკენ წავიდა. იქ, ზედ ბუგის ნაპირზე, იდგა ტანკსაწინააღმდეგო ბატარეა. კაკაბელი ბიჭი უკან გაჰყვა; იგი მეაღალედ გადაიყვანეს პანტელეიმონთან და ნაწილობრივ მაინც აუსრულდა წადილი — ცხენოსანი გახდა.

* * *

იმ ღამით სამი ქართველი ოფიცრის ოჯახიც იმყოფებოდა ბრესტის სიმაგრეში.

ნინო ანანიაშვილი და მარო გელაშვილი მერვე კორპუსში ცხოვრობდნენ, ორ-ორი ბავშვი ჰყავდათ. ახალჩამოსულთ

ხეირიანად ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ მეზობლების გაცნობა. თამარ ჯიჯიშვილი მეცხრე კორპუსში ცხოვრობდა.

მამაკაცები შინ არ იყვნენ. იმ შაბათს ანანიაშვილი და გელაშვილი გამაგრებული რაიონიდან სახლში არ დაბრუნებულან. პატარა ელიკო და მაგული შუაღამემდე ამაოდ ელოდნენ მამას...

ალექსანდრე ჯიჯიშვილი 19 ივნისს კობრინში გაგზავნეს: ათი დღე უნდა დარჩენილიყვნენ არმიის შტაბში.

ოჯახის კაცი იყო ალექსანდრე, მთელ თავისუფალ დროს ცოლ-შვილში ატარებდა, შინაურ საქმეში ეხმარებოდა მეუღლეს. ხუთი წლის თამაზთან თამაშს ხომ არაფერი ერჩივნა. კობრინში გამგზავრების წინა საღამოს დიდხანს ელაღებოდა შვილს. ათ საათზე, როცა ხტუნვა-სიცილით მოღლილმა ბიჭუნამ თვალი მილულა, მამა ფრთხილად დაიხარა ტახტზე და ჩუმად წასჩურჩულა:

— თამაზიკო, ხვალ დილით მე შორს მივდივარ და გამოშვიდობებისას ყელზე უნდა გაკოცო, ხომ გაიღვიძებ?

— ჰო, მამა, მაკოცე! — ჩუმადვე მიუგო ბავშვმა.

ღამის ორ სააათზე ნესტორ ბოკერიამ გამოუარა ჯიჯიშვილს. კაპიტანი სწრაფად მოემზადა.

წასვლისას უნდოდა ეკოცნა შვილისთვის, დაიხარა კიდეც. — მაგრამ გადაიფიქრა, ძილი არ დავუფრთხოო. ამ მოძრაობაზე ბიჭი უნებურად შეიშმუშნა, თვალდახუჭული ოდნავ წამოიწია და ნუკრივით გადასწია ყელი...

კაპიტანმა ჯერ შვილს აკოცა, შემდეგ ცოლს გადაეხვია, წუთით შედგა... ერთხელ კიდევ თვალი გადაავლო ოჯახს და თითქოს რაღაც დანანებით ნელა გაიხურა კარი.

44-ე პოლკის ყოფილი მეთაური, ამჟამად საბჭოთა კავ-

ალექსანდრე ჯიჯიშვილი.

შირის გმირი, პეტრე მიხეილის ძე გავრილოვი, ამას წინათ ჩემთან იყო სტუმრად. მან მიამბო, რომ მისი პოლკის ერთ-ერთ ქართველ მებრძოლს, რომლის გვარი აღარ ახსოვს, იმ საღამოს მამა ესტუმრა სოფლიდან.

მოგვადგა ხურჯინებით დატვირთული ბერიკაცი, — მითხრა გავრილოვმა, — შვილის ამბავი მკითხა. მამა-შვილი ცალკე ოთახში მოვათავსე. საშველი არ მოგვცა მოხუცმა, დაგვპატიჟა,

მეფური სუფრა გაგვიშალა, დილით საქართველოში აპირებდა გაბრუნებასო.

გავრილოვის პოლკი ჩვენგან ცოტა მოშორებით იდგა. იგი 1940 წელს ჩამოყალიბდა და თავი ისახელა მანერჰაიმის სიმაგრეთა გარღვევაში, რისთვისაც ბევრი მეთაური და მებრძოლი დააჯილდოვეს ორდენებით. თვით პეტრე მიხეილის ძემ იმ ხანებში დაამთავრა ფრუნზეს სახელობის აკადემია. მას უკვე სახელოვანი საბრძოლო გზა ჰქონდა გავლილი. 1918 წელს მოხალისედ შესულა წითელ არმიაში, სამოქალაქო ომის ფრონტებზე მამაცურად უბრძოლია, 1921 — 1923 წლებში საქართველოშიც ყოფილა.

44-ე პოლკი იმ ზამთარს გადმოვიდა ბრესტის სიმაგრეში, მაგრამ მკვრივ, მუდამ კოხტად გამოწყობილ, სახეკუშტ და გულკეთილ გავრილოვს შორიდან იცნობდა ყველა.

ჩვენც ვამაყობდით პოლკის მეთაურით. პოლკოვნიკი მატვეევი, რომელმაც ურთქმელიძე შეცვალა, გამორჩეული კაცი იყო — არაჩვეულებრივად მაღალი და ტანწერწეტი, როგორც იტყვიან, ბეჭედში გაიტანდა ქამარშემოჭერილ წელს. მართალია, კავალერიიდან კარგა ხანია ქვეითთა ნაწილში გადმოეყვანათ, მაგრამ ჩექმიდან დეზებს მაინც არ იშორებდა.

წითელი დროშის ორდენი, რომელიც ძალიან შვენოდა მის ტრძელ ხალათს, სამოქალაქო ომში დაემსახურებინა.

* * *

ოთახში რომ შევედი, ბიჭები გახდილი დამხვდნენ, მაგრამ ჯერ არავის ეძინა. ზოგი უსაბნოდ წამოწოლილიყო, ზოგიც კარებთან იდგა და კინოფილმზე მსჯელობდა.

ტრესებისაშარა ურალელი და რამდენიმე სხვა წითელარმიელი ფანჯარას გადაჰყურებდნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნს ჰკრავდნენ და სახეგაკარვარებული ცმუკავდნენ.

— შეხედე, შეხედე ერთი... აკოცა!..

— იმ უღმერთომ წელზე მოხვია ხელი!..

— რა საფოფინოა!.. ღმერთმანი, გულისცემა მესმის ამ სიშორეზე...

ისმოდა გაფიცხებული ბიჭების ხორხოცი. თვალზე ხელს იფარებდნენ, ფანჯრის რაფაზე წვებოდნენ, ლამის ძირს გადაცვენილიყვნენ...

გავბრაზდი: საცა იყო პირველი საათი გახდებოდა, ესენი კი დაძინებას არ აპირებდნენ. გულმოსული ფანჯარასთან მივიჭერი... ურალელს არც შემოუხედავს. იქე დამითმო ადგილი.

ჩვენს პირდაპირ ორსართულიანი თეთრი შენობა იდგა. იქ მე-17 საგუშაგოს მესამე სახაზო კომენდანტურა იყო და მესაზღვრეები ცხოვრობდნენ ცოლ-შვილით. ცოტა მარჯვნივ, დასავლეთ კუნძულის გასასვლელთან, ტირასპოლის კარიბჭესთან, სადაც ბუგის ორი ტოტი ერთმანეთს უერთდება, კოშკურიანი ჯიხური იყო მიშენებული.

ჩვენს ყაზარმასა და მესაზღვრეთა სახლს შუა ქუჩა გადიოდა. მოპირდაპირე ფანჯარა ისე ახლოს ჩანდა, გეგონებოდათ, ხელით მივწვდებიო.

ოთახში ფერმიმკრთალი შუქი ლიცლიცებდა. ღია სარკმელზე გრძელი, სიფრიფანა ფარდა იყო ჩამოშვებული, ძლივს შეამჩნევდით, რომ სუფრაგადაფენილ მაგიდაზე გრაფინი იდგა. იქვე, სავარძელში, ქალი იჯდა, მახლობლად ვაჟი ბოლთასა ჰცემდა.

ოთახში მისი ბუნდოვანი ლანდი მოძრაობდა... მაღალი ჩრდილი სავარძელზე დაიხარა...

ურალელი მოუთმენლად ხტოდა, ჭახჭახებდა:

— ჩაეკონა! იფ. როგორ ჩაეკონა!

ბიჭები ფანჯარაზე გადაეყუდნენ.

ნელი ქარი მოუსვენრად არხევდა ფარდას, ერთმანეთში არეული ჩრდილები კედლებზე ათასგვარ სურათებად იშლებოდა.

გამოვფხიზლდი.

ხმამაღლა, მაგრამ უნებურად დამთმობი ტონით ავჯუჯლუნდი:

— ბიჭებო, არა გრცხვენიათ, ბოლოს და ბოლოს?! აბა, რას ჰგავს ეს! დაწექით, ახლავე დაწექით, ერიჰა! სად გაგონილა სხვის ოჯახში მალულად ცხვირის შეყოფა! ეს ხომ ხატიპარიობაა!

ბიჭებმა ძლივძლივობით მოწყვიტეს მზერა ფანჯარას. თვალი რჩებოდათ ნიავისაგან აფრიალებული ფარდისკენ, რომელზედაც კვლავ გამოუცნობი სილუეტები ირხეოდა...

დავწექით, მაგრამ ძილი კარგა ხანს არ მოგვეკარა. ზოგჯ. სურათები და წერილები ამოალაგა... ათვალიერებდნენ, მოუსვენრად წრიალებდნენ წელზევით შიშველნი, საბანზე გაშხლართულნი. ხან ერთ მხარეზე გადაბრუნდებოდნენ. ხან მეორეზე.

ისეთი ღამე იყო, რაღაც სანუკვარს, დიადს ოომ გპირდება. ღია ფანჯრიდან სიყვარულით იცქირებოდა ვარსკვლავებით მოჭედილი შორეთი. გაზაფხულის ხავერდოვანი ცა ოქროს სხივებით მოქარგულიყო, ნიავი სათუთი ფრთებით არხევდა ზეწარს... ფიქრი მაღლდებოდა, შორს მიდიოდა, ათასგვარ კოშკს

აშენებდა... ვფიქრობდი ვიღაცაზე, გაურკვეველზე, მიუწვდომელსა და ბუნდოვანზე.

ძილმა ნელ-ნელა წაგვართვა თავი. ნიავს შეუერთდა მღელვარებით მოთენთილი ბიჭების ფშვინვა...

ახლადჩაძინებულმა ერთბაშად ვიგრძენი, რომ შუქი საგანგაშოდ ჩაქრა და მაშინვე უცნაურმა რყევამ იატაკზე გადმომაგდო.

აზრმიუცემლად ზეწამოვიჭერ. ჩამონგრეული, აალებული ფანჯრის ჩარჩოში ზეცა თავზარდამცემად შეცვლილიყო.

წითლად და მწვანედ ანთებული აურაცხელი რგოლი შხუილითა და წივილით მოფრინავდა სიმაგრისაკენ. სახურავგადაცლილი ყაზარმის ზემოთ მრისხანე გუგუნი ჰაერს არყევდა.

დაბზარული კედლები ცახცახებდა, ახალ-ახალი დარტყმისაგან ინგრეოდა და ქვევით ცვიოდა. ჭერის ნამტვრევები ენარცხებოდა დალეწილ საწოლებს.

განუწყვეტლივ ელავდა და ქუხილთან ერთად ავარდნილი კაშკაშა შუქი შემაზრზენად ანათებდა მიდამოს.

ეს მოხდა დილის ოთხ საათზე.

ბრესტის ნანვრევებში ნაპოვნია ამ გასაოცარი გამოღვიძების უტყუარი მოწმე — მაღვიძარა საათი. მისი მექანიზმი დაჟანგულა, ციფერბლატი დამპალა, მაგრამ ისრები სწორად უჩვენებენ დროს: დილის ოთხ საათს ორმოცდახუთი წუთი უკლია... ჩვენს პირისპირ, ტირასპოლის კარიბჭესთან მდგომი გერმანელთა 45-ე დივიზიის ყოფილი ოფიცერი რუდოლფ გშოპფი 1955 წელს ლინცში (ავსტრია) დაბეჭდილ თავის მემუარებში წერს: „ზუსტად სამ საათსა და თხუთმეტ წუთზე დაიწყო ურაგანი, რომელმაც ისეთი ძლიერებით გადაიქუხა

ჩვენს თავზე, როგორც არც მანამ, არც შემდეგ, მთელი ომის განმავლობაში აღარ განმეორებულა... ამ გიგანტური კონცენტრირებული ცეცხლის ტალღებმა პირდაპირ დედამიწა შეაზანზარა...“

პირი ამოვსებული მაქვს მტვრითა და ნაცრით, ტანზე მოდებულ ცეცხლს ვიქრობ, წამდაუწუმ ვაფურთხებ, დახანძრულ საწოლში ხელის ფათურით ვეძებ ტანსაცმელს და ხმადახშული ვყვირი:

— იარაღი...

— თავს უშველეთ...

— სარდაფებში...

ერთმანეთში ირევა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გაოგნებული, ნამძინარევი შეძახილები:

— ივანოვ!..

— მიტია!

— სავჩუკ!

— ხმა გამეცით, მიწისძვრაა!..

მეწამულ ბუღში არაფერი ჩანს. იატაკის პირდაღებულ ხაში ვიღაც გადაიჩეხა. სერჟანტის საწოლი ნანგრევებმა დაიტანა.

მეხდატეხილებივით გავრბივართ ქვევით. ტყვია, ყუმბარა, ნამსხვრევები ფეხდაფეხ მოგვდევს. წინ გვეგებება ხანძარი, პირდაბჩენილი დერეფანი წითლად ბოლავს, კიბე ჩალეწილია, გასასვლელს სწრაფად ხერგავს ყაზარმის ნანგრევები.

სასწრაფოდ გადავეშვი ნაკიბარზე და ძლივს პირველ სართულამდე ჩავაღწიე. სრულებით ვერ ვგრძნობ, როგორ მეთუთქება ხელისგული და შიშველი ტანი.

სარდაფი სულ ახლოს არის, მაგრამ ძნელია გზის გაგნება.

მოტორიზებული ბატალიონის უბნიდან, სადაც წინა საღამოს მუხავეცში ვბანაობდით, ახლა ტყვიამფრქვევის კაკანი ისმის. ვიწრო გასასვლელში დაცხრილული გვამები ყრია.

მოედანზე, სადაც ბურთს ვთამაშობდით, ცეცხლმოკიდებული ჩინჩხვარი გიზგიზებს. ყაზარმიდან მოგლეჯილ რკინასა და ქვას რაღაც საოცარი ძალა ირგვლივ ფანტავს, ჰაერში ცეცხლოვანი ნამსხვრევები დაქრის.

გზა ამერია: სარდაფს ზემოთ, უმცროს მეთაურთა სკოლის ოთახებში შევიჭერი.

აქაც დარბეულია ყველაფერი. იატაკსა და საწოლზე კურსანტთა გვამები ყრია.

ისე დახოცილან, არაფერი გაუგიათ...

საყრდენებზე იარაღი შევამჩნიე, რამდენიმე ავტომატს ხელი წამოვავლე და გარეთ გამოვვარდი.

ტყვიამფრქვევების კაკანი გვიახლოვდება. ჩვენი ყაზარმის ბოლოშიაც გაისმის ტყვიის ტკაცუნი. სროლის ხმა ძლიერდება. რაღაც საშინლად და შემზარავად უცხო ძალა დაჟინებით მოიწევს ჩვენკენ. ეტყობა, ახლავე უნდა სარდაფებში შეგვასწროს და ერთბაშად მოგვითაოს საქმე.

სარდაფის საფეხურები სწრაფად ჩავირბინე.

აფეთქებული ბომბების შუქი ჩასასვლელებიდან და უკანა მხრის სათოფურებიდან ამაზრზენად ანათებს მიწისქვეშა ჯურღმულს. სქელ კედლებს განუწყვეტელი გუგუნი არყევს.

გრძელი სარდაფის კუთხეებში სათოფურებთან და შესასვლელებთან გადარჩენილი თანაპოლკელები დამხვდნენ. აქ იყვნენ შტაბის მუშაკები, სამეურნეო ნაწილის მებრძოლები, მუსიკოსები, ნაღმტყორცნელები, არტილერისტები.

ზოგი ტრუსებისამარა შემოვარდნილა თავშესაფარში,

ზოგს შაშხანის, ავტომატისა და ტყვიამფრქვევის წამოღებაც მოუსწრია. გონმოსული უიარაღონი აღარაფერს ეპუებიან, უკანვე გარბიან იარაღისათვის.

სულგანაბული სარდაფი უსიტყვოდ ამოქმედდა.

ჩასასვლელებთან ტყვიამფრქვევებს ვდგამთ. გარშემო სახელდახელო ბარიკადებს ვაგებთ. სათოფურებთან შაშხანიან მებრძოლებს ვანაწილებთ და მტრის დასახვედრად ვემზადებით.

დროდადრო სარდაფში აქლოშინებული მებრძოლები შემორბიან: ზოგი დაჭრილი, ზოგი უიარაღო, ზოგი უტანსაცმლო, ზოგიც შეიარაღებული, წუთით ჩერდებიან და ამხანაგების დანახვით ერთბაშად გამოფხიზლებულნი საჩქაროდ ებმებიან მუშაობაში.

ძლიერდება ჭექა-ქუხილი, გაუთავებელი გრგვინვისაგან ყურთასმენა აღარ არის. მტერი გაცოფებით გვაყრის ყუმბარებსა და ბომბებს. ცდილობს ძირფესვიანად ამოთხაროს სიმაგრე, უმსხვერპლოდ დაეპატრონოს მას. დაუზოგავად უშენს შენობებს, მიწაყრილს, გადასასვლელებსა და სარდაფებს.

ირგვლივ ყველაფერი ირყევა, ძრწის, ზანზარებს.

საზღვარზე ვერაგულად თავმოყრილი, ჩვენკენ საგულდაგულოდ მომართული ათასობით ქვემეხი და ნაღმმტყორცნი უშეცდომოდ ურტყამს მიზანს. დღემდე დუმილით მოცულ სასაზღვრო ხაზს ცეცხლის ნიაღვარი უპირებს წალეკვას.

ნახევარტონიანი ბომბები გააფთრებით გლეჯს ცასა და მიწას. ზედაპირიდან ავარდნილი კორიანტელი სარდაფის სათოფურებს აწყდება და თვალთ გვიბნელებს. ცაში არ ცხრება შემაშფოთებელი ყრუ გუგუნი. ამოუსუნთქავად ჭახჭახებენ

ქვემეხები და სადღაც, სულ ახლოს, ტყვიამფრქვევი კაკანებს.

გარიჟრაჟზე არტილერიის ცეცხლი მთელი ძალით დაატყდა ცენტრალურ კუნძულს. სარდაფის კედლებმა უიმედოდ დაიწყეს რწევა. მტერი ცდილობდა ცეცხლის ქვეშ მოექცია ციხე-სიმაგრის მთელი სივრცე, გოჯიც არ დარჩენოდა გადაუხნავი.

სათოფურიდან ეკლესიის შენობას გავყურებ. სპორტული მოედანი მოგიზგიზე ცეცხლით განათებულა, იქითკენ უფრო მძაფრად ისმის ტყვიამფრქვევების ტკრციალი. მარჯვენა მხარეზე მტერი განსაკუთრებული გაბოროტებით ურტყამს მესაზღვრეთა სახლებს. კომენდატურისა და საგუშაგოს შენობები პირველ წუთშივე მიწასთან გაასწორეს, ჰაგრამ მაინც არ ეშვებიან, ნანგრევებსაც დაუზოგავად აყრიან ყუმბარებს. ბევრი ბავშვი და ქალი დაიღუპა. თავშესაფარი ახლოს არ ჰქონდათ, ჩვენი სარდაფებისაკენ გამოღწევა კი ძნელი იყო.

გათენებისას, ბომბების გრიალში სათოფურს მოადგა ახალგაზრდა დედა, გაწეწილი, გასისხლიანებული; თავწაგლეჯილ ჩვილს გულში იხუტებდა. სანამ სარდაფში ჩამოყვანას მოვასწრებდით, ყუმბარამ დაფლითა.

იმ დილით კრიჭა შეეკრა ყველას. სიტყვას იშვიათად გაიგონებდით. ზოგჯერ თუ აღმოხდებოდა ვისმეს:

— ქვეწარმავლები!..

სარდაფი უხმოდ ემზადებოდა.

განთიადისას უმცროს მეთაურთა სკოლის მხრიდან პირველი ბრძანება მოვიდა და ჩუმი გადალაპარაკებით რამდენსამე წუთში სარდაფის ბოლოში — მეორე ბატალიონის ჩასასვლელთან ჩააღწია:

— მტერი მწვანე მუზარადშია... ჩვენ უმუზარადოდ ვიქნებით...

ამ ბრძანების მეორე ნაწილი მალე შეიცვალა:

— ჩვენ თავწაკრული ვიქნებით...

ამას ახალი განკარგულება მოჰყვა:

— მტრის მოახლოებამდე არ ისროლოთ! დაელოდეთ ბრძანებას!..

დილიდანვე შევამჩნიეთ, რომ მოწინააღმდეგეს, ისე როგორც ჩვენ, მწკანე მუზარადები ეხურა. ბევრს საბჭოთა ფორმაც გადაეცვა და დიდი სიფრთხილე გვმართებდა, რომ მტერმოყვარე გაგვერჩია, თავდამსხმელები არ აგვრეოდა ამხანაგებში, რომლებიც, სხვადასხვა ადგილას მიმალულნი, გამთენიისას სარდაფისაკენ მოიკვლევდნენ გზას.

შვიდი საათის დაბომბვის შემდეგ, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, მტერს მართლაც შეეძლო ეფიქრა, რომ სიმაგრე უბრძოლველად ჩაბარდებოდა.

ამიტომ, მოწინააღმდეგის მოწესრიგებული ცეცხლი ჯერ კიდევ მთელი სიმძაფრით მძვინვარებდა, როცა გერმანელმა მოიერიშეებმა ორივე მოედნის მიმართულებით შემოგვიტიეს.

მაშინ ერთბაშად იგრიალა გარინდულმა სარდაფმა და ძლიერმა ცეცხლმა მტერს გზა გადაუღობა.

უ რ ა ლ ე ლ ი

ცეცხლის გრიგალი სახეში გვაყრიდა გამოტყორცნილ ღველფს, ორსავე მოედანზე ხანძარი ბობოქრობდა.

სამრეკლოს მოპირდაპირე ამბრაზურიდან ავტომატს ვისროდი.

მართალია, მტერს ვერ ვხედავდი, მაგრამ უცხო იარაღის ქუხილი, უჩვეულო ღრიანცელი თუ ცალკეული შეძახილები მაგრძნობინებდა, რომ იგი სულ ახლოს იყო და ალალბედად ნასროლ ტყვიასაც შეეძლო მისი მიგნება.

კაშკაშა სინათლეზე ჩრდილები აჩქარებით მოძრაობდნენ. ჩემს სათოფურშიაც რამდენიმე ავტომატმა და შაშხანამ გაჰყო ლულა.

რაღაც ახირებულმა გრძნობამ შემიპყრო იმ დილით. თავს ვეღარ ვიმორჩილებდი, მინდოდა ყველასთან მივსულიყავ, გამემხნევებინა, დამეიმედებინა...

სათოფურს მოვშორდი, ცენტრალური ჩასასვლელისაკენ გავწიე. ერთ ჯგუფში ასათიანს მოვკარი თვალი. გავეხმიანე.

ონისიმემ ხმა არ გამცა. ჩამუხლულს თავი ჩაექინდრა.

დღესაც მიკვირს: მისმა დანახვამ ჩემი უცნაური აღტაცება გააძლიერა. არ ვიცი, რა იყო ეს — მეგობრის გამხნევება თუ სასოწარკვეთილებისაგან გამოწვეული თავდავიწყება, სიცილით ვუთხარი:

— დაიწყო, ონისიმე, დაიწყო!.. იქ, ალბათ, უკვე ყველაფერი იციან ჩვენებმა... წამოვა ავიაცია, ტანკები და, აბა, მაშინ ნახე ამათი თამაშა...

ჩვენ ზემოთ მძიმე ბომბი დაეცა. ბარბაცით მივეხალჯ კედელს, მაგრამ იხტიბარი აღარ გავიტეხე და უდარდელად ვთქვი: „ფრთხილად, ნენა, თოფი არ გაგივარდეს!“

ონისიმემ მიყურა, მიყურა, გულგრილად ჩამათვალიერა და კედლისკენ შებრუნდა.

მის ნალმმტყორცნთა ასეულს, რომელიც ახლა ჩვენი პოლკის ერთადერთი სრულფასოვანი საბრძოლო ნაწილი იყო, რამდენიმე ამბრაზურა დაეკავებინა. პოლიტხელი ერთ-ერთ

რაზმს ყაზარმის ნანგრევებში გზავნიდა გადარჩენილი იარაღის მოსაძებნად და სარდაფში გადმოსატანად.

ამ ცივმა შემოხედვამ შეურაცხმყო, გამომაფხიზლა, ისევ შევავლე თვალი მეგობარს, მის ფეხებთან აყუდებულ ხიშტიან შაშხანას და გავშორდი.

შტაბის ჩასასვლელთან ფერმიხდილი აფხაზავა თავის არტილერისტებს აგროვებდა.

უხმოდ ჩავუარე, ერთი სიტყვაც არ დამცდენია. გონმოსულს ათასი ფიქრი შემომესია. ერთ წამში თვალწინ გამიელვა ომის საშინელებათა სურათებმა, ასე მოულოდნელად რომ დაიწყო, მახლობლებმა, რომლებმაც ჯერ არც კი იციან, რა მოხდა საზღვარზე და რა დღეში ვიმყოფებით, იმის სახემ, ვისზედაც ასე ტკბილი იყო ოცნება, სამშობლომ, რომელიც უსაზღვროდ დიდი და თვალუწვდენი ჩანდა ახლა.

ყველაზე მეტად ის მაწუხებდა, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში ჩემს ასეულთან, მშობლიურ ბატალიონთან არ ვიყავი... დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანებთან მხარდამხარ ბრძოლას, რომლებთანაც გიმსახურია. რაღაც განსაკუთრებულ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას გვაკისრებს ეს და განსაკუთრებულ ძალასაც გვმატებს...

პოლკის უმცროს მეთაურთა სკოლის ჩასასვლელთან შევჩერდი.

აქ ყველაზე ახლოს იგრძნობოდა ბრძოლა, მტერი ცეცხლს პირდაპირ ჩასასვლელს უშენდა.

დიდი ხნის შემდეგ შემთხვევით გავიგე, ამ მხარეზე ასე უცებ საიდან გაჩნდნენ მოიერიშეები. ჩვენ ქვემოთ საპატიმროში, საზღვრის დამრღვევნი ყოფილან დაკავებულნი. პირველი გასროლისთანავე გაქცეულიყვნენ ციხიდან, თავისიანებს

შეერთებოდნენ და მათთან ერთად შემოჭრილიყვნენ ჩვენს უბანზე. ეს ცოფიანი ხროვა გაბოროტებით მოიწევდა სარდაფისაკენ.

საბედნიეროდ, ჩასასვლელი იმ კუთხიდან დილიდანვე საიმედოდ აღმოჩნდა ჩაკეტილი. ჩვენს ტყვიამფრქვევებს გაშმაგებული დუელი ჰქონდა მოწინააღმდეგესთან, განუწყვეტლივ ცელავდა ვრცელ მიდამოს მოტომექანიზებული ბატალიონის სადგომიდან სარდაფამდე.

ის იყო საფეხურზე შევდექი, ორიოდე ნაბიჯი წავდგი და კისერწაგრძელებულმა ჩვენი ბატალიონის ყაზარმას გავხედე, რომ ტყვიამ ზედ ყურთან გამიზუზუნა; იმავ წამს ნესტოებში საშინელი სიმწარე შევიგრძენი.

ბედად, ვიღაცამ გვერდი გამკრა, იატაკზე დამაგდო და ირონიულად დასძინა:

— ფრთხილად, ამხანაგო პოლიტხელო!..

მეორე ტყვიამ თავზე გადამიარა...

გადავრჩენს გაოგნებით შევხედე.

ის თავნება ურალელი ვიცანი.

შემრცხვა და მეწყინა.

ურალელი ჩემკენ აღარ იხედებოდა.

ფიცხლად აწვდიდა ვაზნებს მემიზნეს, დატენაში შველოდა, თანაც მოედანს თვალს არ აშორებდა.

დრო რომ იხელთა, მშვიდი ღიმილით გადმომხედა.

— აი, ხომ ხედავთ, როგორია!.. — მითხრა. მე კი ვერ მივხვდი, ამით რის თქმა უნდოდა.

ურალელი, თურმე, დილიდანვე დაუღალავად მუშაობდა ამ ტყვიამფრქვევთან.

ზემოდან რომ ჩამორბოდა, პირველ სართულზე „მაქსიმის-

თვის“ მოეკრა თვალი, იქვე რამდენიმე ყუთი ვაზნაც აღმოეჩინა... ყველაფერი სარდაფში ჩაეტანა და სანამ უფროსები გამოჩნდებოდნენ, დაჭრილ კურსანტთან ერთად ეს საშიში ჩასასვლელი დაეკავებინა.

ძნელი საცნობი იყო ეს ბიჭი. წინანდელზე გამხდარი ჩანდა, საფეთქელზე ალმური მოსდებოდა. წარბები მოეჭმუხნა.

შეუსვენებლივ მუშაობდა, მეტყვიამფრქვევეს ქედწახრილი აწვდიდა ვაზნებიან ზონარს, მტერს უთვალთვალებდა, ხან დაცლილ მჭიდებს გაჰკრავდა ფეხს, ხანაც ვაზნით სავსე ყუთს გადასწევდა, არაფერი მოხვდესო. მეც წავეშველე, ყუთი უფრო ახლოს მივწიე კედელთან, ჭუჭყიან ტბორს მოვარიდე.

ურალელმა ცერად გადმომხედა. მერე ტუჩაბზუებიო წაილაპარაკა:

— თავდება!.. არ გვეყოფა ჩვენების მოსვლამდე. ეს წყეულები კი აქეთ მობობღავენ...

ვურჩიე სვენებ-სვენებით ესროლათ, ვაზნებს გაფრთხილებოდნენ, მაგრამ თვითონვე მივხვდი, რამდენად უადგილო იყო ჩემი რჩევა. მტერს ყოველ წამს შეეძლო ესარგებლა პაუზით და ყაზარმის კუთხეებიდან ელვისებურად შემოჭრილიყო სარდაფში.

დროგამოშვებით ნანგრევთა შორის უცხო სილუეტებს დალანდავდით, რომლებიც მოჩვენებასავით გაიქროლებდნენ ხოლმე. მეგონა, თვალი მატყუებდა, მაგრამ მათ სიახლოვეს ვგრძნობდი და ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

საქმით გართული ურალელი პასუხს მიგვიანებდა, მერე მორჩილად თქვა:

— არის, ამხანაგო პოლიტხელო!

ხმაში სამდურავი შევამჩნიე.

არც გაემტყუნება. რა თქმა უნდა, ეს თეთრეულის განაწილება არაა. ტყვია-წამალი აუცილებელია, — ვამბობდი გულში, — რამდენიმე საათს რომ ასე გაგრძელდეს, ერთი ვაზნაც აღარ დაგვრჩება...

მერედა, სად უნდა გვეშოვა ტყვია-წამალი და იარაღი!.. ერთიანად განადგურებული იყო მახლობელი აეროდრომები, საარტილერიო პარკები, ტანკსადგომები, ბენზინის რეზერვუარები, საბრძოლო მასალათა საწყობები.

მდინარის შესართავის ზემოთ მრგვალი ყაზარმის კუთხეში მოთავსებულ პოლკის იარაღის საწყობს ცეცხლი წაჰკიდებოდა. აბა, რას წარმოვიდგენდით, თუ იქ რაიმე გადარჩებოდა. მაგრამ სხვა გზა აღარ იყო და არც გაგვკვირვებია, როცა დაიძახეს: „იარაღისათვის მცირე ჯგუფებად საწყობთან გადაირბინეთ!“ ფიცხლად ათობით მოხალისე გაჩნდა ჩასასვლელთან. აქამდე კი ეს უიარაღო ხალხი წარბშეკრული დაბორიალობდა სარდაფში.

მწერალ სერგეი სმირნოვის ცნობით, გადარჩენილი იარაღი პეტია კლიპას აღმოუჩენია.

თოთხმეტი წლის ამ გაკნაჭულ, ქერა ბიჭს, რომელიც ალავერდა იმანოვთან და ედუარდ დამთან მეგობრობდა, მეც ვიცნობდი.

ყველას უყვარდა პოლკის შვილობილი, ყველას სურდა მიალერსებოდა, მაგრამ პატარა ჯარისკაცს ღირსეულად ეჭირა თავი — მოფერებას უკადრისობდა.

შაბათ საღამოს ბიჭი ყაზარმაში დარჩა, ხოლო მისი უფროსი ძმა, რომელმაც დაობლებული პეტია ბრიანსკიდან ბრესტში ჩამოიყვანა, ქალაქს წავიდა. იმ ღამით პეტიასთან

ეძინა ჩვენი პოლკის მეორე აღსაზრდელს, თექვსმეტი წლის კოლია ნიკოლაევსაც.

პირველმა დარტყმამ პეტია დააბნია. მსუბუქი კონტუზია დაემართა, მაგრამ მალე გონს მოეგო, იარაღს წამოავლო ხელი და ლეიტენანტ სანინის დავალებით მეორე სართულის ნანგრევებიდან უთვალთვალებდა მტერს.

დილით პეტია და კოლია ტირასპოლის კარიბჭის პირდაპირ ფანჯრიდან ქუჩაში გადაძვრნენ, საჯინიბოებს გაჰყვნენ და მრგვალი ყაზარმის კუთხეში საწყობს წააწყდნენ. ავტომატები, ხელყუმბარები და ნაღმით სავსე ყუთები რომ დაინახეს, სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდათ.

საწყობში რაღაც სასწაულით ბევრი რამ გადარჩენილიყო. ბიჭები საჩქაროდ გამოიქცნენ და ეს ამბავი მეთაურებს ახარეს.

ჩასასვლელიდან საწყობამდე ასიოდე მეტრი იქნებოდა.

გადასარბენი მოედანი ჩახერგილი იყო გავარვარებული ნამსხვრევებით; დაბომბვა გრძელდებოდა. ცოტა ზემოთ, საწყობის მარჯვნივ, ტყვიამფრქვევი კაკანებდა. საწყობის წინა მხარეს ხანძარი მოსდებოდა, ცეცხლის ზღვასა ჰგავდა იქაურობა... ამ ადგილზე ხომ თამბაქოს მოწევაც აკრძალული იყო წინათ...

ფეთქდებოდა ღველფით სავსე ორმოები. სკდებოდა ტყვია და ყუმბარა, ნაღმი და ჭურვი.

მცირე ჯგუფებად დავნაწილდით; ოთხ-ოთხს უიარაღოდ უნდა გადაგვერბინა მოედანი.

მეტყვიამფრქვეველს დავავალეთ, გადამღობი ცეცხლით დავეფარეთ.

პირველსავე ჯგუფს გავყევი. ჯერ ჩვენი ბატალიონის ყა-

ზარმას ვეფარებოდით, მერე ერთი მებრძოლი კედლის ქიმთან დავტოვეთ, დანარჩენები, მიწაზე გართხმულნი, ხოხვით გავემართეთ საწყობისაკენ.

ბომბებით გადახნული და სისხლით გალაფული მიწა ტანზე გვეგლისებოდა; წვეტიანი ქვები, ბასრი ნამსხვრევები სხეულს გვიკაწრავდა, მაგრამ ტკივილს ვერც კი ვგრძნობდით.

ცარიელი მასრები ისე ჩაჟანგულიყო, გეგონებოდათ ათი ზამთარი მაინც ყოფილა მიწაშიო.

საწყობის ნანგრევებს რუხი ბოლი ასდიოდა. ორმოებში მოგუზგუზე ღადარიდან კაშკაშა შუქი გვცემდა. გვამების მთელი გროვა ეყარა აქაც.

საკირესავით ანთებულ საწყობში შევირბინეთ.

ხელის ფათურით დავეძებდით გადარჩენილ იარაღს. ორმოებში მიმალულ ღველფს ნავლს ვაცლიდით, ხარბად ვიტაცებდით მიყრილ-მოყრილ გახურებულ ყუთებს. წელში წახრილნი მოვძუნძულებდით სარდაფისაკენ.

გახურებული იარაღი ხელს გვითუთქავდა; სიკვდილით გვემუქრებოდა ტყვია-წამლით სავსე ცხელი ყუთები.

უცებ ჩემს გვერდით პორფილე ზაიკას, პატარა, გამხდარ უკრაინელს, ხელყუმბარით სავსე ყუთი აუფეთქდა. მებრძოლი ნაფლეთებად გაიფანტა ჰაერში.

ჩვენებმა არ იცოდნენ, რომ ყუთი აგვიფეთქდა. იფიქრეს, მტერი გადმოვიდა იერიშზეო და დაუნდობლად დაგვიშინეს ტყვიამფრქვევი. განაბული ვეყარეთ თაკარა მიწაზე. ერთი ბეწო ადგილი არ რჩებოდა გამოუთოფავი. მაშინ ვიგრძენით, რატომ ვერ გვეკარებოდა ამ მხრიდან მტერი.

ძლივძლივობით მოვახერხეთ დაყვირება, რომ სროლა შეეწყვიტათ... დაზაფრულნი, დასისხლიანებულნი ძვირფასი

ტვირთით დავბრუნდით სარდაფში. მერე სხვა ჯგუფი წავიდა ცეცხლმოკიდებული საწყობისაკენ და მალე ისინიც იარაღით დატვირთულნი დაბრუნდნენ.

საჭირო იყო სიჩქარე, სანამ კიდევ შეიძლებოდა თუნდ ერთი ხელყუმბარის, თუნდ ერთი ვაზნის გადარჩენა...

მტერმა მართლაც შეგვნიშნა და რამდენიმე წუთში ძირ-ფესვიანად ამოძირკვა საწყობი. მაგრამ დააგვიანდა. საჭურველი ტირასპოლის კარიბჭესთან გადმოვზიდეთ. იარაღის განაწილება დაევალა უფროს ლეიტენანტს, რომლის გვარი აღარ მახსოვს.

ზოგმა მოტანისთანავე წამოავლო იარაღს ხელი და თავისი ადგილი დაიკავა.

იქნებ ვცდები, მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ იმ საბედისწერო დილას ვერავითარი ბრძანება, ვერც ერთი მეთაური ვერ გააწესრიგებდა სხვადასხვა ნაწილებიდან სახელდახელოდ მოგროვილ ხალხს ისე კარგად, როგორც თვითონ აკეთებდნენ ამას, საკუთარი ნება-სურვილითა და მოფიქრებით.

საწყობიდან რომ მოვბრუნდი, ურალელი ჩასასვლელთან შემომეგება, ყუთები ხელიდან გამომტაცა, ვაზნები კედელთან დაახვავა.

— აი, ეს მესმის, ამხანაგო პოლიტხელო! არა ჰგავს ზეწრების განაწილებას...

ჭაბუკი გახალისდა. ღიმილით შემომყურებდა. შევატყვე, რაღაც უნდოდა ეთქვა.

ბოლოს ვერ მოითმინა:

— ძალიან გთხოვთ, ცოტა ხნით ჩემი ადგილი დაიკავოთ!

თქვა და გამზადებული ზონარი ხელში მომაჩეჩა. თვითონ ეზოში გავარდა, მუხავეცისაკენ დაეშვა.

გარბოდა, წელშიც არ იხრებოდა, მე კი ვბრაზობდი. აბა, რა სისულელეა, კაცს ჩაბარებული ჰქონდეს საბრძოლო უბანი, ის კი ტყუილუბრალოდ საფრთხეში იგდებდეს თავს!... მეტი რისკი სწყურია. მეტი რისკი მეტი სიამოვნებაა ჭაბუკისათვის. ისე ტკბილია სიცოცხლე, გამბედაობა რომ უტკბესი არ იყოს, ადვილად ვერავინ გაწირავდა თავს.

ურალელი სახეგაბრწყინებული დაბრუნდა, დეგტიარევის ახალთახალი ტყვიამფრქვევი მოარბენინა.

— ეს საწყობიდან არ არის! ამას გუშინ საღამოს მოეკარი თვალი... გადარჩენილა... ახლა კი გვეყოფა ჩვენების მოსვლამდე...

მეტყვიამფრქვეევ სარდაფიდან ნახევარი ტანით აღმართული ისროდა. სხვაგვარად შეუძლებელი იყო დამიზნება, ტყვიასაც არ გაიტანდა გარეთ. ამიტომ ტყვიამფრქვევი ჩასასვლელს ზემოთ იდგა და მემიზნე ყოველ წამს საფრთხეში იყო.

კურსანტმა რამდენიმე საათს გაძლო იმ ადგილზე. ახლოს დაცემულმა ყუმბარამ ტყვიამფრქვევი გვერდზე გადააგდო, მემიზნეს საფეთქელი შეუნგრია, ხოლო ურალელს ტყვიამ წარბი გაუსერა.

ჭაბუკმა, რომელიც გასაოცრად მშვიდი და საქმიანი ჩანდა, იარაღი ოსტატის თვალით გაზომა, ნაწილები გაუსინჯა, სავაზნე გამოუცვალა და სულმოუთქმელად ააკაკანა.

ვიფიქრე, გამოცდილ მემიზნეს გამოვნახავ, ურალელს კვლავ მიმწოდებლად გადავიყვან-მეთქი, მაგრამ იუკადრისა.

წამით თვალწინ დამიდგა გუშინდელი დიდგულა ბიჭი, ქათქათა ზეწრითა და ბალიშისპირით ხელში.

— რაო, არ ვარგივარ, ამხანაგო პოლიტხელო?..

კაცმა რომ თქვას, რას ვემართლებოდი: ტყვიამფრქვევი განუწყვეტლივ ჭახჭახებდა კუნთმაგარი ჭაბუკის ხელში.

„როდის ისწავლა?! — ვფიქრობდი მე. — ამბობდნენ, ჯერ ფიციც არ მიუღია, რაც მოვიდა, ჰოსპიტალს არ მოშორებიაო“.

მხრები ავიჩეჩე, აღარაფერი ვუთხარი.

ურალელი გულდინჯად განაგრძობდა მუშაობას. ბრძოლაში ხომ უმთავრესი სწორედ სიმშვიდეა, თორემ მამაცი ხარ თუ მხდალი, განსაცდელს ვერსად წაუხვალ; ავად იქნება თუ კარგად, უნდა გაუძლო!

თითქოს აქ არაფერიაო, უშფოთველად, მშვიდად ირჯებოდა ურალელი, გეგონებოდათ, ბალახის სათიბად გამოსულა მინდორშიო.

არც გვარი, არც სახელი ურალელისა არ მახსოვს, მაგრამ მუდამ თვალწინ მიდგას ცეცხლის ნიაღვარში დანთქმული სიმაგრე, ბომბებით დამძიმებული ცა, აზანზარებული სარდაფი და მის მთავარ ჩასასვლელთან ოდნავ მოღიმარი, მკერდგაღეღილი, უწვერულვაშო ახალწვეული, რომელიც გატაცებით მუშაობდა და ჩუმად, სულ ჩუმად ღიღინებდა:

იქუხე, ჩემო შაშხანავ,
ნუ დადუმდები წამით,
სიკვდილმა ფრთები გაშალა,
დადგა განკითხვის ჟამი.
არ დაიკარგოს უკვალოდ,
ძმებო, არც ერთი ტყვია, —
შაშხანავ, ჩემო ვულკანო,
ჩვენ მეგობრები გვქვია.[1]

გამიგონია, არსებობსო ვარსკვლავი თაგდირი, „რომელი რა აღმოხდების, სიწითლეს მისცემს რომელთამე ნივთთა და

[1] თარგმანი ჯ. ნიქაბაძისა.

რომელთამე ხილთა“. სწორედ ასეა: განსაცდელი ახალ ელვა-რებას აძლევს სულს.

შუადღემ მოაწია. მეთაურები არ ჩანდნენ. ვფიქრობდით, ქალაქიდან მოსვლა ვერ მოასწრეს-თქო.

სარდაფში იყვნენ მხოლოდ შტაბის უფროსის მოადგილე პოტაპოვი, ქიმიური ნაწილის უფროსი ლეიტენანტი სანინი და ლეიტენანტი სემიონოვი. მოგვიანებით, ქლოშინით შემოიჭრა უფროსი ლეიტენანტი გორიაჩი — სქელი, მწითური კაცი. მა-შინვე შუა სარდაფში კედელთან მიწვა, კარგა ხანს გაოგნებუ-ლი გაჰყურებდა მესაზღვრეთა სახლს, სადაც ქვას ქვაზე არ ტოვებდა მტერი.

ლეიტენანტი ანდრეი კიქევატოვი მაინც ჯიუტობდა, არ თმობდა ნანგრევებს.

გადარჩენილი ბავშვები და ქალები სარდაფში ჩამოვიყვა-ნეთ, შედარებით უშიშარ ადგილას დავაბინავეთ. ამაზე უფრო საიმედო ადგილს ისინი ვერსად იპოვიდნენ; არა მარტო იმი-ტომ, რომ სარდაფები გამძლე იყო, არამედ იმიტომაც, რომ იმ დროისთვის პოზიციები უკვე საგულდაგულოდ გვქონდა გა-მაგრებული და მტრის ყოველ გამოხდომას პოლკი ძლიერი ცეცხლით ხვდებოდა. გერმანელებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ აქ რამდენიმე ასეული კი არა, მთელი დივიზია იყო ჩასაფრე-ბული. ამიერიდან მეტი მოგვეთხოვებოდა, რადგან პატარების სიცოცხლე გვებარა.

ვცდილობდით, ჩვენც საკადრისად დავხვედროდით მტერს; ნანგრევებს შორის ვაზნებს დავეძებდით, ვაგროვებდით ია-რაღის ნამსხვრევებს, ვამაგრებდით თავდაცვის ხაზს...

შებოლილი ქვების გროვიდან ტყვიამფრქვევის გავარვა-რებული ლულა გამოშვერილიყო, სარკმლის მოღრეცილ ხი-დურებს შაშხანა **დარაჯობდა.**

სარდაფი თვალის ბრიალით გაჰყურებდა ანთებულ სივრცეს. უხმოდ მბრძანებლობდა ომის მარტივი სიბრძნე: მოგკლავს, თუ არ მოჰკალი...

* * *

—

კარგა ხანია ინათა, მაგრამ მტერი წუთითაც არ წყვეტდა სროლას. გერმანელთა თვითმფრინავები გრიალით მოაპობდნენ სივრცეს, წივილით ეშვებოდნენ ძირს და შემზარავ ტვირთს თავზე გვაყრიდნენ. ჩანდა, ფაშისტებმა კარგად იცოდნენ ამ იერიშების მნიშვნელობა. ფსიქიური ეფექტი რომ უფრო ძლიერი ყოფილიყო, ბომბებთან ერთად ბენზინით სავსე კასრებს, თუნუქისა და რკინის ნატეხებსაც ჰყრიდნენ. ჰაერი ჯოჯოხეთურ დგრიალს მოეცვა და ეს უფრო აუტანელს ხდიდა სარდაფში ყოფნას. ზოგჯერ რაღაც საგანი ისეთი ზათქით წამოვიდოდა, იტყოდი, ცა ჩამოირღვა, დედამიწა თან უნდა ჩაიტანოსო. მაგრამ ჩვენი ტყვია კვლავ სტვენით მიაპობდა ჰაერს და ღამის სიბნელეში შემოპარული მტერი ნაბიჯს ვერ დგამდა წინ.

ახალ-ახალი სამუშაო გვიჩნდებოდა. კარგა შეგვიანებული იყო, როცა პეტია სტუკალენკომ და ვიტია ჩორნიმ დაიყვირეს:

— ბიჭებო, დროშა და შტაბის საბუთები გადავარჩინოთ!

ახლაღა მოგვაგონდა, რომ ზემო სართულები ხანძარში იფერფლებოდა.

— იქ აღარაფერი გადარჩებოდა! — ჩაილაპარაკა თადარიგის წითელარმიელმა, შაშხანა დატენა, გულიანად შეიგინა,

სადღაც შორს ვიღაცას თუ რაღაცას დაუმიზნა და თოფის ქუ-ხილთან ერთად სათქმელი ასე დაამთავრა: — ამაო გარჯა იქ-ნება, უკეთესია ჩასასვლელები გავამაგროთ!..,

ვიტია ჩორნი, პეტია სტუკალენკო, მე და რამდენიმე სხვა მებრძოლი ზემო სართულზე ავბობღდით.

გასხეპილი შენობა აფეთქებით გამოწვეული ტალღებისა-გან ირხეოდა. კედლები ან მთლად ჩამონგრეულიყო ან ისე იყო დაჩეხილ-დახეთქილი, რომ ყოველ შეტორტმანებაზე ინ-გრეოდა. ორივე სართული ცეცხლწაკიდებულ ჩონჩხს წააგავ-და. ძველისძველი ნანგრევი გეგონებოდათ ეს სახურავახდილი სახლი. ფარღალალა კედლებში სტვენა-წივილით დაქროდა ტყვია და ყუმბარის ნამსხვრევი.

დანახშირებულ დირეზე ავძვერით და ჩამონგრეული კი-ბით მეორე სართულს ავაღწიეთ.

აქ შტაბის მთავარი ოთახები იყო განლაგებული. დაღად-რული კედლებიდან ხელისგულივით მოჩანდა მეწამულ ბოლ-ში გახვეული ციხე-სიმაგრე. თითქოს უხილავ ძალას ჰაერში აუტაცნია და მერე მიწაზე გამეტებით დაუხეთქებიაო, ისე იყო ყველაფერი ერთმანეთში ათქვეფილი.

სტუკალენკო და ჩორნი კარგად იცნობდნენ შტაბის შენო-ბას, იცოდნენ, სად რა იყო შენახული. დაქროდნენ იავარქმ-ნილ ოთახებში და დოკუმენტებს ეძებდნენ. დახანძრულ კა-რადებში რამდენიმე ჩანთა და საქაღალდე ვიპოვეთ.

— ამ ქაღალდებში ეშმაკიც ვერაფერს გაარჩევს, რაღად გვინდა ეს ნახორხალი!.. — თქვა ერთმა მებრძოლმა, რომელ-საც მარცხენა ხელი შარვლის ნახევით ჰქონდა ჩამოკიდებუ-ლი. შეგროვებულ ქაღალდებს მაინც ფრთხილად აწყობდა, პატარა ნაფლეთსაც დასტას უმატებდა და ბუტბუტებდა: —

ღმერთმა უწყის, იქნებ, მართლა გამოდგეს! რაც უნდა იყოს, ფაშისტებს მაინც არ ჩავუგდებთ ხელში!..

რის გადარჩენაც შეიძლებოდა, შევაგროვეთ და სწრაფად გამოვბრუნდით.

ტყვია კვალდაკვალ მოგვდევდა, ყურთან გვიწიოდა, აშკარა იყო, ვიღაც გვიმიზნებდა. სარდაფის ზემოთ, ჩვენი შტაბის შენობაში, მტერი იყო ჩასაფრებული.

დოკუმენტები სარდაფში ჩამოვიტანეთ, დროებით შტაბს ჩავაბარეთ და ზემო სართულების გასაჩხრეკად რამდენიმე მებრძოლი გავგზავნეთ.

ვარაუდი გაგვიმართლდა. მეორე სართულის ერთ-ერთ საიდუმლო ოთახში, რომელიც შედარებით ნაკლებ დაზიანებული აღმოჩნდა, ბიჭებმა ორი გერმანელი დაიჭირეს და მეთაურებს მოჰგვარეს.

იმ დროს სამეთაურო პუნქტიდან კარგა მოშორებით, ურალელის ტყვიამფრქვევთან ვიდექი და მსტოვრების ჩამოყვანას არ დავსწრებივარ. მაგრამ ტყვეთა შეპყრობის ხმა მთელ სარდაფს მოედო.

ყველას უნდოდა თვალი შეევლო გერმანელი ავაზაკებისათვის, რომლებიც რაღაც საკვირველ ქმნილებებად წარმოგვედგინა, მაგრამ პოსტს არავინ მოშორებია. ურალელმა ერთი კი გადმოგვხედა, გაიღიმა, მერე ხმამაღლა ჩაახველა და კვლავ ტყვიამფრქვევს მიუბრუნდა.

— ოინი თუ გინდა, ეს არის! — ჩაილაპარაკა მსროლელმა ჩემ გვერდით, ერთი კიდევ გახედა მტრის მხარეს, შემდეგ სათოფურს მოშორდა და ბუზღუნით გაემართა სარდაფის სიღრმეში: — მძინარეს მოგვიხტნენ, აგვაწიოკეს და უკვე ხელთა გვყავს ტყვე!.. ძნელია რუს ძმასთან ჩხუბი!..

ათიოდე წუთის შემდეგ ედუარდ დამი და ლეიტენანტი მოვიდნენ ჩემთან, ძთხოვეს, ტყვეები დაჰკითხეო. დამი მეუბნებოდა, ვერაფერი გავაგებინეო. ედუარდი, მართალია, შვაბურად მეტყველებდა, მაგრამ სალიტერატურო ენაც გვარიანად ეხერხებოდა და გამიკვირდა, მე რომ მომმართა. როგორც ჩანს, მაინც ჩემი თანდასწრებით ამჯობინა ჩვენების ჩამორთმევა.

პოლკის სასულე ორკესტრი, რომელშიც პეტია კლიპასთან ერთად ედუარდ დამი, ალავერდა იმანოვი და ნიკა აბზიანიძე მსახურობდნენ, ზედ ტირასპოლის ხიდზე, სასაზღვრო კოშკში იყო განლაგებული და ბუგს გადაჰყურებდა. ისინი პირველი წუთიდანვე გარემოცვაში აღმოჩნდნენ, კიბეც ჩალეწილი დახვდათ. ამიტომ ამ ადამიანთა ერთგულება და თავდადება განსაკუთრებით დასაფასებელია. მათ არა მარტო თავი დააღწიეს მოულოდნელად შემოჭრილ მტერს, მედგარი წინააღმდეგობაც გაუწიეს, სარდაფში იარაღით და, წარმოიდგინეთ, კლარნეტითა და ტრომბონით შემოაღწიეს.

ტყვეები შუა სარდაფის კედელთან ეყარნენ მტვერსა და ჭუჭყში. ხმელ-ხმელი უნტერ-ოფიცერი გულაღმა გაშოტილიყო, გადაჭდობილი ხელები თავქვეშ ამოედო, შუბლს ძაბრულა ქუდი უფარავდა და წვრილი, მოთეთრო სახე სანახევროდ უჩანდა. ფერგამქრალი იყო, ვერ შეატყობდით — შიშისაგან თუ დაღლილობისაგან.

მის გვერდით ჩაცუცქული ტანდაბალი ეფრეიტორი ცივად და უკმეხად შეჰყურებდა ცნობისმოყვარეთ.

ტყვეებს სადაურობა ვკითხე.

მშვიდად მიპასუხეს. სახელიც მითხრეს. არც ჯარის ნაწილი დაუფარავათ. ისიც მიამბეს, როგორ შემოაღწიეს ჩვენი პოლკის შტაბში.

უნტერ-ოფიცერი ღიმილით ჰყვებოდა ყველაფერს. ეფრეიტორი გაბუსუნებული იჯდა.

წინა დღით მოეხერხებინათ სიმაგრეში შემოსვლა. ღამით შტაბის შენობაში მოკალათებულიყვნენ საიმედო ადგილას. ომის დაწყებამდე მათი განაყოფიდან სხვებიც შემომძვრალიყვნენ სიმაგრესა და ქალაქში. უნდა გადაეჭრათ ტელეგრაფის მავთულები, ამოეხოცათ მეთაურები, აეფეთქებინათ ხიდები, რკინიგზები და აეროდრომები. თავიანთ შტაბთან მუდმივი რადიოკავშირი ჰქონდათ; მათი ცნობების საფუძველზე ეწყობოდა თვითმფრინავების თავდასხმა, ზუსტდებოდა საარტილერიო მონაცემები. მსტოვრები თურმე უკანასკნელ წუთამდე ზვერავდნენ ჩვენს სარდაფს.

ჯაშუშების ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გადავუთარგმნე ამხანაგებს.

გაგვიკვირდა, რომ ძალდაუტანებლად გვითხრეს ყველაფერი. ეჭვი შეგვეპარა მათ ნაამბობში და უნტერ-ოფიცერს ვკითხე:

— მართალია, რასაც ამბობთ?..

ტყვეებმა გესლიანად გაიცინეს:

— ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს ამას?.. ომი დამთავრებულია...

ნათქვამი ვერ გავიგე. ვიფიქრე, მომეყურა ან ენის უცოდინარობის ბრალია-მეთქი.

— რა თქვით?

— ომი დამთავრებულია!..

— როგორ თუ დამთავრებულია?!

უნტერ-ოფიცერმა ჯიბიდან ვერცხლის სათუთუნე ამოიღო, დინჯად გახსნა, სიგარეტი ამოიღო, თავი მოუსრისა და სან-

თიით მოუკიდა. შემდეგ მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ახლა შეეამჩნიე, რომ კისერში დაჭრილი იყო.

— ჩვენი ჯარები უკვე რუსეთში არიან, — თქვა მან, — სამი ათას კილომეტრზე გაჭიმული ფრონტი წინ მიიწევს. დღეს-ხვალ მოსკოვი დაეცემა... „რუსლანდ კაპუტ!“ „ბოლშევიზმუს კაპუტ!..“ სადაცაა, კაპიტულაცია გამოცხადდება...

წამოვენთე, მაგრამ თავი შევიკავე.

— ღორია! — ქართულად ჩაილაპარაკა ედუარდ დამმა.— გიჟია, კაცო, ე ოხერი... მაგის სიტყვა რა დასაჯერია?!.. ბახ!.. და მორჩა!

ისე პირქუშად შევყურებდი მოპასუხეებს, მეგონა, მიწაში ჩაძვრებიან-მეთქი, ისინი კი არხეინად იწვნენ. ის კი არა, ზურგიც შემოგვაქცეს, სათოფურს გაჰყურებდნენ.

უნტერ-ოფიცერმა დაცინვით ამხედ-დამხედა, გამტვერიანებული მწვანე პიჯაკი გაიბერტყა და სავარცხელი ამოიღო.

„ნუთუ ვერ გრძნობენ, რომ ჩვენს ხელთ არის მათი სიცოცხლე?“ — ვფიქრობდი მე. მუშტშემართულ ამხანაგებს შევხედე და მსტოვრებს ვუთხარი:

— შაშ, ასე. ომი დამთავრებულია!.. ასე იყოს! ამას არა აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა... ახლა გვითხარით: სად არიან ჩასაფრებული თქვენი ამხანაგები?.. საიდან გვიტევს ქვეითი ჯარი?.. სად იმყოფება თქვენი ნაწილის შტაბი?.. სამეთაურო პუნქტი? რამდენი ასეულია გადმოსული ჩვენი პოლკის ტერიტორიაზე, სად არის მათი საცეცხლე წერტები?..

ტყვეები ხმას აღარ იღებდნენ. ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, ვიფიქრე, ვერ გავაგებინე-მეთქი.

დამი ყვირილით უმეორებდა შეკითხვებს, მაგრამ უშედეგ-

გოდ. მზვერავები დამუნჯდნენ. დამამცირებელი გულგრილობით შემოგვყურებდნენ.

ჩვენს ფეხქვეშ ეყარნენ, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს ისინი გვადგნენ თავზე. ჩასასვლელთან ბომბმა დაიგრგვინა. სარკმელის პირდაპირ ჭერი ჩამოწვა, თან დაიტანა რამდენიმე მებრძოლი. აფეთქების ხმა კედელ-კედელ მიჰყვებოდა სარდაფს.

ჭერი კი ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩამონგრეულიყო და ერთად დაემარხა მტერ-მოყვარე.

— კარგად მუშაობენ! — გადაულაპარაკა უნტერ-ოფიცერმა ეფრეიტორს.

ნანგრევებიდან რომ მოკლული მებრძოლი გამოვათრიეთ, შევნიშნე. უნტერ-ოფიცრის თვალში ბოროტმა ნაპერწკალმა გაიელვა.

— ხომ ხედავთ, რა ამბავია?.. თქვენს პასუხს ველოდებით...

მსტოვრებმა არც ახლა გამცეს ხმა.

— მაშ, საკუთარ თავს დააბრალეთ! გახსოვდეთ, რომ ჩვენი ტყვეები ხართ!

უნტერ-ოფიცერმა გაკვირვებით შემომხედა და ირონიულად მკითხა:

— ჩვენ ვართ ტყვეები?

— არა! — ვუპასუხე მე. — თქვენ მსტოვრები ხართ, ჯაშუშები! ომის დაწყებამდე შემოიჭერით ჯაშუშური ცნობების შესაგროვებლად.

გერმანელებმა ქედმაღლურად შემათვალიერეს.

— თქვენი ნებაა! — ვუთხარი მათ, — საცაა ჩვენი მაშველი ნაწილებიც მოვლენ და ზურგში გაგგზავნით.

— ეს მართლა გჯერათ? — ღიმილით ჩაილაპარაკა გერმანელმა. — ხომ გითხარით, ომი უკვე დამთავრებულია-მეთქი. თქვენი მშველელი ახლა უფალი ღმერთია. დიდი, დიდი, კიდევ ათი წუთი გაძლოთ ამ სარდაფში. არ ჯობია, ახლავე გავათავოთ?.. ჩვენ ცუდად როდი ვეპყრობით ტყვეებს...

ბოლმისაგან ენა ჩამივარდა.

გარეთ გუგუნი ძლიერდებოდა. ბომბის ყოველ აფეთქებაზე ისე გვეგონა, თითქოს უზარმაზარ ეროს გვირტყამდნენ.

ტყვეები მასპინძლებივით გრძნობდნენ თავს.

ვუბრძანე ფეხზე წამომდგარიყვნენ და, ეს უსიამოვნო საქმე რომ სასწრაფოდ დაგვემთავრებინა, ედუარდთან ერთად ჩვენების ჩამორთმევა განვაგრძე.

დაკითხვამ მაინც მოგვცა ზოგიერთი საყურადღებო ცნობა: გავიგეთ, რომ ციხე-სიმაგრე გარემოცული იყო და ერთ-ერთი შემტევი ნაწილის სამეთაურო პუნქტი ტირასპოლის კარიბჭესთან იმყოფებოდა.

ჩვენმა ბიჭებმა მალე დაჰკარგეს ტყვეებისადმი ინტერესი და დაიშალნენ.

ახლა სარდაფის ბოლოს მყოფმა დაჭრილებმა მოისურვეს ტყვეების ნახვა. დასისხლიანებული, გაბურძგნილი მომაკვდავები ისე შეჰყურებდნენ მათ, როგორც საოცარ მოჩვენებებს. მაგონდება მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდა დედა, რომელიც გათენებისას ამოვთხარეთ ნანგრევებიდან. იმ დილით მან დაკარგა ქმარი, დასასვენებლად ჩამოსული სტუდენტი და ორი შვილი, ხოლო მესამე, მძიმედ დაშავებული ექვსი თვის გოგონა ხელში ეჭირა. სახეზე რისხვა აღბეჭდოდა, რაღაც ნაღვლიანი და უძლური რისხვა.

— არ გრცხვენიათ, ამხანაგებო? ეს რა გვიყავით... ასე

როგორ გაგაბრიყვეს!... — ჩუმი ხმით ეუბნებოდა მსტოვრებს, რომლებიც, ვინ იცის, იქნებ, საბჭოთა ფრონტზე შეპყრობილი პირველი ტყვეებიც იყვნენ.

„ამხანაგები“ უგულოდ შეჰყურებდნენ დაჭრილებს, გარეთ მიურბოდათ თვალი...

ტყვეებს მაინც გადავუთარგმნე უბედური ქალის სიტყვები.

მხრები აიჩეჩეს:

— რას იზამ, ომია!..

„რას იზამ, ომია!“, „რას იზამ, ომია!“ — ცივად ვიმეორებდი გულში. ხომ გაგიგონიათ, აგურს რეცხდნენ და უარესი წვენი გასდიოდაო. ჯაშუშებთან ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა.

ისინი მთელ სარდაფში ჩამოვატარე, მოკლედ გავაცანი მებრძოლებს მათი ნალაპარაკევი და შევეცადე ამეხსნა, რა ვერაგ, უსულგულო და არაადამიანურ მტერთან გვქონდა საქმე. შემდეგ მსტოვრები სამეთაურო პუნქტში გავგზავნეთ, სარდაფის ბოლოს.

არ ვიცი, რა ბედი ეწია მათ...

ჩავაბარეს თუ არა ტყვეები შტაბს, პოტაპოვის დავალება მივიღე — დაზვერვაზე წავსულიყავი. მრგვალი ყაზარმის პარალელურად უნდა გავყოლოდი გზას, ჩამევლო ტირასპოლისა და ხოლმის ხიდებთან, ბრესტის სამხრეთით გავსულიყავი სამხედრო ქალაქში, სადაც უწინ ჩვენი საარტილერიო და სატანკო ნაწილები იდგა.

წავედი, მაგრამ სამხრეთ კუნძულს ვერ მივაღწიე. ტირასპოლის კარიბჭესაც ვერ გავცდი. ყველა გასასვლელი გამოთოფილი იყო. გზას თვითმფრინავები დარაჯობდნენ, ხოლო გაბატონებული სიმაღლეებიდან მტრის ტყვიამფრქვევები გვიშენდა.

ძლივძლივობით მოვახერხე უკან დაბრუნება. მცირეოდენი ცნობები მოვიტანე. ტირასპოლის კარიბჭის კოშკზე გერმანელი მეთვალყურე და ტყვიამფრქვევი იდგა. დასავლეთი კუნძული მტრის ხელთ იყო. ხოლმის კარებთან ძლიერი სროლის ხმა ისმოდა.

დაზვერვიდან რომ მოვბრუნდი, ჩვენი სარდაფი მთელ ქვეყანას მოწყვეტილი მეჩვენა.

* * *

— უმცროსი პოლიტხელი კალანდაძე უფროს ლეიტენანტ გორიაჩიუთან! — ეროთძასეთისათვის გადალაპარაკებით მოაღწია შტაბიდან წამოსულმა ბრძანებამ მე-2 ბატალიონის განლაგებამდე, სადაც მაშინ საცეცხლე წერტების მდგომარეობას ვამოწმებდი.

სწორედ იმ წუთს მორიგი ულტიმატუმის ვადაც ამოიწურა, სარდაფებს უარესი გაშმაგებით დააცხრა საარტილერიო ცეცხლი და პოზიციაზე ყოფნა აუცილებელი აღარ იყო. მაშინვე პოლკის სკოლის მიმართულებით გავქანდი. წითელ არმიელთა სასადილოს გვერდით, პატარა ოთახში, აღელვებული, ავტომატმომარჯვებული გორიაჩიხი შემომეგება.

რამდენადაც მახსოვს, მას ასტმა ჰქონდა და ლაპარაკი ყოველთვის უჭირდა. რაღაც სასწაულით მან დილითვე შემოაღწია ქალაქიდან სიმაგრეში და ახლა დაღლილობისაგან სულს ძლივს ითქვამდა. სიტყვებს ქოშინით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვამდა:

— ახლავე შეკრიბეთ ჩემთან პარტიის წევრები და კანდი-

დატები, საშუალო მეთაურები, ვისაც კი, სანამ დაბომბვა გრძელდება, ხუთი-ათი წუთით შეუძლია თავისი პოზიცია ვინმეს გადააბაროს!

პატარა ოთახი თვალის დახამხამებაში გაივსო კომუნისტებითა და მეთაურებით.

გორიაჩიხმა, პოლკის პარტიული ბიუროს წევრმა და დამსწრეთაგან თანამდებობითაც ყველაზე უფროსმა, ჩვეულებრივი ცერემონიების გარეშე პარტიული კრება გახსნილად გამოაცხადა და პირდაპირ დაიწყო:

— ამხანაგებო, მდგომარეობის სერიოზულობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ყველაფერი დამოკიდებულია უსწრაფეს, მოფიქრებულ მოქმედებაზე. თვითეული წამს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ნაწილები სიმაგრეს უახლოვდებიან. უსათუოდ უნდა შევინარჩუნოთ პოზიციები და გზა გავუხსნათ მათ. საჭიროა: 1. დავიცვათ პოლკის მთელი ტერიტორია; 2. საიმედოდ ჩავკეტოთ ტირასპოლის კარები; 3. გადავარჩინოთ და სარდაფში შემოვზიდოთ იარაღი და ტყვია-წამალი; 4. დავამყაროთ კავშირი მეზობელ ნაწილებთან; 5. აღვრიცხოთ და გავანაწილოთ მთელი პირადი შემადგენლობა; 6. შევადგინოთ მოიერიშე რაზმები.

მთავარი ნაწილებისა და მეთაურების მოსვლამდე პოლკს უხელმძღვანელებს უფროსი ლეიტენანტი პოტაპოვი, სარდაფების გამაგრებასა და დაცვას — უფროსი ლეიტენანტი სემიონოვი, მოიერიშე რაზმებს — უმცროსი პოლიტხელი ჩორნი, შტაბის საქმეების გადმოტანას — ზემდეგი სტუკალენკო, მეზობელ ნაწილებთან კავშირის აღდგენას — ლეიტენანტი სანინი.

ამ მძიმე პირობებშიც ჩვენს სახელოვან პოლკს სრული

შესაძლებლობა აქვს გადაწყვიტოს ყველა ამოცანა — დიდ-ხანს დაიცვას და შეინარჩუნოს თავისი პოზიციები, არ შემოუშვას მტერი ციტადელში, მტკიცე ბურჯად დაუდგეს მეზობელ ნაწილებს. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ ცენტრალური პოზიცია გვიკავია, ოდნავ უყურადღებობასაც კი შეუძლია მთელი ციხე-სიმაგრე საფრთხეში ჩააგდოს...

დაუყოვნებლივ ჩაატარეთ სახელდახელო საუბრები ტანკებთან და თვითმფრინავებთან ბრძოლის საშუალებებზე, აღკვეთეთ ჭორების გავრცელება, შთააგონეთ მებრძოლებს გამარჯვების რწმენა, გამოავლინეთ მტრის აგენტები, დივერსანტები; ებრძოლეთ სულმოკლეობასა და პანიკიორობას, საჩქაროდ გვაცნობეთ და ყველა უბანზე ჩაატარეთ საუბრები წარჩინებულ მებრძოლთა გმირულ საქმეებზე, შექმენით ცალკეულ ნაწილებში კომკავშირული ჯგუფები და უხელმძღვანელეთ მათ, წარმოადგინეთ პარტიაში მისაღებ და მთავრობის ჯილდოებზე წარსადგენ ამხანაგთა სიები, წინასწარ გააცანით მათი ვინაობა და დამსახურება თავდაცვის უბნის მთელ პირად შემადგენლობას... მეთაურის ბრძანება სამშობლოს ბრძანებაა!...

— შეკითხვები გაქვთ?

— არა.

— მაშ, მივიღოთ დადგენილებად ყველაფერი, რაც ვთქვით?

— სამშობლოსათვის! უკანასკნელ სისხლის წვეთამდე! — იგრიალა პასუხად პარტიულმა კრებამ.

— ადგილებზე! — დაიძახა გორიაჩიხმა, მაგრამ იქვე მიაყოლა: — მოითმინეთ! ყოველ საღამოს, დაბომბვის საათებში, აქ, ამ ოთახში, შევგროვდებით პარტიულ კრებაზე. ახლა კი

ადგილებზე! პირადი მაგალითი, პირადი მაგალითი, ამხანაგო კომუნისტებო! — რაღაც დაღლილი, ნაღვლიანი ხმით დასძინა მან და მეზობლად მოთავსებული ოპერატიული შტაბისკენ შებრუნდა.

პოზიციაზე რომ ვბრუნდებოდი, ყველაფერი წინანდელზე უფრო ადვილად და საიმედოდ მეჩვენებოდა... იმ სახელდახელო, უოქმო და უმდივნო კრებამ ათასჯერ მეტი ძალა შემმატა, ვიდრე ყველაფერმა, რაც მანამდე წამეკითხა და მომესმინა... არა, ეს ჩვეულებრივი სიტყვა — „კრება“ ვერ გამოხატავს იმას, რაც მაშინ განვიცადეთ; ეს სისხლით დაწერილი პარტიული ფიცი უწმინდესი ვალდებულება იყო ყოველი ჩვენგანისათვის...

* * *

აფეთქების ხმა ჯერ მოშორებით ისმის, მერე ჭურვები თანდათან გვიახლოვდება და როცა ბათქი ჩვენს თავზემოთ მძვინვარებს, სარდაფი იძვრის, ირყევა, ამ საზარელ გრუხუნში წამიერად რაღაც საოცარი დუმილი დგება. ამ დროს ყველაფერი ხმაგაკმენდილია, ნესტოებში საშინელ სიმწარეს გრძნობ და მხოლოდ მაშინ, როცა ყუმბარების სკდომა და გრუხუნი ნაბიჯ-ნაბიჯ გშორდება, შვებით ამოისუნთქავ, კვლავ გესმის საზარელი ჭექა-ქუხილი, შიშით შესცქერი სარდაფის კედლებს და გულში ნატრობ: „ნეტავ გაუძლოს!.. ნეტავ არ ჩამოინგრეს!“

იმ გულისწამღებ, წამიერ დუმილში ზოგს მთლად ებნევა დავთარი, გასასვლელისკენ მიიწევს, ლამობს გარეთ გავარდეს, — ღია ცის ქვეშ მაინც მოვკვდე, ნახგრეევებში ცოცხლად

არ დავიმარხოო. ერთი ასეთი თანამებრძოლი ძლივძლივობით შემოვაბრუნეთ სარდაფში. „გამიშვითო“, — ღრიალებდა არაადამიანური ხმით. გასასვლელთან კი ისეთი გაგანია იყო, თავი რომ გაეყო, უძალ წააწყვეტდა.

მობრუნებით, როგორც იქნა, მოვაბრუნეთ. მაგრამ გაგვიძალიანდა, მუშტები წამოგვიშინა, მაშინ ქამრით შევკარით და სარდაფის სიღრმეში მივაგდეთ. უნებლიე შეკრთომისათვის კაცს ვერ დაძრახავ, მაგრამ ყველამ იცის, რომ ბრძოლაში შიში ღალატს უდრის. ახლა თავის თავზე გამარჯვება მტერზე გამარჯვების საწინდარია. ვინც თავის სისუსტეს ვერ დაძლევს, ვერც დუშმანს მოერევა.

ღვთისმოსავი, თადარიგიდან ვაწვეული დასავლეთბელორუსელი ჯარისკაცი პირჯვრისწერით გვამშვიდებდა:

— ნუ გეშინიათ, შენობა გაუძლებს. რუსული ნამუშევარიაო.

სიმაგრე მართლაც საგანგებოდ ნაშენი აღმოჩნდა. სამხედრო სპეციალისტები მას მოძველებულად თვლიდნენ, სერიოზულ ანგარიშს არ უწევდნენ. მაგრამ პირველი წუთიდანვე დავრწმუნდით, რომ ეს ბებერი ბურჯი არც ისე იოლად დაიჩოქებდა.

1911 წელს ძველი ციხე-სიმაგრის რეკონსტრუქციასა და ფორტიფიკაციას ხელმძღვანელობდა სამხედრო ინჟინერი დიმიტრი მიხეილის ძე კარბიშევი, შემდეგ წითელი არმიის გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი, რომელიც 1945 წელს ტყვეთა ბანაკში აწამეს ფაშისტებმა.

სიმაგრეს ირგვლივ ათი მეტრი სიმაღლის მიწის კედელი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო სადაც ასეთი მიწაყრილი არ ერტყა, ფართო და ღრმა არხებით იყო გარემოცული.

არხები და მდინარის ტოტები მთელ ფართობს ოთხ კუნძულად ჰყოფდა, თითოეული მათგანი დამოუკიდებელ სიმაგრეს მიაგავდა.

ციტადელს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მუხავეცის ორი მოზრდილი ტოტი ჩამოუდიოდა, სამხრეთ დასავლეთიდან კი — წყალუხვი ბუგი.

დანარჩენი კუნძულებისაგან განსხვავებით, ამ ხერთვისს მიწის კედელი არ ზღუდავდა. მას გარშემო უვლიდა წითელი ოგურის ორსართულიანი შენობა, რომელიც უწყვეტ რგოლს წააგავდა და ამიტომ „მრგვალ ყაზარმას“ უწოდებდნენ.

ყაზარმებს ფართო სარდაფები ჰქონდა. მათ ქვემოთ მიწისქვეშა გზებიც გადიოდა.

დრო იყო, ამ ყაზარმათა მეტრ-ნახევრიანი კედლები ყველა კალიბრის ყუმბარას უძლებდა.

სამხრეთით ციტადელს დატანებული ჰქონდა ორი კარიბჭე — ტირასპოლისა, ჩვენი ყაზარმის პირდაპირ, და ხოლმისა, ცოტა უფრო მოშორებით. ისინი აგებული იყო „მრგვალი ყაზარმის“ ზურგში, მუხავეცის ერთ-ერთ ტოტზე.

ჩრდილოეთიდან ციტადელი სამთაღოვანი ალაყაფით იყო შეკრული. სამივე კარიბჭე მდინარეზე გადასასვლელ ხიდებს იცავდა და ღრმა ხვრელებით ყაზარმებს უერთდებოდა. ამ ხიდებით ციტადელი უკავშირდებოდა სამ დანარჩენ ნაწილს, რომლებიც ყველა მხრიდან იფარავდა მას: დასავლეთ კუნძულს — ტირასპოლის კარიბჭით, სამხრეთ კუნძულს — ხოლმის კარიბჭით, ჩრდილოეთის გამაგრებულ უბანს — სამთაღოვანი ალაყაფით. ცენტრალური კუნძული რომ ასე საგანგებოდ იყო დაცული, ამიტომ გაგვიკვირდა, როგორ გაჩნდა მტერი ჩვენს ყაზარმებთან ომის პირველსავე წუთებში, რა მანქა-

ნებით გადმოლახა მეზობელი ხერთვისები, ხიდები, არხები, კარიბჭეები, რომლებსაც მესაზღვრეები იცავდნენ.

მაგრამ ჩვენი ციხე-სიმაგრე მტრის ყველაზე ძლიერი სამხედრო დაჯგუფების გზაზე აღმოჩნდა, რომელსაც ფაშისტური სარდლობისაგან მოსკოვის აღება და ომის ბედ-იღბლის გადაწყვეტა ჰქონდა დაკისრებული.

გერმანელებს უნდოდათ სასაზღვრო ხაზის გარღვევისთანავე ზურგში მოქცეოდნენ ჩვენს ჯარებს, განთიადისას სიღრმეში გადასხმულ დესანტებს შეერთებოდნენ და სმოლენსკიდან ელვისებური დარტყმით აეღოთ დედაქალაქი.

მტერი ამ ოპერაციის ჩატარებას ისეთი სისწრაფით ფიქრობდა, როგორიც კი წარმოსადგენი იყო მაშინდელი ტექნიკის პირობებში და შეესაბამებოდა გერმანიის იმდროინდელ სტრატეგიულ ზრახვებს.

ჰიტლერელთა უმაღლესი შტაბის ბრძანებაში ეწერა: „მდინარე ბუგზე სასაზღვრო ხაზის გარღვევის შემდეგ მთავარი ამოცანაა განუწყვეტელი წინსვლა დღისითა და ღამით, შეუსვენებლად, სანამ საწვავი იკმარებს. მოტომექანიზებული ნაწილების მაქსიმალური გამოყენებით სულ წინ და წინ... ფლანგებიდან საფრთხეს არ უნდა მიექცეს არავითარი ყურადღება. ზურგში დარჩენილი საბჭოთა ნაწილები განადგურებულ იქნას ერთი დარტყმით“.

ფელდმარშალ ფონ კლუგეს, რომელიც ბრესტზე შემტევ მე-4 არმიას სარდლობდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ომის პირველსავე საათებში ხელთ იგდებდა ქალაქსაც და სიმაგრესაც. ამ მიზნის იოლად მისაღწევად მან თავი მოუყარა გენერალ შროტის საარმიო კორპუსის სამ საგანგებოდ შევსებულ დივიზიას. ერთი მათგანი, 45-ე ქვეითი დივიზია, თურმე „ფი-

ტერერის“ უსაყვარლეს ნაწილად ითვლებოდა. 1939 წელს იგი პირველი შეიჭრა ცეცხლწაკიდებულ ვარშავაში, 1940 წელს პირველმა გადათელა ქედმოხრილი პარიზი და ახლა ჩვენთან შემოიჭრა ცეცხლითა და მახვილით.

გენერალური შტაბის ვარაუდით, აქ თავმოყრილი ქვემეხების, ნაღმსატყორცნებისა და ბომბდამშენების მოულოდნელი ცეცხლი თავზარს დასცემდა ჩაძინებული სიმაგრის დამცველთ. ნანგრევებში შემოჭრილ ჯარს ისღა დარჩებოდა, რომ ტყვედ ჩაეგდო თავგზაარეული და გულგატეხილი გარნიზონი.

ბუჩქნარში მტრის ტანკები იდგა, საარმიო ქვემეხები რამდენიმე კვირით ადრე იყო ჩასაფრებული სიმაგრის გაღმა, ლელიანში.

რკინიგზის საბარგო ვაგონებით, რომლებსაც სავაჭრო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვადასხვა საქონელი შემოჰქონდა საზღვარზე, იმ ღამით მტერმა კბილებამდე შეიარაღებული ბატალიონები შემოგზავნა ბრესტის სადგურზე. დივერსანტებმა და საიდუმლო აგენტებმა ღამის სიბნელეში გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები, მუხანათურად ამოხოცეს ქალაქში მყოფი მეთაურები და აქა-იქ მიმალულნი ჩვენს ჯარისკაცებს ზურგში ესროდნენ ტყვიას.

სიმაგრე ომისათვის მოუმზადებელი იყო. იმ საღამოს აქ ორ ქვეით პოლკს ძლივს შეაგროვებდით, სულ რაღაც 4—5 ათასი კაცი ვიქნებოდით, ისიც მცირე ჯგუფებად იყო გაფანტული საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. არტილერია და ტანკები ქალაქგარეთ გვქონდა დატოვებული, რადგან კვირას საბრძოლო ტექნიკის დათვალიერება იყო დანიშნული, მანქანები და ქვემეხები შაბათ საღამოს დაშალეს და დაზეთეს.

დილით, როცა მტრის ჭურვებმა ველურად გადატორა მი-

ძინებული საზღვარი, მთელ ქვეყანას მოწყვეტილი აღმოვ-ჩნდით. იმ წუთიდან, რაც ცეცხლმოდებული ლოგინებიდან წამოხტომა მოვასწარით, მტრის ჯარების ზურგში ვიმყოფე-ბოდით.

მტერი ცდილობდა სწრაფად გამოეყენებინა მოულოდნელი თავდასხმის შედეგები. ქვემეხებისა და ბომბების გუგუნში მეავტომატეთა ავანგარდებმა რეზინის ნავტიკებით გადმოლა-ხეს ბუგი, დასავლეთ და სამხრეთ ხერთვისებს შემოესივნენ.

მესაზღვრეები, რომლებიც ამ კუნძულებს იცავდნენ, უკა-ნასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ, მაგრამ გერმანელთა დე-სანტი მსხვერპლს არად აგდებდა და ცდილობდა ნაპირისკენ გაჭრილიყო. მალე ორივე კუნძული მტრის მეავტომატეებით აივსო.

თავდამსხმელებს გზას უკაფავდა ძლიერი ცეცხლი და ისი-ნი სულმოუთქმელად მიიწევდნენ ციტადელისკენ.

სამხრეთ კუნძულზე ჩვენი ნაწილები არ იდგა. იქ მხოლოდ სამხედრო ჰოსპიტალი იყო. მაგრამ უსისხლოდ არც ავადმყო-ფები და სამედიცინო პერსონალი თმობდა მშობლიურ მიწას. ხოლმის კარიბჭით ზოგიერთმა ცენტრალურ კუნძულზე გად-მოსვლაც მოახერხა.

ჩვენს პირდაპირ, დასავლეთ კუნძულზე, მტერი ელვის სისწრაფით მოადგა ტირასპოლის კარიბჭეს. მეავტომატეთა დიდმა ჯგუფმა მაშინვე გადმოლახა ხიდი და ეზოში შემოიჭ-რა. ხიდზე მძაფრი წინააღმდეგობა გაუწიეს მესაზღვრეთა მცი-რე რაზმმა და ჩვენი პოლკის ყარაულმა, რომელსაც უფროსი სერჟანტი მორდასოვი და სერჟანტი, საგარეჯოელი ნიკოლოზ ნემიზოვი, მეთაურობდნენ. ამ შეტაკებაში დაიღუპა ჩვენი

პოლკის სკოლის ოცმეთაური, კომკავშირელი ლეიტენანტი ნაგანოვი.

სანამ გონს მოვიდოდით, ამ ნაწილმა უბრძოლველად დაიკავა ცენტრალური კუნძულის ყველაზე მაღალი შენობა — საყდარი, სამრეკლოზე რადიო მოაწყო, სარკმელებში კი ტყვიამფრქვევები განალაგა.

ასე რომ, ციტადელში მტერს არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი. ამასთან, ეკლესიაში გამაგრებულმა რაზმმა ჩვენი პოლკი მეზობელ ნაწილებს მოსწყვიტა და ჩრდილოეთიდან მომავალ ამხანაგებსაც გზა გადაუკეტა. საყდრიდან მეავტომატეები ზუსტ ცნობებს აწვდიდნენ თავიანთ შტაბს, ამიტომ მტრის ავიაცია და არტილერია დაუცდენლად ურტყამდა ჩვენს გამაგრებულ პუნქტებს.

ერთ ხანს, სარდაფში ჩამოსვლის შემდეგაც ვერ ვამჩნევდით ამას, მაგრამ როცა 84-ე პოლკის მიმართულებით დაზვერვის გაგზავნა განვიზრახეთ, მივხვდით, რომ ტაძარი მტრის ხელთ იყო. სარდაფში წრიული თავდაცვა მოვაწყვეთ და სათოფურებიდან განუწყვეტლივ ვცხრილავდით სასპორტო მოედანს ეკლესიის წინ, სადაც მოიერიშეთა მოძრაობაც შევამჩნიეთ. გვეგონა, გერმანელებმა აქ ჩრდილოეთ კუნძულიდან შემოაღწიეს.

პირველმა წარმატებამ თავდამსხმელებს ფრთა შეასხა; გადაწყვიტეს, ბოლომდე ესარგებლათ ჩვენი დაბნეულობით.

მტრის მეავტომატეთა ერთი ჯგუფი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა ციტადელის დასაპყრობად. მათთვის რომ გზა გაეხსნა, მტრის არტილერიამ, რომელიც რადიოთი გააფრთხილეს, ამ უბანზე დროებით შეწყვიტა სროლა.

მოიერიშეები უვნებლად მიუახლოვდნენ რკინის მოაჯი-

რიან თეთრ სასახლეს, სადაც, სხვათა შორის, 1918 წელს ხელი მოაწერეს ცნობილ „ბრესტის ზავს“. ეს შენობა პოლონეთ-გერმანიის 1939 წლის ომში შესამჩნევად დაზიანდა.

მეზობელი ყაზარმის გასწვრივ, თეთრი სასახლის კედელი ფართო ქუჩას ქმნის; მეავტომატეები ყვირილით შეცვივდნენ ამ ქუჩაში და პანიკის გამოსაწვევად ტყვიით დაცხრილეს ყაზარმის ფანჯრები.

მე იმ უბანზე არ მიბრძოლია, საერთო სურათს მწერალ ს. ს. სმირნოვის მასალებით აღვადგენ. მაშინ ჩვენ ტაძრის მოპირდაპირე სათოფურთან ვიდექით, თეთრი სასახლის მხრიდან ცხარე ბრძოლის ხმაური გვესმოდა და ვცდილობდით სასპორტო მოედნის გამოთოფვით ამხანაგებისათვის მხარი დაგვეჭირა.

გათამამებული თავდამსხმელები დაუსჯელად მიიწევდნენ წინ. ეგონათ, ყველაფერი ჩაკვდა, სიმაგრე გვნებდებაო.

თენდებოდა.

მუხავეცის ნაპირზე, იმ ადგილას, სადაც მდინარე ორ ტოტად იყოფა, ბოლში ბუნდოვნად მოჩანდა წყალსატუმბი კოშკი.

მაგრამ მტერმა ვერ მიაღწია იქამდე...

ყაზარმის ალაყაფი „ურას“ ყიჟინით გაიღო. ხიშტებით ეკვეთნენ და ორად გაჰკვეთეს მტრის რაზმი. ერთი ნაწილი კვლავ ტაძრისა და ტირასპოლის კარიბჭისაკენ გამოიქცა, ხოლო მთავარი ძალა, რომელსაც უკან დასახევი გზა გადაჭრილი ჰქონდა, დამცველებმა ხელჩართულ ბრძოლაში გაანადგურეს. ბევრი უიარაღო მებრძოლი დანით, აგურის ნატეხებითა და რკინის ნაგლეჯებით დაერია მტერს. ვინც ხიშტს გადაურჩა და მუხავეცის გადაცურვით მოელოდა თავდახსნას, სნაიპერებმა გაჟლიტეს.

ეს დარტყმა ჩვენმა მეზობელმა 84-ე პოლკმა აგემა მტერს. ამ პოლკის კომისარმა ეფიმ ფომინმა, რომელიც თავის სამუშაო კაბინეტში ცხოვრობდა, ბრძოლის დაწყებისთანავე ითავა პოლკის მეთაურობა და კონტრიერიშის ხელმძღვანელობა. დაავალა კომკავშირის კომიტეტის მდივანს სამუელ მათევოსიანს...

ძველი კომკავშირული მუშაკი სამუელ მინასის ძე მათევოსიანი მოხალისედ შევიდა წითელ არმიაში და 1939 წელს ერთად დავიწყეთ სამსახური ბრესტში. იგი ციხე-სიმაგრის დაცვის ერთ-ერთი გამოჩენილი გმირია. სამუელის დახმარებით მისი თანაპოლკელი ბევრი ქართველი მეომრის ვინაობა გამოვარკვიეთ.

ცხელ მტვერსა და ყომრალი ბოლის უზარმაზარ სვეტებში ძლივს ატანდა დღის შუქი.

საყდრის წინ მწვანე მუზარადიანი სილუეტები ამოძრავდნენ. მალე შევამჩნიეთ, რომ ისინი გამეტებით მოიწევდნენ ჩვენკენ და გვეგონა, იერიშით სარდაფის აღება ჰქონდათ გადაწყვეტილი.

ტყვიამფრქვევებმა ინტენსიური ცეცხლი გააჩაღეს სათოფურებიდან. საპასუხოდ გერმანელთა „შმაისერებიც“ აკაკანდნენ. მოიერიშეები არ შეჩერებულან, არც მიწაზე გაწოლილან, მთელი სისწრაფით მოექანებოდნენ ჩვენკენ.

გაისმა შეძახილები:

— იერიშზე!..

— ხიშტები!

— სწრაფად!

ძალიან ცოტა გვქონდა ხიშტები, მაგრამ სარდაფის სხვადასხვა მხრიდან ათობით მებრძოლი ბრძანებისთანავე ერთ-

დროულად გაიჭრა სასპორტო მოედანზე და გამოქცეული ჯგუფი, რომელიც სამიოდე ოცეული მაინც იქნებოდა, მესაზღვრეთა ყაზარმის ნანგრევებთან მოიხელთა. მტერი შეიარაღებული იყო ავტომატებით, მხოლოდ ზოგიერთს ჰქონდა შაშხანა, რომელზეც ვერც კი მოესწროთ ხიშტების წამოგება.

ჩვენს ბიჭებს, რომელთაგან ზოგი ბარითა და ძალაყინით იყო შეიარაღებული, მესაზღვრეებიც შემოუერთდნენ.

„ხიშტები!“ — კარნახობს ვიღაცის ცივი ხმა. ცეცხლის სინათლეზე ელავს რუსული ხიშტის წაწვეტებული, პრიალა ფოლადი, რომლის დანახვა მუდამ მზარავდა და მეცადინეობაზე თვალს ძლივს ვუსწორებდი. ახლა კი, როცა სიკვდილი ისე ახლოს იყო, არაფერს ვგრძნობდი, რადგან ფიქრის დრო აღარ მქონდა...

გერმანელები, რომლებიც აქამდე მცირე ჯგუფებად იყვნენ დაფანტულნი, შედგნენ, ადგილზევე ერთ ბირთვად შეიკრნენ და წამოვიდნენ...

სათოფურიდან ტყვიამფრქვევებმა წუთით შეწყვიტეს სროლა.

წინ ნიშანსვეტივით მოჩანდა პაწია თეთრი საყდარი და თითქოს შორს, ძალიან შორს ისმოდა ყუმბარის ხმა...

ჩვენი მებრძოლებიც სხვადასხვა მხრიდან გამოქანდნენ და დროის უმცირეს მონაკვეთში რაღაც უხილავი ძალით გაერთიანდნენ.

მოიერიშეებმა ხელყუმბარები დაგვაყარეს... გვერდით ვიღაც დაეცა. აი, ვიღაც კვნესის... მაგრამ იგივე უხილავი ძალა აზრმიუცემლად გვეწევა წინ და... ჩვენამდე აღწევს მხოლოდ საშინელი, ველური „ااا!“ შიშისათვის არ გვცალია, ხელს ისე ვუჭერთ შაშხანას, ლამის კონდახი დაიმსხვრეს.

„ურა“ რისხვად ქუხს; როგორც ქარიშხალი შავ ღრუბლებს, ისე მიაქანებს მკერდამდე შემართულ ხიშტებს და ეს უფრო თავზარდამცემია, ვიდრე მძიმე ბომბების ზრიალი.

დამხვდურნი ჯერ ტყვიის სეტყვით ცდილობენ თავი დაგვაღწიონ, მერე კი, საოცარია, თითქოს ადგილზე გაიყინენო, შედრკნენ და ერთ წამში ორი აზვირთებული ტალღა ერთმანეთს შეემსხვრა.

მეჩვენება, თითქოს ჩვენი ათმეთაური მეძახის: „უჩხვლიტე!..“ „მოკლედ უჩხვლიტე!..“ — „გრძლად უჩხვლიტე!..“ „მარცხნივ უჩხვლიტე!..“ „დასცხე კონდახი!..“ თითქოს ყველაფერი სავარჯიშო მოედანზე ხდება, თითქოს სავარჯიშო ფიტულს ვფატრავ, და კვლავ მეჩვენება, რომ ათმეთაური მიწონებს: „კარგია!“ „კიდევ უჩხვლიტე!“ „მარჯვნივ უჩხვლიტე!“ „მოკლედ უჩხვლიტე!..“

გერმანელებმა პირი იბრუნეს. შეთხელებულმა რაზმმა ერთი ფეხით შეგვასწრო საყდარში. ველარ გამოვედევნეთ, რადგან მესერშმიტები თავს დაგვტრიალებდნენ, ძერებივით დაბლა ეშვებოდნენ, თითქოს ლამობდნენ ჭანგი ჩაესოთ და ცაში ავეტაცეთ.

შემდეგ გავიგე, რომ ამ კონტრიერიშში მონაწილეობდნენ პანტელეიმონ აფხაზავა, ონისიმე ასათიანი, ალავერდა იმანოვი, ალექსი ჯარიაშვილი, პავლე შირინი. პ. გივიშვილი, ნიკა მეკოკიშვილი. მე კი არავინ შემინიშნავს, არავინ მახსოვს... იმ დღეს ისეთი განცდა მქონდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო, თითქოს არც კი ვყოფილიყავ. იქ. იმ პირველი იერიშიდან ხსოვნაში ჩამრჩა რაღაც დანისლული სიზმარი.

მოგვიანებით ვანო კევლიშვილმა მითხრა, რომ საყდართან კონტრიერიშის დროს დაიღუპა სერჟანტთა სკოლის კურსან-

ტი მაღლაკელიძე, ოცი წლის ტანაშოლტილი, ლამაზი ვაჟკაცი.

თუ არ ვცდები, ბევრი ჩვენგანი მაშინ მიხვდა, რომ გერმანელები ტირასპოლის კარებიდან შემოიჭრნენ ციტადელში და აქედანვე აპირებდნენ პლაცდარმის გაფართოებას. თუმცა, როგორც ვთქვი, თავდასხმის პირველ წუთებშივე ჩვენმა ნაწილებმა, მესაზღვრეებთან ერთად, ტირასპოლის კარიბჭის თაღქვეშ გაუმართეს ხელჩართული ბრძოლა იქიდან შემოჭრილ მტრის რაზმებს.

სარდაფში დაბრუნება ძლივს მოვასწარით. მტერმა კიდევ უფრო გამწარებით დაგვიშინა. კვლავ ატორტმანდა ყაზარმა. გამარჯვებული ხიშტები უმწეოდ ათრთოლდნენ სარდაფის კედლებზე.

მტერი ჯერ ჭურვებს უშენდა სიმაგრეს, მერე შეეცადა ტირასპოლის კარიბჭიდან მოიერიშეთა ახალი რაზმი შემოეგზავნა და მისი დახმარებით გამოეხსნა საყდარში გამომწყვდეული თავისი მეავტომატეები. მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო. გზა, რომლითაც საყდარს შეფარებული თავდამსხმელები ერთი-ორი საათის წინ ციტადელში შემოიჭრნენ, ცეცხლის თარჯით გვქონდა ჩაკეტილი. კიჟევატოვის მესაზღვრეებმა უკვე მოასწრეს ამ უბანზე თავდაცვის ორგანიზება. ჩვენი სარდაფის სათოფურებიც პირდაპირ გაჰყურებდა ხიდს და ტყვიამფრქვევების გაძლიერებული ცეცხლი გაუვალ ზონას ქმნიდა. რაკი აღმოვაჩინეთ ეს ხვრელი, მტერი მანამ ვერ შემოჰყოფდა აქ ცხვირს, სანამ ჩვენს სარდაფს სული ედგა.

გერმანელებმაც სხვა გზის ძებნა დაიწყეს. ჯერ ხოლმის კარიბჭე მოსინჯეს, მაგრამ იქ 84-ე პოლკის ნარჩენები დახვდათ ჩასაფრებული. მაშინ მუხავეცის ტალღებზე რეზინის ნავტიკები გამოუშვეს, სწორედ ისეთი, რომლითაც საზღვარი

გადმოლახეს ღამით. ტყვიამფრქვევებითა და ხელყუმბარებით მტერი უკუვაქციეთ და რამდენიმე ნავტიკიც ჩავძირეთ.

საყდარში გამომწყვდეული მოწინააღმდეგე ამაოდ მოელოდა მაშველ ძალას. ისინი ალყაშემორტყმულთა გარემოცვაში მოექცნენ და რადიოთიღა უკავშირდებოდნენ თავისიანებს. გერმანელებმა სიმაგრეს გარს შემოუარეს და რკალი შეკრეს. მერე ცენტრალური ალაყაფით ჩრდილოეთ კუნძულზე შემოიჭრნენ და ციტადელს ქალაქის მხრიდანაც დაემუქრნენ. ნახევარი სიმაგრე მათ ხელში იყო, მაგრამ დამცველთა წინააღმდეგობა მაინც ძლიერდებოდა. ვრცელი ტერიტორიის სხვადასხვა უბანზე სულ ახლ-ახალი პუნქტები ჩნდებოდა და მტერს საზრუნავი ემატებოდა.

გერმანელთა შტაბს უსიამო ცნობები მისდიოდა ბრესტის სიმაგრიდან. მტერი ზედიზედ კარგავდა ღამით ქურდულად დაპყრობილ პოზიციებს, სისხლისაგან იცლებოდა მოიერიშე ნაწილები.

გერმანელთა 45-ე დივიზიის შტაბის საბრძოლო პატაკში ნათქვამია: „სულ მალე (დაახლოებით დილის 5.30—7.30) ცხადი შეიქნა, რომ წინ გაჭრილი ჩვენი ინფანტერიის ზურგში რუსებმა შეუპოვარი და უდრეკი ბრძოლა გააჩაღეს... გამოიყენეს სნაიპერული ოსტატობა და სხვენებსა და სარდაფებში ჩასაფრებულებმა დიდი ზარალი მოგვაყენეს, განსაკუთრებით ბევრი ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი დაგვიხოცეს.

შუადღისას აშკარა გახდა, რომ სიმაგრეში ახლო მანძილზე ბრძოლისას არტილერია ვერ ახერხებდა მხარდაჭერას, რადგან ჩვენი ქვეითი ჯარი მეტად ახლოს მიადგა საბჭოთა დანაყოფებს და ბუჩქნარებში, ნანგრევებსა და შენობებში ჩვენი

ხაზის დადგენა ველარ მოხერხდა. ზოგან ხაზი გადაკვეთილი ან გარემოცულია რუსების მიერ, რომლებმაც აქ თავდაცვის ბუდეები მოაწყვეს.

ჩვენმა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებმა და ჰაუბიცებმა პირდაპირი დამიზნებით სცადეს სროლა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, რადგან ზუსტი დაკვირვება არ ხერხდებოდა. ამის გარეშე კი საშიშია საკუთარი ნაწილები არ დავაზიანოთ.

135-ე ქვეითი პოლკის მეთაურმა საკუთარი გადაწყვეტილებით შეაჩერა ფრონტზე მიმავალი მოიერიშე ქვემეხების ბატარეა, მაგრამ ვერც ამან გვიშველა. პირველ საათზე სამხრეთ და დასავლეთ კუნძულებზე ბრძოლაში ჩავაბით ახალი ძალები (კორპუსის რეზერვი); მდგომარეობა ვერც ამან შეცვალა. იქ, სადაც გვეგონა. რუსები განადგურებული და განდევნილი იყვნენ, სარდაფებიდან, სახლებიდან, თავშესაფრებიდან, მილებიდან ახალ-ახალი ძალები ამოდიოდნენ და გასაოცარი სიზუსტით გვესროდნენ. ასე რომ, ჩვენი დანაკლისი დიდია.

დივიზიის მეთაური, რომელიც ჩრდილოეთ კუნძულზე იმყოფებოდა 135-ე პოლკის პოზიციაზე. პირველ საათსა და თხუთმეტ წუთზე პირადი დაკვირვებით დარწმუნდა, რომ ახლო მანძილზე ბრძოლით სიმაგრის აღება შეუძლებელია. ხოლო ორის ნახევარზე გადაწყვეტილებაც მიიღო, ძალები უკან გამოეყვანა და სიმაგრისთვის ყველა მხრიდან ალყა შემოერტყა. ამის შემდეგ, 23 ივნისს, ღამით, უკან უნდა დაგვეხია და რუსების გასანადგურებლად სიმაგრისათვის ხანგრძლივი, კარგად დამიზნებული ცეცხლი გაგვეხსნა“...

სერგეი სმირნოვი შენიშნავს:

„ეს ბრძანება, რომელიც მოიერიშე ნაწილებმა 22 ივნისს

საღამოს მიიღეს, წარმოადგენს გერმანიის არმიის უკანდახევის პირველ ბრძანებას მეორე მსოფლიო ომში; მანამდე არსად დაუხევია უკან“.

სიმაგრის ტერიტორიაზე შემოჭრილი ნაწილები მტერმა გარემოცვის ხაზზე გაიყვანა.

ჩვენ შეუჩერებლივ შევუტიეთ და მტრის მიერ მიტოვებული ადგილები დავიკავეთ...

ერთბაშად გაქრა ომის ციებცხელებიანი პირველი დღე. არც შემიმჩნევია, როგორ გადაება გავარვარებული დღე მხურვალე ღამეს. ის და მომდევნო დღეები ჩემს ხსოვნაში ერთ მთლიან, განუწყვეტელ ხანძრად გიზგიზებს.

საღამოთი სროლა შენელდა. სარდაფი გარინდულიყო. იშვიათად თუ დაილაპარაკებდა ვინმე. ყველა მოელოდა, მაგრამ რას, არავინ იცოდა. ჯარისკაცები უძრავად იდგნენ ტყვიამფრქვევებთან.

დაჭრილები აღარ კვნესოდნენ, რაღაც უფრო მწარე ტკივილი აყუჩებდა ნატყვიარს. თავწაკრულ, ხელშეხვეულ, დასისხლიანებულ ბიჭებს თვალები უელავდათ, შეგაკრთობდა მათი შეხედვა, მათთან გამოლაპარაკება...

ყაზარმას შემაზრზენი ყრუ გუგუნი უახლოვდებოდა.

— ჩვენი თვითმფრინავებია!.. — დაიყვირა ვიღაცამ და შეეცადა სათოფურში გაეყო თავი.

ჩვენც ამბრაზურებთან მივიჭერით, დაჭრილებიც აქეთკენ მობობღავდნენ.

— დამანახე, ძამიკო, ერთხელ მაინც მოვკრა თვალი! — ემუდარებოდა ამხანაგს ხელფეხწაგლეჯილი მებრძოლი, რომელსაც სათოფურთან მისვლა არ შეეძლო.

თვითმფრინავები ახლოს მოდიან, დაბლა ეშვებიან, ჭექა-

ქუხილი ყურთა სმენას ახშობს და... გარკვევით ვხედავთ, როგორ გვაყრიან თავზე ბომბებს. ახლაღა ვამჩნევთ ფრთებზე გაბარჯღულ შავ ჯვარს.

— ჰაერი! — დაიყვირა იმავე ხმამ.

— პატრონგასაწყვეტი! — შეუკურთხა მეორემ.

— ცეცხლი!.. — გაისმა ბრძანება.

ტყვიამფრქვევის ლულა მაღლა აიმართა. შავ ჯვარს გაუსწორდა და გაწიწმატებით აკაკანდა. ტყვიის ნიაღვარი ტკრციალით მიაპობს ჰაერს და სულგანაბული ელი, აბა ჰა, როდის დაენარცხება ეს შავსვასტიკიანი გარეწარი. ის კი აბუჩად გიგდებს, დაგცინის — კიდევ უფრო დაბლა ეშვება და ამბრაზურას უშენს. გულში მხურვალედ იფიცავ, რომ ამიერიდან აღარაფერს ინატრებ, ოღონდ ახლა მოარტყა, ჩამოაგდო ეს თავხედი, მაგრამ თითქოს ბამბას ესროდე — აინუნშიაც არ აგდებს შენს ტყვიას.

ჩემს გვერდით უცნობი ქალი საზენიტო ტყვიამფრქვევს უზის და ისეთი გულისყურით უმიზნებს, გეგონება, წინდის თვალი ამოჰყავსო... ტყვიის ჯერი განრისხებით ჰკვეთს ჰაერს... მესერშმიტი ჯოჯოხეთური ჭახჭახით აიჭრა მაღლა, ჰაერში გადატრიალდა და თევზივით თეთრი მუცელი გამოაჩინა. მოველით, საცაა ნანგრევებში ჩაილეწებაო; ის კი ჩვენკენ მოექანება და თავხედურად გვიშენს.

როგორც მაძღარი სვავი, ეს შავჯვრიანი თვითმფრინავი კიდევ ერთ ხანს ზანტად ტრიალებს დაბინდულ სივრცეში და გულშეჯერებული ტოვებს ციტადელს.

ღამით სარდაფს ვამაგრებთ, გასასვლელებს ვასუფთავებთ, ბარიკადებს ვაწყობთ, შებოლილ ფანჯრებში ტყვიამფრქვე-

ვებს ვდგამთ, მეზობელ ნაწილებს ვუკავშირდებით და მზვერავებს ვგზავნით...

ამ ალმოდებულ საკირეშიც გრძნობ, რომ აბრეშუმივით კრიალაა ივნისის ცა, სადღაც შორს ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს და მშვიდად მიცურავს ნამგალა მთვარე. აქ კი არავის სძინავს, ცხელ ბურანში თვლემს ყველა.

ნეტავ რად ვგრძნობდი იმ უცნაურ სიამეს?... რა იყო ეს! რა ჰქვია იმ საოცარ გრძნობას, თავზარდამცემი გაწსაცდელის შემდეგ რომ ეუფლება სულს. ასე მწარე რომ არის და ასე ტკბილი... როცა სიკვდილი სულ ახლო ჩაგიქროლებს, მხარს გაგკრავს და გაქრება, როცა დაეცემი და ადგები. ვისაც ეს არ განუცდია, არა მგონია, ეგრძნოს სიცოცხლის ნამდვილი სიხარული. ასე შერჩა მეხსიერებას გახურებულ ტყვიამფრქვევთან ის მშფოთვარე თვლემა, როცა სამტროდ გაშვერილი ლულები ცივად ჩაშტერებოდნენ თვალში საბედისწერო ომის პირველ ღამეს.

გამაფრთხილებლად ელვარებდა ბომბებით გადათხრილი პირქუში ორმოები, გავარვარებული ქვა და რკინა, სარდაფის კუთხეებს მკრთალად აშუქებდა თაფლის სანთელი. ბრესტის სიმაგრე წითელ პირამიდასავით ანათებდა წყვდიადს.

შუალამეა, მეთაური, რომელიც, არ ვიცი, რომელი ნაწილიდან შემოხიზნებია ჩვენს პოლკს, პოზიციებს ათვალიერებს, ტყვიამფრქვევებს ანაწილებს. ტყვია-წამლის მარაგი გადაგვაქვს შტაბში, სადაც სიტყვაძვირი უფროსი ლეიტენანტი პოტაპოვი თავდაცვის გეგმას ადგენს. მე ორი წელიწადი ვმსახურობ სიმაგრეში და მაინც ცუდად ვიცნობ აქაურობას. ზოგიერთი სულ ახლახან გადმოიყვანეს ბრესტში და ახლა არკვევს კარიბჭეების, ხიდების, ყაზარმების განლაგებას.

საგუშაგოს ნანგრევებში ბრძოლა შეუძლებელი გახდა და კიქევატოვმა მესაზღვრეთა რაზმი სარდაფში გადმოიყვანა, შეუპოვარი, დალესილი ბიჭები იყვნენ. იმ ღამით მათ ყველაზე დიდი გაჭირვება გადაიტანეს.

ახალმოსულებმა ტყვია-წამლით სავსე ყუთები შემოიტანეს, ჩვენი შტაბიდან იარაღი მიიღეს და გმირული თავდადების მაგალითი გვიჩვენეს.

მოწინააღმდეგე ყოველნაირად ცდილობდა კავშირი აღედგინა საყდარში გამომწყვდეულ მოიერიშეებთან, ეჩვენებინა მისთვის ციტადელიდან გასასვლელი გზა, ამიტომ დასავლეთისა და ჩრდილოეთის ხერთვისებიდან ეკლესიის მხარეზე განუწყვეტლივ ისროდნენ მაშხალებსა და საგეზნიშნო ტყვიებს.

ამბრაზურებიდან ფხიზლად გავყურებდით შემზარავ სანახაობას, ვცდილობდით ზუსტად გამოგვეცნო მტრის ფანდი. აი, უთვალავი მაშხალა ლაპლაპით მიაპობს სივრცეს. ჯერ სულ მაღლა ჰკვეთს ჰაერს. მერე ფრთადაქნილი ეშვება, თანდათან პატარავდება, ერთ ბრწყინვალე ნაპერწკლად იქცევა და ქრება. ნანგრევებად ქცეული ყაზარმები მრავალფრად ელავს მაშხალების სინათლეზე, რომელიც ხან საყდრის თავზე შეჰკრავს კამარას, ხანაც ცეცხლოვან ბილიკს ქმნის ჩვენი სარდაფის მიმართულებით. ერთმანეთში ირევა მწვანე, იისფერი, ყვითელი და წითელი რგოლები. ზოგჯერ დასავლეთიდან თანაბარ დონეზე ერთდროულად აფრინდება ხუთი მაშხალა — ორი იისფერი, სამი — მწვანე. ისინი ერთდროულად ეშვებიან ერთსა და იმავე ადგილზე და ერთდროულადვე იქცევიან ხუთ მოციმციმე წერტილად. აღმოსავლეთიდან უმალ უპასუხებს შვიდი მაშხალის ერთდროული გაფრენა: სამი ყვითელი, ოთხი წითელი. ზოგჯერ ერთდროულად ღამის

წყვდიადს ათობით მაშხალა ააცისკროვნებს. ხან კი ერთბაშად წყდება მათი კაშკაში.

მაშხალები საშიში არ არის, მაგრამ მათ მოახლოებას თან მოაქვს რაღაც გაურკვევლობა და სიცივე.

იდუმალ ენაზე ესაუბრებიან მტრის ნაწილები ერთმანეთს. დღისით დაქსაქსული ჯგუფები კავშირს ამყარებენ ურთიერთთან, შტაბიდან ახალ განკარგულებას იღებენ. სულ ახლოს გრძნობ მტრის სუნთქვას, განაბული რომ მოჰყვება ამ ცეცხლოვან ბილიკს. ვინ იცის, იქნებ, ჩვენკენაც მოდიან იერიშით და ამ მოლოდინში დაძაბული ათენებ ღამეს.

იმედი მაინც შიშზე ღონიერია: იმასაც ვფიქრობდით, ალბათ, ჩვენი მაშველი ნაწილები მოდიან სიმაგრის გამოსახსნელად, ნიშანს გვაძლევენო... საყდრის მხარეზე სილუეტებიც შევამჩნიეთ... ჩვენები არიან თუ მტრები?.. ვესროლოთ თუ არა?..

მეთაურთა პუნქტი ამაოდ ცდილობდა ტელეფონით დაკავშირებოდა მეზობელ ნაწილს. ხაზი კვლავ გადაჭრილი იყო.

— ალო!

— ალო!

უნაყოფოდ ჩასძახოდა ყურმილში არაქათგამოცლილი ზემდეგი. საგეზნიშნო ტყვია კი წივილით მიაპობდა ჰაერს და საყდართან ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ.

საყდარში ალყაშემორტყმული რაზმი, მაშხალებით რომ გააფრთხილეს, ლამობს გზა გაიკაფოს. ეტყობა, ღამის სიბნელით უნდა ისარგებლოს. მის შესახვედრად, ალბათ, სხვა ნაწილიც მოემართება. მოსალოდნელია ბრძოლა ღამით. რამდენიმე ათეული უკვე ემზადება კონტრიერიშისათვის. სასპორ-

ტო მოედანს ქარიშხლისებურ ცეცხლს ვუშენთ. ერთმანეთში ირევა მაშხალები, საგეზნიშნო ტყვიები, ტყვიამფრქვევის ჯერი. საყდრის გუმბათიდან საპასუხო კაკანი ისმის. სარდაფს ტყვიამფრქვევების და შაშხანების ელვა აშუქებს.

ალყაშემორტყმული რაზმის ცდა ჩაიშალა, უცბად დუმილი ჩამოწვა. ეს წინა ხაზზე ცუდის მომასწავებელია.

ალიონზე დროდადრო კვლავ შეიფრთხიალებს მაშხალა, კვლავ გაიწივლებს საგეზნიშნო ტყვია, კვლავ დაუნდობლად პაექრობენ ტყვიამფრქვევები.

I მზარეული ცეცხლის ხაზზე

როგორც მოგეხსენებათ, მზარეულს, კაპტენარმუსს, გადამწერსა და სხვა მისთანებს ჯარისკაცი ცოტა ათვალწუნებით უყურებს. არც მთლად უმიზეზოდ. ზამთრის ქარაშოტში, ყინვასა და თოვლში, როცა მებრძოლი შორეულ ლაშქრობაში მიდის, სახეგაღაჟღაჟებული მზარეული ნაწილში რჩება და გემრიელ კერძებს მიირთმევს. ყოველ შემთხვევაში, სალაშქროდ მიმავალ ჯარისკაცს ასე ჰგონია. გადამწერიც კაი შვილი ბრძანდება, ოთახიდან ოთახში დაძვრება და ერთი საათით ადრე მაინც ისადილებს. კერძს ურიგოდ აიღებს და როცა კოვზს ძირამდე მოურევს, სახე გაებადრება. დალაქიც ლაღად არის და ქისაც სავსე აქვს.

ამიტომ, უნდა გამოგიტყდეთ, სხვებთან ერთად მეც მეამებოდა, როცა კაპიტანი გაიფულინი ან გორნოსტაევი, რომლე-

ბიც ჩვენზე შემწყნარებლად არ უყურებდნენ ამ ჯურის ბიჭებს, ზოგჯერ „დააწიოკებდნენ“ მათ, თბილი ბუნაგიდან გამოყრიდნენ და ეზოში ჩაამწკრივებდნენ.

— აი, თქვე უქნარებო, მუქთამჭამლებო! — შეახურებდა კაპიტანი. — დაგსქელებიათ კისრები! მუხლებიდან გამოგადენთ ქონს!..

მოგეცათ ლხენა, გააჯირით-გამოაჯირითებდა ყაზარმის ეზოში; ხან დააწვენდა, ხან მუცლით ახოხებდა. არ მოეშვებოდა, სანამ ლაზათიანად არ გაიქელებოდნენ. ამ მოულოდნელი „თავდასხმებით“ ოფიცერი თვითონაც სიამოვნებდა და ჩვენც გულს მოგვფხანდა.

მაგრამ ეს ხდებოდა კვირაში ერთხელ ან ორჯერ. შემდეგ კი ყველაფერი ძველებურად მიდიოდა და „კისერგასქელებულები“ კვლავინდებურად განაგრძობდნენ „ცხიმის დაგროვებას“.

ჩვენი პოლკის უფროსი მზარეული, რომელიც განსაკუთრებით არ მეპიტნავებოდა, ერთხელაც არ დამინახავს მის ძმაკაცებთან ერთად შეფუცხუნებული, რაღაც ოინბაზობით მუდამ ახერხებდა თავის დაძვრენას.

ეს იყო ოცდაათ წელს გადაცილებული, შავგვრემანი და მუცელგამობერილი კაცი. ასეთ შავგვრემანებს რუსებში იშვიათად როდი შეხვდებით. თითქოს მზისგან შერუჯულაო, ბრინჯაოსფერი დაჰკრავდა.

პოლკის პირადი შემადგენლობის შემოწმებისას იგი ვიქტორ ჩორნის გვერდით იდგა და მწყობრს ზემოდან გადაპყურებდა.

მუდამ პეწიანად ეცვა. არ ვიცი, ყოველდღე ახერხებდა საწყობში ტანსაცმლის გამოცვლას, ან რამდენიმე ხელი ჰქონდა

მარაგად და სუფთად ინახავდა, თუ მეცადინეობებზე რომ არ დადიოდა, იმიტომ იყო მუდამ ასე გამოწკიპული.

არ უყვარდა ლაპარაკი, არც ამხანაგებთან ყოფნა. ბევრჯერ გამიგონია, ოთახში არაყი უპოვეს, ჰაუპტვახტი არ ასცდებაო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, წკიპურტიც არ გაჰკარებია.

ყოველთვის, როცა ხანგრძლივი ლაშქრობიდან დაღლილ-მოშიებულები ვბრუნდებოდით, უფროსი მზარეული ყაზარმის წინ დაგვხვდებოდა და ულაზათოდ, მაგრამ დიდი მონდომებით ეჭიმებოდა სახეკუშტ მეთაურებს.

ბიჭები მას უნდობლად უყურებდნენ. განმასხვავებელ ნიშნებს არ ატარებდა. ზოგი ამბობდა, ზემდეგიაო. სხვები კი იცინოდნენ, ზემდეგი კი არა, გენერალიაო: მის ხელში შაშხანა ჯავის დაუნახავს. რომ მისცე, ლულით დაიჭერს და ქვაბს მოურევსო.

თუ ვითმენდით და თავაზიანადაც ვესალმებოდით, მხოლოდ იმიტომ, რომ არაჩვეულებრივად ვუმრიელ კერძებს ამზადებდა და „დამატებისთვის“ მისულ მებრძოლს კარდალს მუდამ პირამდე გაუვსებდა, ხორცის ნაჭრებსაც არ დაიშურებდა.

არ ვიცოდი, რა გვარი იყო. მივმართავდით სამხედრო წესით: „ამხანაგო ზემდეგო!“ ან „ამხანაგო უფროსო მზარეულო!“

კმაყოფილი იყო ამით.

მისი „დაგუნდავების“ ერთადერთი შემთხვევა მახსოვს:

ერთხელ, დილით, ჩვენი ნაწილი შორეულ ლაშქრობაში მიდიოდა და საუზმე ექვსი საათისთვის უნდა მოემზადებინა. ვერ მოასწრო, ხუთი წუთით დააგვიანა, — ხორცი გამომდგარიყო ძნელად მოსახარში. ჩაიგდო ხელში კაპიტანმა გორნოს-

ტაევმა და კუდით ქვა ასროლინა, სულ „არის, ამხანაგო კაპიტანო!“ — **აძახებინა.**

— გეტყობა, გაწყინა რუსულ ღუმელზე ვორაობამ, — დაემუქრა გორნოსტაევი. — მე შენ გიჩვენებ სეირს! რატომ მეცადინეობაზე არ დაბრძანდები? მუცელი რომ გაგითხელდება, მაშინ გაიგებ. როგორ უხდა კერძის დაგვიანება. მალე წამოგაგდებ მაგ თბილი ბუნაგიდან!..

გამოჯგიმული და აწურული უფროსი მზარეული ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით ცდილობდა თავის გამართლებას.

— ამხანაგო კაპიტანო... მე, მე ავადმყოფი გახლავართ... ექიმის ცნობა მაქვს... გული... დიახ... ცოტა შეუძლოდ გახლავართ... ამიტომაც... თორემ...

ვინ იცის, იქნებ, მართალსაც ამბობდა უფროსი მზარეული, იქნებ, მართლაც შეუძლოდ იყო...

გორნოსტაევს, ცხადია, ცნობა არ მოუთხოვია, ისეთი კაცისათვის, როგორიც ის გახლდათ, სიტყვას ფარატინა ქაღალდზე მეტი ძალა ჰქონდა.

ბატალიონს სხვა მზარეულები გაჰყვნენ საზაფხულო ბანაკში. ზემდეგი სიმაგრეში დარჩა, მგონი, სასურსათო საწყობის გამგედ.

სამზარეულო, საწყობები და სანიტარული ნაწილი მოთავსებული იყო მრგვალი ყაზარმის ჩრდილოეთ ნაწილში.

ეს კუთხე უთენია გააცამტვერა მტერმა. დილით, შტაბის შენობიდან რომ გადავხედეთ, მიწასთან იყო გასწორებული და იმ მხარეზე მხრჩოლავი ნანგრევებიღა მოჩანდა.

პირველ დღეს იქიდან ამბის მომტანიც არ გამოჩენილა. დარწმუნებული ვიყავით, რომ იქ ვერც ერთი სულიერი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ მეორე დღეს, ალიონზე გამოგვეცხადა

წელში ოთხად მოკეცილი უფროსი მზარეული, რომელსაც ზურგზე სავსე ტომარა წამოეკიდა, ხელში ავტომატი დაეჭირა და ერთი ნაკლული ფუთაც იღლიაში ამოეჩარა.

მზარეულმა ქოშინით ჩამოათავა კიბე, ზურგიდან ფრთხილად მოიხსნა სავსე ტომარა და ცრემლმორეულმა განწირული ხმით დაიძახა:

— ამხანაგებო, მომეხმარეთ, საწყობი იწვის! რაღაცეების გადარჩენა კიდევ შეიძლება!..

მინახავს ბრძოლებში ათასნაირად შეცვლილ-შეშფოთებული კაცი, მაგრამ მზარეულის მაშინდელი სახე არ დამავიწყდება.

თვალებგადმოკარკლული, ცოფმორეული მზარეული იმ გლეხს ჰგავდა, რომელსაც მთელი სარჩო-საბადებელი ეწვის და ცოლ-შვილიც ალმოდებულ სახლში დარჩენია გამომწყვდეული.

გაშმაგებული, სასოწარკვეთილი, საბრალო და, ამასთან, რაღაც თავისებურად მიმზიდველი იყო იგი. ეტყობოდა, ჩვენმა დანახვამ მხნეობა შეჰმატა, თითქოს ზღვაში იხრჩობოდა და უეცრად ხმელეთზე გამოირიყაო.

ძლივს იბრუნებდა სულს.

— ჩქარა, დროს ნულარ ვკარგავთ, მოგვასწრებენ, დავიღუპებით!..

გაჰყვიროდა გაოფლიანებული მზარეული, რომელსაც პირველად დავუნახე ჩამოგლეჯილ-გაჭუჭყიანებული ტანსაცმელი და აბურძგნილი თმა. ცალ ფეხზე ჩექმა ჩაეცვა, მეორე, შიშველ ფეხზე კი ტოლაღი ჩამოსჩაჩოდა და გასისხლიანებული ცერი მოუჩანდა.

მზარეულმა სულზე მოგვისწრო.

მართალია, მებრძოლებს პირველ დღეს შიმშილი არ გვიგვრძვნია, მაგრამ ბავშვები დაჟინებით მოითხოვდნენ საჭმელს, სარდაფში კი ერთი ლუკმა პურიც არ აღმოჩნდა.

მეორე დღეს რაღაც საშინელ ხურვებას ვგრძნობდით. ისე ვიყავით გაფიცხებული, რომ საჭმელი სრულებით არ გვახსოვდა, მაგრამ მზარეულის დანახვაზე უცებ მოგვშივდა.

ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარით, ავტომატშემართული მზარეული სარდაფიდან გავარდა, თან გაჰყვა რამდენიმე მებრძოლი.

გარეთ გუშინდელზე მძლავრად ბობოქრობდა ომის ხანძარი. მესერშმიტები უფრო თავხედურად სერავდნენ სივრცეს.

მეავტომატეებმა კვლავ გადმოლახეს გარეკედელი, ჩრდილოეთ კუნძულზე შემოიჭრნენ და ციტადელს შემოუტიეს.

მტრის რაზმები მუხავეცის ნაპირზეც გადმოვიდნენ და სამთაღოვანი ალაყაფის ხიდთან, ხშირ ბუჩქნარში პლაცდარმი შექმნეს.

შეტევა განახლდა.

ტყვიის წივილში დროდადრო გაისმოდა ნაღარის ხმა, რაც შეტევის მაუწყებელი იყო. დასცხეს დაფდაფებს. ხან აქ, ხან იქ ტალღებივით გადადიოდა: „ააა!“ „ურაააა!“..

ხელჩართული ბრძოლები მძვინვარებდა ხოლმის კარებთან, სადაც ფომინის მებრძოლები დაუხვდნენ მოიერიშეებს. მტერი რამდენჯერმე შეეცადა სვასტიკიანი ალამი აღემართა ჰოსპიტლის მთავარ შენობაზე, მაგრამ დამცველებმა ძირს დასცეს, ტყვიით დაფლითეს...

რადგან მოწინააღმდეგე ჩრდილო კუნძულზე შემოიჭრა, ახლა აქედანაც გვემუქრებოდა საფრთხე. სასურსათო საწყო-

ბი და სამზარეულო, საითკენაც მზარეული და მისი ჯგუფი გაიქცნენ, სწორედ ამ მხარეზე იყო.

ყველაფერი ნამსხვრევებად იყო ქცეული, ირგვლივ ყველგან ცეცხლის ალი გიზგიზებდა. ისინი კი დატვირთულნი მოვიდნენ, ბარგი კიბესთან დატოვეს და საჩქაროდ გაბრუნდნენ გადარჩენილი პროდუქტების გადმოსატანად.

და აი, ალყაშემორტყმულ სარდაფში გაჩნდა თეთრი პური, ნატეხი შაქარი, ბურღული, კონსერვი, ახალთახალი სამხედრო ხალათები, გალიფეები, ჩექმები, განმასხვავებელი ნიშნები... სურაათ-სანოვაგისა და ტანსაცმლის გამოჩენამ იმედი შემოიტანა. ასე გვეგონა, მაშველი მოვიდა, სამშობლომ ხელი გამოგვიწოდა. ახალ ტანსაცმელსა და ჩექმებს საამო სურნელი ჰქონდა და ეს ისე მძაფრად ვიგრძენით, როგორც არასდროს.

ჯერ დაჭრილები, ბავშვები და ქალები დავაპურეთ, შემდეგ დანარჩენებმაც მივიღეთ ულუფა.

სასწრაფოდ ჩავიცვი ახალი გალიფე, ხალათი და ჩექმები. სახელოზე პოლიტხელის ვარსკვლავი დავიკერე. ხარბად მივეტანე თეთრი პურის დიდ ნაჭერს, ძებვსა და რამდენიმე ნატეხ შაქარს. თითქოს მშიოდა, ჭამა მინდოდა, მაგრამ არ შემეძლო, გული მერეოდა. ვცადე შაქარი მაინც მომეწუწნა, მაგრამ არც ეს ძალმიძდა, ზიზღით გადავაფურთხე, მთელი ჩემი ულუფა ჯიბეში ჩავიყარე, მალიმალ ხელს მოვავლებდი და შიმშილსაც ნაკლებად ვგრძნობდი. სხვებსაც კრიჭა შეჰკროდათ. პირში ლუკმა არ ჩაუდვიათ, მხოლოდ ბალღები ილოღნებოდნენ უგულოდ.

მარაგი უფროსმა მზარეულმა ჩაიბარა, თვითონ ანაწილებდა ყველაფერს, გარბი-გამორბოდა, სურსათის შესანახად უში-

შარ ადგილს დაეძებდა, კითხულობდა, ვინ რომელი ხაწილიდან არისო და უკვირდა, რომ წესრიგი არ იყო სარდაფში.

წამდაუწუმ ფუსფუსებდა, სიტყვას ძლიკს იკავებდა, ეტყობოდა, სათქმელი დაჰგროვებოდა, მაგრამ ვის ეცალა სალაყბოდ!

მზარეული კი ქოთქოთობდა:

— გამომეღვიძა და რას ვხედავ. ყველაფერს ცეცხლი უკიდია. იწვის, ინგრევა. მაშინვე საწყობს ვეცი. ტომრები, ყუთები, პაკეტები ერთი კუთხიდან მეორეში გადავიტანე. ხანძარი კი ფეხდაფეხ მომდევს. დავიღალე, არაქათი გამომელია. დაცხმარე კი არავინ ჩანს, არავინ! გამქრალან ბიჭები, თითქოს მიწამ ჩაულაპაო, ნანგრევებში თუ მოჰყვნენ საწყლები!.. ჰო, იმას ვამბობდი: ვყვირი და ჩემი ყვირილი არავის ესმის. ცეცხლს ვაქრობ. ღადარიდან ყუთები გამომაქვს, გავსულელდი კაცი. ამ დროს სადღაც ახლოს სროლა მესმის. ავტომატს ხელი დავავლე და სადარაჯოზე ვდგები. ვისვრი და ვისვრი. არავინ ჩანს, ვერც ის გამირკვევია, ვინაა დაბუდებული სარდაფში — ჩვენები თუ ისინი! ამ დილით, როგორც იყო, მივხვდი... ჰოდა, კიდეც მოვაღწიე თქვენამდე...

ვიღაცამ გულგრილად შენიშნა:

— ამხანაგო ზემდეგო, ხალათი რაღაც გაგწითლებიათ, მგონი...

ზემდეგმა კისერზე ხელი მოისვა, გაწითლებულ თითებს დააცქერდა და გაკვირვებით თქვა:

— ჰმ! სისხლსა ჰგავს! მგონი, მოურტყამს იმ წყეულს!..

უნდოდა როგორმე შეეთვალიერებინა ჭრილობა; კისერს იღრეცდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

— ეჰ, გაკაწრულია! — თქვა მან და რაღაც ჭინჭით შეი-

ხვია, ავტომატი მოიმარჯვა და საიერიშოდ გამზადებულ ერთ-ერთ რაზმს შეუერთდა, მაგრამ ახალგაზრდა ლეიტენანტმა ირონიულად უთხრა:

— თქვენ საით, ამხანაგო! სამზარეულოს მიხედეთ, გეთაყვა. ამ საქმეს (ხიშტი უჩვენა) დიდი ცოდნა სჭირდება. ავტომატი მწყობრის უიარაღო ბიჭებს უბოძეთ. აი, მაგალითად, ამას, — ლეიტენანტმა. რომელიც ის იყო სარდაფში შემოვიდა და, ეტყობოდა, არ იცოდა უფროსი მზარეულის თავგადასავალი, თითქმის ძალით ჩამოართვა იარაღი.

გულდაკოდილი მზარეული ცოტა გაძალიანდა, მაგრამ ბედს დაემორჩილა, უკმაყოფილოდ შეხედა ლეიტენანტს, მერე ხელი ჩაიქნია და თავის საქმეს მიუბრუნდა.

უფროსი ლეიტენანტი გორიაჩის ბრძანებით პოლიტშუშაკებმა და აგიტატორებმა მზარეულის გმირობა ყველა პოზიციაზე გააცნეს მებრძოლებს, ხოლო საღამოს პაოტიულმა კრებამ მზარეული კომუნისტური პარტიის კანდიდატად მიიღო.

* * *

ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზები, როგორც აღვნიშნე, მტერმა ომის დაწყებამდე გადაგვიჭრა, რადიოსადგურებიც განადგურებული აღმოჩნდა.

სარდაფის კუთხეში მიკუნჭული რამდენიმე მეკავშირე თავგამოდებით ცდილობდა მოსკოვთან, დივიზიის, კორპუსისა და არმიის შტაბებთან დაკავშირებას, მაგრამ ბატარეები არ გვყოფნიდა, რომ მიმღებს ნორმალურად ემუშავა. საათში ერთ სიტყვას თუ დაიჭერდა და ისიც, ვინ იცის, ვის მიერ

გადმოცემულს. ყველა ტალღაზე გერმანელთა მჭახე ბრძანებები ისმოდა. რადიოტალღებზეც ისეთივე ომი იყო გაჩაღებული, როგორც დედამიწაზე. მეკავშირეები მაინც გულმოდგინედ განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს, მიწაზე გართხმულნი ყურს არ აშორებდნენ მისუსტებულ მიმღებს, რომელიც ხან გულისწამღებად წრიპინებდა, ხან გაკაპასებული წიოდა, ხანაც მომაკვდავივით ხრიალებდა.

როგორც იქნა, შუადღისას მოსკოვი დავიჭირეთ. რადიომიმღებთან გარინდულ ზემდეგს ძლივს ესმოდა დიქტორის ხმა. მან მხოლოდ საბჭოთა მთავრობის განცხადების ზოგიერთი წინადადება მოისმინა.

— ომია! მთელ საზღვარზე გადმოსულან!..

— ომია!... ომი!..

— ომი დაწყებულა!..

ბრძოლით ვიყავით გათანგული და მაინც გაგვიკვირდა, ომის დაწყება რომ გავიგეთ.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ტექსტი, რომლის ჩაწერაც ჩვენმა მეკავშირემ მოასწრო, სანამ ძალაგამოლეულ მიმღებს ხმა ჩაუწყდებოდა, იმედიანი იყო. უფროსმა ლეიტენანტმა პოტაპოვმა დაჭრილები რადიოაპარატთან მოაყვანინა, მიღებული ცნობა წაუკითხა და გაამხნევა, საცაა მაშველი ნაწილები მოვლენო.

მტრის ცეცხლი უცებ შეწყდა, სადღაც, სულ ახლოს, დანჯღრეული რუსულითა და აგდებული ტონით ვიღაც აჯლაყუნდა:

— ყურადღება! ყურადღება! მოისმინეთ გერმანიის იმპერიის „ფიურერის“, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთა-

ვარსარდლის ადოლფ ჰიტლერის ოცდაორი ივნისის ბრძანება შეიარაღებული ძალებისადმი...

საბჭოთა ქვეყანას ხელშეკრულების დარღვევას აბრალებდნენ და ამას გვეუბნებოდნენ ჩვენ, ვერაგული თავდასხმის უშუალო მოწმეებს.

ერთბაშად დაიქუხა სარდაფმა. ერთი მოსხლეტით დაიცალა ყველა ტყვიამფრქვევი, ავტომატი და შაშხანა...

მკვახე პასუხით ნირწამხდარი მტერი უმალ ახალი გაბოროტებით დააცხრა ყაზარმებს, მაგრამ ახლა აღარავინ ძრწოდა სარდაფში; ზიზღით ვიყავით გაცოფებული, ასეთმა ზიზღმა შიში არ იცის.

პოლკის ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდა დაკავშირებოდა მეზობელ ნაწილებსა და ქალაქში მყოფ შტაბს, მაგრამ მტერიც არ თვლემდა. ღამით მთელი ხაზი შუშხუნებით და პროჟექტორებით იყო გაჩირაღდნებული. კარიბჭეებს მტრის გუშაგები დარაჯობდნენ.

კომკავშირელმა რადისტმა მიხაილოვსკიმ და რამდენიმე მებრძოლმა აირწინაღები ჩამოიცვეს, მილები ერთმანეთს გადააბეს, ბოლოზე ხის ტივტივა დაამაგრეს, ფეხზე აგურები მიიბეს და მუხავეცის ლამიან ფსკერზე დაეშვნენ. კარგა მანძილი გაიარეს და, ის იყო სიმაგრის ფარგლებიდან უნდა გასულიყვნენ, რომ, მოულოდნელად, წყალქვეშა დაბრკოლებას წააწყდნენ: გერმანელებს რკინის ღობით გადაეხლართათ მდინარე. ამოჰყო თუ არა თავი ჩვენმა მზვერავმა, მტერმა უმალ თვალი ჰკიდა, პროჟექტორი მიანათა და ტყვია დააყარა. რკინის ჯებირთან თავდამსხმელებს საგანგებო საგუშაგო ჰქონდათ მოწყობილი. წყალქვეშა მზვერავები უშედეგოდ დაბრუნდნენ ნაწილში.

84-ე პოლკის კომისარი ეფიმ ფომინი რაღაც იღბლად გადარჩენილი რადიოგადამცემით დიდხანს ცდილობდა ჩვენი შტაბებისათვის ეცნობებინა სიმაგრეში შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ დაშიფრული ტექსტები უპასუხოდ რჩებოდა. ბოლოს მტრის ოვალისასახვევად კომისარმა ღია ტექსტი მოამზადა: „ლაპარაკობს ციხე-სიმაგრე. ჩაბმული ვართ ბრძოლაში. საბრძოლო მასალა საკმაოდ გვაქვს. დანაკლისი უმნიშვნელოა. მოველით მითითებებს! გადავდივართ მიღებაზე!..“

ამ ტექსტს განუწყვეტლივ იმეორებდა რადისტი, მაგრამ პასუხი არ ჩანდა.

ვფიქრობ, არაფერია ომში ისე საშიში, როგორც ვითარების გაურკვევლობა. მაშინ მეომარი ხელ-ფეხშეკრულსა ჰგავს. მტერი ათასგვარ ხმას ავრცელებს და ჭორი ელვის სისწრაფით ედება ყველას.

ვიღაცამ თქვა:

— გვიღალატეს, ბიჭებო! პოლკოვნიკი მატვეევი მტრის მხარეზე გადასულა, ომის დაწყებისთანავე ჩაბარებია გერმანელებს!...

მალე ახალი ცნობა გავრცელდა: მატვეევი და მისი ოჯახის წევრები ომის დაწყებამდე ამოუხოცავთ დივერსანტებსო.

საღამოს სულ სხვა ხმა დაირხა:

პოლკოვნიკი ქალაქის გარეუბანში იბრძვის. განთიადისას დიდი რაზმი შეუდგენია, იერიშზე გადასულა და ახლა ხიშტშემართული მოუძღვის თავის ნაწილს, საცაა სიმაგრეშიც შემოვაო.

ამასვე ამბობდნენ კომკავშირის კომიტეტის მდივან ოსადჩიზე.

პოლკის მეთაურის ნამდვილი თავგადასავალი მე მხოლოდ

1939 წელს გავიგე. საბჭოთა კავშირის გმირმა. მაიორმა გავრილოვმა მიამბო, რომ ომის წინ, დივიზიის ზოგიერთ ნაწილთან ერთად მატვეევი ჩვენი პოლკის ერთი ბატალიონით სასროლეთზე იმყოფებოდა. მტერი რომ შემოიჭრა, დივიზიის მეთაურის ბრძანებით პოლკოვნიკი იერიშზე გადავიდა, მედგრად მიუძღოდა წინ თავის ათასეულს და ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა.

როგორც აღვნიშნე, ამ ცნობამ იმავე დღეს შემოაღწია სიმაგრეში; ჩანს, იმ ბრძოლის რომელიღაც მონაწილემ მოახერხა ჩვენთან მოსვლა; სამწუხაროდ, არ ვიცი, ვინ იყო.

ამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ პოლკოვნიკ მატვეევის რაზმში, რომელიც ხიშტით მოიკვლევდა გზას სიმაგრისაკენ, ქართველებიც იბრძოდნენ. მათ შორის განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მიხეილ მუმლაძემ.

მტერს არც ქალაქი დანებებია უბრძოლველად. განსაკუთრებით მძაფრი შეტაკება მოხდა ბრესტის სადგურზე, სადაც ზემდეგ ბასოვის მეთაურობით საბჭოთა ჯარისკაცების მცირე ჯგუფი მთელი კვირა უმკლავდებოდა გერმანელებს.

ჩვენი პოლკის სკოლას, რომელსაც კაპიტანი ალექსანდრე ჯიჯიშვილი მეთაურობდა, ომმა ქიმიური დასახლების მახლობლად, პოლიგონზე მოუსწრო. ოცმეთაურის მოადგილის — გენადი ჭანტურიძის გადმოცემით, გადარჩენილ კურსანტებს ზემდეგი ტუტიაევი ჩადგომია სათავეში. რაზმი ჯერ ქალაქში შეჭრილა და დიდი ზარალი მიუყენებია მტრისთვის, შემდეგ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან სიმაგრეში შემოსვლა უცდია. მიწაყრილთან გაჩაღებულ ბრძოლაში ეფრეიტორებს — ყაბარდოელებს უჩიაევსა და ბალაჩიევს ხელისტყვიამფრქვევით ორი თვითმფრინავი ჩამოუგდიათ. კურსანტებმა სიმაგრე-

ში შემოსვლა ვერ შეძლეს, მაგრამ თითქმის ორი კვირა იბრძოდნენ ჩრდილოეთის კარებთან.

პოლკის სკოლის სერჟანტი, საგარეჯოელი ნ. მ. რემიზოვი, რომელიც 21 ივნისს, ღამით, ყარაულის უფროსის მოადგილე იყო ტირასპოლის კარიბჭესთან, მტრის რაზმებთან შეტაკების შემდეგ, მეორე ბატალიონის მეთაურის, უფროსი ლეიტენანტი მამჩიკის ჯგუფს შეერთებია და ხელჩართული ბრძოლებით გზა გაუკვლევია ქიმიური დასახლებისაკენ, სადაც თავისი ნაწილი ეგულებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს რაზმი ქალაქიდან გასულა და ჩვენი პოლკის ნარჩენებთან, გაერთიანებულა.

* * *

24 ივნისს, იერიშზე მიმავალმა ასათიანმა მომაძახა, ჩვენი პარტიული კომიტეტის მდივანს ივანე პოჩერნიკოვს თავი მოუკლავსო.

იმავე დღეს ეს ცნობა სხვებმაც დაადასტურეს, თანაც დაუმატეს: პოჩერნიკოვმა ჯერ ცოლი მოკლა და მერე თავი მოიკლაო.

ამ ამბავმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მას შემდეგ გონებიდან აღარ მშორდებოდა. შემდეგ, თამარ ჯიჯიშვილს პირველი შეხვედრისთანავე პოჩერნიკოვების ამბავი გამოვკითხე.

აი, რა მიამბო მან:

—პოჩერნიკოვები და ჩვენ ახლო მეზობლები ვიყავით: მერვე კორპუსში ჩვენ ვცხოვრობდით, მეცხრე კორპუსში — ისინი, მეორე სართულზე ეკავათ ერთი ოთახი.

ივანე ჩემი ქმრის განუყრელი მეგობარი იყო და შურა (ალექსანდრა) პოჩერნიკოვა ხშირად მოდიოდა ჩვენსას, მოიყვანდა თავის პატარებს — ალიკოსა და ნინას, მთელ დღეს მხიარულად ვატარებდით: ვმასლაათობდით, ვსაქმიანობდით. ზოგჯერ მე გადავიდოდი იმათსას. ალიკო ჩვენი თამაზის ტოლი იყო, გოგონა კი ერთი წლით უფროსი იქნებოდა.

სანატრელი ოჯახი ჰქონდათ. შურა მეტად კეთილშობილი, სათნო ქალი იყო. ხშირად მეტყოდა ხოლმე: არაჩვეულებრივი ქმარი მყავს, ბედნიერი ვარო. იმ გაზაფხულზე, ოფიცერთა სახლში ჭრა-კერვა შეისწავლა და შვილებს დიდი გულმოდგინებით უკერავდა პაწაწინა შარვალ-კაბებს.

საცხოვრებელი კორპუსები ციტადელთან ერთად დაბომბეს. მაშინვე შიშველ-ტიტველნი დერეფანში გამოვცვივდით. პოჩერნიკოვები ჩვენს პირდაპირ ცხოვრობდნენ და გარკვევით მოჩანდა, რა ხდებოდა იქ...

შურა საცვლებისამარა მიიჭრა შვილებთან, ვანიამ ბავშვის ტანსაცმელს დაავლო ხელი და ცოლს ვაუწოდა. ქალმა საჩქაროდ მოამზადა კაბა ტიტველი გოგონასათვის გადასაცმელად, მაგრამ ბომბის დაცემისაგან სახლი ორად გაიპო და გრიალით წამოსულმა კედელმა დედას ხელიდან გამოსტაცა შვილები. ბავშვები აგიზგიზებულ ნანგრევებში ჩაიმარხნენ, უმწეოდ ხელგაწვდილი მშობლები კი წითლად მოლაპლაპე ნაპრალთან დარჩნენ, გაოგნებულნი და თავზარდაცემულნი. ეს მოხდა ომის პირველსავე წუთებში.

სხვათა შორის, იმავე კედელმა დაიტანა საბჭოთა კავშირის გმირის სოტნიკოვის მეუღლე კლარა, მასთან სტუმრად მყოფი ფეხმძიმე ქალი, ლეიტენანტ ვინოგრადოვის ავადმყოფი

დედა და ბევრი სხვა. ანანიაშვილის ოჯახი რაღაც სასწაულით გადაურჩა ცოცხლად დამარხვას.

კედელი რომ ჩამოინგრა, ივანე პოჩერნიკოვს ყუმბარის ნატეხი მოხვდა მარჯვენა საფეთქელში და სახე ბალიშივით გაუხდა. შურას ფეხი მოამტვრია ნამსხვრევმა.

ერთ ხანს ორივენი რეტდასხმულივით მიჩერებოდნენ ერთმანეთს. პოჩერნიკოვს გოგონას ფეხსაცმელი შერჩენოდა ხელში. მალე შურა აალებულ, კედელჩამორღვეულ ოთახში შებრუნდა, შვილების ალბომი და ბიჭის შარვალი გამოიტანა. ერთ ხანს დერეფანში იდგნენ და ბავშვის ტანსაცმლით ხელში, უხმოდ, სახეშეშლილნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მერე უღონოდ ჩაიკეცნენ კიბის საფეხურებზე. კარგად მახსოვს: შურა ზემოთ, მეოთხე საფეხურზე იჯდა, ივანე — მესამეზე.

წინა ღამით მზვერავები ჩვენი კორპუსის სხვენზედაც ყოფილიყვნენ ჩასაფრებულნი. გათენდა თუ არა, სახელოაკეცილი, ავტომატმომარჯვებული ჰიტლერელები ოთახებში შემოვარდნენ; მამაკაცებს დაეძებდნენ თურმე. დერეფანში მხოლოდ ქალები და ბავშვები რომ დაგვინახეს, მაშინვე კარადებს ეცნენ, წიხლით გადააყირავეს, საწოლები გადააქოთეს, ყველაფერი არივ-დარიეს. ჩვენთან და ივანოვებთან რომ დაამთავრეს ჩხრეკა, პოჩერნიკოვების დერეფნისაკენ გაემართნენ.

ფაშისტებს რომ მოჰკრა თვალი, გასისხლიანებული, სახედასიებული ივანე ფეხზე წამოვარდა და რევოლვერი დაახალა. წინმიმავალი ახმახი გერმანელი უსულოდ გადავარდა ნანგრევებში, მეორე ჰიტლერელმა გაქცევა სცადა, მაგრამ კომისარმა ზურგში დაახალა ტყვია... ამის შემდეგ რამდენიმე გასროლა კიდევ გაისმა და კიბესთან ჩოჩქოლი ატყდა.... ივანე დარ-

წმუნდა, რომ ხსნა აღარსად იყო... რევოლვერშიც ორად ორი ტყვია დარჩენოდა: ერთი ცოლს ესროლა და მეორე შუბლში მიირტყა...

* * *

სარდაფი ყურმოკრული ცნობებით საზრდოობდა და ტყუილი და მართალი ერთმანეთში იყო არეული.

ყოველგვარ დავალებას მოხალისეები ასრულებდნენ. მათვე, მტრის განუწყვეტელ ცეცხლში, პირველსავე დღეს შესძლეს 84-ე პოლკთან კავშირის დამყარება, საიმედოდ გაჭიმეს მავთულის ხაზი, რომელიც მეორე ბატალიონის სადგომთან გადიოდა და ჩრდილოეთიდან უერთდებოდა მეზობელ ნაწილს. მეკავშირეები მიწაში ღრმად სდებდნენ მავთულს, რომ ადვილად არ დაზიანებულიყო, მაგრამ მაინც ხშირად წყდებოდა და მეკავშირეები ყუმბარების გრიალში წამდაუწუმ გამოდიოდნენ დაზიანებული მავთულის მოსაძებნად და შესაკეთებლად.

მთელი სარდაფი ზეიმობდა მეზობელ პოლკთან დაკავშირებას.

იმავე საღამოს საყურადღებო ტელეფონოგრამა მივიღეთ:

— ტყვეების ჩვენებით, მტერს განზრახული აქვს განთიადზე სამმხრივი დარტყმით შეავიწროვოს გარემოცვის რკალი, უშუალოდ ალყა შემოარტყას სარდაფებს, საბოლოოდ გათიშოს მებრძოლი ნაწილები და სარდაფებში შემოჭრით დაამთავროს სიმაგრის აღება.

ცნობაში აღნიშნული იყო მტრის განლაგების პუნქტები და

შეტევის მიმართულებანი, რაც დიდად დაეხმარა ჩვენს შტაბს.

ასე უკავშირდებოდნენ ერთმანეთს სიმაგრეში გაფანტული ნაწილები.

* * *

სასაზღვრო ხაზის სხვა ადგილებზეც ჩვენი მეომრები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მუხანათურად შემოჭრილ მტერს.

ამას წინათ გოგია გულისაშვილისაგან გავიგე, თუ როგორ იბრძოდნენ ჩემი თანაპოლკელები (მათ შორის ბევრი ჩემი ნამოწაფარი) ბრესტის სასაზღვრო რაიონის ერთ-ერთ გამაგრებულ უბანზე, 222-ე მსროლელთა პოლკის ნაწილებთან ერთად.

ასეულს, რომელშიც მსახუროობდნენ გ. გულისაშვილი, ლ. გახუტელაშვილი, მ. ოთიაშვილი, ი. პატარაშვილი, გ. სოზაშვილი, ნ. დიღმელაშვილი, გ. მეზვრიშვილი, ს. მარიდაშვილი, გ. დათიშვილი, შ. ქვათაძე, პ. საცერაძე, ძმები კაპანაძეები, გრ. კვეტენაძე, ს. სონიშვილი, მ. მეკოკიშვილი... — ომმა ბუგის ნაპირებზე, თეთრ კარვებში მოუსწრო.

— მტერმა მოულოდნელად დაგვაყარა ყუმბარები, — გადმომცა გოგია გულისაშვილმა. — გერმანელები საჩქაროდ გადმოდიოდნენ მდინარეზე, წინ მოიწევდნენ...

სამასიოდე მეტრის დაშორებით რკინა-ბეტონით ნაგები საცეცხლე წერტი გვქონდა. მტერს კარგად გაეთვალისწინებინა მისი მნიშვნელობა და მისასვლელი გზა ცეცხლით დაეხშო.

პირველ დარტყმას მეთაურთაგან მხოლოდ ლეიტენანტი

ბორისენკო გადაურჩა. ფინეთის ომიდან ის ცალხელა დაბრუნდა და ბატალიონში სამეურნეო ნაწილს განაგებდა.

ბორისენკომ სასწრაფოდ მოაგროვა გადარჩენილი მებრძოლები: ი. პატარაშვილი, ს. სონიშვილი, ნ. მეკოკიშვილი და სხვები.

— ტყვიამფრქვევის წერტი ახლავე უნდა დავიკავოთ! ვის შეუძლია წასვლა? — მკაცრად შეათვალიერა მან დაჭრილი მეომრები.

— მე წავალ, ამხანაგო ლეიტენანტო! — სიტყვის დამთავრებაც არ დააცალა ფშაველმა იოსებ პატარაშვილმა. მეთაურს თვალები გაუბრწყინდა. პატარაშვილს მეკოკიშვილი და ლისიუკი გაჰყვნენ.

ისინი ხოხვით გაემართნენ საცეცხლე წერტისაკენ, რომელსაც მტერი უახლოვდებოდა.

— დაგვიხსენით და დაგიხსნით! — მიაძახა ბიჭებს ლეიტენანტმა.

მას იმედი ჰქონდა, რომ გადარჩენილ ჯარისკაცებს თავს მოუყრიდა, უკან დაიხევდა და იქ რომელიმე სხვა ჯგუფს შეუერთდებოდა; შემდეგ გაძლიერებული ნაწილით კონტრიერიშზე გადავიდოდა და საცეცხლე წერტსაც დაიხსნიდა.

— თუ ვერ მოგვისწრებთ, შინ მაინც გააგებინეთ ჩვენი ამბავი! — დაიყვირა ი. პატარაშვილმა და ტყვიასავით გავარდა.

ლეიტენანტი დურბინდით გასცქეროდა ბრძოლის ველს.

— მოკლეს! — ჩაილაპარაკა მან, როცა ერთი მებრძოლი გულაღმა გაიშხლართა მიწაზე.

მალე მეორეც დაეცა.

მიწას გაკრული პატარაშვილი სწრაფად მიიწევდა წინ. მაგ-

რამ მოწინააღმდეგემ მაინც შეამჩნია და ძლიერი ცეცხლი დაუშინა. ფშაველი ფეხზე წამოვარდა, თვალის შევლება ძლივს მოვასწარით, რომ საცეცხლე წერტთან დაეცა, — განაგრძობს გ. გულისაშვილი.

— დალახვროს ეშმაკმა! ესეც მოკლეს! — სასოწარკვეთით წამოიძახა ლეიტენანტმა, მაგრამ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ჩვენი ტყვიამფრქვევი მრისხანედ ალაპარაკდა და მტერს გზა გადაუკეტა. გიორგიმ გადავეხვიეთ ერთმანეთს.

იმ წამს ყველანი ვირსოვეცისაკენ დავიძარით. გზად სასიკვდილოდ დაჭრილ გიორგი სოზაშვილს მოვკარი თვალი. შველა აღარ შეიძლებოდა.

ღამე ტყეში გავატარეთ. სხვადასხვა ნაწილებიდან გადარჩენილ ჯგუფებთან გავერთიანდით და გარიჟრაჟზე კონტრიერიშზე გადავედით. რამდენიმე დღეს არ დამცხრალა ბრძოლა. ბოლოს გერმანელებმა ზურგიდან წამოუარეს საცეცხლე წერტს და ალყა შემოარტყეს, მაგრამ პატარაშვილის ტყვიამფრქვევის კაკანი მანამ არ შეწყვეტილა, სანამ ფაშისტებმა ბენზინი არ შეასხეს და ხელყუმბარებით ცეცხლი არ გაუჩინეს ჯიხურს. ასე დაიღუპა თავდადებული ფშაველი მეტყვიამფრქვევე, რომელმაც საზღვრისპირა ბუნკერიდან დიდი ზარალი მიაყენა მტერს. სხვები ხელჩართულ ბრძოლაში დაეცნენ. იქ მყოფთაგან გიორგი გულისაშვილის, გრიგოლ კვეტენაძის და შოთა ქვათაძის გარდა არავინ გადარჩენილა.

მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი პირველი ბატალიონი, რომელიც ომის წინა დღეს ლესნაიას რაიონში დავტოვე. მებრძოლებს ზედ მდინარე ბუგის ნაპირზე, თეთრ კარვებში ეძინათ და ადვილი წარმოსადგენია, რა მოუვიდოდათ პირველ საარტილერიო თავდასხმისთანავე; ფაშისტებმა



მეორე ასეულის მებრძოლთა ჯგუფი. დგანან: მარცხნიდან — ივანე მანწკავა, ვადაპკორია, აკაკი შევარდნაძე. სხედან: რომან ორაგველიძე, დავით ჩხაიძე, სევერიან ხელაძე.

ერთი დარტყმით გააცამტვერეს იქაურობა და არც გამოუღვიძიათ, ისე დაიღუპნენ: ბუჯუ კალატოზი, შოთა კვეტენაძე. შალვა გოგეშვილი, დავით ნებიერიძე, ბეგლარ ავალიანი, ვ. კილაძე, ღვინჯილია და... ვინ გაიხსენებს, ვინ ჩამოთვლის ყველას... შემთხვევით თუ ვინმე გადაურჩა იმ საზარელი გაკითხვის დილას!.. ჩვენი ასეულის მეთაურს — უმცროს ლეიტენანტ კოლესნიკოვს სამი თვის შემდეგ ბიალაპოდლიასკაში შევხვდი, მაგრამ ისეთ ვითარებაში, რომ არაფრის შეკითხვა არ შეიძლებოდა... არ ვიცი, რა ბედი ეწია ზემდეგ ლიტვინს... მიხაკო ფირცხალაიშვილმა და პირველი ასეულის პარტორგმა

ვანო კეკლიშვილმა მოახერხეს უკანდახევა და რეგულარულ ნაწილებთან შეერთება.

ჩვენი ბატალიონის ერთმა ოცეულმა, რომელიც სასაზღვრო ხაზის მახლობლად ასაფეთქებელ ნივთიერებათა დიდ საწყობს იცავდა, მთელი დღე შეინარჩუნა თავისი პოზიცია და მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. სერჟანტმა აკაკი შევარდნაძემ და საგარეჯოელმა პავლე სტრუჩალინმა დაზგის ტყვიამფრქვევით რამდენიმე საათს შეაკავეს მტრის იერიში სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზატკეცილსა და რკინიგზის ხაზზე.

* * *

ბრესტში მცხოვრები მეთაურები ომის დაწყებისთანავე გაიქცნენ სიმაგრისაკენ, თავიანთ ნაწილებთან შესაერთებლად, მაგრამ ქალაქიდან გასვლა ძალიან ძნელი იყო.

ალექსანდრე ხარაბაძის გადმოცემით, ციხე-სიმაგრის გზაზე ხელჩართულ ბრძოლაში დაეცა 84-ე პოლკის ლეიტენანტი მამია გელბახიანი. მას 21 ივნისს მეუღლის ოჯახში ეძინა, ქალაქიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით. იქვე, ჩასაფრებული მტრის ნაწილებთან ბრძოლაში, მძიმედ დაიჭრნენ 125-ე პოლკის უფროსი ლეიტენანტი ინჯია და ლეიტენანტი აბდულა უსუბოვი.

სერგო ინჯია 125-ე პოლკის მე-2 ბატალიონის მე-6 ასეულის მეთაური იყო. იმ დროს მას უკვე დიდი მხედრული გამოცდილება ჰქონდა — მონაწილეობდა ხასანის, ფინეთისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებ-

ში. მასთან ერთად 22 ივნისს, დილით, სიმაგრეში შემოაღწია ჩვენი პოლკის ოცმეთაურმა ვალოდია უგრეხელიძემ.

უფროსი ლეიტენანტი ივანე უჩიძეც ქალაქში ცხოვრობდა ცოლ-შვილით. ომის დაწყებისთანავე იგი ციხე-სიმაგრისაკენ გაეშურა თავის ნაწილში, მაგრამ არავინ იცის, მიაღწია იქამდე თუ გზაში დაიღუპა.

მოსახლეობის მეოდგარმა წინააღმდეგობამ შტაბს საშუალება მისცა დაეწყო საბჭედრო მოსაამსახურეთა ოჯახების ევაკუაცია. მაგრამ ბრესტიდან გასვლა თითქმის შეუძლებელი იყო. ქალებითა და ბავშვებით სავსე ეშელონები ფაშისტებმა მოსპეს. [illegible] ეკლანე უჩიძემ თავისი [illegible] ბავშვი — ვენერა, იური, [illegible] და ცისანა ავტომანქანასთან მიიყვანა, მტერმა [illegible] ... [illegible] ... ბომბების [illegible] ... [illegible] დაიძრა. დედამ გრძნობა [illegible] რომ მოვიდა, შვილები მოიკითხა. ორი წლის [illegible] ... [illegible] იყო. უგზოდ-კვლოდ დაიკარგა.

* * *

[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

განთიადის ნისლში, ბუღსა და მტვერში დაბნეული მებრძოლები მიმორბოდნენ. გავრილოვი აჩერებდა მათ. ასე შეაგროვა რამდენიმე ათეული და სიმაგრის ჩრდილოეთის გასასვლელისაკენ წაიყვანა. 44-ე პოლკს, რომელსაც იგი მეთაურობდა. საბრძოლო განგაშის შემთხვევისათვის იქ ჰქონდა მიჩენილი ადგილი. ეს გზა გადაჭრილი აღმოჩნდა. ბუჩქნარში ჩასაფრებული მეავტომატეები გზას ფხიზლად უთვალთვალებდნენ. მტრის რაზმებს ჩრდილოეთის კართან უკვე მიწის ზღუდეც ეკავათ, რომელიც ქალაქის მთავარ გასასვლელს წარმოადგენდა. ამ ადგილს ომის პირველ წუთებშივე ასობით მებრძოლი მიაწყდა სიმაგრის სხვადასხვა უბნიდან, მათ შორის მეთაურებიც იყვნენ. გავრილოვმა ისინი თავის მცირე რაზმს შეუერთა. ასეულებად დაჰყო, ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწაყრილთან განალაგა.

აღმოსავლეთის ფორტი გავრილოვის რაზმის თავდაცვის მთავარ ბურჯად გადაიქცა. აქ იდგა 393-ე ცალკეული საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მცირე გარნიზონი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უფროსი ლეიტენანტი შრამკო.

გავრილოვის რაზმი უკვე მზად იყო, როცა მტერმა გარეკედელსა და დასავლეთის ფორტზე იერიში მიიტანა.

125-ე პოლკში იბრძოდნენ და სიმაგრის ჩრდილოეთ მხარეს იცავდნენ: სერგო ქიტიაშვილი, იოსებ რთველიძე, კოლია ნიჟარაძე, გიგლა ბურდიაშვილი, გოგია მოსიაშვილი, აგეო ხურუმოვი, ბიცუევი...

ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა კობრინის კართანაც, სადაც 98-ე ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო დივიზიონი იბრძოდა.

სიმაგრის ვრცელ ტერიტორიაზე მიმობნეული ჩვენი გამაგ-

რებული პუნქტები შეუპოვრად დახვდნენ შემოსეულ მტერს და ჯერ არავინ იცოდა, საით გადაიხრებოდა ბედის სასწორი.

ვიცოდით მხოლოდ, რომ ომის გრიგალმა მუხანათურად გადაიჯირითა საზღვარი და სადღაც შორს, აღმოსავლეთისაკენ მიიკარგა. საზღვარზე ანთებული სიმაგრეღა დარჩა. გადათელილ მიწაზე განუწყვეტლივ მიედინებოდა მტრის ახალ-ახალი კოლონები, ისმოდა აღმოსავლეთს მიმავალი უცხო ტანკების რახრახი, იტყოდი, მთელი დასავლეთი აქეთ დაძრულაო.

სამშობლოზე ფიქრი გვავიწყებდა განსაცდელს.

* * *

ის დღე წყნარად გათენდა. მზის ამოსვლაც შევამჩნიეთ. ნაცრისფერ ბოლქვებში ალაგ-ალაგ ცის სილურჯე გამოკრთა. ნანგრევებს ნელა შორდებოდა კვამლის ბადე... გრილმა ნიავმა თითქოს სარდაფშიც შემოაღწია, ოცნება გამოაცოცხლა, ნაზი გაზაფხული და შორეული სიმშვიდე მოგვაგონა...

მაგრამ მყუდროება ხანმოკლე გამოდგა.

დილის გარინდება მექანიზებული ბატალიონის მხრიდან ტყვიამფრქვევის კაკანმა დაარღვია. ჩვენებმა მაშინვე უპასუხეს. მოწინააღმდეგე დაცლიდა რამდენიმე ჯერს და მიყუჩდებოდა. სამაგიეროს რომ მიიღებდა, უფრო ხანგრძლივად დააწვებოდა სასხლეტს: ასე გაგრძელდა ერთ ხანს. მერე უმცროს მეთაურთა სკოლის ჩასასვლელთან ტყვიამფრქვევმა უსასოოდ შეიტკრციალა და დადუმდა. მტერმა უმალ განუწყვეტელი ცეცხლი დაუშინა ჩასასვლელს, მაგრამ სარდაფი პასუხს აღარ იძლეოდა.

მახლობელი კუთხიდან ლეიტენანტის ბრძანება გაისმა:

— ვის შეუძლია მემიზნე შეცვალოს? ჩქარა!

ორ მებრძოლთან ერთად იქით გავიქეცი.

ვხედავ: საკინძეჩამოგლეჯილი მიმწოდებელი იატაკზე გაშხლართულ ურალელს პოზიციიდან მიათრევს.

— წაიყვანეთ სანპუნქტში! — მშვიდად წარმოთქვა ლეიტენანტმა, როცა ახალმა მემიზნემ ტყვიამფრქვევთან ადგილი დაიკავა და კარგა ხნის წვალების შემდეგ მოწინააღმდეგეს ჯერი მიაგება.

— აღარ ღირს, ამხანაგო ლეიტენანტო!

— წაიყვანეთ მაინც!

ორმა მებრძოლმა ურალელს ხელი ჩაავლო და შეეცადნენ ფეხზე წამოეყენებინათ, მაგრამ ჭაბუკის დამძიმებული თავი ფილაქანს დაეხალა.

— აღარ ღირს წაყვანა! საფეთქელში მოურტყამთ...

— ჯიუტი ბიჭი იყო! — ჩაილაპარაკა მწითურმა სერჟანტმა, — თავი სულ გარეთ ჰქონდა გამოყოფილი. ჩვენები მოვლენო. პირველი მივეგებებიო...

მიმწოდებელმა უკმაყოფილოდ გადმოხედა სერჟანტს.

— ნუ ამბობთ მაგას, ის ძალიან გულადი... — სათქმელი ვეღარ დაამთავრა. სიტყვა ყელში გაეჩხირა.

ექთანი საჩქაროდ მოვიდა, ხელი შევაშველე და ქერა ბიჭი, რომელსაც საფეთქელთან სისხლის ნაკადი შედედებოდა, სამეთაურო პუნქტთან სახელდახელოდ მოწყობილ სანიტარულ ნაწილში მივიტანეთ.

სარდაფის ეს ნაწილი დაჭრილებით იყო სავსე. ჭრილობა ზოგს ბინტით ჰქონდა შეხვეული, ზოგს ტოლაღებით, ზოგსაც ხალათის ნახევით. მოწყალების დები, რომელთა შორის ჩვენი

ჰოლკის სამხედრო ფერშალი ვალენტინა რაევსკაია იყო, დაჭრილებს იარას უხვევდნენ. მაგრამ დასახიჩრებულთა რიცხვი ყოველ წუთს მატულობდა, ბინტი და წამალი კი მალე გამოილია. აღარც დახეული თეთრეული და ფეხსაცმელები ჰყოფნიდათ... ყოველი მხრიდან შემოგვჩიოდნენ:

— ძმობილო, ერთი ყლუპი წყალი!.. ღვთის გულისათვის...

გულგრილად უნდა ჩაგვევლო გვერდით, რადგან არსად არ იყო წვეთი წყალი, მარტო თანაგრძნობით კი რას გააწყობდი...

გარშემო მდინარე გვიელიდა და უწყლოდ კი ვიტანჯებოდით... ძალიან რომ გაჭირდა, ზოგან სარდაფის იატაკს დაუწყეს თხრა, იქნებ ჭას რასმე წავაწყდეთო.

ერთხელ სარდაფში რამდენიმე კარდალა წყალი გაჩნდა. წვეთწვეთობით გავუნაწილეთ ბავშვებსა და დაჭრილებს. ერთმა ყლუპმა მწყურვალენი უფრო გააცელა და კვლავ ყოველი მხრიდან ისმოდა გათანგული მომაკვდავების მუდარა:

— ძმობილო, ერთი წვეთი წყალი... ღვთის გულისათვის.

აი, კედელს მიყრდნობია მუცელში დაჭრილი სერჟანტი, რომელიც ოცი წლით მაინც დაბერებულა ამ სამ დღეში და, ექიმის სიტყვით, მალე მოკვდება, რადგან შიგნეულობა დასჩირქებია. იგი წამდაუწუმ კითხულობს:

— რაო, მოდიან ჩვენები?..

— ჯერ არაფერი ისმის.

დაჭრილი გინებით იოხებს გულს. სანუგეშოს აბა, რას ეტყვი!..

სხვა დროს სარდაფის იმ კუთხეში იშვიათად მივდიოდი, მაგრამ ახლა ურალელის დატოვება მიმძიმდა.

ურალელს ხელი წავავლე და კუთხეში მივათრიე. იქ ვიღაც ბალათის კალთაში ჩამებღაუჭა:

— ჩვენიანი ხარ?

— ჰო!

— ძმობილო, ღვთის გულისათვის, მესროლე... მომასვენე... აღარ შემიძლია...

ხმა არ გამიცია.

— გევედრები, ძმობილო! კაცი არა ხარ? აღარ შემიძლია მეტი!

ორივე ფეხი მოგლეჯილი ჰქონდა. კისერშიაც გაევლო ტყვიას.

მომაკვდავის ხელი ძლივძლივობით მოვიშორე და სირბილით გავეცალე იქაურობას. მან ზიზღით მომაძახა:

— ლაჩარო!

სულთმობრძავნი ნერვულად მოითხოვდნენ, რომ გვამები დაუყოვნებლივ გაგვეტანა სარდაფიდან.

ურალელი ისევ თავის ტყვიამფრქვევთან მიიტანეს.

— გაჩიჩქნეთ მიწა, იქნებ ჩაფლათ, სანამ სიწყნარეა, — თქვა ლეიტენანტმა.

ორმა მებრძოლმა ძლივს აათრია კიბეზე ქერა ბიჭი. ჩვენი ყაზარმის შესასვლელთან ნახევრად შიშველმა მებრძოლებმა სამარის გათხრა დაიწყეს, მაგრამ მოწინააღმდეგემ ტყვია დაგვიშინა. მებრძოლები ცდილობდნენ ჩქარა ჩაეფლათ ბიჭი კოჭებამდე ამოჩიჩქნილ საფლავში და ფაციფუცით აყრიდნენ მიწას.

მაინც ვერ მოათავეს საქმე...

ციტადელს ნაცნობი გუგუნი უახლოვდებოდა: კუთვით მოდიოდნენ მომაკვდინებელი ტვირთით დამძიმებული ბომბდამშენები.

მებრძოლებმა საჩქაროდ მიატოვეს ურალელის საფლავი და სარდაფში ჩაცვივდნენ.

— იწყება! — წაილაპარაკა ერთმა მათგანმა და მოწყვეტით დაჯდა კუთხეში.

არავინ გახმიანებია. სუნთქვაშეკრულნი ველოდით გარდუვალ საშინელებას. აღარ კვნესოდნენ დაჭრილები, აღარ ტიროდა ორი წლის გოგონა სარდაფის კუთხეში, უფრო მაგრად ეკვროდა შეშინებულ დედას. მსროლელებმა საცეცხლე პოზიციებიდან ორიოდე ნაბიჯით უნებურად უკან დაიხიეს.

მოპიკრე „იუნკერსები“ წივილით დააცხრნენ სიმაგრეს. ცვივოდა მძიმე ფუგასური ბომბები. სადღაც, სულ ახლოს, ვულკანისებური გუგუნი გაისმა. მას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე აფეთქება...

გადარჩენილნი თავქუდმოგლეჯით გარბოდნენ იმ ადგილიდან, სადაც შემზარავად ბრუნავდა კეკლი.

არავინ იცოდა, რამდენი დღე გრძელდებოდა დაბომბვა, რა დრო იყო, ან რომელი რიცხვი. მაგრამ უნდა გვეთმინა, რადგან სხვა გზა არ იყო. მტერს ჩვენი მოთმინება უფრო ახელებდა, ვიდრე ჩვენ მისი ბომბები. რა დასამალია, გვეშინოდა, ყოველ აფეთქებაზე მიწას ვეკვროდით, მაგრამ მყისვე წელში ვიმართებოდით და რაღაც დარცხვენით გადავხედავდით ერთმანეთს, თითქოს ბოდიშს ვიხდიდით ამ ადამიანური სისუსტისათვის და იმავ წამს ახლო მივდიოდით სათოფურებთან, უფრო ყურადღებით ვათვალიერებდით ბრძოლის ველს.

როცა დაბომბვა შესუსტდა, ყაზარმას შავსვასტიკიანი მზვერავი თვითმფრინავები შემოესივნენ. ისინი სულ დაბლა მოფრინავდნენ, თითქოს ფრთებით ეხებოდნენ ნანგრევებს, ტყვიამფრქვევებით ცხრილავდნენ სათოფურებს. ჩვენს სარ-

კმელს რომ მოუახლოვდა, ერთ მათგანს ტყვიამფრქვევთან გარინდულმა სერჟანტმა ცეცხლი გაუხსნა. გერმანელი საჩქაროდ გაბრუნდა და ჩვენი ადგილის დაბომბვაც განახლდა.

სერჟანტმა ტყვიამფრქვევი დაბლა ჩამოდგა და გაინაბა. დაბომბვა მალე შეწყდა და სათოფურთან ისევ გაჩნდა შავსვასტიკიანი თვითმფრინავი. სერჟანტმა ვერც ახლა მოითმინა, კვლავ დააყარა ტყვია. მახლობლად ძყოფმა დაჭრილმა ქალმა მეტყვიამფრქვევეს უკმაყოფილო თვალები მიაპყრო. მზვერავს არც ახლა გაუცია ხმა, მაშინვე გაგვერიდა, მაგრამ მტრის არტილერიამ დაუყოვნებლივ განაახლა სროლა.

— აკი ვთქვი, ეს შეჩვენებული ჩვენ დაგვეძებს-მეთქი! — კვნესით აღმოხდა დაჭრილს.

ის იყო სათოფურთან „მესერშმიტი“ გამოჩნდა, რომ ერთბაშად აუტეხეს სროლა ტყვიამფრქვევებიდან და შაშხანებიდან. შავსვასტიკიანი ჰაერში გადაყირავდა და წონასწორობადაკარგული თვითმფრინავი ძირს დაეშვა.

— მოხვდა! — დაიყვირა დამმა.

— მუხავეცში ჩაიმსხვრა! — დაუდასტურა ვიღაცამ და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

— ძლივს არ მოვარტყი!.. — კმაყოფილებით ამბობდნენ დამი, სტუკალენკო, ჩორნი და ზემდეგი, რომლებიც ამ სათოფურებიდან ისროდნენ. ყველას სჯეროდა, რომ მისი ტყვია მოხვდა მიზანში. მეც ასე მჯეროდა.

სულ მალე ამბრაზურებთან სხვა თვითმფრინავი გამოჩნდა. იგი თავხედურად ზვერავდა ჩვენს პოზიციას, სტვენითა და განგაშით თავს გვაცხრებოდა, თითქოს დაგვცინისო...

— ეჰ, სად არიან ჩვენი შავარდნები! — წაიჩურჩულა ცრემლმორეულმა დაჭრილმა ქალმა, — უჩვენებდნენ სეირს!..

ერთხელ მართლაც გამოჩნდა წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავი. მის დანახვაზე ამოძრავდა, გამოცოცხლდა სარდაფი. ისეთი „ვაშას“ ძახილით შევეგებეთ, რომ ეჭვი არ გვეპარებოდა, ხმას მივაწვდენდით ჩვენს მფრინავს. სასპორტო მოედნის თავზე საჰაერო ბრძოლა გაჩაღდა. უთვალავ მტერთან შერკინებაში „ჩაიკას“ ტყვია მალე გამოელია. გულის ფანცქალით შევყურებდით ამ უთანაწორო ბრძოლას. შავსვასტიკიანები მალლა მიიწევდნენ. სურდათ დაეტყვევებინათ უიარაღოდ დარჩენილი „ჩაიკა“, მაგრამ ის ჯიქურ გაექანა მტრისაკენ, გამეტებით დაეჯახა ერთ-ერთ მანქანას, დაიმსხვრა და მტერიც დალეწა.

ასე გავხდით დიდი სამამულო ომის პირველი საჰაერო ტარანის მოწმენი.

გამარჯვებულ შავსვასტიკიანებს ტყვია დავაყარეთ. შავი მანქანები სადღაც ბუგის გაღმა ნაპირზე ჩაიკარგნენ. არც სხვა უბნებზე აპარპაშებდნენ მტრის თვითმფრინავებს. ბომბდამშენი, რომელიც მეზენიტეებმა ჩამოაგდეს, მეთაურთა სახლების მახლობლად ჩაიმუსრა.

საჰაერო იერიში ერთბაშად შეწყდა. ყველაფერი დადუმდა. უდაბნოდ ქცეული სიმაგრე ივნისის მზეში ალაპლაპდა.

დუმილი ფაშისტური რეპროდუქტორის ხრიალმა დაარღვია. რუსულად ლაპარაკობდა, მაგრამ ხმა უცხოდ, გულამაზრზენად გაისმოდა:

— თქვენი მდგომარეობა უნუგეშოა. ალყაში ხართ გამომწყვდეული. ვეღარავინ გიშველით. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რიგა, ვილნიუსი, მინსკი... ახლა მოსკოვთან არიან... თქვენ ასეული კილომეტრებით ხართ მოწყვეტილი ფრონტს. დახოცეთ კომისრები, რომლებიც გაიძულებენ იბრძოლოთ და დაგვნებდით.

შაშხანების ქუხილმა ხმა ჩააწყვეტინა დიქტორს.

მტერს პასუხი არ გაუცია. მცირე ხნით მიყუჩდა. შეწყდა თუ არა ჩვენი სროლა, უფრო მკაფიოდ განაგრძო:

— თქვენი წუთები დათვლილია. რისი იმედი გაქვთ?

სარდაფმა კვლავ დაიქუხა. ომში არ არსებობს კამათის სხვა საშუალება. რეპროდუქტორის მუქარას აღარავინ უგდებდა ყურს. ორმოცდაათამდე მებრძოლი საყდარზე იერიშისთვის მოემზადა. სარდაფმა სიმღერით გაგვაცილა.

ბრძოლის სიმღერა რისხვასავით გაისმა ჯურღმულში. აგუგუნდა სარდაფი, უნებურად ჩვენც ხმა შევუწყვეთ. იქნებ მეყურება? რა არის ეს, საიერიშოდ რომ გვეძახის: „ამურის ტალღები“, „კახოვკა“ თუ „მოსკვა მაისკაია?“. ალავერდა იმანოვმა და ნიკა აბზიანიძემ კლარნეტსა და ტრომბონში ჩაჰბერეს, მაგრამ სარდაფიდან გასვლაც ვერ მოვასწარით, რომ ისინიც ჩვენ შემოგვიერთდნენ...

ალგებრის მასწავლებელი

სარდაფში გამაგრებული სამასიოდე კაციდან უმრავლესობა ჩემი თანაპოლკელი იყო, მაგრამ ნაცნობებს მაინც იშვიათად ვხვდებოდი.

გელაშვილის ბატალიონი თუმცა საზაფხულო სამუშაოთა რაიონში ჩარჩა, ქართველები სიმაგრეებშიც ბლომად იყვნენ. თავდასხმის შემდეგ კი ბევრი მათგანი აღარ მინახავს, ახლაც არ ვიცი, რა ბედი ეწია მათ.

კაკაბელი ბიჭიც პირველი წუთიდანვე თვალთაგან დამეკარგა. ბევრის თავგადასავალი თანდათან ირკვევა. მაგალითად, ბრესტის მუზეუმის მასალებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე გმირულად დაიღუპა რადისტი ვანო ზედგინიძე.

ორგანიზებული ნაწილებიდან ჩვენთან იბრძოდნენ მეკავშირეები, ნალმმტყორცნელები, მუსიკოსები და ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის არტილერისტები.

ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ერთნი ტყვიამფრქვევს არ სცილდებოდნენ, მეორენი გამუდმებით გარეთ ტრიალებდნენ. ზოგი დაზვერვაზე მიეშურებოდა, ზოგი გუშაგად იდგა, სხვები კი საიერიშოდ მიდიოდნენ და უკან მობრუნების შემდეგ სადმე მივარდნილ კუთხეში იბრუნებდნენ სულს.

აფხაზავა პირველ დღესვე შევნიშნე — სარდაფის ბნელ კუთხეში იჯდა გარინდებული. მეორე დილითაც იქ შევამჩნიე — არ ვიცი რომელიმე ოპერაციიდან იყო დაბრუნებული თუ მთელი დღე-ღამე ასე გაატარა. მის ამხანაგებს მახლობელ სათოფურებთან ეჭირათ პოზიცია და შეიძლება თვითონაც მათთან ერთად იბრძოდა.

24 ივნისს, დილით, როცა მტერი გააფთრებით ბომბავდა სიმაგრეს და სათოფურებიდან შემოჭრილი სინათლე სახეში გვცემდა, პანტელეიმონს კვლავ იმ ადგილზე მოვკარი თვალი, გამიკვირდა. მივედი და გამოველაპარაკე.

— მორჩა! — წარმოთქვა გულგრილად და გასისხლიანებული ხელი ვიწრო, შეჭმუხნილ შუბლზე გადაისვა.

სათოფურში ბომბის ნამსხვრევი შემოიჭრა წივილით. უნებურად თავი დავხარე და რამდენსამე ხანს ასე ვიყავი. პანტელეიმონი არ განძრეულა. ისევ ისე კუშტად მზირალი იჯდა.

გულმა რეჩხი მიყო, სიფრთხილე ცუდად არ ჩამომართვასმეთქი, და დაბნეულად ვუთხარი:

— ბომბებს ნუ ეხუმრები, პანტელეიმონ, თავი უნდა მოარიდო ნაბსხვრევებს...

პანტელეიმონმა უპასუხოდ არ დამტოვა, ბომბების გუგუნში ერთმანეთის ხმა არ გვესმოდა. ტუჩების მოძრაობაზე ვატყობდი, რომ ლაპარაკობდა. თითო-ოროლა სიტყვას ვიჭერდი: „დედა“... „საქართველო“... „არამზადები“... „არ შევარჩენ“...

„საქართველო“... „არამზადები“... „არ შევარჩენ“...

პანტელეიმონი ღელავდა, ხელებს იქნევდა, ვიღაცას ემუქრებოდა. უცებ გაცოფებული ზეზე წამოვარდა და გამძვინვარებულმა ისე დაატრიალა დოლაბივით მუშტები, იფიქრებდი, მისი რისხვისაგან ზანზარებს სარდაფიო.

ეს დღე გადამწყვეტი იყო სიმაგრის დაცვაში. გერმანელებმა მთელი ძალები მოაყარეს მოწინავე ხაზს. გამთენიისას დაწყებულ იერიშს ბოლო არ უჩანდა.

შუადღისას ჩრდილოეთ კუნძულზე ტანკებიც გამოუშვეს. ერთი მათგანი გავრილოვის მებრძოლებმა დააზიანეს, რამდენიმე კი წინ გამოიჭრა, მეთაურთა საერთო საცხოვრებელს ჩამოუარა, სამთალოვანი კარიბჭის ხიდზე გადმოგრუხუნდა და ცენტრალურ კუნძულზე გაჩნდა. მანქანებმა სასპორტო მოედანი გადმოთელეს, სწრაფად დაეშვნენ ჩრდილოეთიდან და თვალის დახამხამებაში სათოფურებთან აღმოჩნდნენ. სარდაფში უკვე გვესმოდა მუხლუხების გრუხუნი. სულ მალე მეწინავე ტანკმა შტაბის მთავარ შესასვლელს დააყარა ჭურვები, მას დანარჩენი ტანკებიც წამოეწივნენ. ცოტაც და, მტერი წელში გატეხდა სარდაფს. მოიერიშე ტანკისტებს ტყვიამფრქ-

ვევებით უნდა დავხვედროდით, მაგრამ სათოფურებთან მისვ-
ლა და მიზანში სროლა შეუძლებელი იყო.

როგორც კი გაისმა — „ტანკები მოდიანო!“, აფხაზავამ ყუ-
რები ცქვიტა. დაკვესებული თვალები შემომანათა და გარეთ
გავარდა.

მილეწ-მოლეწილ ეზოში წელგამართული გარბოდა. აღარც
ტყვიის ზუზუნი ესმოდა, არც ნამსხვრევების წივილი... წა-
მოზრდილი ხშირი შავი თმა გაბურძგნოდა. დაუბანელი. გამ-
ხდარი სახე ჩასტეტკოდა; უქამრო, დაჭმუჭნილი ხალათი მა-
ღალ მუხლებზე სცემდა და ორმეტრიანი ნაბიჯით მიქროდა
პოლკის საარტილერიო პარკისაკენ, სადაც ომის წინ მარხი ბა-
ტარეის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები იდგა. ზემდეგმა თვა-
ლის დახამხამებაში მიირბინა საწყობთან, რომელიც აგურგი-
ზებულ ნანგრევში იყო ჩამარხული. ხანძარში შეწვილი ვა-
ფაციცებით დატრიალდა: სტაკა ხელი ერთ ქვემეხს — ე-ტე-
ხილი აღმოჩნდა. მეორეს ლულა კაჭკუნავოდა. მესამე ნაწილ-
ნაწილ იყო დამსხვრეული. ყველაფერი მანგრეულ-მოწგრე-
ული დასდა. მაგრამ მაინც შეუპოვრად მიარღვევდა ცეცხლს.
მაინც გაშმაგებით დაეძებდა იარაღს. „ეს მთელი უნდა იყო-
სო“, დაიყვირა. როცა პარკის კუთხიდან 45-მილიმეტრიანი პა-
ტარა ზარბაზანი გამოათრია. მოფარებულ ადგილზე ჭურვებით
სავსე ყუთსაც წააწყდა. მაშინ უჩვეულო ძალა იგრძნო აღბა-
ზავამ და ძვირფასი ნადავლით ყაზარმისაკენ გამოექანა.

პანტელეიმონი ლონიერი იყო. ეს ნახევარტონიანი ქვემეხი
იღლიაში შეეძლო ამოეჩარა, ახლა კი ორიც რომ ეპოვა, არ
დატოვებდა. ყაზარმასთან ერთ-ერთი ლეიტენანტი ამოუდგა
მხარში.

სიმაგრის ამ ორმა დამცველმა, რომლებიც მაშინ პირველად

შეხვდნენ ერთმანეთს, სასწრაფოდ გააგორეს ქვემეხი. ამასობაში ტანკი სროლას განაგრძობდა. სხვა მანქანები ცდილობდნენ გასულიყვნენ ტირასპოლის კარიბჭესთან. ზემდეგმა ახლოლა შეამჩნია, რომ ქვემეხი დაზიანებული იყო — პანორამა ჰქონდა ჩამოგლეჯილი. ამიტომ ლულა პირდაპირი დამიზნებით მიუშვირა მუხლუხებს.

აფხაზავა ზუსტი მსროლელი იყო. ორი წელიწადი გულმოდგინედ სწავლობდა ქვემეხს და საუკეთესო არტილერისტად ითვლებოდა.

ლეიტენანტმა სწრაფად მიაწოდა ჯავშანმჭრელი ყუმბარა. აფხაზავამ ქვემეხი გატენა. ახლა მთავარია სიმშვიდე. კარგად იცის ზემდეგმა, რომ გულდაღერებით ნასროლი მუდამ მიზანში ხვდება. ქვემეხის დაზგა ჯერ დაიწია, მერე წინ გასხლტა და ჭურვი სრული მუხტით გასტყორცნა. იმწამსვე მუხლუხებთან რუხი ბოლი ავარდა.

— არის! — შეჰყვირა ზემდეგმა.

ტანკისტები ასეთ დახვედრას არ მოელოდნენ. გვიან შეამჩნიეს, რომ ქვემეხი მათ ცხვირწინ იდგა, ღია პოზიციაზე. კოშკურა მოაბრუნეს და თავგამოდებულ მებრძოლებს ტყვიამფრქვევის ტუჩი მიაგებეს. მაგრამ არტილერისტები უკვე მზად იყვნენ მეორე გასროლისათვის. დუელი სისწრაფეს უნდა გადაეწყვიტა და სანამ ფაშისტი დამიზნებას მოასწრებდა, ქვემეხმა მეორედ დაიქუხა, ტანკი შეანჯღრია და კოშკურა გადაღუნა. მტრის მანქანამ უკან გაბრუნებაც ვერ მოახერხა. აფხაზავამ ფიცხლად ჩაუშვა სავაზნეში ახალი ყუმბარა და კიდევ ორჯერ მოარტყა ტანკს, რომელიც უნიათო თუხთუხით შემოტრიალდა და ჩაქრა. დანარჩენმა მანქანებმა უმალ კუდი

ამოიძუეს, მაგრამ პანტელეიმონი არ ეშვებოდა, კვალდაკვალ ადევნებდა ჭურვებს...

შეუძლებელი იყო სარდაფის ყველა სათოფურიდან ამ უთანასწორო შეტაკებისათვის თვალის დევნება. ქალაქის მხარეზე მყოფნი ხმაგაკმენდილი უყურებდნენ არტილერისტების იერიშს და როცა გაისმა: ერთი ტანკი განადგურებულია, დანარჩენები უკან იხევენო, — შვებით ამოვისუნთქეთ.

ქვემეხიდან პირველი გასროლის კვამლი ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო, რომ პოლკის საარტილერიო პარკსა და ჩვენს პოზიციას გერმანელებმა ნაღმები დააყარეს.

ჭურვები ამბრაზურებთან სკდებოდა, წივილით ფანტავდა წვრილ-წვრილ ნამსხვრევებს, მაგრამ თავდამცველები ზეიმობდნენ. ტანკის განადგურება დიდი ამბავი იყო ალყაშემორტყმული სიმაგრისათვის. მტერი ყოველ წუთს ჩვენს დამხობას ელოდა, აქ კი ახალ-ახალი იარაღი ჩნდებოდა, ახალი გმირები იბადებოდნენ.

დალეწილი ტანკი კარგა ხანს ეგდო ეზოში, შემდეგ გადაბმული ცეცხლის საფარქვეშ ბუქსირით გაათრიეს ფაშისტებმა.

არტილერისტებს ღია ადგილზე მოუსწრო დაბომბვამ. ტანკებს დადევნებული ზემდეგი ყუმბარის ნამსხვრევმა წააქცია. ლეიტენანტმა საჩქაროდ წამოაყენა და ორივენი გაშმაგებით მივარდნენ მძიმე ქვემეხს, რომ სანგარში შემოეთრიათ. ლეიტენანტმა მხარზე ჩამოკიდებული მოიყვანა ამხანაგი. მას მარცხენა მკლავზე მძიმე იარა აღმოაჩნდა. რამდენიმე წვრილი ნატეხი წვივსა და ბარძაყშიც მოხვედროდა, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურებოდა და სიხარულიც კი ეტყობოდა.

ყველანი გარს შემოვეხვიეთ, მივულოცეთ.

რამდენიმე წუთის წინ თითქმის არავინ იცნობდა, ახლა კი

გმირად თვლიდნენ. ასეთი თავდადება უკვალოდ არ იკარგება! არაფერი არ იწვევს ისეთ გულწრფელ თაყვანისცემასა და სწრაფ აღიარებას, როგორც გამბედაობა და თავდადება. იგი ალამაზებს ადამიანს როგორც საკუთარ, ისე სხვის თვალში.

გასისხლიანებული ზემდეგი თავდახრილი იდგა სანიტარ ქალთა შორის, რომლებიც კაბის ნახევებით სათუთად უხვევდნენ ჭრილობას. ეს უძინარი, შიმშილისა და ნერვიულობისაგან ილაჯგაწყვეტილი ადამიანები მზრუნველად ეკლებოდნენ თავს აფხაზავას, რომელსაც უსაზღვრო რისხვა და გამოლანძღობი მტკიცე გადაწყვეტილება აღბეჭდოდა სახეზე.

იარა რომ შეუხვია, ფერმკრთალმა, დასუსტებულმა ფეხშალმა ქალმა პანტელეიმონი სარდაფის ყველაზე სიბნელეში თავშესაფარში მიიყვანა დაჭრილებთან და სთხოვა, ფარაჯის ნაგლეჯებისაგან მომზადებულ ლოგინზე მოესვენა.

აფხაზავამ იუკადრისა და სამარქაფოდ შესახული იარაღისაკენ გაიწია. მებრძოლთა ნახევარზე მეტი, რომელთაც ხახელ-დახელოდ ჰქონდათ შეხვეული ჭრილობები, გაშმაგებით იბრძოდნენ, მაგრამ კარგი არტილერისტი მაინც ძვირად ფასობდა ასეთ დროს და არ უნდოდათ აფხაზავას გამვება სარდაფიდან; უკმაყოფილო ზემდეგი დაჯაგულ წარბებს ქვემოდან დიდრონ თვალებს აბრიალებდა, მოუსვენრობდა და ბუზღუნებდა:

— რაღას უნდა მოვუცადოთ, ვითომ! ამ ჯურღმულში რას ველოდო?..

გამძვინვარებული პანტელეიმონის დაკავება ვერავინ შეძლო, გარეთ გავარდა და საყდრის იერიშზე მიმავალ ჯგუფს შეუერთდა.

სათოფურიდან გავყურებდით სასპორტო მოედანზე გაშ-

ლილ რაზმს. წელში მოხრილნი მიიწევდნენ წინ. რაღაც წინაგრძნობით შეუცდომლად ატყობდნენ, სად დაეცემოდა ჭურვი და მაშინვე მიწას ეკვროდნენ. ხიშტმომარჯვებულ აფხაზავას დაჭრილი ხელი ჯანსაღისათვის შეეშველებინა და მძლავრად უჭერდა ცივ რკინას, წელში გამართული გარბოდა საყდრისაკენ და პირველი შეიჭრა მრგვალ კარებში, მტრის მეავტომატეები რომ იცავდნენ.

ნათქვამია, გამბედავს ბედი სწყალობსო: აფხაზავა ამ იერიშსაც გადაურჩა, უვნებელი დაბრუნდა ეკლესიიდან, მაგრამ ახლა წინანდელზე უფრო პირქუში და მიუკარებელი ჩანდა.

იმ დღეს ჩრდილოეთ კუნძულზეც გაჩაღებულიყო სატანკო ბრძოლა. გავრილოვს კარიბჭეში შემოჭრილი ტანკების მოსპობა მეზენიტეებისათვის დაევალებინა. ერთ-ერთი მძიმედ დაჭრილი ლეიტენანტი თურმე შეუსვენებლივ უშენდა მტრის მანქანებს. მეწინავე ტანკი, მან რომ დააზიანა, შესასვლელ გვირაბში გაჭედილიყო და დანარჩენებისთვის გზა გადაეკეტა. ლეიტენანტი უთანასწორო ბრძოლაში დაეცა.

გავრილოვმა დაავალა შტაბის უფროსს, კაპიტან კასატკინს, გაეფორმებინა ბრძანება დაღუპული ლეიტენანტის წარსადგენად საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე.

ბრძანება გაუფორმებიათ, მაგრამ დაკარგულა და ახლა ლეიტენანტის გვარიც უცნობია.

ექამდე უცნობად იხსენიებოდა ზემდეგი აფხაზავაც, რომელმაც პირველი ტანკი მოსპო ბრესტის სიმაგრეში.

აღარ მახსოვს როდის მოხდა ეს ამბავი.

გერმანელები ყველა სახის იარაღიდან გვიშენდნენ. მოედანი გაყრუებული იყო ტყვიის ზუზუნით, ნამსხვრევების წივილით.

ასეთ დროს შემოტევას არ ველოდით და ძალიან გაგვიკვირდა, მეთვალთვალემ რომ დაიყვირა, „ვიღაც მოდისო“.

უცნობს მრგვალი ყაზარმის ნანგრევებთან მოვკარი თვალი. იგი ერთ წამს შედგა, მოედანი შეათვალიერა და დაურიდებლად წამოვიდა ჩვენკენ. იარაღი არ ჰქონდა, ტიტველი იყო. მხოლოდ მოკლე საბანაო ტრუსები ეცვა. ამ საშინელ გაგანიაში ასე მშვიდად მომავალი კაცი შეშლილი გვეგონა.

შუა გზაზე შედგა; ნანგრევებიდან რაღაც აიღო და გულგრილად დაუწყო სინჯვა.

გარეთ თითის გაყოფაც არ შეიძლებოდა, ეს მაღალი, ზორბა ვაჟკაცი კი არხეინად მოაბოტებდა და უვნებლად მოადგა სარდაფს.

ახალმოსული მესაზღვრე აღმოჩნდა. შაბათ საღამოს დასავლეთ კუნძულზე მდგარა გუშაგად. მტერი რომ შემოიჭრა, რამდენიმე ამხანაგთან ერთად ბეტონის პატარა მღვიმეში გამაგრებულა. ფაშისტებს ალყა შემოურტყამთ, მაგრამ არტილერია ვერ გამოუყენებიათ, რადგან ყუმბარებს ამაღლებული მიწის ზედაპირი იკავებდა, ქვეითები კი ახლო მანძილზე ვერ მოდიოდნენ საფართან.

— ტყვია-წამალი რომ გვქონდეს, დიდხანს გავუძლებთ, — გვითხრა მესაზღვრემ. — თქვენი სარდაფებიდან ისეთი ცეცხლია გაჩაღებული, გეგონება მაშველი ნაწილები იყვნენ მო-

სული. ამხანაგებმა „ღრმა ზურგში“ გამომგზავნეს ვაზნებისთვის.

მესაზღვრეს ვუსაყვედურეთ, რომ ასე გაუფრთხილებლად გადმოიარა მოედანი. მან ცივად მოგვიგო:

— თავი დამანებეთ, თუ ძმა ხარ! ბევრი ყოყმანი კაცს წაახდენს. ტყვია ტახტის ქვეშაც გიპოვის და დამიჯერეთ, იქ უარესია... სამი დღეა ცეცხლში ვართ, მაგრამ თითიც არ გაგვაწვრია.

აღარავინ შესიტყვებია, რადგან ეს გრძნობა ყველა მებრძოლისათვის ნაცნობი და გასაგებია. მებრძოლში არის ცოტა ბედისწერის რწმენა, ცოტა თავდაჯერება და ძალზე ბევრი გამბედაობა. რაკი გადარჩი ერთხელ, ორჯერ, ათჯერ... გადაურჩი ყუმბარას, ტყვიას, რატომღაც გგონია, რომ ველარაფერი მოგერევა.

მცირე მარაგიდან მესაზღვრეს ნახევარი ყუთი ვაზნა და რამდენიმე ხელყუმბარა მივეცით. მაგრამ უკან გაბრუნება ჯერ არ შეიძლებოდა, — მუხავეცის ნაპირი ცეცხლში გახვეულიყო, მეორე მხარეზე ბუზიც ვერ გაფრინდებოდა. საჭირო იყო დაცდა, მით უფრო, რომ მესაზღვრე ახლა ხელცარიელი აღარ იყო, მძიმე ტვირთი უნდა გადაეტანა წყალგაღმა.

ახალმოსულმა ზუსტად გაგვაგებინა, საიდან გვიტევდნენ მტრის ნაწილები, სად იმყოფებოდა მათი სამეთაურო პუნქტი და ქვემეხები. მესაზღვრეთა თვალს არაფერი გამორჩენოდა, მიუდგომელ მღვიმეში გამომწყვდეულებს ფხიზლად ედევნებინათ თვალყური მოწინააღმდეგის მოძრაობისა და განლაგებისათვის.

ბოლოს დასძინა, კარგი იქნებოდა ერთი ნაღმსატყორცნიც გვქონოდა. შვეული ცეცხლით ძირფესვიანად მოვთხრიდით მტრის საცეცხლე წერტებსო.

ომის წინ ნაღმსატყორცნები ბლომად გვქონდა, მაგრამ ყაზარმაში ვინახავდით და ნანგრევებში ჩაილეწა. პირველ დღეს იქ ვერაფერი ვიპოვეთ, ხოლო შემდეგ აღარავის უფიქრია ამაზე. ახლა კი ისევ დავფაცურდით, რადგან გარდუვალი საჭიროება ჯიუტი მაძიებელია.

ასათიანმა მთელი ათეული შეუსია ნანგრევებს; თვითონაც გაჰყვა და ვერც მესაზღვრე მოიცილა. ისინი დიდხანს ჩიჩქნიდნენ ასეულის ყოფილ სადგომს და ერთგან დაშლილი ნაღმსატყორცნის ნაწილებს წააწყდნენ. დიდი გაჭირვებით შეაგროვეს დაჟანგული, გაღუნული, მიწით ამოვსებული დეტალები, შემოზიდეს სარდაფში და რამდენიმე საათს წვალობდნენ, სანამ ამ დაზიანებული ნაწილებისაგან ბატალიონის ნაღმსატყორცნს აღადგენდნენ. ნაღმებით სავსე ყუთი აქამდე უსარგებლოდ იდგა სარდაფის ერთ კუთხეში.

დაბომბვა კვლავინდებური გააფთრებით გრძელდებოდა, როცა ასათიანმა, აფხაზავამ, მესაზღვრემ და რამდენიმე სხვა მებრძოლმა ნაღმსატყორცნი ცენტრალური შესასვლელის მაღლა აათრიეს და ღია პოზიციაზე დადგეს.

სიმწრით შეკეთებული იარაღი იქაც გაჭირვეულდა, ხან ნაღმი არ ჩადიოდა ლულაში, ხან სამიზნე ნიშანს არ იღებდა. მაგრამ მაინც არ მოეშვნენ და ნაშუადღევს ნაღმსატყორცნმა პირველად დაიქუხა, პირველი ჭურვი გაგზავნა ბუგს გაღმა. ამის შემდეგ ერთგულად გვიწევდა ბომბდამშენის მაგივრობას. ჩვენი ნაღმები მრგვალი ყაზარმის თავზე მიფრინავდა და სასტიკად სჯიდა უშიშარ ადგილზე ჩასაფრებულ მტერს. მალე შევიტყვეთ, რომ ამ იარაღმა დიდი ზარალი მიაყენა გერმანელებს. რამდენიმე ჭურვი მტრის სამეთაურო პოზიციაზე აფეთქებულიყო, ერთი-ორი ქვემეხს დასცემოდა და მთელი გათვლა გამოეყვანა მწყობრიდან.

როცა მოწინააღმდეგის თვითმფრინავმა ნაღმსატყორცნის ადგილმდებარეობა აღმოაჩინა და ყუმბარები დააყარა, გათვლამ ნანგრევებს მოაფარა იარაღი და ახალი პოზიციიდან გაწაახლა სროლა. მაგრამ გერმანელებმა ეს ადგილიც დაბომბეს და ჩვენები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ ნაღმსატყორცნი.

დაბინდდა თუ არა, მესაზღვრემ გუდა-ნაბადი აიკრა და სარდაფიდან გავიდა. არ ვიცი, მშვიდობით გააღწია თუ არა ციტადელიდან, მოახერხა თუ არა მდინარის გადალახვა, დახვდნენ თუ არა ამხანაგები მღვიმეში... იგი მხოლოდ რამდენიმე საათს იყო ჩვენთან, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ მოაბიჯებს ეს მაღალი, მზით დამწვარი, ტანშიშველი ზორბა ვაჟკაცი ტყვიით, ნამსხვრევებითა და ცეცხლით მოკირწყლულ მოედანზე. მოაბიჯებს მშვიდად, გულგრილად, წარბსაც არ იხრის. იქნებ არც იყო მისი მოქმედება სწორი, იქნებ საჭირო იყო სიფრთხილე, იქნებ ვალდებულიც იყო თავი მოერიდებინა ყურთან მოზუზუნე ნამსხვრევებისათვის და გადმოხტებულიყო სარდაფში, მაგრამ ის კი არასოდეს ღამავიწყდება, რა ზეგავლენა მოახდინა ჩვენზე მისმა გამოჩენამ: უფრო გაგვათამამა ყველა, უფრო აშკარად დაგვანახვა, რომ უშიშარს ტყვიაც გაურბის და საცა გგონია. ბელურა ვერ გაძვრებაო, ვეფხვიც გაეტევა.

ასევე შეუპოვრად იბრძოდნენ ჩვენთან მყოფი სხვა მესაზღვრეებიც; ამ მწვანექუდიანმა ჭაბუკებმა პირველი დარტყმა აგემეს მუხანათურად შემოჭრილ მტერს.

მახლობელ საგუშაგოზე ომის პირველ ღამეს ორი გერმანელი ჯაშუში შეიპყრეს. დაკითხვის შემდეგ მსტოვრები საკანში მოათავსეს და მცველი დაუყენეს. სულ მალე მტერმა სა-

ზღვარი ჯადმოლახა. მეავტომატეები საგუშაგოს მოადგნენ. მესაზღვრე-მცველი თავგამეტებით იგერიებდა მოიერიშეებს. დაპატიმრებულმა მსტოვრებმა რომ გაიგეს, გერმანელები მოდიანო, საკანში ღრიანცელი ატეხეს, აქ ვართ დამწყვდეული, დაგვიხსენითო. წაქეზებული ჰიტლერელები გაშმაგებით მიიწევდნენ საკანისაკენ. ამასობაში მესაზღვრეს ვაზნები შემოელია და როცა დარწმუნდა, რომ მტერს ვეღარ შეაჩერებდა... შემოჭრილ ფაშისტებს სამი გვამი დახვდათ.

ვინც ერთხელ მაინც მდგარა საბჭოთა საზღვარზე, ადვილად გაიგებს ამ ადამიანთა გულისთქმას!.. სასაზღვრო ზონაში ახლა ყველანი ისე ვგრძნობდით თავს, როგორც ალყაშემორტყმული გუშაგი პოსტზე, როცა ერთი ვალდებულია ასს გაუმკლავდეს...

...უფროსი მზარეული დიდხანს ვერ გავაჩერეთ სარდაფში. ხან სასურსათო საწყობის ნანგრევებში გაგვეპარებოდა, იქნებ კიდევ ვიპოვო რამეო, და, ზოგჯერ, დახანძრული კონსერვის ქილითა და შერუჯული შაქრის ნატეხებით ბრუნდებოდა. ხან წყლისთვის გარბოდა და როცა ცარიელი კარდალით მოდიოდა, უკან, დარცხვენილი თვალს ვეღარავის გვისწორებდა.

სურსათის მცირე მარაგი მალე გამოელია, „დროებითი საწყობის“ ყარაულობა მობეზრდა და, ბოლოს, საყარაულოც რომ აღარაფერი დარჩა, მზარეული მესაზღვრის მიერ გადამალულ ნაღმსატყორცნთან მივიდა და შეკეთება დაუწყო. მაგრამ იმ ადგილას მტერმა ისევ დააყარა ყუმბარები და იმ წუთიდან მზარეულიც გაქრა. „ყუმბარა დაეცაო“, — თქვეს.

ასეთი სიკვდილი სანატრელად მიაჩნდა ყველას. მხოლოდ დაჭრა იყო საშინელება. დაჭრილების საქმე ცუდად მიდიოდა.

მძიმედ დაშავებულნი სისხლის მოწამვლით იხოცებოდნენ, ხოლო წყურვილს სიგიჟემდე მიჰყავდა ყველა.

სიზმარში თუ ცხადში წყალი გველანდებოდა. ბურანში ვხედავდით წყალუხვ მდინარეებს, ტბებს, თვალუწვდენ ოკეანეებს და ზმანებას თავს რომ დავაღწევდით, არც მდინარე იყო სადმე, არც ოკეანე — მშრალი ენა მიჰკვროდა სასას.

მძიმედ დაჭრილი სიკვდილს ამჯობინებდა ასეთ წამებას.

— მშვიდობით, ამხანაგებო! შური იძიეთ! — ხშირად ისმოდა დაჭრილთაგან. ამ სიტყვებს მოჰყვებოდა სროლა. მაგრამ ზოგს თავის მოკვლის ძალაც არ ჰქონდა, იარაღის აწევაც არ შეეძლო.

მტერმა იცოდა, რომ ასეთ პირობებში დიდხანს გაძლება შეუძლებელი იყო და ათასგვარ ხრიკს იყენებდა სიმაგრის გასატეხად.

ერთხელ სათოფურს პატარა გოგონა მოადგა. ეზო ცეცხლში იყო გახვეული და ბავშვი სასწრაფოდ ჩამოვიყვანეთ სარდაფში. ზოგიერთებმა მაშინვე იცნეს ჩვენი პოლკის მუსიკალური ოცეულის ზემდეგის, ივანე ზენკინის, თორმეტი წლის ქალიშვილი ვალია.

ფაშისტებმა ის დედასთან ერთად დაატყვევეს, მაგრამ მშობლებს მაშინვე ჩამოაშორეს და სიკვდილს მუქარით ჩვენთან შემოგზავნეს. გერმანელები წინადადებას გვაძლევდნენ, იარაღი დაგვეყარა.

პოტაპოვმა ყურადღებით მოუსმინა ვალიას და ურჩია, დედასთან გაბრუნებულიყო, მაგრამ გოგონამ სარდაფში დარჩენა ამჯობინა და ბოლომდე იბრძოდა სხვა ბავშვებთან ერთად.

ცეცხლი სიმაგრის მთელ ტერიტორიაზე მძვინვარებდა. ამ დღეს ჩრდილოეთ და ცენტრალურ ხერთვისებზე ხელჩართული ბრძოლებიც გაჩაღდა. ჩრდილოეთის სამთაღოვან ალაყაფთან სისხლისმღვრელი შეტაკება დაიწყო. 84-ე პოლკი მედგრად იცავდა ამ მნიშვნელოვან უბანს და ფაშისტებს დიდი ზარალი მიაყენა.

ამავე დროს, გერმანელებმა კვლავ შემოუტიეს ტირასპოლის კარიბჭეს, სადაც პირველი წუთიდანვე ცდილობდნენ გაბატონებას. მაშინ ჩვენმა ტყვიამფრქვეველებმა ცეცხლის ჯებირებით გზა გადაუღობეს მოიერიშეებს და ისინი იძულებული გახდნენ სხვა უბანზე მოესინჯათ ძალა. ამ რამდენიმე დღეში ფაშისტები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ციტადელს ვერ ალებდნენ, თუ დასავლეთ კუნძულიდან არ გაარღვევდნენ კარიბჭეს. მოულოდნელი დავდასხმით მოპოვებული წარმატებები მტერს ხელიდან ეცლებოდა. ჩვენ კი ახალ-ახალ პოზიციებს ვეუფლებოდით. მოწინააღმდეგეს გადაეწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ჩარხი თავისკენ შემოებრუნებინა.

ამიტომ გაგვიკვირდა, ნაშუადღევს მზვერავებმა რომ გვაცნობეს — გერმანელები ციხე-სიმაგრეს ტოვებენო.

საარდაფიდანაც შევამჩნიეთ ეს.

აქამდე ჩუმად ჩასაფრებული მტრის დანაყოფები თითქმის აშკარად გარბოდნენ გაღმა. მიდიოდნენ მეავტომატეები, მენაღმეები, საგულდაგულოდ შენიღბული მზვერავებიც კი. ვხედავდით, როგორ გროვდებოდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად, როგორ უახლოვდებოდნენ მუხავეცს. ეს იყო დაბნეული, მოულოდნელი უკანდახევის სურათი. სულ ქვემოთ, რკინიგზის

ხიდთანაც შევამჩნიეთ, რომ თავდამსხმელები ნავტიკებით გადადიოდნენ ბუგზე. „მაშ, იქიდანაც ემუქრებათ რაღაც საფრთხე!“ — ვფიქრობდით ჩვენ. „ყველაფერს ტოვებენ, გარბიან. ჩანს, ვიღაც მოსდევთ“.

რაც გულით გვსურს, მუდამ ადვილად ვიჯერებთ. ასე მოხდა ახლაც: ერთ წამში მთელ სარდაფს მოედო აღფრთოვანებული შეძახილები:

— ჩვენები მოდიან, ჩვენები!

— ფაშისტები ალყაშემორტყმული არიან, საბჭოთა ტანკები მოადგნენ ბუგს!

— გარბის გარეწარი!

— აჰკუწე!..

— არ გაუშვათ!..

აზავთდა, აბობოქრდა სარდაფი. ყველამ იარაღს წამოავლო ხელი. მძიმედ დაჭრილებიც ახმაურდნენ, აყვირდნენ... მომაკვდავნიც კი ფეხზე წამოდგომას ლამობდნენ. აღარავინ ითხოვდა წყალს, აღარ ისმოდა გოდება, მუდარა: „მესროლეთ, ღვთის გულისათვის!“ ყველას უნდოდა სიცოცხლე.

— ჩვენები მოდიან!

— დასცხეთ მტერს!

მთელი სარდაფი ერთ მძლავრ მუშტად შეიკრა. ათასმა ფიქრმა, მოგონებამ და ოცნებამ გაიელვა ერთ წამში. გამარჯვების იმედმა აღგვაფრთოვანა და ეჭვისთვის ერთი ბეწო ადგილიც აღარსად დარჩა. ან ვინ გაბედავდა იმ საზეიმო წუთებში დაეჭვებას! საკუთარი თვალით დანახული ხომ უფრო გვჯეროდა, ვიდრე მოსმენილი ან დაწერილი.

სასწრაფოდ ამოვირბინეთ სარდაფიდან და მუხავეცის ნაპირისაკენ გავქანდით. ყველაზე ძლიერ ჯგუფს გავყევით ტი-

რასპოლის კარიბჭისაკენ. ჩემთან იყვნენ: ასათიანი, პ. აფხაზავა, ი. ჯარიაშვილი, პ. გიბიშვილი, გ. გერასიმენკო და ათობით სხვა მებრძოლი. ზოგს ავტომატი მოემარჯვებინა, ზოგი ხიშტს ალაპლაპებდა, ზოგი ტყვიამფრქვევით მიიწევდა წინ.

სარდაფში დარჩნენ თავდაცვის შტაბი, დაჭრილები და ქალები. პოტაპოვმა ძლივძლივობით მოახერხა სათოფურებთან და ჩასასვლელებთან მეთვალყურეების დატოვება.

ერთი ამოსუნთქვით შემოვუარეთ პირველი ბატალიონის ყაზარმას, გადავირბინეთ შუაგამყოფი ქუჩა, მრგვალ ყაზარმასთან გავედით და მტრის ჩამორჩენილ ნაწილს, ნავში ჩაჯდომას რომ ელოდა, მუხავეცის ნაპირზე მივუსწარით.

ფაშისტების დანახვაზე შევძახეთ:

— ურაააა! ااا! ااا!

მრისხანე ყიჟინითა და აელვარებული ხიშტებით მეხდაცემული გერმანელები მდინარეში შეცვივდნენ, მაგრამ ჩვენც ფეხდაფეხ შევყევით და ხელჩართულ ბრძოლაში ამოვყლიტეთ.

ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. ასე რომ, მეორე ნაპირიდან მტერმა ვერ შეძლო კარიბჭესთან დახელთებული რაზმის გადარჩენა.

შეტაკების შემდეგ ყველანი მუხავეცის ნაპირზე შევგროვდით. რაღაც უცნაურად ვიყავით აღგზნებულნი. იმ სიხარულის მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია.

ანგარიშმიუცემლად ვჩოჩქოლებდით. არ ვიცოდით, რა გვეჭნა. მაშინდელი ჩვენი განწყობილება და ლაპარაკი ისე მიამიტი იყო, რომ გადმოცემაც მიჭირს.

— გაიხედეთ რკინიგზის ხიდისაკენ! დიდი ამბავია! — ყვიროდა ერთი.

— აფუსფუსდნენ, ერთად გროვდებიან.

— გარბიან... გარბიან...

— ჩანს, სადღაც ახლოს ჩვენებმა ბუგი გადალახეს! ამ ავაზაკებს ეშინიათ, გარემოცვაში არ მოვხვდეთო და გარბიან.

— ტყუილა კი არ გვემუქრებოდნენ რადიოთი, დაგვნებდითო. ეტყობა, იცოდნენ, რაშიც იყო საქმე და ჩქარობდნენ.

— ესენი უმიზეზოდ არ გაიქცეოდნენ... ურტყამენ ჩვენები, ურტყამენ, ძმაო!..

— დავეწიოთ!

— ჰკა მაგას!

ყველას მოედო წინსვლის, შეტევის დაუოკებელი ცეცხლი.

მტერი აშკარად თავს არიდებდა ბრძოლას. ჩვენი ტყვიამფრქვევების ჯერს ერთი გასროლითაც არ პასუხობდა.

თავდამცველთა ჯგუფები კი ამ დროს მდინარესთან მიიჭრნენ და აფუსფუსდნენ. ყველას უნდოდა მალე გადაეცურა საზღვარი, პირველი შეჭრილიყო მტრის ტერიტორიაზე, იქ შეგებებოდა ჩვენს ნაწილებს. მაგრამ ტირასპოლის ხიდი ჯერ კიდევ ჩაკეტილი ჰქონდა მტერს და მოწინააღმდეგის ზურგში შეღწევა მხოლოდ ბუგის გადაცურვით შეიძლებოდა. ამიტომ ათობით იარაღშემართულმა მებრძოლმა მდინარეში შეტოპა. ცალ ხელში ავტომატი ეჭირათ, მეორეთი კი ტალღებს მიაპობდნენ.

გარკვევით დავინახეთ, როგორ გადავიდნენ ისინი მტრის მიერ დაპყრობილ ნაპირზე და ბუჩქნარს შეერივნენ.

დარჩენილებმა ათასგვარი შეკითხვები დამაყარეს. ახლა ყველაფერი აინტერესებდათ, რამდენ ხანს გასტანდა ომი, რა ბედი ეწეოდა დამარცხებულ გერმანიას, რა სასჯელს მიიღებდა ასეთი ვერაგული თავდასხმისათვის ჰიტლერი.

სხაპასხუპით ვპასუხობდი ჩემ გვერდით მდგომ შეჭაღარა-ვებულ ბელორუსს, მხარზე ხელს ვუთათუნებდი და სიხარუ-ლისაგან ვხარხარებდი. თუმცა სადღაც, სულის სიღრმეში, ვგრძნობდი, რომ ამ სიცილში იყო რაღაც არაბუნებრივი.

ის იყო კარიბჭეზე იერიშისთვის გავემზადეთ, რომ კვლავ ჩამოინგრა ცა, კვლავ იგრიალა ბუგს გაღმა ნაპირმა და ცეცხ-ლის ტალღა დაეძგერა სიმაგრეს.

გვიანღა მივხვდით, რომ მოწინააღმდეგის სარდლობამ გა-ნზრახ გაიყვანა თავისი ნაწილები და ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა, თითქოს უკან იხევდა. ამით მან ორი კურდღელი დაიჭირა: ჯერ ერთი, სარდაფიდან ღია ადგილზე გამოგვი-ტყუა და მეორეც, სიმაგრის დაბომბვა გაიადვილა.

საქმე ის არის, რომ აქამდე ჩვენი და მტრის პოზიციები ერთმანეთში იყო შეჭრილი და გერმანელებს ეშინოდათ და-ბომბვის დროს საკუთარი ნაწილებიც არ დაეზიანებინათ. ახლა, რაკი თავიანთი ძალები წყალგაღმა გაიყვანეს, უფრო მოურიდებლად შეეძლოთ დაებომბათ სიმაგრის ყოველი კუნ-ჭული. ასეთი ხანგრძლივი ცეცხლი აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ, რადგან ჩვენი ნაწილების განლაგება მათთვის ბო-ლომდე ამოუცნობი დარჩა.

მტრის სარდლობა ჩქარობდა, მისი აზრით, სიმაგრისთვის ბრძოლა გაჭიანურდა. გერმანიის ტანკები სწრაფად მიიწევ-დნენ სმოლენსკ-მოსკოვის მიმართულებით. არმიას, ავიაციას, არტილერიასა და ქვეით ჯარს ახალ-ახალი ძალა ესაჭიროებო-და შეტევის გასავითარებლად და ზურგის გასამაგრებლად. ამიტომ იმ გადამწყვეტ დღეს ბრესტში ავიაციის დამატებითი შენაერთები გამოიწვიეს. ბელორუსიის ფრონტზე მიმავალი უმაღლესი სარდლობის არტილერიის ორი პოლკიც გზიდან

დააბრუნეს და დროებით აქ განალაგეს. მტრის გეგმით, უსიამოვნო გარემოცვა ერთი მძლავრი დარტყმით უნდა დამთავრებულიყო.

ციხე-სიმაგრის ზემოთ ცა შავი სვასტიკებით დაიფარა. სეტყვასავით წამოვიდა მძიმე ბომბები. ეს შემოტევა ჩვენთვის ისევე მოულოდნელი იყო, როგორც პირველი თავდასხმა.

დაფეთებულნი წამოვიშალეთ. თავპირისმტვრევით მივირბინეთ მრგვალ ყაზარმასთან და სარდაფში დაბრუნება ვცადეთ. მაგრამ გზა გადაჭრილი აღმოჩნდა. ფართო ქუჩას მტერი ბომბითა და ყუმბარით ხნავდა, რომ თავშესაფარში არ ჩავეშვით და ღია ადგილზე ამოვეყლიტეთ. ამიტომ ჭურვები ნამეტნავად ჩვენს პატარა მონაკვეთს ურტყამდა მუხავეცის ნაპირსა და სარდაფს შუა. გზას რომ მივაწყდით, გამუდმებულმა ჩამკეტმა ცეცხლმა პირველი ათეულები ჰაერში აიტაცა და დაფლითა. ღია ცის ქვეშ დარჩენილნი ამას არ ერიდებოდნენ, გადარბოდნენ საბედისწერო გზაზე და უმრავლესობა იქვე იღუპებოდა. მხოლოდ ზოგიერთი ასწრებდა იმ საშინელი სიკვდილის ზღურბლზე გადარბენას, მაგრამ ჩვენ ვეღარ ვხედავდით, აღწევდნენ თუ არა ისინი სარდაფამდე, რომლის ჩასასვლელები და სათოფურები მტერს განუწყვეტელი ცეცხლით დაეხშო. ორმოებით სავსე გზა მოფენილი იყო ერთმანეთში ათქვეფილი კაცისა და ცხენის ნაფლეთებით.

ფიქრის დრო აღარ იყო, გაუღწეველი გზიდან პირი ვიბრუნეთ და გავიფანტეთ მრგვალი ყაზარმის ნანგრევებში, სადაც საჯინიბოები იყო მოთავსებული.

ამ შენობას არ ჰქონდა ღრმა სარდაფები. ახლა, ალაგ-ალაგ სახურავი მთლად გადაგლეჯოდა; აგურის კედლები ზოგან ჩამონგრეულიყო, ზოგან გარღვეულიყო და ყუმბარისა თუ ბომბის ყოველ აფეთქებაზე ტორტმანებდა.

რამდენიმე მებრძოლთან ერთად, რომელთა შორის ხანში შესული ბელორუსი ჯარისკაციც იყო, აზრმიუცემლად ავიჭერი მეორე სართულზე, იქ ნიშისმაგვარ რაღაც ამონაშენს ამოვეფარე და ასე, თითქმის ღია ცის ქვეშ სულგაკმენდილი ვუსმენდი ყუმბარების გაუთავებელ გრუხუნს. რაღაც ალღოთი ვგრძნობდით, რომელი ყუმბარა ან ბომბი დაეცემოდა ჩვენს ყაზარმას, რომელი აფეთქდებოდა გზაზე, რომელი დაანგრევდა კედელს, რომელსაც უმწეოდ ვეკვროდით.

მინდოდა მომეგონებინა ყველაზე ლამაზი, ყველაზე კარგი რამ ჩემი ცხოვრებიდან, მაგრამ არ შემეძლო. მსურდა გამეხსენებინა მშობლიური სოფელი, დედა, ძმები, მაგრამ აზრი არ მემორჩილებოდა. „მორჩა!“ „მორჩა!“ — ჩამძახოდა იდუმალი ხმა, აღარაფერზე შემეძლო ფიქრი. მხოლოდ უაზროდ ვითვლიდი: ერთი... ორი... სამი... ათი... ასი... რამდენიმე საათი გავიდა ასე, ბომბებისა და ყუმბარების გრიალი წუთითაც არ ცხრებოდა. ახლა უკვე ვეღარც ვითვლიდი... ბელორუსი ჯარისკაცი ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდა:

ვიღაც კი ბუზღუნებდა:

— სიკვდილია ბრძოლაში უკავშიროდ ყოფნა!.. თითქოს ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავ, და მაინც არ იცი, რა ხდება შენს ირგვლივ.

როცა არტილერიის ცეცხლმა მუხავეცის ნაპირიდან ოდნავ წინ გადაინაცვლა, მცირე შვება ვიგრძენით. იმავ წუთს ქვემო სართულზე დაიყვირეს:

— ამხანაგებო! ხსევ მოძვრებიან!..

აშკარა იყო, ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლს ყველა ვერ მოედრიკა. გრძელი ყაზარმის სხვადასხვა ადგილას შეფარებული წვრილ-წვრილი ჯგუფები თვალყურს ადევნებდნენ მტრის

ნოძრაობას. მათ შეამჩნიეს, რომ ტირასპოლის ხიდიდან ფაშისტები კოშკურაზე გადმოვიდნენ, მრგვალ ყაზარმას გამოჰყვნენ. გერმანელები ნახანძრალზე მოაბიჯებდნენ, ცეცხლი სულ სიღრმეში გამოდიოდა და ისინი მის ნაკვალევს მოსდევდნენ.

— იერიშზე! — გაისმა ვიღაცის გაოფთრებული ხმა.

ფიცხლავ. ყველა კუნჭულიდან გამოცვივდნენ იარაღმომარჯვებული დამცველები, ბურანში მყოფნი მიიწევდნენ ტირასპოლის კარიბჭისაკენ და ყაზარმის ბოლოში კვლავ დაიწყო ჩეხვა, ყვირილი, ტყვიის წივილი, გოდება.

ბომბებისა და ყუმბარების გრიალს ისევ შეერია შემზარავი „აა!“, „ააა!“, „ურაააა!“..

მტრის მეავტომატეებმა ვერც ახლა შეძლეს დაეკავებინათ საწყისი პოზიციები საყდარზე იერიშის მისატანად და უკან დაიხიეს. უფრო მეტიც. წინანდელი პოზიციაც დაკარგეს, რადგან მრგვალ ყაზარმას ჩვენ დავეპატრონეთ.

ბომბებისა და ყუმბარების ცეცხლმა ჯერ მუხავეცის ნაპირისაკენ დაიწია, და მერე ერთი მოსხლეტით შეწყდა.

გაირინდა შემოგარენი.

სულს. სსეულს გაღარჩენის სიხარული დაეუფლა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. მყუდროება გაკვეთა რეპროდუქტორის მჭახე ხმამ:

— თქვენი მდგომარეობა უნუგეშოა. ჩვენმა ჯარებმა ასეული კილომეტრით უკან ჩამოიტოვეს საზღვარი და ძლევამოსილად მიიწევენ მოსკოვისაკენ. თქვენ ალარავის ახსოვხართ. არავინ იცის თქვენი ამბავი. რისთვის იბრძვით. რა მიზანი გაქვთ? განწირულნი ხართ ყველა! ღიად ვტოვებთ ტირასპოლის ხიდს, შეგიძლიათ დაუბრკოლებლივ გადმორბენა! დრო — ათი წუთი. ვადის გასვლისთანავე განვაახლებთ ცეცხლს! სი-

მაგრეში არავინ გადარჩება ცოცხალი, უაზროდ ნუ იღუპავთ თავს!..

გულში ახალი ძალით იფეთქა რისხვამ, სიძულვილმა. საკუთარი თავიც მეზიზღებოდა იმ დროს. თავმოყვარეობა მტანჯავდა. ყოველთვის ჩემი თავის დიდი იმედი მქონდა. ოდნავ რომ გავეკენწლე ვინმეს — შეგეშინდაო, ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა; ახლა კი თვითონვე ვგრძნობდი, როგორ ამიკანკალდა ქვედა ყბა... მტერი ახლა თითქოს ნიშნს მიგებდა, ჩემი ადამიანური სისუსტით სარგებლობდა. ამ მღვრიე და დაულაგებელმა ფიქრებმა რაღაც უცნაური გრძნობა გამოიწვია. ეს იყო ჯიუტობაც, სიკერპეც, შურისძიების წყურვილიც. ეს იყო სურვილი — დამესაჯა ისიც და ჩემი თავიც. გულში ვიმუქრებოდი: „აბა, მოდი! აბა, შეასრულე შენი მუქარა!“, „ვნახოთ, გავუძლებ თუ არა!“, „შევამოწმოთ, მართლა ჯაბანი ვარ, თუ ეს თრთოლა უნებური იყო!“ „ვნახოთ, ვინ უფრო ძლიერია, ჩემი ადამიანური სისუსტე თუ მე!..“

გადავხედე ამხანაგებს: კუშტი, ნებაგაუტეხელი, ჯიუტი სახეები ჰქონდათ... ის კი, გადამთიელი, მკაცრად და დამცინავად იმეორებდა: „ვადა ათი წუთი“... თითქმის მაშინვე დაადევნა:

„გავიდა ერთი წუთი!..“

„გავიდა ორი წუთი!..“

„გავიდა სამი წუთი!..“

რა სწრაფად გადის ეს დაწყევლილი დრო. სულ ცოტაც და, ცეცხლი განახლდება, ისევ წამოვა ცეცხლის ნიაღვარი, ისევ ატორტმანდება ყაზარმის დარღვეული კედლები, ისევ შემიკუმშავს გულს სიცოცხლის წადილი. კედლები კი ძლივს-

ღა დგას. ასე მგონია, პირველი აფეთქებისთანავე იგრიალებს და ქვეშ მოგვიყოლებს. სუნთქვა მეკვრის.

„გავიდა ცხრა წუთი!“ — ძლივს მესმის მესაფლავის სატანური სისინი:

„დარჩა ერთი წუთი!..“

ყველანი ტირასპოლის კარებისაკენ წავედით. კედელს მოვეფარეთ და ხიდი ნიშანში ამოვიღეთ. სულ ერთი იყო, საიდან გამოჩნდებოდა ავის მოსურნე — იქიდან აქეთ თუ აქედან იქით.

ხიდზე ჭაჭანება არ იყო. არც იქიდან გადმოდიოდა ვინმე, — არც აქედან.

„დარჩა ნახევარი წუთი!..“ — ერთხელ კიდევ დაისივლა იმედგაცრუებულმა, ზიზღით სავსე გადამთიელმა.

დიქტორის უკანასკნელი სიტყვები ათასობით ბომბმა და ყუმბარამ შემოაცილა სიმაგრეში. კვლავ შეინჯღრა და აზრიალდა შენობა, მაგრამ ჩვენ მოვასწარით ჩრდილოეთისაკენ უკანდახევა.

მტერმა დაპირება შეგვისრულა. მეტი გაბოროტებით დააცხრა სიმაგრეს.

მართალია, უფრო სუსტად, უფრო შორიდან, მაგრამ მაინც მესმოდა ის შემპარავი შინაგანი ხმა: „ჩამოინგრევა ეს შენობა და ნანგრევებში მოჰყვები! იქნებ, არც მოკვდე ერთბაშად, მაშინ?..“

მტრისადმი ზიზღს, შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას თავისი გაჰქონდა და გულში დაჟინებით ვიმეორებდი: „არა, აქედან არ წავალთ! აქ დავრჩებით!“

განუწყვეტელ ბრძოლაში მიიწურა ის საშინელი დღე.

მტერს სიამოვნებდა, რომ მრგვალ ყაზარმაში ამოგვკეტა. სარდაფში აღარ გვიშვებდა. მცირე პაუზის დროსაც, როცა რეპროდუქტორი თავს დაგვჩხაოდა, შუაგამყოფ ქუჩას თვითმფრინავები დარაჯობდნენ. ისინი განუწყვეტლივ სერავდნენ სივრცეს და ერთ კაცსაც რომ გაევლო, ტყვიამფრქვევის კაკანით მოსდევდნენ.

მოსაღამოვდა და დაბინდებასთან ერთად დაბომბვაც შეწყდა. იშვიათად, ნერვების ამშლელად თუ გაიშხუილებდა თითო-ოროლა ყუმბარა ან ნაღმი... მაგრამ ვგრძნობდით, უკვე ვძლიეთ იმდღევანდელი განსაცდელი.

გვიხაროდა, რომ დუშმანისათვის გოჯიც არ დაგვითმია. პირიქით, მათ მიერ დაკავებული პოზიციაც გამოვგლიჯეთ ხელიდან. საერთოდ, საღამოთი მუდამ უფრო იმედიანად ვიყავით, მდგომარეობაც ისე მძიმე აღარ გვეჩვენებოდა და მტერსაც ნიშნს ვუგებდით...

როცა ყუმბარებს თავზე გაყრიან, ფიქრობ, ქვა ქვაზე არ დარჩებაო, მაგრამ დამთავრდება თუ არა ბრძოლა, სიხარულით ამჩნევ, რომ კიდევ რაღაც გადარჩენილა, კიდევ არის სიცოცხლე, კიდევ შეიძლება შერკინება და რაღაც ველური ჟინით გინდა გაახელო მოსისხლე, ასე მოუთმენლად რომ მოელის შენს დაცემას.

დაღამდა. მტრის თვითმფრინავები მაინც დარაჯობდნენ გზაჯვარედინებს.

მრგვალ ყაზარმაში ორმოცამდე მებრძოლი დავრჩით. სხვები ან სარდაფში დაბრუნდნენ, ან ქუჩის გადარბენისას დაიღუპნენ. ზოგიერთმა ბუგი გადასერა, დასავლეთ კუნძულზე გავიდა და აღარ ვიცოდით მათი ამბავი. იქიდან მერეც გვესმოდა კანტიკუნტი სროლა. როგორც ჩანს, მესაზღვრეები

კიდევ იბრძოდნენ. შესაძლოა, მათ გაღმა გაბული ბიჭებიც შეუერთდნენ. ასე რომ, სარდაფი თითქმის ღრმა ზურგში მოექცა.

მრგვალი შენობა ტირასპოლის კარიბჭიდან საბრძოლო მასალის საწყობამდე — მთლიანად დავიკავეთ. გადამწყვეტ უბნებზე გუშაგები დავაყენეთ, რომ მუხავეცისა და ბუგის გამოღმა ნაპირისათვის ეთვალთვალათ.

მოგვიანებით ასათიანი დაუბრუნდა თავის ნაწილს. რამდენიმე ხნის შემდეგ იქიდან გამოგზავნილმა შეკავშირემ თავდაცვის შტაბის ბრძანება გადმოგვცა, რომ მრგვალ ყაზარმაში დავრჩენილიყავით, მდინარის ნაპირი და ტირასპოლის კარიბჭე დაგვეცვა, ხიდი ჩაგვეკეტა.

. გამთენიისას უფროსმა ლეიტენანტმა გორიაჩიმ გამომიძახა. ქუჩა გადავირბინე და სარდაფში ჩავედი. ერთი შეხედვით ეტყობოდა, გარნიზონი განახევრებულიყო.

— თავდაცვა შეუძლებელი გახდება, თუ სარდაფებში ჩავიკეტებით, — თქვა გორიაჩიმ. — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მტერი სარდაფებამდე არ მოვუშვათ, თორემ გვიანღა იქნება. პოლკის მთელი ტერიტორია ჩვენმა რაზმებმა უნდა დაიკავონ. ზემოთ, შტაბის შენობის ნანგრევებში, სნაიპერები დავაყენეთ; ორი ათეული მოტომექანიზებული ბატალიონის პოზიციებზე გავგზავნეთ; ერთი ოცეული ჩრდილოეთით — სანიტარული ნაწილის უბანზე გამაგრდა. თქვენც უსათუოდ უნდა შეინარჩუნოთ მრგვალი ყაზარმა ტირასპოლის კარიბჭიდან საწყობამდე. ძნელია, მაგრამ უსათუოდ უნდა შეინარჩუნოთ.

— შევინარჩუნებთ! — ვუპასუხე მე.

— თუ აუცილებელია, ერთ ოცეულსაც მოგაშველებთ.

— ჯერჯერობით აუცილებელი არ არის.

— გევალებათ: არ დაუშვათ ბუგზე დესანტის გადმოსხმა, მიზანში ამოიღეთ ტირასპოლის კარები და სარდაფები მუხავეცის მხრიდან დაიცავით. მაშველი ნაწილების იმედი აღარ გვაქვს. ომი, ალბათ დიდხანს გაგრძელდება... ზოგიერთი მოითხოვს, რკალი გავარღვიოთ და სიმაგრიდან გავიდეთ... არ ვიცი, როგორ მოვახერხებთ ამას! — ცოტა იჭვნეულად ჩაილაპარაკა გორიაჩიმ. — მე ვფიქრობ, ჩვენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აქ უნდა დავრჩეთ და მტერს რაც შეიძლება მეტი ზარალი მივაყენოთ, შევასუსტოთ მისი შემტევი ნაწილები!.. მაგრამ, შესაძლოა, გარღვევაც განვახორციელოთ... ამიტომ, თუ დრო მოიხელთოთ, ორიოდე სიტყვით აუხსენით მებრძოლებს, როგორ უნდა იმოქმედონ სიმაგრიდან გასვლის შემთხვევაში...

იმ დღეს ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იქნებოდა. მართალია, არ ვიცოდით, რა ხდებოდა ზურგში, დიდ მიწაზე, მაგრამ ვგრძნობდით, ომი დიდხანს გასტანდა და ჩვენც ხანგრძლივად მოგვიწევდა მტერთან გამკლავება.

ამიტომ, სიმაგრის სხვადასხვა ნაწილებიდან მეთაურები ცენტრალურ სარდაფში შეიკრიბნენ მოსათათბირებლად.

თათბირის მონაწილეებმა დაახასიათეს თავიანთ უბნებზე შექმნილი მდგომარეობა და ამოირჩიეს ერთიანი ხელმძღვანელობა. სიმაგრეში მებრძოლი ნაწილების მეთაურად დაინიშნა 44-ე პოლკის კაპიტანი ზუბაჩევი, ძველი კომუნისტი, სამოქალაქო ომის მონაწილე, პოლიტიკურ დარგში მის მოადგილედ — პოლკის კომისარი ფომინი, ხოლო შტაბის უფროსად — უფროსი ლეიტენანტი სემიონენკო, რომელმაც აფხა-

ზავასთან ერთად გაანადგურა ციტადელში შემოჭრილი მტრის ტანკები.

საშუალო მეთაურებს დაევალათ მეომართა აღრიცხვა და ოცეულებად დაყოფა.

ეს იყო № 1 ბრძანება, ქაღალდის ნახევებზე რომ ჩაწერა ლეიტენანტმა ვინოგრადოვმა. ბრძანების მიზანი იყო ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნა და შეთანხმებული მოქმედების ორგანიზაცია.

თათბირი ბოლომდე აღარ დასცალდათ. როგორც კი დაბომბვა შეწყდა, მტრის მეავტომატენი იერიშზე გადმოვიდნენ და მეთაურებმაც თავიანთ ნაწილებს მიაშურეს.

ბრძოლა გაცხარდა. მდგომარეობა ყოველ წამს იცვლებოდა. საჭირო ხდებოდა ძალთა სახელდახელო გადაჯგუფება.

ბრძანება ვერ შესრულდა, მაგრამ ციტადელის ცენტრში მაინც გარკვეული წესრიგი დამყარდა (ამ ბრძანების ფურცელი ომის შემდეგ სიმაგრის ნანგრევებში იპოვეს).

იმ ღამით წუთით არ მომიხუჭავს თვალი. გულში ათასმა ფიქრმა, ათასმა დავიწყებულმა წვრილმანმა გაიღვიძა. საამო იყო წარსულის ყოველი მოგონება, იმ მშვიდობიან დღეებში განცდილი ყოველი სიხარულიცა და წყენაც...

მდინარეს დროდადრო პროჟექტორის სინათლე სერავდა.

შუაღამისას ბექობიდან ვიღაც გადაეშვა წყალში. ჩქაფანი გაისმა და მუხავეცმა, ვით სანდო მოწმემ, ხმა გაკმინდა. დაუყოვნებლივ აკაკანდნენ „შმაისერები". ტყვიის სეტყვა გაკაპასებით უტყლაშუნებდა მდინარის ზედაპირს. წყვდიადს ისევ და ისევ კვეთდა ნისლისფერი შუქი, ტყვია ზუზუნით მიჰყვებოდა მას და ტყაპატყუპით ცვიოდა წყალში. ვიღაც მაინც მიაპობს ზვირთებს... იქნებ, გააღწიოს!..

ბურანში გაილია ის უძილო ღამე... სროლა მინელდა. მტერთან ახალი შეტაკების მომასწავებელმა დუმილმა დაისადგურა.

მეომრები გარინდებული დაჰყურებდნენ ტყვიამფრქვევებს.

ნათელი და ბნელი ომისა

მეორე დღეს გულდასმით დავათვალიერეთ მრგვალი ყაზარმა, სადაც ჩვენი რაზმი განლაგდა. ომამდე აქ საჯინიბოები იყო, პირველი სართულის თავლებში სხვადასხვა ნაწილის ცხენები ება და მათი მომვლელებიც აქვე რჩებოდნენ ხოლმე ღამით.

დაბლა არავინ შეგვხვედრია; მეორე სართულის მოფარებულ კუთხეებში თივის ზვინულები შევამჩნიეთ და საეგებიოდ გადავქექეთ. ერთ ადგილას რამდენიმე კაცს წავაწყდით, ბუჩოში მიმალულებს მშვიდად ეძინათ. დაჭრილები გვეგონა და ფრთხილად გამოვაღვიძეთ... ჯარისკაცები ზანტად წამოდგნენ და თავჩაქინდრულნი თვალს ვერ გვისწორებდნენ. დიდხანს ვეკითხებოდით, რას აკეთებდნენ აქ, მაგრამ ისე დაბნეულად პასუხობდნენ, რომ თითქმის ვერაფერი გავიგეთ.

— ჩავრჩით... ცხენებს ვყარაულობთ... — ამოღეჭა ერთმა.

— ჩვენები მოვლენ და დავახვედრებთ... — წაიბუტბუტა მეორემ.

— დასწყევლოს ღმერთმა, ისეთი გრუხუნია, ფეხს ვერ გადადგამ... — ცოტა დარცხვენით დაიკვნესა მესამემ.

მალე დავრწმუნდით, რომ ეს ჯეელები დარეტიანებული იყვნენ განუწყვეტელი დაბომბვისაგან და რაკი ახლოს მეთაური არ იყო, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ — აქ დარჩენილიყვნენ თუ დაეტოვებინათ ცხენები და სხვა ნაწილს შეერთებოდნენ. შვიდი დღე-ღამე გაეტარებინათ აქ ეჭმელუსმელთ, ჭერი თავს ენგრეოდათ, მაგრამ მშვიდად ეძინათ.

ცოტა შევახურეთ, მერე ორიოდე სიტყვით მდგომარეობა ავუხსენით და დაღუპულ ამხანაგთა ავტომატები მივეცით.

— ახლა მე ვუჩვენებ იმ წყეულებს! — გულგრილად ჩაილაპარაკა ერთმა და იარაღი ჩაბღუჯა. დანარჩენებს არაფერი უთქვამთ, მაგრამ იარაღს მაგრად ჩასჭიდეს ხელი. ეს ჯარისკაცები ბოლომდე დარჩნენ ჩვენთან, გულდაგულ იბრძოდნენ და ციხე-სიმაგრეს შესწირეს თავი.

ყველა თავისებურად ხვდება განსაცდელს. ზოგი თვითონ პოულობს გამოსავალს, ზოგსაც მეთაური და გზის მაჩვენებელი სჭირდება. ამ ბიჭების გასაოცარი გულგრილობა აღასტურებდა, რომ ისინი უდრტვინველად ხვდებოდნენ სიკვდილს. ასეთი კაცი დაუფასებელი განძია ომში. ერთი შეძახილით ან შეხედვით შეიძლება მისი ანთება. განვლილ დღეებში დამცველთა რიგები შესამჩნევად შემცირდა, ზოგი ნანგრევებში ჩაიმარხა, ზოგი ტყვიამ განგმირა, ზოგიც მძიმედ იყო დაჭრილი. ამიტომ თვითეული მებრძოლის შემომატებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქ ხომ მიწის ყოველი გოჯი ასჯერ და ათასჯერ იყო გადახნული, ჰაერს კვლავინდებურად ცხრილავდა ტყვია. აფეთქებათა გრიგალი სულ უფრო ხარბად ნთქავდა ყველაფერს. ჩვენს ზემოთ ავტობატალიონის მანქანები იწვოდა და რეზინის უსიამო სუნი სულს გვიხუთავდა, ცოტა ჩრდილოეთით,

გადაბუგული ტანსაცმლის საწყობი ხრჩოლავდა. ეს სუნი ისეთი აუტანელი იყო, რომ ვისაც კი ჰქონდა, აირწინაღს იკეთებდა.

მოგვიანებით ცეცხლი სარდაფშიაც შეიჭრა.

დაცვის შტაბმა გადაწყვიტა, ქალები, ბავშვები და მძიმედ დაჭრილები ტყვედ გაეგზავნათ. სხვა გზა არ იყო; რამდენიმე დღეა მათ ლუკმა არ ჩაუდვიათ პირში, წვეთი წყალი არ დაულევიათ. ეს გადაწყვეტილება ლეიტენანტმა კიჟევატოვმა გამოაცხადა. სხვათა შორის, ასეთი რჩევა პეტია კლიპასაც მისცეს. მაგრამ იუკადრისა, წითელარმიელი ვარ და აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო. ბოლოს და ბოლოს, პატარა მუსიკოსმა თავისი გაიტანა. მასთან ერთად დარჩნენ ვალია, კოლია ნიკოლაევი და ბევრი სხვა.

სიმაგრეში დარჩენილნი გარემოცვის გარღვევაზე ვოცნებობდით.

ჯერ კიდევ 25 ივნისს, ღამით, ცენტრალური კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებულმა მებრძოლებმა მიიღეს შეერთებული ჯგუფის სარდლობის ბრძანება: ლეიტენანტმა ვინოგრადოვმა 100-120 მებრძოლისაგან შეადგინოს ავანგარდული რაზმი, 26 ივნისს, დღისით, გაარღვიოს რკალი და გაიჭრას ქალაქის მიმართულებითო.

უკეთუ ეს ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინდებოდა, ამით სწრაფად ისარგებლებდნენ გარნიზონის მთავარი ძალები.

თერთმეტ საათზე რაზმი საწყის პოზიციაზე შეგროვდა — ციტადელის სამთაღოვან კართან. მტერმა შეამჩნია ეს შეჯგუფება და ყუმბარები დაუშინა. შუადღისას ვინოგრადოვმა იერიშის ნებართვა მიიღო ზუბაჩევისა და ფომინისაგან. მეორე ეშელონის დანაყოფებმა სარდაფის სარკმლებიდან მტერს

ტყვიამფრქვევები დასცხეს, რითაც ისარგებლეს გამრღვევი რაზმის მებრძოლებმა, ხიდი გადაირბინეს, გაანადგურეს კედელთან გამაგრებული მტერი და აღმოსავლეთით გაიჭრნენ. მაგრამ მთავარი ძალები დროულად ვეღარ მიჰყვნენ მათ. გარღვევის ადგილი მაშინვე გადაკეტა მტერმა.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როცა განახევრებულმა რაზმმა მოსკოვის გზატკეცილზე ბრესტის სამხრეთ გარეუბანს მიატანა. მტერმა ღია ველზე მიუსწრო და ტანკები მიუსია. ვინოგრადოვი და რამდენიმე მებრძოლი იქვე შეიპყრეს. დანარჩენები კი ბრძოლაში დაიღუპნენ.

კომისარმა ფომინმა და უფროსმა ლეიტენანტმა ბიტკომ ღამით სცადეს მუხავეცის გადალახვა, მაგრამ მტერი მაშხალებით, შუშხუნებით და საგეზნიშნო ტყვიით ანათებდა მდინარეს.

გაისმა ბრძანება: „წინ!“ მებრძოლები ერთბაშად შეცვივდნენ წყალში; იარაღშემართულნი უხმაუროდ მიტოპავდნენ ლამიან ფსკერზე; მაშხალის შუქზე მტერი მათ ადვილად პოულობდა. ჩასაფრებულ ფაშისტებს ახალ-ახალი ძალები გამოჰყავდათ მდინარეში შეჭრილ რაზმებთან საბრძოლველად. გადარჩენილნი უკანვე ბრუნდებოდნენ — მდინარის გამოღმა... ასე გრძელდებოდა რამდენიმე ღამეს ზედიზედ.

27 ივნისს სიმაგრის დამცველებმა ახალი იერიში მიიტანეს საყდარზე. ამ ბრძოლაში ერთ-ერთ რაზმს ონისიმე ასათიანი მეთაურობდა.

ხელჩართულ ბრძოლაში ჩვენებმა გაიმარჯვეს; ფაშისტები გამოდევნეს ეკლესიიდან. მტრის ერთმა ნაწილმა ტირასპოლის კარიბჭეს მიაშურა, მაგრამ ასათიანის რაზმს ჩვენც წამოვეშველეთ; პასუხად დასავლეთ კუნძულებიდანაც შემოიჭრ-

ნენ მტრის დამხმარე ჯგუფები და კარიბჭის შესასვლელთან, ხიდის თავში, სისხლისმღვრელი შეტაკება გაჩაღდა.

აღარ ისმის ყუმბარების გრიალი. ტირასპოლის კარიბჭესთან ხელჩართული ბრძოლაა. მტერი ლამობს ხიდზე გადაატაროს თავისი მოიერიშეები, ხოლო ჩვენ გვინდა, არა მარტო საყდრიდან გამოქცეული რაზმი მოვსპოთ, არამედ ხიდზე გადმოსულ, კარგად დასვენებულ მაშველ ნაწილებსაც გავუსწორდეთ. ერთმანეთში. არეულა ხიშტების ჩახაჩუხი, ყვირილი, გინება, დუგლუგათა ცემა. ფეხქვეშ ვთელავთ მკვდრებსა და დაჭრილებს, უგონოდ მივიწევთ ერთმანეთზე.

მტერმა იძალა. საყდრიდან გამოქცეულმა რამდენიმე მოიერიშემ თავი დააღწია ჩვენს მახვილს. გერმანელების რაზმებმა ორივე მხრიდან ცოცხალი კედლით გადაკეტეს კარიბჭეში გადასასვლელი და ტყვიამფრქვევები ჩადგეს. ჩვენი მებრძოლების მცირე ჯგუფი, დაახლოებით ხუთი-ექვსი კაცი, რომელთაც, ბრძოლაში გააფთრებულთ, ყველაფერი დავიწყებოდათ, ხიდის მეორე თავში გაჭრილიყვნენ და გარემოცვაში მოჰყვნენ. მათ შორის იყო ონისიმე ასათიანიც. ონისიმემ ორი გენერალი განგმირა ხიშტით და გვიანღა იგრძნო, რომ ამხანაგებს მოწყვეტილი, მწვანე მუზარადიანებსა და მოკლეხიშტიანებს მოემწყვდიათ ალყაში.

* * *

ძველი მოგონებები ნამსხვრევებს ჰგავს. იგი, როგორც მიწის სიღრმეში ჩალეწილი ძვირფასი ნივთი, ნამსხვრევთა მრავალი ფენითაა დაფარული. რესტავრატორები ბევრს წვა-

ლობენ ასეთი ისტორიული ძეგლების აღსადგენად, ცდილობენ, ნაწილი ნაწილს მიუსადაგონ, ააწყონ და გაამთლიანონ. ხშირად ზოგიერთ ნაწილს ვეღარ პოულობენ და მას სხვა დეტალით ცვლიან, რაღაცას უმატებენ, რაღაცას აკლებენ.

ამ მხრივ, მემუარისტი რესტავრატორის მაგონებს — ისიც ცდილობს ნამსხვრევთაგან შექმნას მთელი და, თუ რომელ-ხაშე ნაწილს ვერ იპოვის, რითიმე შეავსოს იგი, მიახლოებით მაინც აღადგინოს წარსული.

— იმ წარსულის მხოლოდ მკრთალი რამ ხაზი გახსოვს ხშირად, გაცრეცილი ჩრდილი. ეს ბუნდოვანი გაელვება უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ზმანებასა ჰგავს, ვიდრე მთლიან სურათს. სხვათა შორის, ასე ჩამრჩა ხსოვნაში ონისიმე ასათიანის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნაამბობიც; მაგრამ მკითხველი მთლიან ნახატს მოითხოვს და მეც ვეცდები შეძლებისდაგვარად აღვადგინო იგი.

* * *

ვიღაცამ მკლავზე თოფის კონდახი დაჰკრა, ხიშტიანი შაშხანა დააგდებინა, მეორემ რევოლვერის ტარი ჩასცხო თავში და პოლიტხელი ძირს დასცა. იგი მყის წამოდგა, მაგრამ დაბარბაცდა და კვლავ უღონოდ მიენარცხა ხიდის ანჯამებს.

ირგვლივ გაძლიერებული დაცვა იდგა, ყოველ ნაბიჯზე ჯარისკაცები გამოჯგიმულიყვნენ. დარეტიანებულ ასათიანს კინწისკვრით მიათრევდნენ ხიდზე.

— ხელები მაღლა! — დასჭყივლეს უცებ და ონისიმემ უნებურად ასწია ხელები. მის სმენამდე ბუნდოვნად აღწევდა ციხე-სიმაგრესთან ატეხილი ბრძოლის გუგუნი.

ამ თავზარდამცემი დაბომბვის დროს ყაზარმის კედლებს არ შევფარებივართ. ჩვენი ტყვიამფრქვევები გაცხარებით ურტყამდა ტირასპოლის ხიდს, სადაც მტრის დამკვრელი ნაწილები იყო თავმოყრილი. ვშიშობდით, მოწინააღმდეგეს არ ესარგებლა ხელჩართულ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებით და ძლიერი ცეცხლის საფარქვეშ არ შემოჭრილიყო... ასე რომ, მტრის მუჯლუგუნებთან ერთად ჩვენი ტყვიაც ზუზუნით მიაცილებდა სახეშეშლილ, რეტდასხმულ ონისიმეს. თითქოს საუკუნე გაგრძელდაო ეს ორწუთიანი გზა... ხაფანგში გამომწყვდეულს ყოველ ნაბიჯზე ჩასძახოდა იდუმალი ხმა: „ნუთუ ჩვენების ტყვიით უნდა მოვკვდე?..“

გაოგნებული ასათიანი ხიდის ბოლოში მიიღო კოჭლმა ფელდფებელმა, რომელიც „ვალტერს“ ატრიალებდა და სახედაღმეჭილი უცაცხანებდა:

— ლოს! ლოს! შნელ, დუ ზაუ! — გასწი! გასწი, შე მაკე ღორო!

რეტდასხმულს თავის თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა, ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა ამ ორიოდე წუთში. სულ ახლოს ისმოდა ტყვიის წივილი, მაგრამ ონისიმე გუმანით ხვდებოდა, რომ ეს მისთვის საშიში აღარ იყო. ეს შეგრძნება უცნაურ სიმშვიდეს ჰგვრიდა და რაღაც გამოურკვეველ შვებას აძლევდა...

უცნაური ძილ-ღვიძილი დიდხანს არ გაგრძელებულა. უცბად ვიღაცამ წიხლი წაჰკრა და როცა თვალი გაახილა, მის წინ კვლავ ის ფეხკოტიტა ფელდფებელი დაინახა. ფაშისტი ცხვირთან პისტოლეტს უტრიალებდა. წიხლს ურტყამდა და გაუგებარ ენაზე რაღაცას უყვიროდა.

შემდეგ გერმანელმა უბე გაუჩხრიკა; ორივე ჯიბეში ერთ-

დროულად ჩაუყო ხელები, იქ თეთრი პურის გამხმარი ნაფხვენები და შაქრის პაწია ნატეხი აღმოჩნდა.

— ოჰო! აი, თურმე რას მიირთმევს ეს ვაჟბატონი!..

დაიღრიალა და უმალ მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა — „დიდი ნადირი ჩავიგდეთ ხელში“.

ფელდფებელი უფრო აბობოქრდა, კოჭლ ფეხზე შედგა, რევოლვერი მოუღერა და ჩხრეკა განაგრძო. ჯიბეში წითელ-ვარსკვლავიანი პატარა ღილიც უპოვა და ამაზე მთლად გაგიჟდა...

ასათიანს ახლა ყრუდ ესმოდა ბომბების ქუხილი. „იუნკერსების“ ახალ-ახალი ტალღა თავს აცხრებოდა ყაზარმის ნანგრევებს. ბომბები წივილით ენარცხებოდნენ მიწას. ჰაერში აჭრილი ბუღი ცეცხლოვან სვეტებად იკლაკნებოდა.

ონისიმე უაზროდ გაჰყურებდა ამ გაგანიას... ფელდფებელმა შეამჩნია ასათიანის გაცბუნებული სახე, ცხვირზე ხელი წაავლო, შეანჯღრია და უთხრა:

— ხედავ?!.. ეს არის გერმანია! — ამ სიტყვებზე მუშტი მედიდურად გაიშვირა იუნკერსებისაკენ, ზარზეიმით რომ დაქროდნენ სივრცეში. მერე წამით შეჩერდა, ასათიანის ჩამოგლეჯილ, ჭუჭყიან სამოსს კოჭლი ფეხი დაადგა და ზიზღით დაუმატა: — და ეს არის რუსეთი!

ონისიმე მიხვდა, რას ეუბნებოდა ეს კოჭლი გადამთიელი და გულში მწვავე ტკივილი იგრძნო. ამ ტკივილმა მთელ სხეულში დაუარა და თვალებიდან ბურუსი შემოაცალა. მან მრისხანე მზერა ესროლა ირგვლივ მყოფთ. სახეზე ხელი მოისვა, შუბლი დაიზილა, თვალები მოიფშვნიტა. მხოლოდ ახლა მიხვდა, სადაც იმყოფებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო კარგად...

ონისიმეს გვერდით ვიღაც წოწოლა ჯარისკაცი ავტომატს წმენდდა. ტყვე ანგარიშმიუცემლად მიაშტერდა იარაღს. მე იარაღი აღარა მაქვს, — გაიფიქრა მან, — ამიტომ, როგორც სურთ, ისე მომექცევიან. ჩემი აღარავის ეშინია, არაფრად მაგდებენ... იარაღი რომ მქონდეს!.. — ონისიმე თვალებით ჭამდა ავტომატს, სხვას აღარაფერს ხედავდა. ოღონდ ავტომატი, შაშხანა, თუნდაც უბრალო დანა ჰქონოდა ახლა!..

ონისიმე ცდილობდა ძალა მოეკრიბა, გარკვეულიყო თავის მდგომარეობაში. მაგრამ კოჭლმა ფელდფებელმა გამოფხიზლება აღარ აცალა. უცებ საყელოში სწვდა და ბექობისაკენ დაითრია.

— დუ, საკრამენტ! შენ ეი, წყეულო! რა ბრძენივით ჩაფიქრებულხარ, აქეთ მოდი!

ასათიანს არ ესმოდა, რას ეუბნებოდა ეს პირქუში გადამთიელი. ფელდფებელი გაბრაზდა.

— აქ დადექი, შე ტურტლიანო, და თქვენებს გადაეცი, იარაღი დაჰყარონ!

ონისიმე გაკვირვებით მიაჩერდა დორბლმორეულ ფელდფებელს და ვერ მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან.

გერმანელმა თარჯიმანს გამოუძახა. ასათიანს არ შეუმჩნევია მისი მოსვლა. უცებ საშინელმა წრიპინა ხმამ ცივად ჩასძახა:

— მიკროფონთან მიდი და ალყაშემორტყმულ ამხანაგებს მოუწოდე, იარაღი დაჰყარონ! უთხარი, რომ არავითარი საფრთხე არ მოელით ტყვეობაში!

ონისიმე არ განძრეულა და თარჯიმანმა დამარცვლით გაუმეორა:

— მიადე პირი მიკროფონს!.. უთხარი თქვენებს, ბრძოლა შეწყვიტონ. იარაღი დაყარონ... თორემ დაიღუპებიან!..

ასათიანს სახე აუჭრელდა, თავზარდაცემული მიშტერებოდა ალმოდებულ სიმაგრეს. ახლა უფრო მკაფიოდ, უფრო ნათლად ხედავდა ყველაფერს; ესმოდა, როგორ ისროდნენ მისი ამხანაგები, შეჰყურებდა წყლის პირას მხოხავ გერმანელებს, შეშინებული რომ ეფარებოდნენ ქვებს და მდინარესთან მისვლას ვერ ბედავდნენ. თვალწინ ეხატებოდა დიდი, მრისხანე ბრძოლის სურათი...

ხეიბარი ფელდფებელი მოთმინებით ელოდა პასუხს; ონისიმემ თარჯიმანს შეხედა. ეს პატარა, ჩოფურა კაცი მის გვერდით იდგა კისერწაგრძელებული. ასათიანი გამოერკვა. ზიზღით მიმოავლო თვალი გარშემოხვეულ ჯარისკაცებს.

წეამჩნია: ჯარისკაცები გამომცდელად შეჰყურებდნენ. ფელდფებელმა ვეღარ მოითმინა, რევოლვერი მოუღერა და მიკროფონთან მიაგდო:

— ჩქარა, ეშმაკის კერძო! მაჯლაჯუნავ! არ გინდა ამხანაგები გადაარჩინო?! ჩქარა მიდი! — დაუღრინა და ფერდებში წიხლი ჩააზილა.

ონისიმე დაიძაბა, მოკლე თმა აებურძგნა, ხელები მაღლა აიშვირა და სასოწარკვეთით დაუყვირა:

— მესროლეთ! მესროლეთ!

იმ წამს ფელდფებელისაკენ გაიწია, მუშტები მოიქნია და ზიზღით დაიღმუვლა:

— მესროლეთ! მომკალით, თქვე წყეულებო!

ფელდფებელი გაფითრდა. ჯარისკაცები უფრო ახლოს მივიდნენ მიკროფონთან და ფელდფებელს მოეჩვენა, რომ ისინი თანაგრძნობით მისჩერებოდნენ ტყვე წითელარმიელს.

— რა უნდა? — გაკვირვებით იკითხა ფელდფებელმა.

— მომკალითო, ითხოვს...

ფელდფებელს სახე აემღვრა.

— ახლავე მოუწოდოს, იარაღი დაჰყარონ, თორემ!..

ყველა მიაჩერდა გაბურძგნილ ონისიმეს, რომელიც ხმას აღარ იღებდა.

— წაიყვანეთ! — დაიყვირა მოთმინებადაკარგულმა გერმანელმა, რევოლვერმომარჯვებული მივარდა ონისიმეს და თავ-პირი დაუსისხლიანა.

ოდნავ გონს რომ მოეგო, ონისიმე ყურადღებით დააკვირდა ჯარისკაცებს და ახლაღა დაინახა, რომ ბევრი მათგანი ხის ტოტებითა და ბალახებით შენიღბულიყო. სახეც შეეღებათ, ღაწვები მურით მოეთხუპნათ, ალბათ, ჩვენს შესაშინებლად, პანიკის გამოსაწვევადო, — გაიფიქრა. — ნამდვილ ეშმაკებსა ჰგვანან, მაგრამ განა გონივრულია ასეთი ხერხი? იერიშზე გადმოსულ მტერს სახეში ვინ უყურებს?!.

ონისიმემ ისიც შეამჩნია, რომ ნავებით განუწყვეტლივ გადმოჰქონდათ მოკლული მწვანე მუნდირიანები. „მაშ, მტერს არაფერი აქვს სასაცილო, არც სიმაგრეს აქვს სატირალი“... ფიქრობდა იგი.

შებინდდა. ფელდფებელმა და რამდენიმე უნტერ-ოფიცერმა ონისიმე ცალკე გაიყვანეს, თვითონ განზე დადგნენ და ერთ ხანს საეჭვოდ ჩურჩულებდნენ, მერე აფუსფუსდნენ, ერთმა ონისიმესთან მიირბინა, თავი აუწია, შეანჯღრია. დანარჩენები მუქარით აყეფდნენ. შემდეგ პისტოლეტები ააჩხაკუნეს და ნაბიჯებით მანძილი გადაზომეს. ონისიმე შეშფოთებით თვალს აყოლებდა უნტერ-ოფიცერს, რომელიც ადგილს ტკეპნიდა და დიდხანს დაბეჯითებით უმიზნებდა. გერმანელმა

იარაღი დაუშვა, ტყვესთან მივიდა, მხრებში ისე გაასწორა, თითქოს სურათის გადაღებას უპირებსო. მერე თავის ადგილს დაუბრუნდა, მარცხენა ფეხი უკან წადგა, მარჯვენა ოდნავ მოხარა და რევოლვერი ისევ დაუმიზნა.

გაისმა მხიარული ყიჟინა და ონისიმემ კვლავ იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული.

ბექობზე ფელდფებელმა ამოირბინა და უნტერ-ოფიცერს რაღაც დაუყვირა.

ონისიმე სასწრაფოდ წინ გაიგდეს. ფელდფებელი ყვირილით მისდევდა უკან.

— კამერადი ამოიყვანე, აბა, ჩქარა!

ჯარისკაცებმა ავტომატი დაუმიზნეს და თავდალმართზე უბიძგეს.

— ჩქარა! ჩქარა! დაჭრილი უნტერ-ოფიცერი ამოიყვანე! ქვასთანაა!

ონისიმე თავდალმართზე დაეშვა. გზადაგზა ჯარისკაცები თავს სწევდნენ, უგეზოდ მიმავალს ხელს ჰკრავდნენ და ასე ბიძგებით მიაქანებდნენ ნაპირისაკენ, რომელიც ჩვენი ტყვიამფრქვევების ცეცხლში გახვეულიყო.

ონისიმემ სწრაფად ჩაირბინა ნაპირზე. აქაც მუჯლუგუნითა და ყვირილით შეხვდნენ:

— ჩქარა! ჩქარა!

ხიდქვემოთ წამოფერდებულ კორდთან შეუხვია. ნაპირი თვალს მოეფარა. საღამოს მოძალებულ ბინდში ქვათა ჩრდილები მოჩანდა მხოლოდ, ხოლო მაღლიდან მრისხანედ უშენდა ტყვიამფრქვევი, ლოდები ისხლეტდა ტყვიას და წივილით მისრიალებდა წყლის ზედაპირზე.

აქლოშინებული ასათიანი გრძნობდა, როგორ უცემდა გუ-

ლი, როგორ ეკვროდა სუნთქვა და გზააბნეული აცეცებდა თვალს. ზემოდან კი გააფთრებული ყიჟინა ესმოდა: „კამერად, კამერად, ჩქარა!“

უცებ სიბნელიდან რაღაც ლანდი წამოიმართა და, სანამ ონისიმე რასმე მოიფიქრებდა, ზურგზე მოახტა. იმწამს ყელზე საზარელი ხელების მოჭერა იგრძნო, ეგონა, მახრჩობენ, მუხლებზე მარწუხებს მიჭერენო. ვიღაცამ დამცინავად ჩასძახა:

— ჩქარა! ჩქარა! წყეულო!

მაგრამ ტყვე არ ინძრეოდა.

— შნელ, შნელ! კამერადი ამოიყვანე!

— შნელ, შნელ! პანღური მაგას! — იძახდნენ ზემოთ დარჩენილი გერმანელები.

ცოცხალი ტვირთი ქვეწარმავალივით დაიკლაკნა და ფერდებში წიხლი დაუშინა. მაშინ სასოწარკვეთილმა ტყვემ ელვისებური სისწრაფით წამოიღო კისრულით ზურგზე აკიდებული დაჭრილი ფაშისტი. სანამ გერმანელი დაყვირებას მოასწრებდა, ხელი დაავლო ვეება ლოდს და გამეტებით ჩასცხო თავში. ზემოდან სულ უფრო გააფთრებით ისმოდა ყიჟინა:

— შნელ, შნელ! ამოსცხე მაგას!

იმავ წუთს სულ ახლოს გაისმა ავტომატის ჯერი, მოახლოებული ნაბიჯის ხმა, რიყეზე ჩექმების ბრაგაბრუგი.

გონმოსული ტყვე ერთი ნახტომით გადაეშვა მდინარეში, რომელიც უცებ გადაანათა პროჟექტორებისა და მაშხალების შუქმა. ონისიმე გამეტებით მიარღვევდა ტალღებს და გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, როგორ უდუნდებოდა მკლავი.

მდინარეს ათასობით ტყვია წკეპლავდა, ბორგავდა წყალი.

ორივე მხრიდან გაშმაგებით ესროდნენ ნაპირს... მტრის არტილერიამაც ცეცხლი გაუხსნა ჩვენს ყაზარმებს.

ონისიმე ტყვიის თქეშში მოიკვლევდა გზას. მოიწევდა ალმოდებული სიმაგრისაკენ, სადაც შეიძლება ნანგრევთა შორის ცოცხლად დამარხვა ელოდა, მაგრამ ძალას მატებდა ის დიდი სიხარული, რომ კვლავ ჩადგებოდა სამშობლოს დამცველთა რიგებში. შევამჩნიეთ, ვილაც ჩვენკენ მოცურავდა. ცეცხლი მაშინვე წყლიდან მტრის პოზიციებზე გადავიტანეთ და ერთ წითელარმიელთან ერთად, კედელ-კედელ ნაპირს მივუახლოვდი.

იგი ნაპირზე გამოსვლისთანავე დაეცა. ჭურვებისა და ბომბების გრიალში ცოცხალ-მკვდარი ასათიანი ძლივს შემოვიყვანეთ ყაზარმაში.

გონს მოვიდა თუ არა, იარაღი მოითხოვა. ავტომატი რომ მივეცით, გულში ჩაიხუტა, ბავშვივით აზლუქუნდა. მთელი ღამე იარაღჩახუტებულმა გაატარა და ტყვიის წვიმაში ჩურჩულით მიყვებოდა თავის უცნაურ თავგადასავალს. იგინებოდა, დასავლეთისკენ მუშტებს იქნევდა.

მეორე დღეს სიმაგრეს მძიმე ბომბები დააყარეს, ათი საათის განმავლობაში სულმოუთქმელად გვიშენდნენ. ჭურვები გაშმაგებით თხრიდა სანაპიროს...

ჰაერის რყევისაგან ბევრს ცხვირიდან და ყურებიდან სისხლი სდიოდა.

ქალაქში მყოფი გერმანელები სახლის სახურავებიდან გვითვალთვალებდნენ თურმე და მცხოვრებლებს ეტრაბახებოდნენ: „ჰოიტე კაპუტ ფესტუნგ!“ — დღეს თეთრ დროშას გამოკიდებენო...

ჰაერში ტრიალებდა ძირფესვიანად ამოთხრილი ასწლოვანი ხეები, მაგრამ თეთრი დროშა მაინც არ ჩანდა.

ნაშუადღევს დაბომბვა შეწყდა და რეპროდუქტორი აროხროხდა:

— უკვე ავიღეთ მოსკოვი... აზრი აღარ აქვს თქვენს ბრძოლას. აღტაცებული ვართ თქვენი მამაცობით და გთავაზობთ „საპატიო კაპიტულაციას“. გარანტირებულია კარგი დამოკიდებულება, კვება, დაჭრილთა მოვლა. მოსაფიქრებლად ერთ საათს გაძლევთ!

— ხედავთ, როგორ დაგვიტკბნენ? — თქვა ბელორუსმა, — ეტყობა, არც ჩვენ ვისვრით ბამბას!..

რეპროდუქტორი კი მონოტონურად იმეორებდა:

— გავიდა ათი წუთი!..

— გავიდა ნახევარი საათი!..

ამოიწურა ვადა.

— თქვენ არღვევთ ომის წესებს, — ახლა უფრო მკაცრად განაცხადა გერმანელმა, — ალყაშემორტყმული სიმაგრე, როცა მას დახმარების იმედი აღარ აქვს, ვალდებულია ჩაბარდეს მოწინააღმდეგეს. თქვენ ბარბაროსულად ღუპავთ ქალებსა და ბავშვებს, აიძულებთ აიტანონ ომის საშინელებანი, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მთელი ევროპა ჩვენია!

შემდეგ დიქტორმა დიდი რიხით ჩამოთვალა გერმანიის მიერ დაპყრობილი სახელმწიფოები, ლუქსემბურგიც არ დაივიწყა.

— ამრიგად, ომი დამთავრებულია, — განაგრძობდა ის. — ბარბაროსული მოქმედებისათვის დაისჯებით ყველა. დამატებით გაძლევთ თხუთმეტ წუთს! ღიაა ტირასპოლის კარი. ამ ვადის გასვლისთანავე მიწის პირიდან აღვგვით ციხე-სიმაგრეს.

ჩამოვარდნილ მყუდროებას დროდადრო ცივი ხმა არღვევდა:

— გავიდა ხუთი წუთი!..

— გავიდა ათი წუთი!

— დარჩა ორი წუთი!

ადგილიდან არავინ დაძრულა.

იერიშის მოსაგერიებლად ვემზადებოდით.

მტერმა ახლაც ზუსტად შეგვისრულა დაპირება, ურიცხვი ბომბი დააყარა სიმაგრეს.

მდუმარედ ვიჯექი ყაზარმის მორყეულ კედლებთან და ფიქრები არ მასვენებდა: „გამოდის, რომ ჩვენ და ლუქსემბურგი ერთნი ვართ... ცოტა მოითმინეთ! მარტო ჩვენი სიმაგრე უფრო მეტად შეგახურებთ, ვიდრე მთელი ლუქსემბურგი!..“

კარგად ვიცოდით, რატომ მოუხშირა მტერმა ასეთ მოწოდებებს, ონრისიმემ გვიამბო, გერმანელთა პოზიცია გვამებით არის მოფენილი, ბუგზე ნავებით გადააქვთ ცხედრებიო. შემდეგ, როცა 1941—1942 წლების გერმანულ გაზეთებს ვათვალიერებდი, თვითონაც დავრწმუნდი ამაში: თითქმის ყველა ნომერში რამდენიმე განცხადება იყო შავი ჯვრითა და წარწერით: „გეფალენ ინ ბრესტ-ლიტოვსკ“ — „დაიღუპა ბრესტ-ლიტოვსკში“.

მტერი არ ისვენებდა. მისი თვითმფრინავები ხან ბომბს გვაყრიდა თავზე, ხან დასტა-დასტა ფურცლებს.

84-ე პოლკში ათობით ასეთი ნაბეჭდი ქაღალდი შეაგროვეს თავდამცველებმა. ზემდეგმა მეერმა თვითეულ მათგანზე ღორი დახატა და გერმანულად მიაწერა: „ფაშისტური ღორი ვერ დაეპატრონება საბჭოთა ბოსტანს“. კომკავშირელებმა

ტყვე გერმანელი მოიყვანეს, თავით ფეხებამდე ააწებეს ეს ფურცლები და ასე გაისტუმრეს თავისიანებთან. ჩრდილოეთ კუნძულზე რეპროდუქტორის ერთ-ერთი მოწოდების პასუხად სისხლით წარწერილი დიდი ტილო გააკრეს მიწაყრილის კედელზე: „გავწყდებით, მაგრამ ციხე-სიმაგრეს არ დავთმობთ!“

ცხენი

გვიან შევამჩნიეთ, რომ მრგვალი ყაზარმის სამხრეთ კუნჭულს მტერი რატომღაც უფრთხილდებოდა. შუაწელი და ჩრდილოეთი მხარე ძირფესვიანად იყო დანგრეული, ხოლო კარიბჭეს მიყრდნობილი ნაწილი თითქმის ხელუხლებლად გადარჩენილიყო. ფაშისტები ალბათ შიშობდნენ, ხიდი არ ჩაიქცეს და შემოსასვლელი არ ჩაიკეტოსო. უწინ, დაიწყებოდა თუ არა და დაბომბვა, ჩრდილოეთისკენ გავრბოდით, ახლა კი, პირიქით, სამხრეთის სწორედ ამ ნაწილში ვიყრიდით თავს. აქ ყუმბარაც ნაკლებად ეცემოდა და მტერიც ისე გვყავდა გამოთოფილი, რომ ხიდზე ადვილად ვერ გაიჭაჭანებდა.

მაგრამ თვალის მოხუჭვა ერთი წამითაც არ შეგვეძლო, მოიერიშეები ხან კვამლის საფარქვეშ მოიპარებოდნენ, ხან გაშლილი მწყობრით მოდიოდნენ. დროდადრო ნავტიკებითაც ცდილობდნენ მდინარის გადმოლახვას. ბოლოს და ბოლოს, მტერმა, როგორც იქნა, შეიგნო, რომ ხიდზე იოლად ვერ გადმოვიდოდა. ამიტომ უფრო მდინარეს მიეტანა. მაგრამ ყაზარმის გამონგრეულ ადგილებში ფხიზლად დარაჯობდნენ გუ-

შაგები და ტყვიამფრქვევები შეუჩერებლად კაკანებდნენ ჩვენი საყრდენი პუნქტების დასაცავად. ინთქმებოდა ვაზნები და მალე მთელი მარაგი შემოელიათ.

ყველა მხრიდან ტყვია-წამალს მოითხოვდნენ მეომრები და აღარ ვიცოდით, რა გვეღონა. საბრძოლო მასალათა საწყობის ნანგრევები ათასჯერ გვქონდა ფრჩხილებით გადათხრილი და იქ ვეღარაფერს ვპოულობდით. პოტაპოვის განკარგულებით სარდაფის მარაგიდან მიღებული ერთი ყუთი ვაზნა გვითავდებოდა, ორიოდე ხელყუმბარას კი განკითხვის დღისათვის ვინახავდით.

— ამხანაგო მეთაურო! — მომმართა ერთ საღამოს მომცრო ტანის სერჟანტმა, — ნება მომეცით, ერთი ათეულით კოშკზე მივიტანო იერიში. იქ იმათი ორი ტყვიამფრქვევი დგას და ერთი წუთით არ გვასვენებს. ეტყობა, ზედმეტი ვაზნა აქვთ.

ისე ცოტანი დავრჩით, რომ ათი კაცის ალალბედზე გაშვება გვეძნელებოდა. ხუთნი წავიდნენ, ამათგან ოთხი დაჭრილი იყო. მართლაც, რაღაც ოციოდე წუთში „მგ 34“ სისტემის ტყვიამფრქვევი და კარგა ბლომად ვაზნა მოიტანეს, თან დატყვევებული ფელდფებელიც მოგვგვარეს.

გერმანელი მძიმედ იყო დაჭრილი. აღარაფერში გამოგვადგებოდა. დაკითხვისას შევატყვე, რომ საშინლად ეშინოდა სიკვდილისა. როცა დაინახა, საკუთარი დაჭრილებისთვისაც ვერ ბოგვევლო და მასაც სააქაო პირი აღარ უჩანდა, მუდარა დაგვიწყო. გვარწმუნებდა, მამაჩემს დიდი ადგილი უჭირავს არმიაში. ნუ მოვკლავთ, იქნებ გადაგიხადოთ სამაგიეროო.

შიმშილმა ყველაფერი დაგვავიწყა, აღარც ტკივილს ვგრძნობდით, აღარც უძილობას. მგლებივით დავეძებდით საკბილოს. წინა დღეებში, ერთ-ერთი შეტევის შემდეგ კარიბ-

ჭესთან მოკლულ გერმანელს ზურგჩანთა ავართვით და იქვე გავხსენით. შიგ მთელი ბუფეტი აღმოჩნდა: თხლად დაჭრილი თეთრი პური, ძეხვი, ნამცხვარი, ბუტერბროდი, რამდენიმე კვნიწი შოკოლადი, კბილის პასტა და ზოგი სხვა რამ.

— საქორწილო პურ-მარილია, ბიჭებო! — დაიყვირა ერთმა ამხანაგმა და მოკლულის წელზე გამობმულ ჭრელ თერმოსს დასწვდა.

ძლივძლივობით გავხსენით. ერთ ნაწილში ცხელი ყავა იყო, მეორეში რომი.

„ეს მძიმედ დაჭრილებს გავუნაწილოთ“, — გაუბედავად წარმოთქვა ვიღაცამ.

მაგრამ პასუხად სიტყვა არავის დაუძრავს.

თერმოსს რომ ვართმევდით, მებრძოლი გაძალიანდა, ხელი მოუჭირა. „ავადმყოფისაო“, რომ შევახსენეთ, ათრეული ნაბიჯით მიუტანა მომაკვდავ ამხანაგებს.

ამ შემთხვევიდან მოყოლებული ყოველი ბრძოლის შემდეგ მტრის გვამებზე სანადიროდ მივდიოდით. მაგრამ ასეთი ალაფით აღარასოდეს დავბრუნებულვართ. მტერი ყოველნაირად ცდილობდა, ბრძოლის ველიდან სასწრაფოდ გაეტანა მკვდრები. უცნაური იყო: ერთ მკვდარს ზოგჯერ რამდენიმე მეომარს სწირავდნენ. თუ გვამს ვერ გაათრევდნენ, რაც ზედ ჰქონდა, იმას მაინც შემოხსნიდნენ და წაიღებდნენ. ათასში ერთხელ თითო-ოროლა ორცხობილას ან ნამცხვარს თუ წავაწყდებოდით და იმასაც დაჭრილებს ვუგზავნიდით. ჩვენ კი შიმშილით თავი გვისკდებოდა და მუხლი გვეკეცებოდა.

ერთხელ, როცა მოიერიშე თვითმფრინავები განუწყვეტლივ თავს დაგვტრიალებდნენ და საშინელი ნგრევა გრძელდებოდა, შიმშილმა გარეთ გამომაგდო. „უნდა ვიშოვო რა-

მე!.. — დაგადუგით მომძახოდა გული. — უნდა ვიშოვო აუცილებლად!..“

საჯინიბოებზე მიდგმულ პატარა ფარდულში შევვარდი: ცხენის ხორცი ვიპოვო იქნებ... გუშინ სადღაც აქედან მთელი ბარკალი მოიტანეს ბიჭებმა. თუმცა ყარდა, ძალზე გახრწნილი იყო, მაგრამ ერთი წიწკნაც არ დაგვრჩენია...

ახლომახლო დახოცილი ცხენების მთელი გროვა აღმოჩნდა. გამიხარდა. დავადგი ფეხი ერთს, მაგრამ მძორი ისე ჩათუთქულ-ჩამყაყებულიყო, შიგ ჩავეფალი. გავსინჯე მეორე, მესამე, მეოთხე... ყველა საშინლად გახრწნილიყო.

კარს რომ მივადექი, წვიმში ყუმბარის ნამსხვრევი მოვმხვდა. ვიგრძენი, სისხლი თქრიალით წამოვიდა და ნაკელში ჩავჯექი; ხელის ფათურით მოვძებნე ჭრილობა და უნებურად გავზომე. არ უნდა ყოფილიყო დიდი, სისხლი კი მაინც შეუჩერებლივ მოდიოდა. მკრთალ სინათლეზე ძლივს გავარჩიე წითლად შეღებილი ხელი. რამდენიმე ხანს ასე ვიყავი, სხეულში კი უცნაური ჟრჟოლა მივლიდა.

ხალათის ნახევით იარას რომ ვიხვევდი, სულ ახლოს თითქოს რაღაცამ გაიფაჩუნა. ავიხედე, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე... დალახვროს ეშმაკმა, მაინც სულ მეჩვენება, მარტო არა ვარ... ცოტა ხნის შემდეგ ისევ მკაფიოდ მომესმა რაღაც სუნთქვის მსგავსი, მივიხედ-მოვიხედე კვლავ არავინ ჩანდა.

ჭრილობა შევიხვიე და ის იყო, უნდა წამოვმდგარიყავი, რომ ზურგში რაღაც სითბო ვიგრძენი, თითქო შემეხო ვიღაც, მაშინვე კედელზე მიყუდებულ ავტომატს ვეცი და ელდანაკრავივით შემოვბრუნდი.

მკრთალ სინათლეში ცხენის გრძელი და მორჩილი თავი გამოისახა. ჩავაშტერდი. აღტაცებით კინაღამ შევყვირე: „არის

ხორცი-მეთქი!..“ გაწვდილ ხელზე ცხენმა კვლავ მომადო სველი ტუჩი. სიამოვნება და სითბო ვიგრძენი.

წვივგრძელი, თეთრქაჩაჩიანი ცხენი გაუნძრევლად იდგა ბაგასთან. რომ იტყვიან, რწყილივით გასუსულიყო. თითქოს ვიღაცას ემალებოდა, თითქოს ვიღაცას ელოდა.

ფიქრისთვის არ მეცალა. ვეება გერშანული დანა ვიშიშვლე. პირუტყვთან მივედი. ცხენი არ განძრეულა. თავი ჩაქინდრა და კედლისაკენ იბრუნა სახე. დანა ხელში გამეყინა.

ტანი ჭრილობებით ჰქონდა დასერილი. დაგლეჯილ მუხლზე სისხლი შეხმობოდა, გვერდები გადატყავებოდა, დასჩირქებოდა.

ჩვენს თანამებრძოლს ფერდები ჩვენსავით ჩასცვივნოდა. მუცელი გაქრობოდა. გრძელი, შავი, გაზინთული ფაფარი აბურძგნოდა. არც ლაგამი ჰქონდა, არც აღვირი, არც სხვა რამ საბელი, მაგრამ ფეხს მაინც არ იცვლიდა. ან კი საღ უნდა წასულიყო!..

წინიდან რომ მოვუარე, შუბლზე იარა დავუნახე. ხორცი ღრმად ამოჰგლეჯოდა... გავირინდე, პირუტყვისადმი რაღაც უცნაური მოკრძალება ვიგრძენი, იქნებ ცხენიც მიმიხვდა, თავი ასწია, ნაღვლიანი თვალები შემომაგება. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მისი ფართოდ გახელილი, მეჩხერწამწამიანი თვალები სავსე იყო ღრმა სევდით; მუდარით, სასოწარკვეთით მომჩერებოდა. მეგონა, საცაა ცრემლი წასკდებამეთქი.

ვერ გავუძელი საყვედურით სავსე მის მზერას და მეც დავღუნე თავი... სინდისის ქენჯნა ვიგრძენი... ადამიანებს შეგნებით გადაგვაქვს ჩვენი შეჭირვება, ცხენი კი უენოდ იტანჯება, უცეცხლოდ იწვის. ორივე ხელი კისერზე მოვხვიე. მომენდო.

შუბლზე გამიხახუნა თავი. შემდეგ წყნარად გადამადო მხარზე კისერი და იმედითა და ამაყი სიამოვნებით გაყუჩდა.

რამდენიმე წუთს ასე ვიყავით. სათუთად ვუსვამდი ფაფარზე თითებს, ცხვირზე ხელს ვუცაცუნებდი, თვალის ქუთუთოებსა და ყურებს ვფხანდი. პირუტყვი ისე გაინაბა, რომ იტყოდი, მთლად დაავიწყდა თავისი უბედურებაო. უნებურად მოიცვალა ადგილზე შეყინული ფეხი, უფრო ახლო მოვიდა, ტანით მომეკრა.

ბომბების გუგუნი და ყუმბარების ბათქი არ ცხრებოდა. ჭურვები ველური ხარხარით მოაცილებდნენ ერთმანეთს. ჩვენს წინ, გზაზე, ახალი თხრილები ჩნდებოდა. თავლა ცეცხლის კორიანტელში ეხვეოდა. კედლები თრთოდა მოახლოებული საშიშროების წინაშე. თრთოდა ცხენიც. ყოველ აფეთქებაზე უკრთოდა კუნთები. შემდეგ ბავშვივით დაუვლიდა ჟრჟოლა, აძიგძიგდებოდა. როგორც კი იგრძნობდა აფეთქების სიახლოვეს, თავს მწუხარედ ასწევდა და ისევ გარინდდებოდა.

პირუტყვს თავი ავუწიე, ერთხელ კიდევ ჩავხედე ცრემლიან თვალებში, ვეჩურჩულებოდი, ვამხნევებდი, არ ვიცი, მას, თუ ჩემს თავს...

ჭერი ჩამოინგრა. ჯერი ჩვენს სადგომზე მიდგა. ცხენი უკვე აღარ კანკალებდა.

ყუმბარები კარგა ხანს გაშმაგებით ღრღნიდა მდინარის ნაპირს... მერე ცეცხლმა სარდაფისკენ გადაინაცვლა, მაშინ ცხენმა მშვიდად ამომხედა და თავი მომიახლოვა. იმწამს მეორე კუთხეში მივედი, ორიოდ ბღუჯა გადარჩენილი თივა ავიღე და პირთან მივუტანე. რამდენიმე ღერი მოწიწკნა, ზანტად

დაუწყო ხრამუნი. აუტანელი შიმშილი ვიგრძენი. მშრალ ხახაში თივის ღერი ჩავიდე და გავკვნიტე. ახლაღა გამახსენდა, რისთვის მოვედი აქ. დანა ნერვულად შევათამაშე, მაგრამ სანამ დაკვრას მოვასწრებდი, ცხენმა წინახდებურად გადამადო თავი. ზურგზე კვლავ ვიგრძენი თბილი, მთრთოლვარე სუნთქვა. იარაღი ხელიდან გამივარდა. დავწვდი, ელვის სისწრაფით მივიჭერი ლეშთან, ბარკალი მოვაჭერი და გამოვიქეცი.

დაჭრილებს რომ ჩამოვუარე, ვიღაცამ კალთაში მტაცა ხელი:

— ამხანაგო, მეგობარო, მესროლე, გევედრები!..

ეს იყო გაფითრებული, დაჩიავებული ახალგაზრდა კაცი... ნაბიჯს ავუჩქარე, რომ ამათთვისაც დროზე გამომეგზავნა ცხენის აყროლებული უმი ხორცი.

მებრძოლები სვავებივით მიესივნენ ლეშს. დაბდღვნეს, დაგლიჯეს, დაინაწილეს. ჯერ ხარბად დაუწყეს თქვლეფა, უკანასკნელ ნაჭრებს კი უხალისოდ ღეჭავდნენ.

— აყროლებული ყოფილა! — ზიზღით დაიძახა ვიღაცამ, ბოლო ლუკმა გამოაპურჭყა და გინებაც მიაყოლა.

— ერთი ახლა ცოცხალი ცხენი მოგვცა! — მშიერი კაცის სიხარბით ინატრა აფხაზავამ. — საკვირველია, რომ ერთიც არ გადარჩა.

ბოლო დღეებში ძალზე მოტყდა პანტელეიმონი. ლოყები ჩაუცვივდა, თვალები ჩაუქრა. ეტყობოდა, ბევრს ფიქრობდა და თავს ვეღარ ერეოდა. რამდენჯერმე შევამჩნიე, ხმამაღლა ოხრავდა.

უნებურად თვალი გავუსწორე და პირი დავაღე სათქმე-

ლად. მაგრამ მერე თავი შევიკავე, არ დავურღვიე ოჯახზე ფიქრი...

— წამოდი ერთი, რა გაჩვენოთ! — შეწუხებული ხმით გვითხრა ერთხელ აფხაზავამ.

მე და ასათიანი გავყევით.

ერთ ნანგრევთან შედგა, წაქცეულ ძელქვეშ გახრწნილი გვამი დაგვანახა და უსიტყვოდ მოგვაჩერდა. ვერაფერი გავიგე. ასეთი გვამებით ციხე-სიმაგრე იყო მოფენილი. ნაბიჯს ვერ გადადგამ, დაღუპულ ამხანაგს რომ არ გადააბიჯო.

ონისიმეს გაკვირვება გამოეხატა სახეზე. დაიხარა. თითქოს ცხვირი დაადო ცხედარს და თქვა:

— ის არის!

მაინც ვერაფერს მივხვდი.

გამშრალი თვალიდან ონისიმეს ორად ორი ცრემლი ჩამოუგორდა.

— ვინ ის, კაცო?

— კაკაბელი ბიჭი!..

მაშინვე ჩავიჩოქე და ცხედარს დაკვირვებით ჩავაცქერდი. ის იყო — მოუსვენარი, გულმართალი კაკაბელი.

სვეტი მუცელში დასცემოდა, თავშიც ჰქონდა ჭრილობები, ყვრიმალზე სისხლი შეხმობოდა, წელში მოდრეკილი იდო. თითქოს გასწორებას ლამობს და ეს ძელი არ უშვებსო. მარჯვენა ფეხი ხისთვის გამოედო, გეგონება, სარმის გამოკვრა უნდაო.

— დავმარხოთ საწყალი!..

ძელს მივცვივდით და ნჯღრევა დავუწყეთ. მაგრამ ხე ათასგვარი ნანგრევ-ნამუსრევით იყო ჩახერგილი. ოფლში გავიწურეთ. ჯიუტი სვეტი მაინც არ ეშვებოდა თავის მსხვერპლს.

— თავი დავანებოთ! სულ ერთია, დაუმარხავი ყრია ყველა! — თქვა ონიკიმემ, — ხომ ხედავ, როგორ გვიშენენ, ვერც მოვასწრებთ.

პანტელეიმონმა უკმაყოფილოდ შეხედა მას.

— დაუმარხავს ნუ დავტოვებთ, ბიჭებო, ერთმანეთს...

განვაგრძეთ თხრა. როგორც იქნა, სვეტს თავი ავუწიეთ და ჩვენი ამხანაგი საშინელი კაკანათიდან გამოვათრიეთ.

ამხანაგები წამოგვეშველნენ.

ახლომახლო ოცამდე გვამი შევაგროვეთ. ყაზარმაში შემოვიტანეთ და ერთ ადგილას დავასვენეთ, მერე ზედ კედელთან, მდინარის მხარეს, საძმო საფლავის ჩიჩქნას შევუდექით... მტერმა ალბათ შენიშნა ჩვენი მოძრაობა და სროლას მოუხშირა. იძულებული გავხდით საქმეზე ხელი აგვეღო, მით უმეტეს, რომ მეკავშირემ პოლკის შტაბიდან მნიშვნელოვანი დავალება მოგვიტანა: მთელ ციტადელს ალყა უნდა გაერღვია.

როგორც ვთქვი, აქამდე სიმაგრიდან გასვლის ყოველგვარი ცდა მარცხით მთავრდებოდა. მტერს რკინის მარწუხებში ჰყავდა გამომწყვდეული გარნიზონი. თავდახსნის ერთადერთი გზა გარღვევა იყო. ამიტომ ჩვენს შტაბს მეტად რისკიანი გადაწყვეტილება მიეღო. საქმე ის არის, რომ ჩრდილოეთიდან ქალაქისაკენ გაჭრა ყოვლად წარმოუდგენელი გახდა, რადგან გერმანელებმა იქ მოუყარეს მთავარ ძალებს თავი. ჩვენს უბანზე დაწოლა კი შედარებით შესუსტდა. ამასთან, დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით გარღვევას მტერი არ მოელოდა და იქ სამარქაფო ნაწილებიღა დატოვა.

— უფროსმა ლეიტენანტმა პოტაპოვმა გადაწყვიტა, ესარგებლა ამ გარემოებით. მისი ბრძანებით, ჩვენს მთავარ ძალებს უნდა გადაელახათ ტირასპოლის ხიდი, გადაეცურათ ბუგის ტო-

ტი, გასულიყვნენ სამხრეთ ხერთვისზე, ხოლო იქიდან — ბრესტის სამხრეთით მდებარე სამხედრო ქალაქში, სადაც ომის წინ საბჭოთა სატანკო და საარტილერიო ნაწილები იდგა. ეს გადაწყვეტილება პოტაპოვმა ომის პირველსავე დღეს მიიღო: სხვათა შორის, ამ მიზნით დაზვერვაზეც გამგზავნა ოცდაორ ივნისს.

ნაშუადღევს დაბომბვა შეწყდა და, ჩვეულებისამებრ, რეპროდუქტორი ახრიალდა:

— ღიაა ტირასპოლის ხიდი... ნახევარი საათი ვადა.

— გავიდა ხუთი წუთი!

— გავიდა ათი წუთი!

ამჯერად ჩვენებმა ისარგებლეს შესვენებით, სარდაფიდან ამოირბინეს და მრგვალ ყაზარმაში შემოგვიერთდნენ.

ის ხმა კი აგდებულად, მჭახედ განაგრძობდა:

— დარჩა ხუთი წუთი!

— დარჩა ორი წუთი!

ამოიწურა თუ არა დრო, მტერმა გაათკეცებული ძალით დაგვიშინა. ყველანი ყაზარმის სამხრეთით, ზედ კარიბჭესთან შევქუჩდით. აქედან უნდა შევჭრილიყავით ხიდზე და ხიშტებით გაგვერღვია გარემოცვა.

ჩვენს ჯგუფს, რომელიც რამდენიმე დღე იცავდა მრგვალ ყაზარმას და ამ ადგილს კარგად იცნობდა, არიერგარდის როლი დაეკისრა. ჯერ საწყის პოზიციაზე უნდა დავრჩენილიყავით. თუ მტერი შეგვამჩნევდა და ცეცხლს დაგვიშენდა, დაუყოვნებლივ უნდა გაგვეცა პასუხი, ხოლო როცა მთავარი ჯგუფი ხიდს გადაირბენდა, ჩვენც უნდა მივყოლოდით.

გაისმა ბრძანება: „გარღვევაზე!“

ძირითადი ჯგუფი მაშინვე ხიდზე აიჭრა.

მტერმა ერთ ხანს ვერ შეამჩნია ჩვენების მოძრაობა, მაგრამ როცა მეწინავე ნაწილმა მდინარის მეორე ნაპირზე შედგა ფეხი, ტყვიამფრქვევები დაუშინა.

იერიშზე გადასული რაზმის ერთი ნაწილი ბუჩქებში გაიფანტა და იქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წავიდა.

სერგეი სმირნოვის გადმოცემით, დასავლეთ ხერთვისზე, ბუჩქნარებში, პეტია კლიპამ და კოლია ნოვიკოვმა მესაზღვრე შენიშნეს. იგი ნაპირთან იწვა და ხელის ტყვიამფრქვევი ჰიტლერელებისაკენ ჰქონდა მიმიზნებული. ერთ მხარეზე აურაცხელი ცარიელი მჭიდე ეყარა, მეორეზე ტყვიამფრქვევის დისკები და სათადარიგო ვაზნები ჰქონდა შემოწყობილი.

პეტიამ და კოლიამ საჩქაროდ მიირბინეს მესაზღვრესთან. ბუჩქები მოფენილი იყო მის მიერ დახოცილი ფაშისტებით. მესაზღვრემ მძიმედ წამოსწია თავი. ბიჭებს ელდა ეცათ, საზარელი შესახედავი იყო. გამხდარს, გაჯაგრულს, თვალები ჩაშავებოდა. უძილოს, უჭმელ-უსმელს, მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში — არ გადმოეშვა საზღვარზე მტერი; მან არც იცოდა, რომ უკვე ათასი კილომეტრით მაინც იყო დაშორებული ფრონტს.

წამოდიო, სთხოვეს ბიჭებმა, მაგრამ მესაზღვრემ მოკლედ მოუჭრა:

— მე აქედან არსად არ წავალ!

პატარა მეომრები მაშინვე გადაეშვნენ ბუგში, მაგრამ მტერი ყველა მხრიდან შეესია ნაპირს და ტყვიამფრქვევები დაუშინა. განგმირული მებრძოლები მდინარეში იძირებოდნენ. გადარჩენილებს ფაშისტი მეავტომატეები და ძაღლები იჭერდნენ.

მარცხნიდან: ალავერდი იმანოვი, პოდპ. კლიპა და პეტია კლიპა.

როცა პოლკის მეწინავე ნაწილებს გერმანელებმა გზა გადაუჭრეს, ჩვენ მრგვალ ყაზარმასთან ვიყავით ჩასაფრებულნი. მაგრამ გაისმა თუ არა გრიალი, მაშინვე ხიდის თავთან მივირბინეთ და ტყვია დავაყარეთ მოწინააღმდეგეს. ვცდილობდით, მტერი სიმაგრეში არ შემოჭრილიყო და კარიბჭეს არ დაპატრონებოდა. ფაშისტთა ცალკეულმა ჯგუფებმა მაინც მოასწრეს ხიდზე გადმორბენა და ციტადელში გაპაგრდნენ. მათთვის გზა რომ მოგვეჭრა, რამდენიმე ათეულით გავედით ხიდზე და მოპირდაპირე მხარე დავიკავეთ. ამით გარღვევაზე გასულ ნაწილებსაც გავუმაგრეთ ზურგი: უკან გამობრუნებული ამხანაგები, რომლებმაც ხიდამდე მიაღწიეს, უშიშრად გავატარეთ

სიმაგრეში, სადაც ზოგი ჩვენ შემოგვეხიზნა და ზოგმაც სარდაფს მიაშურა.

ფაშისტებმა გააფთრებით დაგვაყარეს ყუმბარები და დიდი ზარალი მოგვიყიდა. სწორედ მაშინ, 29 ივნისს, დაიღუპა ჩვენი პოლკის თავდაცვის უფროსი — ალექსანდრე ეფრემის ძე პოტაპოვი. ხელჩართულ ბრძოლაში დაეცა მესაზღვრეთა რაზმის მეთაური ანდრეი კიჟევატოვი. დღემდე არ ვიცი, რა ბედი ეწია თავდაცვის კომისარს. ჩვენს პარტიულ ხელმძღვანელს უფროს ლეიტენანტ გორიაჩის; მოახერხა სიმაგრიდან გასვლა, თუ სავუდამოდ დარჩა მის ნანგრევებში. მეორე დღეს, სარდაფში რომ ჩავედი, გორიაჩი იქ აღარ დამხვედრია...

ფაშისტთა ნაწილები ცენტრალურ მოედანზეც გაჩნდნენ, სარდაფებში შეჭრას ლამობდნენ, მაგრამ პოლკის სკოლის ჩასასვლელი, სადაც პირველ დღეებში ურალელი იბრძოდა, ახლაც შეუღწეველი იყო მათთვის და მეორე ბატალიონის მხრიდან ცდილობდნენ გზის გაკაფვას. ბარიკადებით გამაგრებული და ტყვიამფრქვევის ცეცხლით კარგად დაცული „ურალელის პოზიცია“ ივლისშიაც წარმატებით განაგრძობდა წინააღმდეგობას, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა იქ მსწრაფლმსროლელი ქვემეხები და ცეცხლმფრქვევებიც გამოიყენეს. მართალია, ჩრდილოეთის ღია ნანგრევებიდან მტერმა მოახერხა სარდაფში შესვლა, მაგრამ სიღრმეში შეტევის განვითარება ვერ შეძლო და დიდი ხნის განმავლობაში იძულებული ხდებოდა, მოიერიშე ჯგუფები საღამოობით უკან გამოეყვანა. ამ დროს მრგვალი ყაზარმის სხვადასხვა ადგილას ჩასაფრებული ჩვენი მებრძოლები დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს. ფაშისტებს რამდენიმე კვირის განმავლობაში უხდებოდათ ერთი და იგივე ადგილის „გაწმენდა“.

29 ივნისს, როცა ტირასპოლის კარიბჭესთან მტრის ორი ტანკი გამოჩნდა, გადავწყვიტეთ, შეუმჩნევლად გავცლოდით მოწინააღმდეგეს და ჩრდილოეთით დაგვეხია, მაგრამ ვიქტორ ჩორნი ჩამოგვრჩა და ყაზარმის ჩამონგრეულ კედელთან აიტუზა. ხელყუმბარების შეკვრა ეკავა და ფერდაკარგული, ჩამომჯდარი, საცოდავად ძიგძიგებდა. როცა ერთმანეთის გვერდით მოგრუხუნე მანქანები კედელს გაუსწორდა, პოლიტჩელმა ხელყუმბარების შეკვრა ერთ-ერთ მათგანს მუხლუხოებში ჩაუგდო. გაისმა მძლავრი აფეთქება. ნანგრევები შავ კვამლში გაეხვია და წამიერად ჩორნიც დავკარგეთ თვალიდან. რამდენიმე მებრძოლთან ერთად მყისვე მასთან მივიჭერი. ვიტია გაქვავებული იდგა. ვტაცეთ ხელი და ძლიერ ძლივობით გამოვათრიეთ ტყვიის ქარაშოტიდან. დღესაც ვერ გავიგია, რა თავზარი დაეცა იმ გოლიათ კაცს. ცოტა მანძილი რომ გავცოცრბინეთ, თავგანწირულად დაიყვირა: „საბჭოთა სამშობლოსათვის, ამხანაგებო!“ ეს სიტყვები მას, ალბათ, ყუმბარებთან ერთად უნდა გადაესროლა. საბრძოლო მაჯალათა საწყობის მიმართულებით ვიხევდით უკან და ამ არეულ-დარეულობაში რამდენიმე ამხანაგიც დავკარგეთ, მათ შორის, ჩვენი თავდაცვის უბნის მეთაური უმცროსი ლეიტენანტი. ჩვენთან დარჩნენ: ო. ასათიანი, პ. აფხაზავა, პ. შირინი, ა. ჯარიაშვილი, ვ. ჩორნი, ბ. სტუკალენკო, ა. იმანოვი, ს. ბარსუკოვი, ბ. სტეფანოვი, ნ. აბზიანიძე, კურენოი, პრონინი, ზაბადუევი, გ. გერასიმენკო, ა. მეითხანოვი, ატახანოვი, ნაზაროვი, გიბიშვილი და სხვა.

საბრძოლო რაზმი, ჩვენი პოლკის მე-3 ბატალიონის მე-9 ასეულის უფროსი სერჟანტის, საგარეჯოელი პ. მ. შირინის მეთაურობით, ტირასპოლის კარიბჭესთან მტრის განლაგებაში შეიჭრა და ტყვიამფრქვევებით დიდი ზარალი მიაყენა.

მას შემდეგ, რაც გარღვევის ცდა მარცხით დამთავრდა, საქმე მეტისმეტად გართულდა. აღარ ვიცოდით, სარდაფში წავსულიყავით თუ მრგვალი ყაზარმის ნანგრევებს დავბრუნებოდით. ვერც კი გამოგვერკვია, ვინ ბატონობდა სარდაფში — მტერი თუ მოყვარე... თუ ჩვენ პოზიციას დავტოვებდით, მაშინ ტირასპოლის კარიბჭე გერმანელებისთვის უნდა დაგვეთმო. ისინი თავისუფლად შემოვიდოდნენ ციტადელში და სიმაგრის დამორჩილებაც გაუადვილდებოდათ. ბოლოს და ბოლოს, ვამჯობინეთ მრგვალ ყაზარმაში დარჩენა.

უჩვეულოდ მყუდრო ღამე იყო. სიმაგრეში სამარისებური დუმილი ჩამოწვა. არ გვასვენებდა ხვალინდელ დღეზე ფიქრი. მთელი ღამე ვბორგავდით. გარშემო მოგიზგიზე ცეცხლი და ზაფხულის თაკარა სიცხე სულს გვიხუთავდა; გვამების სუნი გვაწამებდა. ამ საშინელებამ ყველა გასაჭირი დაგვავიწყა. ცხვირზე ხელს ვიჭერდით, მაგრამ საშველი არსაიდან იყო.

ციხის ნანგრევებზე

ალბაზავა დილიდანვე ცუდად გახდა. ჯერ იყო და, გაუთავებელი ხველა აუტყდა. თავი რომ შეეკავებინა, მიწაზე დაემხო, წელში მოიკაკვა და მუცელზე ხელები მოიჭირა. რამდენიმე წუთს ასე ეგდო გახურებულ ნანგრევებში. რადგან არ კვნესოდა, გვეგონა, ავადმყოფობამ გაუარაო, მაგრამ მალე ფეხზე წამოვარდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, გაწვრილებული კისერი წაიგრძელა და თმაგალიპული თავი კედელს მიაყრდნო. განზე დადგმული ფეხები აუცახცახდა, და ძალა უკვე არ შესწევდა, რომ თავი შეეკავებინა.

ასათიანმა სცადა იატაკზე დაესვა ამხანაგი, მაგრამ კედელს ვერასგზით ვერ მოგლიჯა. ზემდეგს პირზე დუჟი მოსდგომოდა და უკვნეოდ ხიხინებდა. უცებ თავი ასწია, დამპალი ხორცის ნაჭრები, დაუღეჭავი ბალახი გადმოანთხია და მუხლი მოეკვეთა. დიდხანს აღებინებდა. დასიცხული ბორგავდა და კანკალებდა, ხელში გვაკვდებოდა ავადმყოფი. გულწასული კუთხეში გადავიტანეთ და ფარაჯის ნაგლეჯებზე დავაწვინეთ. ბელორუსმა ჯარისკაცმა ჩამოფხრეწილი ხალათი გახადა, ორი კვირის წინათ შეხვეული ჭრილობა გაუხსნა, ჩაშავებულ. დაჩირქებულ ნარას თითებით დაუწყო ჩიჩქნა.

ავტომატის კაკანი სულ ახლოს ისმოდა. ციხის ნანგრევებში მტრის რაზმები დაეხეტებოდნენ. თავშეფარებულ ჯგუფებს დაეძებდნენ. ჩვენ იშვიათად ვეპასუხებდით. ამიტომ ფაშისტებმა დანამდვილებით არ იცოდნენ. სად ვიმალებოდით. ტყვია მაინც არ ენანებოდათ, მიადგებოდნენ სარდაფის ჩასასვლელს, ან სათოფურს და ისროდნენ. ხელყუმბარებს აფეთქებდნენ. ჭუჭრუტანებში ავტომატის ლულას გაჰყოფდნენ და ალალბედზე აკაკანებდნენ. სარდაფში ჩამოსვლას კი ვერ ბედავდნენ. მრგვალი ყაზარმის ნანგრევებში რამდენიმე კაცილა იმალებოდა. ერთადერთი ტყვიამფრქვევი ჰქონდათ. დღისით ისინიც ჩუმად იყვნენ, მაგრამ საღამოს, როცა მტრის რაზმები ტირასპოლის ხიდზე გადადიოდნენ, ზურგში ურტყამდნენ და მომხვდურთა ჯგუფები საკმაოდ შეთხელებულნი უბრუნდებოდნენ თავიანთ ბუნაგს.

ციხის ნანგრევები იდუმალებით მოცულ საშინელებად იქცა. ვერ გაიგებდი, საიდან მოგადგებოდა მხეცი, საიდან გაგკრავდა კბილს. არ იცოდი, სად იყო მტერი და სად მოყვარე. ყოველ კედელთან, ყოველ ჩამონგრეულ ქვასთან, სარდაფის

კუნძულში. იდუმალი ძალა მიმალულიყო. ეს გავარვარებული ნანგრევები აღარც ჩვენ გვეკუთვნოდა და აღარც მათ. ისინი, მცირე რაზმებად დანაწილებულნი, დღისით აქ დაძვრებოდნენ, ღამით კი დარჩენას ვერ ბედავდნენ, შიშით მიიძურწებოდნენ დასავლეთ კუნძულზე. ცენტრალური ხერთვისი კვლავ ჩვენს ხელთ იყო. ყველგან გრძნობდი ჩასაფრებულ ამხანაგს, რომელსაც ძნელად გადაურჩებოდა დუშმანი თუ სადმე მოახელებდა. ნანგრევები არ ნებდებოდა. საყდრიდანაც ისმოდა ტყვიის ტკრციალი, თეთრი სასახლიდანაც, დასავლეთ და ჩრდილოეთ კუნძულებიდანაც.

დღისით უკვე იშვიათად გვბომბავდა მტერი, ეშინოდა ციტადელში გაფანტული თავისი რაზმები არ დაეზიანებინა, ხოლო შებინდებისას, როცა მოიერიშენი ნანგრევებს სტოვებდნენ, არტილერია ძველებურად უშენდა და ზოპიკირე თვითმფრინავები მძიმე ბომბებს აყრიდნენ პოლკის სარდაფს. ამ დროს მრგვალ ყაზარმაში ვიმალებოდით, მტრის ცხვირწინ. კარიბჭის ეს კუთხე ერთადერთი ადგილი იყო, რომელსაც კვლავ უფრთხილდებოდა.

პანტელეიმონი მთელი დღე ცნობადაკარგული ეგდო კუთხეში, დაბინდებისთანავე ფრთხილად დავაწვინეთ მუშაბაზე და მრგვალი ყაზარმისაკენ წავიყვანეთ. თუმცა მისავათებულიყო დევკაცი, გადაყვანა მაინც გაგვიჭირდა. ჩონჩხადქცეულ მებრძოლებს მუხლი ეკეცებოდათ, ძლივძლივობით მილასლასებდნენ ნანგრევებში. ხან ფეხს წამოჰკრავდნენ ქვებს და თუ ვინმე არ მიეშველებოდა, წელს ვეღარ აითრევდნენ. მხოლოდ იარაღი გადაგვქონდა ადგილიდან ადგილზე. სხვა აღარაფერი გვებადა.

შემაძრწუნებელი სანახავი იყო კვამლით შებურულ ნან-

გრეკებში მიმავალი ჩვენი ქარავანი. ტანისამოსშემოგლეჯილნი, ფეხშიშველნი აჩქარებით მივაბიჯებდით გათანგულ მიწაზე. რაც შეიძლებოდა სწრაფად უნდა გავცლოდით სარდაფს, რადგან ვიცოდით, საღამოთი მტერი დაბომბვას განაახლებდა. დაბომბვა მაშინ დაიწყებოდა, როცა მტრის უკანასკნელი რაზმი ციტადელს დასტოვებდა. ამიტომ მათ მოკრაობას ბეჯითად ვადევნებდით თვალს.

იმ ღამით მტერმა არც ტირასპოლის კარიბჭესთან მოგვასვენა. ჯერ იყო და ხიდზე გადმოსვლა სცადა, მაგრამ ჩვენმა ტყვიამფრქვეველებმა განზრახვაზე ხელი ააღებინა. მოგვიანებით ზოგიერთმა ნაწილმა ნავტიკებით გადმოსელა ბუგი. მზვერავმა მაშინვე თვალი ჰკიდა, მაგრამ ისე ცოტანიღა დავრჩით, რომ დესანტის მოგერიება აღარ შეგვეძლო. გადავწყვიტეთ უხმოდ გავცლოდით იქაურობას. ავადმყოფს ხელი დავავლეთ და ილაჯგაწყვეტილებმა ჩრდილოეთისაკენ გავწიეთ. უკან ჩამოვიტოვეთ საბრძოლო მასალის საწყობი. მოკვეთილი ხიდი და მოტომექანიზებული ბატალიონის ნაგებობათა უკან ჩამოინგრეულ კოშკს შევეფარეთ.

ეტყობა, დესანტმა გულდასმით შეამოწმა ჩვენი მიტოვებული ადგილი და რაკი წინ აღარავინ ეღობებოდა, მცირე ჯგუფებად განაწილდა და ნანგრევების გასაჩხრეკად გამოეშურა.

ერთმა ჯგუფმა ჩვენამდეც მოაღწია. გაფანტულად მომავალი შვიდი-რვა ჯარისკაცი ხმამაღალი მასლაათით გვიახლოვდებოდა. გატრუნულნი კედელს ავეკარით, სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ აფხაზავა. მას ისევ აუტყდა ხველა და ხრიალი. ვილაცამ ჩვარი ამოიღო და ავადმყოფს სახეზთან აუფრიალა. არ ვიცი, აშან უშველა თუ არა. — ზემდეგი გაუჩდა.

ყაზარმის ეს ნაწილი მიწასთან იყო გასწორებული; მტერმა ზედმეტად ჩათვალა მისი გაჩხრეკა. ჯარისკაცები მოვალეობას ასრულებდნენ მხოლოდ. სხვადასხვა მხრიდან უვლიდნენ ყაზარმას. ისე კი დარწმუნებული იყვნენ, რომ ტირასპოლის კარიბჭიდან ისევ სარდაფში ვიყავით გადაბარგებული.

თითქმის ნახევარ საათს ვიყავით ასე განაბული. ბოლოს, როგორც იქნა, თეთრად აზვინულ ნანგრევებზე უკან გამობრუნებული ჯარისკაცების ოდნავ მოხრილი ჩრდილები დავლანდეთ. ისინი უკვე განაწილებული გვყავდა. ერთს ორი-სამი უნდა მივხტომოდით და გაგვეგუდა. ავტომატები უზრუნველად ძირს დაეშვათ გერმანელებს. რამდენიმე ნაბიჯით რომ გაგვცდნენ, ზურგიდან ვეძგერეთ. ზარდაცემულებმა დაკნავლებაც ვერ მოასწრეს. ტყვედ მხოლოდ ერთი, წინმიმავალი წამოვიყვანეთ. გვამებს ასართმევი ავართვით, მერე მუხავეცის ნაპირზე ჩავათრიეთ და ზემოდან ჟალტამი წავაფარეთ.

ნადავლი მცირე აღმოჩნდა: რამდენიმე გაკვნეტა შოკოლადი, ცოტა ძეხვი და ნამცხვარი. თერმოსები ცარიელი ჰქონდათ. წვეთ-წვეთობით, ძლივს შევაგროვეთ ნახევარი ჭიქა ნელთბილი ყავა და ავადმყოფს დავალევინეთ. შოკოლადიც იმას დავუთმეთ. ჩვენ კვლავ ბალახბულახი ან მძორი უნდა გვეძებნა.

ტყვე შტაბს-ეფრეიტორი გამოდგა, სასიკეთო ვერა გვითხრა რა. გვარწმუნებდა: თავს ტყუილად იღუპავთ, ფიურერის ბრძანებით, ზოგიერთ დივიზიას გზიდან აბრუნებენ. სულ ერთია, ბრძოლას მაინც ვერ მიუსწრებენ, სანამ ფრონტზე მივლენ, მოსკოვი დაეცემაო. უკანგამობრუნებულებს გული სწყდებათო... ახლა ინგლისში გადავალთ, ამერიკასაც მალე წამოვაჩოქებთო!..

შტაბს-ეფრეიტორი საზეიმო ხმით გვიყვებოდა ყოველივეს,

თითქოს ჩვენც მოვალე ვიყავით, გაგვეზიარებინა მისი სიხარული.

გერმანელის დაკითხვა რომ დავიწყე, აფხაზავამ იმ დღეს პირველად წამოსწია თავი, ცნობისმოყვარეობით გადმომხედა. სანუგეშო, აბა, რა უნდა მეთქვა! ენაჭარტალა ტყვე სულ „კაპუტ რუსლანდს“ გაიძახოდა და ეს მძიმე ტკივილი ავადმყოფს უფრო სტანჯავდა.

თავი ისე დავიჭირე, თითქოს არც შემემჩნიოს პანტელეიმონის გამოხედვა. შტაბს-ეფრეიტორს ჯიბეები გავუჩხრიკე. ერთგან გაზეთის ფურცელში გახვეული პატარა შეკვრა ვუპოვე. შიგ ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავ-აბზინდები აღმოჩნდა. ტყვეს გაკვირვებით ავხედე. ომის სუვენირიაო, განმიმარტა.

გაზეთის შრიალი რომ გაიგონეს, ამხანაგები მომცვივდნენ. ავადმყოფიც გამოცოცხლდა, ყველანი გარს შემომეხვივნენ. შიმშილიც გადაავიწყდათ, დაღლაც და საფრთხეც. მაშინ ყველაზე მეტად ვიგრძენი, რა ყოფილა ჩვენი დროის კაციათვის ეს ნაბეჭდი ფურცელი, ახალ-ახალი ამბები რომ მოაქვს და სიცოცხლესავით მოგვენატრა იმ დღეებში. მაგრამ ეს ალბათ მეტრის გაზეთი იყო. მაინც გვინდოდა გაგვეგო, რას წერდნენ ისინი, რა ხდებოდა ქვეყანაზე, სიმაგრის მიღმა, თუგინდ ჩვენი პოლკის შენობის იქით. ამ გაზეთის ნაგლეჯში იქნებ გვეპოვა სიმართლის ნატამალი. მაგრამ სიბნელეში ვერას ვხედავდი. შორეული ცეცხლის შუქზე ისღა შევამჩნიე, რომ გერმანული გაზეთი იყო. შტაბს-ეფრეიტორი უხამსად წაეპოტინა გაზეთის ნაგლეჯს, მაგრამ ონისიმემ ვეღარ მოითმინა და ყური აუწია. გულმოსულმა ტყვემ გასასვლელისაკენ გაიწია და ხმამაღლა დაიყვირა:

— ჰილფე! მომეშველეთ!

იმ წამსვე ყელში ვეცით.

ნანგრევებში ახლა ფაშისტები დაძრწოდნენ. იქნებ გაიგონეს კიდეც შტაბს-ეფრეიტორის ყვირილი? სხვა გზა არ გვქონდა! სასწრაფოდ უნდა ავბარგებულიყავით და ახალი თავშესაფარი გვეძებნა.

აფხაზავა ორი არტილერისტის დახმარებით, როგორც იქნა, წამოდგა. სახიფათო ადგილი უხმაუროდ დავტოვეთ და უფრო ჩრდილოეთით გავწიეთ. გავცდით ყოფილ სასადილოს, მივეკიდით სანიტარულ ნაწილთან და აქ, ღია ცის ქვეშ, ნანგრევთა ორმოში გავირინდეთ.

ჯოჯოხეთური ღამე იყო, ფეხს ვერ წადგამდი წინ, გახუწყვეტლივ კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები და ავტომატები; მათ შაშხანების ქუხილი პასუხობდა.

თხრილში გაშხლართული ავადმყოფი ბორგავდა, კბილებს ახრჭიალებდა, კვნესოდა...

ამ გაგანიაში ზოგჯერ ქურდულად აიხედავ და, თვალს შეავლებ ივლისის კამკამა ცას, ვარსკვლავებით მოჭედილს... მაგრამ უმალ უბრუნდები დახანძრულ ნანგრევებს და თვითეული წუთის გახანგრძლივებაზე ზრუნავ...

გარიჟრაჟზე, როცა ის იყო სროლა მინელდა და ერთი პირი ძილი ალმურიან სიმაგრესაც მოეკიდა, ჩრდილოეთის მხრიდან ჩვენი პოლკის სარდაფში ჩავასწარით, შედარებით უშიშარი ადგილი მოვნახეთ და იმწამსვე გაზეთს ვეცით.

სინათლე ოდნავ ატანდა სათოფურში და სიტყვებს დიდის გაჭირვებით ვარჩევდი. პირველად თვალში მომხვდა უზარმაზარი წიოელი ასოებით დაბეჭდილი ანშლაგი: „გეგენიუბერ შტეენ ნოინ მილიონენ სოლდატენ“.

ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ეს სტრიქონი,

ის გაზეთი და ყველაფერი, რაც შიგ ეწერა. მკაფიოდ მახსოვს. არაფერი წამიკითხავს ისეთი ველური სიხარბით, არც ისეთი მღელვარე მსმენელები მყოლია ოდესმე. სათაურიდანვე ყველაფერი ნათელი გახდა. ამხანაგებს ვეხვეოდი, ვულოცავდი, მათ კი ჯერ არ იცოდნენ, რაში იყო საქმე და გაკვირვებით შემომყურებდნენ.

საოაურის გადათარგმნამ არ დამაკმაყოფილა და რაღაც უსიამო გრძნობაც აღმიძრა, ამიტომ სხაპასხუპით დავიწყე ამოკითხული ცნობების განმარტება:

— ძმებო, მტერი ვერ მალავს, რომ საბჭოთა არმია იბრძვის და ომი გრძელდება. ჩვენს ქვეყანას უკვე მოუსწრია ჯარის გაწვევა და ფრონტზე მისი გამოყვანა. ქურდული თავდასხმის შედეგად დაზარალებული დივიზიები ახალი ნაწილებით შეუკვლია. ამ გაზეთიდან ჩანს, რომ მტრის პირისპირ ცხრა მილიონი წითელარმიელი დგას. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო იბრძვის და შეუძლებელია მისი წამოჩოქება. ამაში ჩვენც გვიდევს წილი, ჩვენც ვაკავებთ იმ ძალებს, რომლებიც მტერს თავისი გეგმის სწრაფი განხორციელებისათვის წინა ხაზზე ესაჭიროება...

გაზეთის ნახევი კიდევ რამდენჯერმე გადავიკითხე და მტრის პროპაგანდისტული სტატიებიდან ბრძოლის ნამდვილი სურათი აღვადგინე.

ერთ წერილს სათაურად ჰქონდა: „დი ბოლშევიკენ ინ ფესტუნგ ფონ ბრესტ-ლიტოვსკ ლაისტენ აინენ ჰეფტიგენ კიდერშტანდ“. — „ბოლშევიკები მძაფრ წინააღმდეგობას გვიწევენ ბრესტის ციხე-სიმაგრეში“...

სხვა ადგილას გაზეთი საყვედურობდა, რომ უკან დახევისას

საბჭოთა ჯარები სპობდნენ ხიდებს, ტრანსპორტს, სწვავდნენ პურის მარაგს, აჩაღებდნენ პარტიზანულ ბრძოლას და ამით ხელს უშლიდნენ გერმანიის არმიის წინსვლას.

პირველად გავიგეთ, რა ხდებოდა დედა სამშობლოში. მივხვდით, ჩვენები იბრძოდნენ და ვგრძნობდით — გაიმარჯვებდნენ კიდეც.

— ცოტაც გავუძლოთ, ბიჭებო, და წამოგვეშველებიან!.. — იმედიანად თქვა შეჭაღარავებულმა ბელორუსმა.

— ხელს რომ გამოგვიწვდიდნენ, მთელ წელიწადსაც გავუძლებდით!.. გავიცანით უკვე, რა შვილებიც ბრძანდებიან... — გაეხმიანა მეორე.

— ეჰ, ჩვენები ვერასოდეს გაიგებენ, რომ აქ ვიბრძოდით. ერთ დღესაც იქნება, ჩამოივლის ფოსტალიონი და ჩამოარიგებს უწყისებს — ესა და ეს კაცი უგზოუკვლოდ დაიკარგაო. სხვა არაფერი, — თქვა ნაღვლიანად მესამემ.

ამ სიტყვებზე აფხაზავა წამოდგა, სათოფურთან მივიდა და გაფიცხებული სახე დილის ჰაერს მიუშვირა. მაგრამ ქარს საშინელი სიმყრალე და შემხუთველი მხურვალება შემოჰქონდა სარდაფში და ავადმყოფმა მაშინვე პირი იბრუნა.

— მისკდება ეს წყეული თავი! — მთელი დღე-ღამის გამავლობაში პირველად ამოიდგა ენა აფხაზავამ.

ონისიმემ პერანგი გაიხადა და მეგობარს თავზე შემოახვია. ზემდეგი იხვეწებოდა, — „მაგრად, მაგრადო“. ერთ მხარეს ასათიანმა ჩაავლო ხელი, მეორეს — ბელორუსმა და ისე გაუწიეს, იტყოდი, თავი უნდა მოგლიჯონო.

კარგად რომ ინათა, მტერმა ისევ შემოუტია ციტადელს. ბომბებთან ერთად ბენზინიანი ავზები და გავარვარებული სითხით სავსე ყუთები გადმოგვაყარა.

ნაშუადღევს ბომბსა და ჭურვებს მტრის მოიერიშენი შემოჰყვნენ. ჩასასვლელები ღია იყო, რადგან სხვა მცირე ჯგუფებიც ჩვენსავით ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ და თვითეულს მხოლოდ თავისი უბნის დაცვაღა შეეძლო.

გერმანელებმა ადვილად დაიკავეს ჩასასვლელები და სათოფურები; მერე რაკი წინააღმდეგობას აღარ წააწყდნენ, მთელი სარდაფი გარემოიცვეს. გასაქცევი აღარსად გვქონდა, მტერს მუჭში ვყავდით გამომწყვდეული, მაგრამ ჩამოსვლას ვერავინ ბედავდა; ზედმეტ მსხვერპლს ერიდებოდნენ.

მზად ვიყავით უკანასკნელი გაბრძოლებისთვის, მაგრამ ახლომახლო ჯერ არავინ ჩანდა და არც ჩვენ ვისროდით. ვგრძნობდით, ეს გაურკვევლობა და იდუმალება უფრო აშინებდა მტერს; მართლაცდა, ძნელია ბნელ სარდაფში ჩასვლა, თუ იქ ავტომატით და ტყვიამფრქვევით შეიარაღებული მოწინააღმდეგეა ჩასაფრებული. ამიტომ მტერმა ჯერ ხელყუმბარები ჩამოყარა სათოფურებიდან, მერე კი ცეცხლმფრქვევებით გადაანათა სარდაფი. იფშვნებოდა კედლები, ბორგავდა ჯურღმული და ხანძარი სარდაფის ქვედა სართულისაკენ მიგვერეკებოდა. ფეხდაფეხ მოგვდევდა გერმანელების ყვირილი:

— რუსო, ჩაგვბარდი!

სიღრმეში მივიწევდით, გასასვლელს ვეძებდით. გაგვეგონა, სიმაგრეს მიწისქვეშა გზების მთელი ლაბირინთი აქვსო, მაგრამ ჩვენთან არავინ იყო გზის ზუსტი მცოდნე. ასათიანი ჯიუტობდა, პირველსავე ბილიკს გავყვეთ, ვინძლო ხვრელა რასმე წავაწყდეთ და ალყას თავი დავაღწიოთო. სხვები აწუმუნებდნენ, ასე ბრმად სიარული არ შეიძლება, რუკა არ გვაქვს, გზას არ ვიცნობთ, ყოველ ნაბიჯზე მოსალოდნელია, მტერს ჩავუვარდეთ ხელშიო. ასეთი შემთხვევისათვის ონისი-

მეს ხელყუმბარა ჰქონდა შემონახული. ბუგი რომ გადმოცურა, იმ დღეს იშოვა. ამბობდა, მხოლოდ მაშინ ავაფეთქებ, თუ მტრის პირისპირ აღმოვჩნდები, მეც დავიღუპები და იმათაც მოვსპობო.

ხანძარს გუგუნი გაჰქონდა, ჩასასვლელს ცეცხლის ენები ლოკავდა, მაგრამ ქვის კედლებში ცეცხლი ადვილად მაინც ვერ იკაფავდა გზას. მხურვალება და ნატისუსალი სულს გვიხუთავდა, თვალის გახელა გვიჭირდა...

ჩემ გვერდით რამდენიმე ამხანაგი დაეცა.

— გარღვევაზე, გასასვლელისკენ! — თავგანწირულად დაიყვირა აფხაზავამ.

ანგარიშმიუცემლად შევვარდით მხრჩოლავ ბოლქვებში და სარდაფი სიგრძივ გადავჭერით... კვალდაკვალ მოგვყვა კარაბინების ქუხილი, გაისმა ხელყუმბარების აფეთქება, შეკივლება, რომელიც ერთი მოწყვეტით ჩაკვდა. შემდეგ სადღაც, უფრო მოშორებით, ტყვიამფრქვევი აკაკანდა და შაშხანებმა დაიგრიალეს.

ჩვენი ჯგუფიდან ათიოდე კაცი გადარჩა. აფხაზავა ჩვენთან იყო, ზემდეგი, თითქოს ცეცხლში გამოვლამ უშველაო, ახლა უკეთ გრძნობდა თავს.

სხვებთან ერთად ხანძარში გამორბენისას ონისიმე ასათიანიც დავკარგეთ.

ღამე პოლკის შტაბის ნანგრევებში გავატარეთ, ყველანი ერთ კუთხეში ვიყავით შეყუჟულნი და ძილი არ გაგვკარებია...

მტერი ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად იკავებდა ციტადელს.

აქ დიდხანს დარჩენა შეუძლებელი იყო. დილით მოწინააღმდეგე აუცილებლად მოუბრუნდებოდა სარდაფებს და, ცხადია, ჩვენც გვიპოვიდა. საყდარში გადასვლაც რომ მოგვეხერხე-

ვინა, — ეს ჩვენი პოლკის ტერიტორიაზე ხელის აღებას ნიშნავდა. ამ უპირნზე კი აქა-იქ კიდევ იბრძოდნენ პატარ-პატარა ჯგუფები და იმედი გვქონდა, მათ შევუერთდებოდით. ამიტომ ვამჯობინეთ, დროებით ისევ მრგვალ ყაზარმას შევფარებოდით ტირასპოლის კარიბჭესთან.

დილით ხიდზე მტრის ნაწილები გამოჩნდნენ. რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხს მოათრევდნენ. გავიტრუნეთ, არ გვინდოდა ფაშისტებს შევემჩნიეთ. მათ შეუჩერებლივ გასწიეს ჩრდილოეთისკენ და კარგა ხანს აღარავინ შეგვინიშნავს. შუადღისას დავინახეთ, რომ მეავტომატეთა ერთი ათეული პირდაპირ ჩვენკენ მოემართებოდა. არ ვიცი, აღმოგვაჩინეს თუ ნანგრევთა ზორიგ „წმენდას“ ატარებდნენ. მაშინვე უხმაუროდ წამოვიშალეთ და წელში მოხრილნი კედელ-კედელ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გავყევით ყაზარმას. ალაგ-ალაგ კედელი შენგრეულიყო და მდინარის მეორე ნაპირიდან გუშაგებმა თვალი შეგვასწრეს. მეავტომატეთა ჯგუფი საჩქაროდ დაიშალა და ყაზარმის მხრიდან გვიყელა. ალყა ისეთ ადგილზე დავიწროვდა, რომ სხვა გზა არ გვქონდა, რაღაც სასწაულით გადარჩენილი კიბით მეორე სართულზე ავირბინეთ, სხვადასხვა მხარეს გავიფანტეთ და გამოშვერილ ნიშებს აფოვეფარეთ. მოიერიშენი ფეხდაფეხ ამოგვყვნენ.

კიბე რომ ავათავეთ, აფხაზავა აღმოსავლეთისკენ გაიქცა, მე — დასავლეთისკენ. ამოსასვლელი უმალ დაიკავა მტერმა და რაკი შეატყო, მახეში გაგვაბა, ახლა ყველა მხრიდან დაგვიარა. პანტელეიმონმა უკან დაიხია, მაგრამ ამ ადგილზე იატაკი ჩანგრეული აღმოჩნდა და ერთურთს ნაპრალი გვაშორებდა.

მოიერიშენი უხმოდ წამოეპარნენ ზემდეგს. როცა პანტე-

ლეიმონმა მოახლოებული მტერი შეამჩნია და ავტომატი დაუშინა, ისინი ნიშებთან მიიმალნენ და ხელყუმბარები დააყარეს. აფხაზავა იძულებული იყო განუწყვეტლივ ესროლა და ვაზნები მალე გამოელია.

— რუსო, ჩაგვბარდი! — უყვიროდნენ უიარაღოდ ღარჩენილს.

მაგრამ ზემდეგი ჩაბარებას არ აპირებდა. აღარც ისროდა. მაშინ ავტომატშემართული სამი მოიერიშე საშინელი ღრიალით დაეძგერა. სანამ ზემდეგს ხელს ჩაავლებდა, ურთი მათგანი ჩვენ განვგმირეთ, ორს გამგელებული პანტელეიმონი დაეტაკა და ავტომატები დააყრევინა, სროლა აღარ შემეძლო — არ ვიცოდი, მტერს მოხვდებოდა თუ მოყვარეს. არც მიშველება ხერხდებოდა, რადგან ჩაქცეული იატაკი გვთიშავდა; ისღა დაგვრჩენოდა, მტრის ჯარისკაცები არ ამოგვეშვა ამოსასვლელ კიბეზე.

ზემდეგმა ერთმანეთს მიანარცხა მოიერიშენი და უშველებელი მარწუხივით შემოაჭდო რკინის მკლავები. გერმანელები ცდილობდნენ, თავი გაეთავისუფლებინათ, სასოწარკვეთით იბრძოდნენ და სამივენი, ერთ ბურთად შეკრულნი, ძიძგილით უახლოვდებოდნენ ჩანგრეულ იატაკს, რომელიც მძლავრად ირყეოდა მათი ჯაჯგურისაგან.

სამივენი ბეწვის ხიდზე ეკიდნენ... პანტელეიმონის მარწუხი მტკიცე იყო, მაგრამ ორი დასვენებული, მაძღარი მოიერიშე სულ უფრო ჯაბნიდა ავადმყოფს.

თავი რომ შეემაგრებინა, ზემდეგმა სცადა მუხლით მიყრდნობოდა კედელს. გამოჩნდა მისი განწირული, შეშლილი სახე, თავზარდამცემი სანახავი იყო ეს ვეება, თეთრი პერანგით თავწაკრული პირქუში კაცი. დაღლილი ზემდეგი მოიერიშეებმა

ადვილად მოგლიჯეს კედელს; ცალი ფეხი ნაპრალზე ეკიდა, მაგრამ მკლავებით მახრჩობელასავით ჩასჭიდებოდა მტერს და ახლა ძალაუნებურად ისინი იმაგრებდნენ.

— რუსო, ჩაგვბარდი!

— რუსო, ჩაგვბარდი! — ისმოდა კიბესთან მიმალული მოიერიშეების ძახილი.

ავტომატი ერთ ბირთვად შეკრული ნეტოქეებისაკენ მივმართე, მაგრამ შერყეულმა იატაკმა ერთი საზარლად დაიბგრიალა და სამივენი თან ჩაიტანა. დანჯღრეული კედელიც უმალ ჩამოირღვა და ერთბაშად წარმოქმნილი ნანგრევთა გორაკი მეორე სართულს ამოსწვდა.

ეს მოხდა სწორედ იმ ადგილას, სადაც რამდენიმე დღის წინ კაკაბელი ბიჭის გვამი ვიპოვეთ.

გერმანელებმა ქვემეხი მოაყენეს შენობას და ცეცხლის რკალში გამოგვიმწყვდიეს.

ყუმბარების ქუხილი გაძლიერდა, მორყეული კედელი კვლავ გრუხუნით დაენარცხა დედამიწას.

უდაბნოდ ქცეულ თეთრ ნანგრევებს ქარ-ცეცხლმა გადაუარა და ჰაერში კვამლის სვეტები აღმართა.

იმ დღეს, როცა ჩვენი რაზმი დაიღუპა, 333-ე პოლკის აარდაფებიდან კვლავ მოისმოდა ტყვიამფრქვევების კაკანი და ხელყუმბარების გრიალი. ჩვენი საკუთარი სარდაფები ჩვენთვისვე რაღაც გასაოცარ საიდუმლოებად იქცა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ბოლმისაგან გული მელევა, რომ არ ვიცი, რომელი ამხანაგი იბრძოდა იქ იმ დროს, სანამდე შეძლო მშობლიური პოლკის ღირსების დაცვა და როგორ დაამთავრა თავისი ლეგენდარული სიცოცხლე. ასე მგონია, რაკ ჩვენ ბრესტის სიმაგრეზე ვიცით, ძალიან მცირე ნაწილია იმ

დიდი ტრაგედიისა და ზღაპრული სიმამაცისა, საზღვრისპირა სიმაგრის სარდაფებსა და ნანგრევებში რომ დატრიალდა. ამბობენ, ჩვენი პოლკის ტერიტორიაზე მთელი ზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლაო, — და ეს სავსებით სარწმუნოდ მიმაჩნია. აგვისტოში, როცა მე ბრესტის დასავლეთით, პოლონეთის ტყეებში მივიკვლევდი გზას, სიმაგრიდან კვლავინდებურად ისმოდა ყრუ აფეთქების ხმა.

ჩაუგებელი ხმალი

სიმაგრე ბრძოლას განაგრძობდა.

ნანგრევებში ჩასაფრებული პატარა რაზმები მოსვენებას არ აძლევდნენ მტერს, ყოველი კუთხე და უბანი ხელიდან ხელში გადადიოდა; მოიერიშეები ფრთხილობდნენ, სარდაფში ჩასვლას ვერ ბედავდნენ, თავზე ხელაღებულ დამცველებს ერიდებოდნენ.

განსაკუთრებული გააფთრებით გრძელდებოდა ბრძოლა აღმოსავლეთის ფრონტზე, რომელსაც გავრილოვის ჯგუფი იცავდა. ივლისის დამდეგიდან გერმანელებმა აქ მოაყარეს მთავარი ძალა, დიდი წვალებით დაიკავეს ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლები და დასავლეთ ფრონტის დამცველი ასეული გავრილოვის ძირითად ნაწილს ჩამოაშორეს. გადარჩენილი ორი ასეული გავრილოვმა აღმოსავლეთ ფორტში შეაგროვა და აქ ხანგრძლივი თავდაცვის კერა შექმნა.

ფაშისტური სარდლობის ერთ-ერთ პატაკში, რომელიც სერგეი სმირნოვს აქვს მოყვანილი თავის წიგნში, ნათქვამია:

„აღმოსავლეთის ფორტში ქვეითი ნაწილების შესვლა შეუძლებელია. ტყვიამფრქვევისა და შაშხანების ბრწყინვალედ ორგანიზებული ცეცხლი ღრმა სანგრებიდან და რკალისებური ნაგებობის ეზოდან უმოწყალოდ სპობს ჩვენს მოიერიშეებს. ერთი გზაღა დაგვრჩენია: შიმშილითა და წყურვილით ვაიძულოთ რუსები, ჩაგვბარდნენ. ამიტომ ყოველგვარ ძალას გამოვიყენებთ, რომ მოვქანცოთ და გამოვფიტოთ ბრძენი. ერთი წუთითაც არ შევწყვეტთ გამაღიზიანებელ სროლას მძიმე ნაღმსატყორცნებიდან. ეს განუწყვეტელი ცეცხლი საშუალებას არ მისცემს რუსებს გადაირბინონ სანგრიდან სანგარში ან გამოვიდნენ ეზოში. ახლოს მივუყენებთ ტანკებს, რომლებიც პირდაპირი დამიზნებით დაუშენენ მათ პოზიციებს“.

ერთი დღის შემდეგ შტაბმა აღიარა, რომ ამ ღონისძიებებმა უნაყოფოდ ჩაიარა: „ტანკებიდან და მოიერიშე ქვემეხებიდან განვაგრძობდით აღმოსავლეთ ფორტის დაბომბვას, მაგრამ ვერაფერს გავხდით. დივიზიის მეთაურის განკარგულებით, კავშირი დავამყარეთ საავიაციო ნაწილთან, რომელიც მუხავეცის ნაპირზე იმყოფება.

მფრინავთა დასკვნით, ფორტის დაბომბვა შესაძლებელი იყო. დაბომბვის წინ, საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ, ჩვენი ნაწილები მიწაყრილის გარეთ გამოვიყვანეთ, და ეს ოპერაცია შეუმჩნევლად ჩავატარეთ, რომ რუსები ფორტიდან არ გაპარულიყვნენ. სამწუხაროდ, მეტად ღრუბლიანი დღე დაგვიდგა, რამაც ხელი შეუშალა დაბომბვას. სასწარაფოდ აღვადგინეთ სალტისებური ალყა და ღამით მტრის პოზიციების გასანათებლად რუსული პროჟექტორი გამოვიყენეთ; მაგრამ ჩვენს მხარეზე ოდნავ მოძრაობასაც კი მოწინააღმდეგე სროლით პასუხობდა.

მეორე დღეს თვითმფრინავებმა აურაცხელი ნახევარტონიანი ბომბები დააყარეს ფორტს. ამ თავდასხმამაც უშედეგოდ ჩაიარა. ასევე უნაყოფო გამოდგა ფორტის ბობოქარი დასეტყვა ტანკებიდან და მოიერიშე ტყვიამფრქვევებიდან, თუმცა ალაგ-ალაგ ძლიერი ნგრევა შეიმჩნეოდა.

მალე ახალი შეტევაც მოვამზადეთ: ბენზინით, ზეთითა და ქონით სავსე კასრები ფორტის სანგრებში ჩავყარეთ და ცეცხლგამჩენი ტყვიებით ავაფეთქეთ".

ჩალეწილი ფორტი ხანძარში გაუჩინარდა, ხოლო მიწაყრილზე იმწამსვე ახრიალდა რეპროდუქტორი, რომელიც იმუქრებოდა, მოითხოვდა, დაუყოვნებლივ დაგვნებდითო და ვადას გვინიშნავდა.

ამ მძიმე წუთებში საბჭოთა მეომრები პარტიულ განცხადებებს წერდნენ, პარტიაში მიღებას ითხოვდნენ.

გავრილოვმა კრება მოიწვია და ათობით მებრძოლი პარტიაში მიიღეს.

ამასობაში ვადაც ამოიწურა და თვითმფრინავებმა ბომბები დააყარეს ფორტს.

ორტონიანი ბომბის აფეთქებამ მთელი ქალაქი შეარყია, ფორტი მიწასთან გაასწორა. მტრის ასეულები ემალ შემოიჭრნენ ალმოდებულ ნანგრევებში, მაგრამ გავრილოვი ვერ იპოვეს.

რამდენიმე მებრძოლთან ერთად მაიორმა მიწის კედლის ბნელ კაზემატში მოასწრო შესვლა, სახელდახელოდ მოაწყო სამეთაურო პუნქტი და გრანატები დაუშინა მტერს.

გერმანელები კარგა ხანს დარჩნენ ფორტში, გავრილოვსა და მის თანამებრძოლებს კი ვაზნები უთავდებოდათ. ამიტომ უფრო საიმედო ადგილი გამოძებნეს, მიწაყრილის სიღრმეში

დაუმთავრებელი გვირაბი იპოვეს და შეუმჩნეველ, ვიწრო სოროებს შეეფარნენ. სანამ გერმანელები სიმაგრეში იქნებიან, აქ ღავრჩებით, მერე ტყეში გავიჭრებით, პარტიზანებს შევუერთდებითო, ფიქრობდნენ. მთელი დღე თითებით ჩიჩქნიდნენ მიწას. რომ გასასვლელი გაეფართოებინათ: ამონათხარს ზურგს უკან ყრიდნენ და გამოსაბრუნებელ გზას იხშობდნენ. ფაშისტები იმ სოროებსაც მიადგნენ, გულდასმით გასინჯეს, ხვრელები ავტომატებით გამოთოფეს, მერე ყური მიუგდეს, ხომ არავინაა და წავიდნენ. გავრილოვი და მისი ამხანაგები რამდენიმე დღეს დარჩნენ აქ; სინათლე არსაიდან შემოდიოდა, საჭმელი არ ჰქონდათ, წყურვილის მოსაკლავად ცივ აგურს ლოკავდნენ.

როცა მომხვდურთა ხმა საბოლოოდ მიწყდა, პისტოლეტითა და რამდენიმე გრანატით შეიარაღებული გავრილოვი გარეთ გამოვიდა. კაზემატის მახლობლად ტყვიამფრქვევის კაკანი შემოესმა. ყური მიუგდო, იცნო „დეგტიაროვის“ ტკრციალი; მალე რუსული ლაპარაკიც გაარჩია.

მიწაყრილზე თორმეტი საბჭოთა მეომარი აღმოჩნდა. მტრის იერიშის დროს ისინიც კაზემატებს შეჰფარებოდნენ; დღისით ხვრელში იმალებოდნენ, ღამით კი მტრის განცალკევებულ ჯგუფებს ტყვიამფრქვევის ცეცხლით ხვდებოდნენ. გავრილოვს იმედი ჰქონდა, რომ ამ ჯგუფს ბელორუსიის ტყეებში გაიყვანდა, მაგრამ არც ეს მოხერხდა, რადგან სიმაგრის გარემოცვა გრძელდებოდა. ერთ დღეს აქ გერმანელი მეავტომატეები შემოიჭრნენ და მიმალული ჯგუფი ადვილად აღმოაჩინეს.

ღონემიხდილი მაიორი კუთხეში თვლემდა, როცა სულ ახლოს გაიგონა:

— რუსო. ჩაგვბარდი!

თავდამცველებმა ხელყუმბარები ააფეთქეს, მაგრამ რამდენიმე ფაშისტმა მაინც მოასწრო კაზემატიდან გაქცევა. მტრის მაშველმა ნაწილებმა ფორტს ალყა შემოარტყეს. მოიერიშე ქვემეხებიდან ცეცხლი გახსნეს და მიწაყრილიდან ეზოში გრანატები ჩამოყარეს. გავრილოვი და მისი ორი თანამებრძოლი კვლავ ვიწრო ხვრელს შეეფარნენ.

მართალია, მტერმა ღამით კაზემატის გაჩხრეკა ვერ გაბედა, მაგრამ დამცველებს აქ მაინც აღარ ედგომებოდათ.

სოროდან რომ გამოვიდნენ, ფორტის გასავლელთან კოცონის გარშემო თავშეყრილი ჯარისკაცები შეამჩნიეს. გერმანელები ალბათ გათენებას უცდიდნენ, რომ დილით ისევ გადაექოთებინათ იქაურობა. აუცილებელი იყო ამ ალყის გარღვევა; თავდამცველებმა ერთმანეთი გადაკოცნეს და გაისმა გავრილოვის ბრძანება: „ცეცხლი!“ ერთდროულად იგრიალა სამმა ხელყუმბარამ... გავრილოვს ბუნდოვნად ახსოვს, როგორ გადაირბინა მტრის ხაზი; გონებაში ჩარჩა გრანატების გრიალი, გუშაგთა ჩოჩქოლი, ტყვიის წივილი და ჩამქრალი კოცონის ადგილზე დამკვიდრებული მყუდროება. ისე გარბოდა, მიწასაც აღარ გრძნობდა ფეხქვეშ; თან მიჰყვებოდა შემაშფოთებელი ხმაური, ნაბიჯების ხმა და გრძნობა, რომ საცაა ვიღაც წამოეწევა.

გზა რომ გადაირბინა და სული მოითქვა, თავზე ტყვიამფრქვევის ჯერმა გადაურბინა. ეს უცნობი თავდამცველი ისროდა მახლობელი „დოტიდან“. მაიორი მიწას გაეკრა, მდევრები უკან გაბრუნდნენ.

ათიოდე წუთის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. გავრილოვი ხოხვით გაჰყვა სიმაგრის გარეთა კედელს, ხელის ცე-

ცებით სადღაც კარი იპოვა და თავისი პოლკის საჯინიბოში აღმოჩნდა. უნდოდა არხგაღმა გასულიყო, მაგრამ გერმანული ლაპარაკი შემოესმა, ვიღაცამ ასანთს გაჰკრა და წყვდიადში პაპიროსიც აციმციმდა. მაიორი უკან გამობრუნდა, ამბრაზურებიანი კაზემატი მონახა და იქ ნაგვის გროვაში შეიმალა. ჰაერისთვის პატარა ჭუჭრუტანა დაიტოვა, თავზე ბუჩო წაიფარა და გვერდით დაიწყო უკანასკნელი ხელყუმბარა და რევოლვერი. ასე გაატარა მთელი დღე. ნაშუადღევს იქაც შევიდნენ გერმანელები, მაგრამ ზვინისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ღამით გავრილოვი არხის ნაპირზე გავიდა და დამპალ წყალს დაეწაფა. მერე ხუთი დღის უჭმელი საჯინიბოში საქონლის კომბინირებულ საკვებს წააწყდა და მაგრად მიაძღა. მეექვსე დღეს მუცლის ტკივილისაგან ტუჩებს იკბენდა და კვნესას ძლივს იკავებდა. მალე სიცხემ გონი წაართვა და უნებურმა გმინვამ გასცა. გერმანელები მაშინვე შემოცვივდნენ კაზემატში. მათ ხმაურზე ღონემიხდილი მაიორი გამოფხიზლდა, ძალა დაუბრუნდა და პისტოლეტი მოიმარჯვა. ფაშისტებმა უმალ შეამჩნიეს იგი და ნაგავს ფეხით დაუწყეს ქექვა. მაიორმა სიმწრით წამოიწია, გაჭირვებით დააწვა სასხლეტს და იარაღმაც იქუხა. შეშინებული გერმანელები გარეთ გაცვივდნენ; გავრილოვი კი ფეხზე წამოდგა და უკანასკნელი ბრძოლისთვის მოემზადა.

ამბრაზურაში ტყვიამფრქვევის ლულა გამოჩნდა და იმწამსვე აკაკანდა.

გაისმა ნაცნობი შეძახილი:

— რუსო დაგვნებდი!

მაიორმა ორივე ხელყუმბარა გაისროლა. გერმანელები გა-

იქცნენ, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ისევ მობრუნდნენ. გავრილოვი რევოლვერით ელოდა მტერს. ფაშისტებმა ჯერ ზურგიდან წამოუარეს ავადმყოფს. მერე ამბრაზურიდან გრანატები ჩამოყარეს და გონდაკარგული მეთაური ხელთ იგდეს.

გავრილოვი 23 ივლისს მიიყვანეს მახლობელ ბანაკში. სახედაჩეხილმა, გაბანჯგვლულმა და გააფთრებულმა მაიორმა თავისი მამაცობით მტრებიც გააოცა. გერმანელებმა მას სიცოცხლე აჩუქეს და, რადგან ჭამა არ შეეძლო, ხელოვნური კვებით მოასულიერეს...

სართიჭალელი ი. რთველაძის გადმოცემით, რომელიც ომის დაწყებამდე ჩვენს პოლკში მსახურობდა, მასთან ჩრდილოეთის ფორტებთან იბრძოდნენ 125-ე პოლკის მეთაურები და ჯარისკაცები: კოლესნიკოვი, ლაბაჩოვი, გრიშინი, არხიპოვი, კ. ნიჟარაძე, გ. ბურდიაშვილი, გ. მოსიაშვილი, ა. ხერუმოვი, ბიცუევი და სხვ.

ს. ინჯიასაგან გავიგე, რომ ივლისის ბოლოს სამხედრო ტაძართან ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა ჩვენი პოლკის ოცეულის მეთაური ვალოდია უგრეხელიძე.

ბრესტის სიმაგრე მაინც არ ნებდებოდა. მიუვალ ადგილებში მიმალული მეომრები ყოველ ნაბიჯზე ტყვიითა და ხიშტით ხვდებოდნენ მტერს. როცა ფაშისტური ურდოები მოსკოვსა და ლენინგრადს უტევდნენ, შორეულ საზღვარზე ჩამორჩენილი მებრძოლები გააფთრებით იცავდნენ საბჭოთა მიწის ყოველ მტკაველს.

გაბოროტებულმა მტერმა არხები გახსნა და წყლით ამოავსო დაუმორჩილებელი სარდაფები.

ივლისის ბოლოს გარემოცვა საგრძნობლად შესუსტდა. ნანგრევებს შეფარებულმა ზოგიერთმა დამცველმა, რომელ-

თა შორის მიხეილ მუმლაძეც იყო, ისარგებლა ამით და სიკაგ-
რიდან გასვლა მოახერხა. მეც თავი დავაღწიე მტრის ალ-
ყას და იმავე წელს პოლონელ პარტიზანებს შევუერთდი. და-
იწყო მტრის ზურგში განსაცდელითა და ხიფათით სავსე გზა,
რაც აღწერილი მაქვს წიგნებში: „პიასტის ნამუხლარზე“ და
„მაკიზარებთან“.

* * *

გერმანელებს სურდათ მარადიული საიდუმლოების ფარ-
და გადაეხურათ ნანგრევებისათვის. წყლით სავსე სარდაფებ-
ში დაემარხათ დამცველთა თავგანწირულების ამბავი, სამა-
რადჟამოდ მოესპოთ ამ უმაგალითო ბრძოლის ნაკვალევი,
რომელიც ჩრდილს აყენებდა მათ სამხედრო დიდებას. ისინი
მალავდნენ, რომ პატარა საბჭოთა სიმაგრის დაპყრობა უფრო
ძვირი დაუჯდათ, ვიდრე ზოგიერთი სახელმწიფოს დამორ-
ჩილება.

ბრესტის ეპოპეა დიდხანს იყო საიდუმლოებით მოცული.

საზღვრისპირა სიმაგრის გმირობაზე 1941 წელს მხოლოდ
ყრუ ხმა აღწევდა სამშობლომდე: შორეული რეისიდან დაბ-
რუნებული მფრინავები ზღაპარივით ჰყვებოდნენ, ბრესტის
რაიონში აფეთქებების ხმა გავიგონეთო. დანამდვილებით კი
არავინ იცოდა რაიმე. იმ დაძაბულ დღეებში სიმართლის გა-
გება შეუძლებელი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ საიდუმლო-
ებას ფარდა აეხადა: მტერი საკუთარმა დოკუმენტებმა გასცა.

1943 წელს ორიოლის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა
ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა 45-ე დივიზია. რომლის
არქივში აღმოჩნდა „საბრძოლო პატაკი ბრესტის დაკავების

შესახებ“. ამ დოკუმენტში თვითეული დღის ბრძოლა ცალკეა აღწერილი და ყოველ სტრიქონში ჩანს მტრის გაოცება და შიში: „შემაშფოთებელი იერიში ციხე-სიმაგრეზე, სადაც გამაგრებული არიან მამაცი დამცველები, დიდ სისხლად გვიღირს“, „ბრესტ-ლიტოვსკში რუსები იბრძოდნენ თავზარდამცემი სიმტკიცითა და შეუპოვრობით. მათ ცხადჰყვეს საბჭოთა არმიის ბრწყინვალე სამხედრო მომზადება, დაამტკიცეს, რომ აქვთ წინააღმდეგობის გაწევის განსაცვიფრებელი ნებისყოფა“.

ომის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ, 1944 წლის 28 ივლისს, ჩვენმა არმიამ ბრძოლით გაათავისუფლა ბრესტი. საბჭოთა მეომრები ვააოცა სიმაგრის ნანგრევებმა. ტყვიით ფახრული ლოდები, დასეტყვილი კედლები, გადარუჯული ნაფშხვენები და წყალში ჩაძირული სარდაფები რაღაც მრისხანე სიდიადის ელფერს აძლევდა იქაურობას, ცხადყოფდა იქ დატრიალებულ ტრაგედიას.

აღაღადდნენ ქვებიც: ალაგ ფანქრით, ალაგ ხიშტით, ზოგან ფრჩხილით ამონაკაწრი წარწერები მითიურ ფრაგმენტებს მიაგავდნენ:

„ვიყავით ხუთნი, — წერია ტირასპოლის კარიბჭეზე, — სედოვი, გრუტოვი, ბოგოლიუბი, მიხაილოვი, სელიანოვი. 1941 წ. 22 ივნისს მივიღეთ პირველი ბრძოლა. გავწყდებით, მაგრამ არ დავთმობთ აქაურობას!“

ჩვენი პოლკის შერუჯულ, ჩამონგრეულ კედლებზე შემორჩენილია ქართული წარწერებიც: „არჩილ ძაგოშვილი. ივლისი, 1941 წ., დათო სულხანიშვილი. საგინაშვილი. ახალკაცი. ყურბანოვი სოინ...“

დასავლეთ ყაზარმების შიგნით კედელზე ფრჩხილებით

ამოკაწრულია: „1941 წ., 26 ივნისი. ოთხნი ვიყავით, გვიჭირდა, მაგრამ სულით არ დავცემულვართ. მოვკვდებით, როგორც გმირები“.

საყდრის კედლებზე წარწერილია: „აქ ვიყავით სამი მოსკოველი: ივანოვი, სტეპანჩიკოვი, ჟუნტიაევი. ამ საყდარს ვიცავდით და შევფიცეთ ერთმანეთს, რომ აქედან არ წავიდეთ. 1941 წ., ივლისი“. ქვემოთ ასეთი მინაწერია: „მარტოღა დავრჩი. ჟენტიაევი და სტეპანჩიკოვი დაიღუპნენ, გერმანელები უკვე საყდარში არიან, უკანასკნელი ხელყუმბარაღა დამრჩა, ცოცხალი არ ჩავბარდები... ამხანაგებო, აიღეთ ჩვენი სისხლი. 1941 წ.“

20 ივლისს სამხრეთ-დასვლეთ კედელზე ვიღაცას სისხლიანი ხელით წაუწერია: „ვკვდები, მაგრამ არ ვბარდები. მშვიდობით, სამშობლოვ!..“

ამ ბოლო ხანებში ნანგრევებში იპოვეს საგანგებოდ დაფლული საბრძოლო დროშები, ბრძანება № 1 და სხვა რელიქვიები.

ბელორუსიაში მრავალი ლეგენდაა ბრესტის სიმაგრეზე. ხალხმა ბევრი სიმღერა და ლექსი მიუძღვნა საზღვრის გმირ დამცველებს. ჩვენს თვალწინ ლეგენდად იქცა სინამდვილე. ერთ მათგანს სმირნოვი ასე გადმოგვცემს:

1942 წლის ზამთარში ოკუპანტებმა ქალაქის მცხოვრებნი სიმაგრეში შერეკეს ნანგრევების გასაწმენდად. ღამღამობით ისინი ამჩნევდნენ დამცველთა აჩრდილებს. უცნობის მრისხანე ხელი ყოველ დილით სისხლით აწერდა კედლებზე: „სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!“

იმავე წლის აპრილში ერთი ებრაელი მუსიკოსი გერმანელმა ოფიცრებმა სიმაგრეში წაიყვანეს. 333-ე პოლკის სარდაფის ხვრელი დაანახვეს და უბრძანეს:

— ჩადი! იქ დღემდე იმალებიან რუსები! უთხარი, დაგვნებდნენ!.. იცოდე, თუ ვერ დაარწმუნებ, ტყვია არ აგცდება!..

ძრწოლაატანილი მუსიკოსი სარდაფში ჩავიდა. გაჰყვა ბნელ, ვიწრო მიწისქვეშა ხვრელს. მიდიოდა ხელგაწვდილი, რომ მტრად არ მიეღოთ და არ მოეკლათ უცნობებს. უცბად დაიქუხა სარდაფმა. მოქალაქე შეშინებული დაეცა მიწაზე. ვიღაც მიუახლოვდა, ხელი შეახო და მისუსტებული ხმით უთხრა:

— ნუ გეშინია, მოდი! ეს უკანასკნელი ტყვია მქონდა, ჰაერში ვისროლე.

მუსიკოსმა ძლივს ამოათრია ჯანგაწყვეტილი მეომარი. სინათლე რომ მოხვდა, უცნობმა თვალი დახუჭა და ნანგრევებში ჩაიკეცა.

ვერ გაიგებდით, ვინ იყო ის: მეთაური თუ რიგითი მებრძოლი, ყმაწვილი თუ მოხუცი. ტანს დამპალი ძონძები უფარავდა, სახეს — საშინელი ჯაგარი. მაინც არ სურდა მტერს შეეშჩნია მისი სისუსტე. წამოდგომა სცადა. მაშინ ფაშისტებმა კონსერვის ქილა მიაწოდეს. მაგრამ მან ზიზღით გაჰკრა ხელი:

— მე გამოვედი, რათა საკუთარი თვალით მეხილა თქვენი უძლურება!..

არავინ იცის, ვინ იყო, ან რა ბედი ეწია მას.

* * *

დღეს ბრესტის სიმაგრეში დაარსებულია ლეგენდარულ. დაცვის მუზეუმი, რომელსაც ასი ათასობით საბჭოთა და უცხოელი მოქალაქე ნახულობს.

ბევრი დაეცა აქ ვაჟკაცური სიკვდილით, ბევრმა ასახელა თავისი ხალხი, მათ შორის ბევრი იყო ქართველი. უცნობია ბევრის გვარი, მაგრამ ძმათა საფლავზე აღმართული ობელისკი საუკუნოდ უკვდავყოფს მათ წმინდა ხსოვნას. ისინი ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები იყვნენ, უყვარდათ სიცოცხლე, მაგრამ საბჭოთა ხალხის დიადი საქმისათვის ბრძოლაში არც ერთი წუთით არ შემდრკალან, არც ერთი ნაბიჯით არ დაუხევიათ უკან.

მწერალმა სერგეი სმირნოვმა უმდიდრესი მასალა შეაგროვა ბრესტის გმირულ დაცვაზე, დასამახსოვრებელი სახეებით გააცოცხლა ლეგენდარული ბრძოლის ეპოპეა და გულმოდგინე შრომით ამოხსნა მისი მრავალი საიდუმლოება. წიგნისათვის — „ბრესტის სიმაგრე“ 1965 წელს მას ლენინური პრემია მიენიჭა.

დოკუმენტური და მხატვრული ნაწერებით, სპექტაკლებითა და კინოფილმებით ახლა მთელი ხალხი იცნობს დიდი სამამულო ომის ამ ღირსშესანიშნავ ეპიზოდს.

1965 წელს, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დამთავრების ოცი წლისთავზე, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ბრესტის ციხე-სიმაგრეს მიენიჭა „გმირი ციხე-სიმაგრის“ სახელი. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა ლეიტენანტ ანდრეი კიქეევატოვს. დიდი სამამულო ომის დაწყებისა და ბრესტის სიმაგრის დაცვის 25 წლისთავზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა „სამარადისო დიდების ძეგლი“ და „ბრესტის გმირთა პარკი“.

1960 წ. გაზეთებში გამოქვეყნდა ნარკვევები ბრესტის გმირული დაცვის მონაწილე ქართველებზე. ამასთან დაკავში-

რებით მრავალი ბარათი მივიღე ბრესტელი მეგობრების ოჯახის წევრთაგან და ამ წერილებიდან პირველად გავიგე ზოგიერთი ამხანაგის ამბავი.

* * *

კაპიტანმა ალიოშა ხარაბაძემ, რომელიც ახლა თბილისში ცხოვრობს, ბევრი საყურადღებო ცნობა მომაწოდა თანაპოლკელებზე. კერძოდ, მისგან გავიგე, რომ ჩვენი პოლკის ყოფილმა მეთაურმა ტერენტი ურთქმელიძემ 1942 წელს დაასრულა სიცოცხლე ქერჩის ფრონტზე.

ბატალიონის მეთაურის, იაკობ (იაშა) გელაშვილის სახელს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის მსხვერპლთა სიაში წავაწყდი; ერთ-ერთი ჩანაწერი იუწყება, რომ ეიხმანის ჯალათებმა მას 1941 წლის დეკემბერში მოუღეს ბოლო. ეს ჩანაწერები ამ ორი წლის წინათ ჩამოიტანა თბილისში პოლონეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციამ.

ლეიტენანტი გიორგი ანანიაშვილი 1941 წლიდან ბელორუსიის პარტიზანთა რაზმებში იბრძოდა და უნდა ვიფიქროთ, რომ იქ დაიღუპა.

სერგო ბაშალეიშვილის მეუღლე მარიამი ახმეტის რაიონის სოფელ ოქიოდან მწერს: „სერგო გმირულად დაიღუპა 1943 წლის 7 ივლისს და დასაფლავებულია ტაგანროგში. ჩვენმა ვაჟებმა სწავლა დაასრულეს და ღირსეულად ემსახურებიან სამშობლოს, წმინდად ინახავენ მამის ხსოვნას“...

ასობით ქართველიდან, 1939 წლის შემოდგომაზე ერთად რომ ჩავედით ბრესტის სიმაგრეში, ათიოდე კაციღა დავბრუნდით უკან...



მიხეილ ფირცხალაიშვილი.

მიხეილ ფირცხალაიშვილი, რომელმაც ბრესტის რაიონში მიიღო საბრძოლო ნათლობა, შემდეგ უკრაინაში მუსრავდა ფაშისტებს და ომი მანჯურიაში დაამთავრა იაპონელ სამურაებთან შერკინებით, ამჟამად ანასეულის საბჭოთა მეურნეობაში იღწვის ჩაის უხვი მოსავლისათვის. დაჯილდოებულია ორი წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით, მედლით მამაცობისათვის და სხვ

ალექსი ჯარიაშვილი.

ჩვენი ასეულის ზემდეგი გიორგი ბარბაქაძე ზემო საქარის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირია.

333-ე პოლკის მუსიკოსი, პეტია კლიპას განუყრელი მეგობარი, ალავერდა იმანოვი, თბილისში მუშაობს შოფრად. მისი მეგობარი, თელაველი ნიკა აბზიანიძე ტყვედ ჩავარდნის მე-

ორე დღეს ბრესტთან თოფის დუგლუგებით მოკლეს ფაშისტებმა.

ნ. მ. რემიზოვი და პ. ვ. სტრუჩალინი გარდაბნის რაიონის სოფელ კრასნოგორსკის კოლმეურნეობაში მუშაობენ.

გოგია გულისაშვილიც თბილისში ცხოვრობს; ხიშტებით დაგლეჯილი, ცოცხალ-მკვდარი ბრძოლის ველზე უპოვნიათ პოლონელ გლეხებს და გადაურჩენიათ. გარეჯელი მუდამ უსაზღვრო მადლობით იგონებს თავის მხსნელებს — პოლონელ პატრიოტებს — ადამ რაზმოვსკის, იზაბელა და მანია ჯიხოვსკებს, რომლებთანაც გულთბილი მიმოწერა აქვს.

პირველი ასეულის ყოფილი პარტორგი ვანო კევლიშვილი თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში ცხოვრობს.

ალექსი ჯარიაშვილი ბიალაპოდლიასკის ტყვეთა ბანაკიდან 1942 წელს ყირიმში გაგზავნეს, სულ მალე პარტიზანებთან გაიქცა და კოტელნიკოვის შენაერთში სხვა ქართველებთან ერთად (დ. ჭანტურიძე, ი. სამაშვილი. ლ. ღოღობერიძე) გმირულად ებრძოდა ოკუპანტებს. ამჟამად ის გარდაბნის სახელმოხვეჭილი მექანიზატორია.

* * *

ამ ცოტა ხნის წინათ ქართველ მეთაურთა ოჯახების თავგადასავალიც გამოვარკვიე. თამარ ჯიჯიშვილი თბილისში ცხოვრობს და კარდიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს. მან დაწვრილებით მიამბო ყველაფერი.

— ლოგინიდან წამოხტომა და თამაზის ხელში აყვანა

ძლივს მოვასწარი, — მითხრა მან, — რომ უფროსმა ლეიტენანტმა კოსოვმა და ლეიტენანტმა ტკაჩენკომ, რომლებსაც თვალის დახამხამებაში აესხათ იარაღი, ეზოდან ამოგვძახეს, ფეხი არ მოიცვალოთ, ახლავე საევაკუაციო მანქანებს გამოვგზავნითო. ამ სიტყვებზე ციტადელისაკენ გაიქცნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, გზაშივე დაიღუპნენ.

დილით ოთახში ორი ახმახი გერმანელი შემოგვივარდა.

თვალი მოჰკრა თუ არა თამაზმა მათ, სურათებისა და მამის ნაამბობის მიხედვით მაშინვე იცნო ისინი და დედას შესტირა:

— დედიკო, ჩემო საყვარელო დედიკო, ფაშისტები მოვიდნენ, ყელს გამოგვჭრიან, ამოგვხოცავენ!

თამარმა შვილი მაგრად ჩაიხუტა გულში, იარაღმომარჯვებულ მტერს მოარიდა. გერმანელებმა ჯერ მამაკაცი მოიკითხეს, მერე ყველაფერი მიანგრ-მოანგრიეს, ტახტქვეშ ავტომატი ააკაკანეს, კარადები წიხლით გადააბრუნეს და მოპირდაპირე დერეფანში გაცვივდნენ.

თამარი მაშინვე გაეხმაურა კარის მეზობლებს — კოლია და კლარა ივანოვებს, მაგრამ არავინ უპასუხა. პირველი დაბომბვისთანავე მათ ხელი დაუვლიათ პატარა ლიანასათვის და გამაგრებულ საწყობში შევარდნილან. ივანოვს უფიქრია, ცოლშვილს უშიშარ ადგილზე დავტოვებ და პოლკში გავიქცევიო, მაგრამ გამოუყვია თუ არა გარეთ თავი, ჩასაფრებულ მზვერავებს დაუჭერიათ და ერთ წითელარმიელთან ერთად დასახვრეტად გაუყვანიათ. ამის შემყურე კლარა და ლიანა სახეს იხოკდნენ. მერე რომელიღაც ოფიცერი მისულა, ბრძანება შეუცვლია და ივანოვი სადღაც წაუყვანიათ. ფერდაკარგული გოგონა კლარამ ისევ ზემოთ აიყვანა, თამართან.

ქალები, ბავშვები და მოხუცები კიდევ კარგა ხანს იდგნენ ქვემო სართულის დერეფანში, მაშველ ნაწილებს ელოდნენ... ბრძოლა ამ უბანზეც გრძელდებოდა; საცხოვრებელ კორპუსებს განუწყვეტლივ ეცემოდა ყუმბარები.

შუადღისას დერეფანში ორი დაჭრილი წითელარმიელი შემოვიდა ხოხვით; ერთს კოჭიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი, მეორეს მკლავზე ჰქონდა იარა. თამარი უმალ შევარდა ალმოდებულ ოთახში, ზეწარი გახია და ორთავეს შეუხვია ჭრილობა. თუმცა მისუსტებული იყვნენ, მაინც საბრძოლველად გაიწიეს და ეზოში გაცოცდნენ.

შენობიდან გასვლა უფრო და უფრო გაძნელდა. დერეფანში გამომწყვდეულებს სხვენიდან და სახლის კუნჭულებიდან ფაშისტები უთვალთვალებდნენ და სულ მცირე მოძრაობასაც ავტომატის ჯერით პასუხობდნენ.

პოლკის ფერშალი — ვალენტინა სერგის ასული რაევსკაია, რომელიც ციტადელისაკენ მირბოდა, მძიმედ დაჭრეს მარჯვენა მკლავში.

ის ღამე ქალებმა ვაი-ვიშით გაატარეს. ბეტონის კიბეებქვეშ ერთად შეფარებულიყვნენ ნადია კოსოვა, მარუსია ტკაჩენკო, კატია გორნოსტაევა 14 წლის ქალიშვილით, კლარა ივანოვა თავისი გოგონათი და სხვ. დედის მკერდში ჩახუტებულ თამაზს ეძინა, მხოლოდ ახლოს დაცემული ყუმბარის აფეთქებაზე შეხტებოდა და წუთით გაახელდა თვალს.

ერთ საღამოს, ასე ექვს საათზე, გერმანელებმა ორი უცნობის პირით ულტიმატუმი წამოუყენეს მეთაურთა ცოლებს — თუ ახლავე არ გამოხვალთ თავშესაფრებიდან, სახლებს ცეცხლს წავუკიდებთ და დიდიან-პატარიანად ამოგწვავთო. ერთ ხანს გაჯიუტდნენ ქალები, მტრის ხელში ჩავარდნას სიკვდი-

ლი ერჩივნათ, მაგრამ როდესაც ფაშისტებმა კორპუსებს ცეცხლგამჩენი ყუმბარები დააყარეს, მიხვდნენ, რომ ჰიტლერელები არავის დაინდობდნენ და ბავშვები დაენანათ.

გერმანელებმა თოფის კონდახებით გამორეკეს ისინი დერეფნებიდან და ღამით, სიმაგრის ქვემოთ, რკინიგზის ხიდთან მიიყვანეს. ხიდი საკმაოდ გრძელია და შპალებიც კარგა მანძილით იყო ერთმანეთს დაშორებული. დედები ზურგზე წამოკიდებული ბავშვებით სწრაფად გადარბოდნენ შპალებზე და შიშობდნენ, წყალში არ ჩაცვენილიყვნენ.

ფეხი შედგეს თუ არა მეორე ნაპირზე, ვიღაც გერმანელმა მოირბინა და იმავე გზით უკან გამოაბრუნა ყველა.

აქ, ჩვენს მხარეზე, სასაზღვრო ნაწილის ორი ნაგებობა მოჩანდა, — ერთი პატარა, მეორე — ცოტა უფრო მოგრძო.

ორასამდე ქალი და ბავშვი იმ პატარა მიწურში ჩაკეტეს და გუშაგები დაუყენეს.

მეორე დღეს, პატიმრები გარეთ რომ გამოიყვანეს და მწკრივად დააწყვეს, მოგრძო ნაგებობის სარკმელში თამარმა და კლარამ თვალი მოჰკრეს დატყვევებულ კოლია ივანოვს. ლიანას ხელით კლარამ რამდენიმე ნატეხი შაქარი გაუგზავნა ქმარს. მაგრამ პატიმარმა **არ მიიღო, თქვენ** გქონდეთ, მე აღარაფერში გამომადგებაო. ოჯახის წევრები ხელების ქნევითა და წივილ-კივილით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

125-ე პოლკის **პირდაპირ, გაღმა,** საბარგო მანქანაზე საზენიტო ტყვიამფრქვევები იდგა **და გარშემო** დახოცილი მებრძოლები ეყარა. ჩრდილოეთის ალაყაფთანაც გროვად ეყარა მკვდრები. როგორც ჩანს, ჩვენი მეომრები ლამობდნენ გარემოცვის გარღვევას **და** ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპნენ.

მეთაურთა ოჯახები იმავე დღეს ბრესტის საპყრობილეში

მიიყვანეს. ამდენ წვალებასა და ხეტიალში ბავშვები ისე დაიტანჯნენ, რომ თამაზი ციხის პატარა ეზოს დანახვამაც კი გაახარა თურმე და დედას მიაძახა: „შეხედე, რამხელა მინდორიაო“. საპყრობილეში ორი კვირა გაატარეს, საჭმელს არ აძლევდნენ და გამოხრულ ძვლებს დაეძებდნენ ბნელ სოროებში.

ივლისის ბოლოს ციხის კარი გააღეს და ქალებს გამოუცხადეს: რუსეთი ჩვენს ხელთაა. ახლა სადაც გსურდეთ, იქ წადითო. კარგად იცოდნენ, რომ მშიერ-მწყურვალნი, ძუძუმწოვარა ბავშვებით შორს ვერ წავიდოდით და რა ენაღვლებოდათო, — დასძინა თამარმა.

თამარი და კლარა ერთმა მოხუცმა ვეტექიმმა შეიხიზნა, მაგრამ ფაშისტებმა იქიდანაც მალე გამოყარეს.

— მახლობლად რაღაც საიდუმლო დაწესებულება ჰქონდათ და არ ეჭაშნიკებოდათ იქ ჩვენისთანა არასაიმედო ხალხის ყოფნაო, — თქვა თამარმა.

ქუჩაში გამორეკილებმა დროებით ერთ მიტოვებულ ოთახს შეაფარეს თავი, მაგრამ ფაშისტებმა მალე იმ ჯურღმულიდანაც აუკრეს გუდა-ნაბადი.

ბოლოს, თამარი, კლარა ივანოვა, ტატიანა ანოშკინი (რომელსაც თან ჰყავდა 16 წლის ვაჟი ბორია) და ნესტორ ბოკერიას მეუღლე ლუდა, გაპარტახებულ შენობაში შეეფარნენ მუხავეცის ნაპირზე (საბჭოს ქ. №2). თამარი და კლარა ერთ ოთახში დაბინავდნენ.

ნინო ანანიაშვილი და მარო გელაშვილიც იქვე ახლოს ცხოვრობდნენ, ხშირად ხვდებოდნენ და, რაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

— გამოუცდელები იყვნენ, რუსული სრულებით არ იცო-

დნენ და ძალიან უჭირდათ საწყლებს, — ამბობს თამარი, — ხუმრობა ხომ არ იყო, იმ ჯოჯოხეთში ორ-ორი ბავშვის მოვლა... ერთი ცალი კარტოფილიც კი მამასისხლად ფასობდა. პურზე ფიქრს ვინ გაბედავდა, იგი გერმანელებსაც სანატრელი ჰქონდათ. შვილები შიმშილით გვეხოცებოდნენ.

სხვა გზა აღარ ჰქონდათ, მახლობელ სოფლებში სამათხოვროდ დაიწყეს სიარული. თამარი და კლარა ერთად დადიოდნენ, გლეხებს მუშაობაში ეხმარებოდნენ.

— ხალხს ძალიან ვებრალებოდითო, — განაგრძობს თამარი, — რომ გაიგებდნენ, ბრესტის სიმაგრიდან ვიყავით, გაშტერებული შემოგვყურებდნენ, პირჯვარს იწერდნენ, არ სჯეროდათ, რომ იმ უბედურებას ცოცხალი გადაურჩა ვინმე. არაფერი ენანებოდათ, მაგრამ რა ჰქონდათ ბეჩავებს!.. ფაშისტები ახალდადებულ კვერცხებსაც კი იტაცებდნენ საბუდრებიდან, სულ „იაიკას“ და „მლეკოს“ გაჰყვიროდნენ და დედლებს წინასწარ უსინჯავდნენ კურტუმს. ბელორუსი გლეხები მაინც გვინაწილებდნენ საკუთარ ლუკმას.

— გახსოვს, დედი, რა გულმოწყალედ გვიმასპინძლდებოდა ერთი ჭაღარა გლეხი და მისი ცოლ-შვილი? — გააწყვეტინა საუბარი თამაზმა.

— ჰო, შვილო! სოფელ ხმელიოვოში ძალიან კარგი ხალხი იყო! — მიუგო დედამ და დაუმატა: — თამაზი ხუთი წლის იყო მაშინ, მაგრამ ყველაფერი ახსოვს. თუმცა, საკვირველია, გაჭირვება, რომელიც იქ გადავიტანეთ, ახლა მაინცადამაინც აღარც გვაგონდება, მაგრამ ვისაც სიკეთე რამ გაუკეთებია ჩვენთვის, ყველა გვახსოვს. როგორც ჩანს, სიავეს უფრო ადვილად ივიწყებს კაცი, ვიდრე სიკეთეს!..

...იმ ხანებში პარტიზანებთანაც გავაბით კავშირი. მათ შორის ბევრი ბრესტელი იყო და, თუ არა ჩვენ, სხვას ვის უნდა ნდობოდნენ!.. იმათი მითითებით ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ რკინიგზელები — ვანია და ვიქტორი, ათასგვარ დავალებას გვაძლევდნენ. ერთხელ ხელყუმბარის ბეგთარები (კორპუსი) შეგვიკვეთეს; ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ქალაქში ვერსად აღმოვაჩინეთ; შემდეგ მაგისტრატში წავედით და ციხე-სიმაგრეში შესვლის ნებართვა ვითხოვეთ.

* * *

ადგილობრივ ხელისუფალთ ვარწმუნებდით, რომ მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი ნანგრევებში დაიმარხა და შიშველ-ტიტველი ბავშვები სიცივით გვეხოცებოდა. მართლაც, ზამთარი მოახლოვდა. ჩვენ ერთი ბალიში, ერთი უბრალო საბანიც არ გაგვაჩნდა. იმედი გვქონდა, რომ ვატიალებულ სახლებში რაღაც ნაგლეჯებს მაინც წავაწყდებოდით...

ფაშისტები დიდხანს არ გვაძლევდნენ სიმაგრეში შესვლის ნებას, იქ პარტიზანები იბრძვიან და, ესეც არ იყოს, ყველაფერი გადაბუგულია, ვერაფერს იპოვითო. არც ადგილობრივი მცხოვრებლები გვირჩევდნენ სიმაგრეში შესვლას, რომელზედაც ათასგვარი უცნაური ლეგენდა იყო გავრცელებული.

სექტემბრიდან გერმანელები თვითონვე შეუდგნენ სიმაგრის ტერიტორიის გაწმენდას, მაგრამ ყველა ადგილებში შესვლას მაინც ვერ ბედავდნენ და ერთ დღეს მეთაურთა ოჯახის წევრები ძალად მიგვრეკეს მაგისტრატში; დაგვირიგეს ბარი, წერაქვი და დაგვემუქრნენ, თუ კარგად არ იმუშავებთ, გერმანიაში გაგრეკავთო...

* * *

სიმაგრე გერმანელი გუშაგებით იყო გარემოცული. ცენ-ტრალურ ალაყაფთან სათითაოდ გაგვისინჯეს საშვები და საგულდაგულოდ გაგვჩხრიკეს...

მოწიწებით შევდგით ფეხი გმირულ მიწაზე. ირგვლივ შემზარავი დუმილი სუფევდა. სროლა აღარსაიდან ისმოდა. ერთ ხანს მდუმარედ ვიდექით, მერე ჩვენს ოთახებთან მივიჭერით ქვითინით. ყველაფერი ნაცარტუტად იყო ქცეული. როგორც ძვირფას განძს, ისე ვაგროვებდით დამწვარ-დანახშირებულ ჩვრებს, მუშამბის ნაფლეთებს, ათასნაირად დაჭყლეტილ ქვაბებს.

— აი, ეს ნაჭერი, — მიმითითა თამარმა მისი ტახტის წინ გაფენილ დაჩვრეტილი ხალიჩის ნაგლეჯზე, — ჩემს ოთახში ვიპოვე მაშინ. ვერ აგიწერთ, როგორ გამიხარდა! მთელ აღმოჩენას უდრიდა! თვალწინ დამიდგა ქმარ-შვილთან გატარებული ბედნიერი დღეები და თავი ვეღარ შევიკავე, ავქვითინდი... ძლივს ამოვათრიე ნანგრევებიდან, გავრეცხე, და განუშორებლად თან ვატარებდი. ის იყო ჩვენი საბანი და ლეიბი, ზეწარიც და ბალიშიც, ძალიან დიდი სამსახური გამიწია და, როგორც ხედავთ, ნიშნად დამსახურებისა, ახლა საწოლთან მიფენია.

* * *

მეცხრე კორპუსის კიბეზე ისევ ისე ეყარა ვანია და შურა პოჩერნიკოვების გვამები. ხანძარს ნახევრად შეეტრუსა მათთვის სახე და ტანსაცმელი. ამის დანახვაზე გული ჩაგვწყდა, ყველაფერს თავი დავანებეთ, იქვე ბაღჩაში, კარგა ღრმა

სამარე გავჭერით და ორი განუშორებელი მეგობარი შვილებთან ახლოს დავმარხეთ... თვალწინ მიდგას მათი ლამაზი სიცოცხლე, გასაოცარი სიკვდილი და მიტოვებული, უბრალო საფლავი...

თავიანთი მკვდრები ფაშისტებს უკვე გაეტანათ სიმაგრიდან და ჩვენი მებრძოლებიღა ეყარნენ ზვინ-ზვინად. გვამების მთები იდგა ეკლესიასთან, სასპორტო მოედანზე, ტირასპოლის ხიდთან და 333-ე პოლკის სარდაფებთან. მათ დასამარხად ფაშისტებმა ებრაელები შემორეკეს ნანგრევებში. მათგან გავიგეთ, რომ გერმანელები კიდევ ვერ ბედავდნენ ყველა სარდაფსა და მღვიმეში თავის შეყოფას.

გუშაგები ფრთხილად გვდარაჯობდნენ. ტირასპოლის კარიბჭესთან, მის მეზობელ „მრგვალ ყაზარმასთან“ და ზოგიერთ სხვა ადგილთან მისვლას გვიკრძალავდნენ.

გაგონილი გვქონდა, „ორბეს“ საწყობებში ბევრი რამ არის გადარჩენილიო და ჩვენც, უმთავრესად, ამ ადგილს ვუტრიალებდით.

ერთხელ მე და კლარამ იქით გავწიეთ: თუ საპონს ან ტანსაცმელს ვიპოვიდით, ადვილად გადავცვლიდით პურსა და კარტოფილზე...

ერთგან ამოზნექილი სილა შევამჩნიეთ. ზემოთ ჭინჭის ნაგლეჯიც მოჩანდა. ორივე იმ ადგილს მივცვივდით და აჩქარებით დავცხეთ წერაქვები. ჯერ რაღაც სხვა ქსოვილს წავაწყდით, მერე ფარაჯის კალთებს წავაფრინდით, რაც ძალა შეგვწევდა გამოვწიეთ და ჯარისკაცის გვამი კი შეგვრჩა ხელში...

თავი შემალული ჰქონდა ფარაჯის აწეულ საყელოში, რომელსაც ხელებით ჩაფრენოდა.

— ქართველია, შენი თანამემამულე! — მითხრა ტირილით კლარამ.

თმაგაპარსული, შავგვრემანი ბიჭი გაუხრწნელი იდო სილაში. უპატრონოდ დარჩენილი ძმასავით დავიტირეთ, საფლავი უფრო ჩავაღრმავეთ და დავმარხეთ...

იმ ხანებში „ორბესთან“ საპნის საწყობს წავაწყდით; რომ გამოგვეტანა, სულს მოვითქვამდით, მაგრამ სიმაგრიდან გამოსვლისას ფაშისტები მოურიდებლად გვჩხრეკდნენ და ბევრი რამის ერთად გამოპარება შეუძლებელი იყო. საპონს მაინც ხელყუმბარის კორპუსები ვამჯობინეთ და ერთმანეთის დახმარებით ძლივძლივობით ვაპარებდით ძველმანებში გახვეულ იარაღს. ღამით ეს ხელყუმბარები ვიქტორთან მიგვქონდა საიდუმლოდ...

მეთაურთა ოჯახის წევრთაგან, ვისაც კი ფეხზე დგომა შეეძლო, ქალი თუ ბავშვი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, პარტიზანებთან გარბოდა.

გავრილოვის ცოლ-შვილი ბრესტში ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. კატია გავრილოვა ავადმყოფი ქალი იყო, ცხოვრება ჩვენზე უფრო უჭირდა და, რაც შეგვეძლო, ვეხმარებოდით. მისი ერთადერთი შვილი კოლია მაშინ 12 წლისა იქნებოდა. ისიც ავადმყოფობდა; შიმშილისა და მოუვლელობისაგან საწყალი ძალიან დაჩიავდა. ერთ დღეს ხმა გავარდა, კოლია დაიკარგაო. ვიფიქრეთ, მეტისმეტად დასუსტებული იყო და მდინარეში ბანაობისას დაიხრჩობოდა-თქო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვიკვირდა, როცა გავიგეთ, ავადმყოფი ბიჭი პარტიზანებთან გაიქცაო... ცხრა-ათი წლის ბალღებსაც ტყისკენ ეჭირათ თვალი და ფაშისტები სულ უფრო მეტი ეჭვითა და უნდობლობით გვეკიდებოდნენ.

* * *

1941 წლის ერთ წვიმიან დღეს თამარ ჯიჯიშვილი და კლარა ივანოვა უთენია ადგნენ და შორეულ სოფელში წავიდნენ პურის სათხოვნელად.

ცხოვრება ძალიან გაძნელდა. ბავშვებს რამდენიმე დღე არაფერი ჩაედოთ პირში.

დედას შეებრალა და წასვლის წინ არ გააღვიძა თამაზი. შუბლზე ფრთხილად აკოცა და სასთუმალთან ერთი ცალი მოხარშული კარტოფილი დაუდო. სახედაღარულმა კლარამ, რომელიც ორიოდე თვის წინათ ულამაზეს ქალად ითვლებოდა ქალაქში, შიმშილით დაოსებულ გოგონას ერთი ნატეხი ორცხობილა მიაჩეჩა ხელში, მაგრამ მაშინვე გადატეხა და უფრო მოზრდილი ნაჭერი თამაზს დაუტოვა.

დედებმა ფრთხილად გაიხურეს კარი და პატარა ლიანამ მაშინვე მილუღა თვალი. ოთახში დამშეული ობოლი ბავშვების სუსტი ფშვინვაღა ისმოდა.

ექვს საათზე ეზოში ესესელებმა შემოაბიჯეს. სახელოებზე გაფარჩხული არწივები ეხატათ. ჩაჭყლეტილი ქუდის წინაფარზე მკვდრის თავის ქალა მოუჩანდათ. ამპარტავნული, მიუკარებელი შესახედაობა ჰქონდათ. მათ დანახვაზე კაი ვაჟკაციც შეკრთებოდა და უნებურად თვალს მოარიდებდა.

ფაშისტები გაუფრთხილებლად შეცვივდნენ ოთახებში. ვინც დაიხელთეს, დიდიან-პატარიანად, ეზოში ჩარეკეს, ერთ კუნჭულში შეაქუჩეს და ბინებში მორიგი ჩხრეკა დაიწყეს. ამჯერად კი, როგორც ეტყობოდა, ვიღაცა იყო დასმენილი. გერმანელები გაცხარებით დაეძებდნენ რაღაცას... და აი, თამარის ძველმანებში ალექსანდრე ჯიჯიშვილის ფოტოსურათი

იპოვეს. ეს იყო ქმრის ერთადერთი სამახსოვრო, რაც თამარმა ბრესტის სიმაგრიდან გადაარჩინა.

ალექსანდრე ჯიჯიშვილი კაპიტნის ფორმაში იყო გადაღებული. მარჯვენა ფეხი წინ წაედგა, ხელში პისტოლეტი ეკავა და ბეჯითად უმიზნებდა წელში მოკუზულ ფაშისტს.

ამ ფოტოს თავისი ისტორია აქვს. 1940 წელს, ალექსანდრე ჯიჯიშვილმა პისტოლეტით სროლაში პირველი ადგილი დაიკავა სამხედრო ოლქში და სურათი საგაზეთოდ გადაუღეს.

ფოტოსურათზე აღბეჭდილ ფაშისტ-სამიზნოში ესესელებმა იოლად ამოიცნეს თავი და ოჯახის უფროსი მოიკითხეს.

დახეულ შარვალში გამოკნაჭული, ფეხშიშველი, ნამძინარევი თამაზი აბუზული იდგა კედელთან შექუჩულ ხალხში. გვერდით მასავით ფერწასული ლიანა ატუზულიყო. ესესელმა ბავშვი უფროსს წარუდგინა.

ობერშტურმფიურერმა პირველად გახსნა კრიჭა:

— ვინ არის ეს კაცი?

თამაზი უხმოდ იდგა.

გერმანელმა ღიმილით მოჰკიდა ხელი, სურათი აჩვენა და შეკითხვა გაუმეორა.

ბიჭუნა არც ახლა განძრეულა. უხმოდ, ჯიუტად შეჰყურებდა ოფიცერს.

— მამაშენია?

თამაზს თვალი აუთამაშდა და თავი დაღუნა.

ოფიცერმა ეს თანხმობის ნიშნად ჩათვალა და ჩვენების ჩამორთმევა განაგრძო:

— ბატკა, კომისარ?

თავჩაქინდრული ბიჭი დუმდა.

— დედა სად არის? — კვლავ ჩაეკითხა ესესელი.

თამაზი სულ უფრო დაბლა ხრიდა თავს და ოფიცერს მოეჩვენა, რომ ბავშვი ტიროდა. გერმანელებმა ხალხი ეზოდან გარეკეს.

ხუთი წლის თამაზ ჯიჯიშვილი ქვიტკირის გალავანთან დააყენეს. აყლაყუდა შარფიუურერმა ბიჭს ერთი ხელი მკერდზე დააჭირა, მეორე წელზე, თავი მაღლა აუწია და ასე გაასწორა.

— განძრევა — არა! — ჩაულაპარაკა დამტვრეული რუსულით და აქეთ-იქიდან ორი ხიშტიანი ესესელი ამოუყენა.

ჩხრეკა დამთავრდა.

ფოტოსურათი ობერშტურმფიუურერმა წაიღო.

ეზოში სამნიღა დარჩნენ: ქვის კედელთან მდგარი თამაზ ჯიჯიშვილი და ორი შეიარაღებული ფაშისტი.

ცრიდა.

ყინულივით ცივი წვეთები უწკეპლავდა ბიჭს შიშველ ტანს. თმა აბურძგნოდა, დაწითლებული ხელ-ფეხი შეშუპებოდა. მონისლული მოგონებები უტრიალებდა თავში... მამა დიდი ხანია აღარ მოსულა... დღეს აღარც დედიკო ჩანს... ნეტავ, სად წავიდა, რად დატოვა ამდენ ხანს მარტო?

ბიჭუნა ვერ ხედავდა, მაგრამ ბუნდოვნად გრძნობდა წინ გაშვერილ, დასველებულ ხიშტებს, ხოლო დარაჯები უგულოდ დასცქეროდნენ გაჯიუტებულ ტუსაღს...

ნაშუადღევს, როცა მეზობლები დაბრუნდნენ, თამაზი ისევ ისე თოფქვეშ იდგა. შეშფოთებულმა ქალებმა ჯერ გუშაგებთან გამოლაპარაკება სცადეს, მაგრამ მათ ახლოს არავინ მიუშვეს. რამდენიმე მოხუცი ქალაქის კომენდატურაში გაიქცა და დაჩოქილებმა შეავედრეს ოფიცერს უპატრონო, ავადმყოფი ბიჭი. საქმის გადაწყვეტა მაინც გაჭიანურდა, მთხოვნელებს ერთი გერმანელი მეორესთან გზავნიდა, მეორე — მე-

სამესთან და ამ გაგზავნ-გამოგზავნაშიც კარგა დრომ განვლო.

— ჰერ ობერშტურმფიურერ! — მოახსენა გუშაგმა თამაზის გასათავისუფლებლად მისულ ოფიცერს. — ეს ბიჭი, უსათუოდ ბოლშევიკის შვილია! არ უტირია, წარბიც არ შეუხრია, როგორც დატოვეთ, ისევ ისე დგას.

გერმანელმა, რაც შეეძლო, ალერსიანად გადაჰხვია მკლავი გახევებულ ბიჭს. თამაზი სულ გაფითრდა, რაღაც უცნაურად აიფხორა, შეინჯღრა და ოფიცერს ხელი ძირს ჩამოუვარდა. როცა გერმანელმა რამდენიმე ცალი კანფეტი ჩასჩარა ჯიბეში, პატარა ბრესტელმა კიდევ უფრო შეკრა კოპები.

— ხედავ, რა მაგარია? — შურიანად წაილაპარაკეს გერმანელებმა და გაწბილებულნი გავიდნენ ეზოდან.

მეზობლებმა თამაზი ოთახში შეიყვანეს, გაათბეს, მიუალერსეს, საჭმელი მიაწოდეს, მაგრამ ბიჭი ხმას არ იღებდა, ენაჩავარდნილი იდგა.

თამარი და კლარა გვიან დაბრუნდნენ ხმელიოვოდან, ცოტა პური და კარტოფილი ჩამოუტანეს ბავშვებს.

— დედიკო, დეიდა თამარა! თამაზიკო ფაშისტებმა დახვრიტეს და ახლა დამუნჯებულია!..

ზარდაცემულმა დედამ გულში ჩაიკრა შვილი და რამდენიმე დღეს არ მოშორებია. ეალერსებოდა, უვლიდა, მეზობლების რჩევით, რაღაც წამლებს ასმევდა... როგორც იქნა, ამოადგმევინა ენა.

მას შემდეგ ოცდაექვსი წელი გავიდა. ახლა თამაზ ჯიჯიშვილი ოცდათერთმეტი წლისაა, მაგრამ კარგად ახსოვს, როგორ დააყენეს ქვიტკირის კედელთან, როგორ უთოშავდა სხეულს თოვლჭყაპი და როგორ ელოდა პურის სათხოვნელად წასულ დედას...

* * *

ბრესტში დარჩენილი ქალები დიდხანს ელოდნენ ქმრებს. ყველა გამვლელ-გამომვლელს მათ ამბავს ეკითხებოდნენ, მაგრამ ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას!..

1941 წლის შემოდგომაზე გიორგი ანანიაშვილი გამოჩნდა, იგი პარტიზანთა დავალებით მუშაობდა და ზოგჯერ ახლომახლო სოფლებშიაც გადმოდიოდა. ცოტ-ცოტას ცოლ-შვილსაც ეხმარებოდა.

— სექტემბერში, — გადმოგვცემს თამარ ჯიჯიშვილი, — ხმელიოვოში ვიყავი პურის სათხოვნელად. იქ ერთი გლეხისას გოგი ანანიაშვილი დავლანდე. მაშინვე გავეხმიანე, მაგრამ თავი მომარიდა. მაინც არ მოვეშვი, ქოხში შევედი და ჩემი ქმრის ამბავი გამოვკითხე. ალექსანდრეს გომელში შევხვდით, — მიპასუხა ენის ბორძიკით. — დამინახა თუ არა, თქვენი ამბავი მკითხა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ სიმაგრეში არავინ გადარჩენილა ცოცხალი და ასეც ვუთხარი... იმავე დღეს ფაშისტებმა გარემოცვაში მოგვიმწყვდიეს. ალექსანდრე ბატალიონს მიუძღოდა. მტერმა ახალი ძალები მოაყარა, ჩვენ კი ტყვია-წამალი გაგვითავდა და ვინც გადარჩა, სხვადასხვა მიმართულებით გავიფანტეთ. მე და კაპიტანი შოვნაძე ერთად მოვხვდით; ღამით გლეხებმა სამოქალაქო ტანსაცმელი მოგვცეს და შეგვიფარეს. შოვნაძემ მითხრა, ჯიჯიშვილი ისე მძიმედ დაიჭრა, ვერ გადარჩებოდაო.

შევატყვე, ანანიაშვილმა დაბეჯითებით იცოდა ჩემი ქმრის დაღუპვის ამბავი, მაგრამ აღარ ჩავეძიე.

უფრო დაწვრილებით მეუღლის თავგადასავალი თამარმა გაიგო საქართველოში დაბრუნების შემდეგ. აქ მას დახვდა

ალექსანდრეს ბარათი, მოწერილი ომის პირველ დღეებში.

ამ ბარათს თამარი თვალისჩინივით უფრთხილდება. ჩვენთან საუბრის დროსაც მოკრძალებით გამოიღო უჯრიდან გაცრეცილი, მრავალგან გადაკეცილი ქაღალდის სამკუთხედი და ფრთხილად გაშალა.

ბარათი სულმოუთქმელად წავიკითხე. თვალწინ დამიდგა 1941 წლის მღელვარე დღეები, უკანდახევის მძიმე სურათი, ჩვენი ნაწილების თავგანწირული იერიშები... წარმომიდგა: გადამწყვეტი ბრძოლის წინ წუთით შეჩერებული ქართველი კაპიტანი... მოწინააღმდეგის ასეულები სულ ახლოს მოჩანან... საველე ჩანთიდან კაპიტანი ნაჩქარევად იღებს რვეულის ფურცელს, თვალს არ აშორებს მტერს და ოდნავ წახრილ მუხლზე გამალებით წერს...

ეს ბარათი გვაგრძნობინებს იმ დღეთა სუნთქვას, წარმოგვიდგენს ბრესტელთა სულისკვეთებას, ქართველი მეომრის სამხედრო შემართებას!..

„გამარჯობა დედი, ძმაო და დებო!

ეს წერილი იქნებ უკანასკნელიც იყოს... მე ბრძოლაში ვარ. დიდი უბედურება დამატყდა თავს: დამეღუპა ცოლ-შვილი, ჩემი საყვარელი ბიჭი თამაზი მომიკლეს ამ წყეულებმა. სიმაგრეს, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, არტილერიის ჭურვები და ბომბები დააყარეს. ლაპარაკობენ, ყველა მეთაურის ოჯახი დაიღუპაო. მე უბედური, იმ დროს იქ არ ვიყავი. 50 კილომეტრის დაშორებით გამგზავნეს. ალექსანდრესა და მის ცოლ-შვილს ველარ ნახავთ. ჩემი ცოლ-შვილის სამაგიეროს აუცილებლად გადავუხდი მტერს. ბატალიონს ვმეთაურობ. ბევრჯერ მომიხდება ფაშისტებთან შეტაკება. დაუნდობელი ვარ მათ მიმართ. ისინი მოპარვით დაგვესხნენ თავზე. ჩვენ არ

ვიცოდით... არა უშავს, გადავუხდი სამაგიეროს — რამდენიმე ფაშისტს მაინც ავუტირებ დედას.

...ეს, ცოლ-შვილო, რა ბედნიერი ვიყავი თქვენთან!

მე ახლა ფაშისტების ზურგში ვიბრძვი. არ ვიცი, მოაღწევს თუ არა ეს წერილი თქვენამდე. ვატან კაცს, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე გადადის.

უსათუოდ დავამარცხებთ მტერს! ძმებო, ვაჟკაცურად იბრძოლეთ ფაშისტების წინააღმდეგ! იბრძოლეთ, ვიდრე სული გიდგათ. უფლება არ მივცეთ ფაშისტებს, საბჭოთა მიწაზე იპარპაშონ! ასე, იყავით კარგად! გკოცნით, თქვენი ძმა და შვილი ალექსანდრე".

მინაწერი: „ჩემი ბატალიონით თუ გავვარდი ბრესტში, მკვდრებს მაინც ვნახავ და დავმარხავ".

„2. 7. 41. ქ. ლუნინეცი. დასავლეთი ბელორუსია".

სამკუთხედად მოკეცილ ბარათს ზემოდან რუსულად აწერია:

„უცნობო, რომელიც ამ წერილს გახსნი! გთხოვ, თუ ადამიანის სინდისი გაგაჩნია, დანიშნულებისამებრ გაგზავნო".

* * *

ბრესტში დღითი დღე ძნელდებოდა ცხოვრება. ფრონტზე დამარცხების ჯავრს ფაშისტები ქალებსა და ბავშვებზე შურისძიებით იკლავდნენ. გამრავლდა სახრჩობელები. საბჭოთა მოქალაქეებს სრულიად უმიზეზოდ ხვრეტდნენ.

— ბრესტიდან გასვლა თითქმის შეუძლებელი გახდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო! — გვიამბობს თამარ ჯიჯიშვილი. — ყოველ წუთს დახვრეტას ველოდით. ქმრის მოლოდინი აღარ

შქონდა და იქ რაღა გამაჩერებდა? როგორმე ბავშვი უნდა გადამერჩინა ცოცხალი.

1942 წლის ზაფხულში თამარმა და ივანოვამ გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ, დაეტოვებინათ ბრესტი და უკრაინაში, ხერსონში, გადასულიყვნენ, კლარას მშობლებთან. დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა არმია მალე გადმოვიდოდა იერშზე და პირველ რიგში უკრაინის აღმოსავლეთი რაიონები განთავისუფლდებოდა.

თამარმა ეს გადაწყვეტილება ნინო ანანიაშვილსა და მარო გელაშვილსაც გაუმხილა. მათ ძალიან მოეწონათ მეგობრის რჩევა. მაგრამ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ მაინც ბრესტში დარჩენა ამჯობინეს, — წვრილშვილი გვყავს, შორეულ მგზავრობაში ნაცადი არ ვართ და უკაცოდ როგორ გადავიკარგოთო. ჩვენი ქმრები თუ ცოცხალი გადარჩნენ, აქ გვიპოვნიან, სხვაგან როგორ უნდა გვეძიონო!.. თამარმა და კლარამ მაინც გადაწყვიტეს წასულიყვნენ. მათ რამდენიმე სხვა ქალი შემოუერთდა.

მაგისტრატის მოხელეს, ვიღაც ადგილობრივ მცხოვრებს, რომელსაც ამათი თავშესაფრის მიტაცება ეწადა, არცთუ ისე საიმედო ნებართვა დასტყუეს და დიდი ვაი-ვაგლახით აღმოსავლეთისაკენ მიმავალ საბარგო ვაგონებში შესვლა მოახერხეს...

ფაშისტები მათ ვაგონიდან ვაგონში ერეკებოდნენ. ხან ერთ სადგურზე ჩამოყრიდნენ ძირს, ხან მეორეზე, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ მშიერ-მწყურვალებმა მაინც მიაღწიეს ხერსონს.

თამარმა ორი წელი გაატარა ჯერ ხერსონში, ხოლო შემდეგ მის მახლობლად, სოფელ კელეგეიაში (გლადკოვკაში).

კლარას მშობლებმა სიყვარულით მიიღეს და შეითვისეს ჯიჯი-შვილების ოჯახი.

— წარმოუდგენელი გაჭირვება იყო ყველგან, — გადმოგვცემს თამარი, — ფაშისტები აფთრებივით დაძრწოდნენ სოფლებში, წამდაუწუმ იკლებდნენ ხალხს, შიმშილი მძვინვარებდა, მაგრამ კლარას მშობლებს ერთხელაც არ შემოუხედიათ ჩვენთვის შუბლშეკვრით. ერთი კარტოფილიც რომ ეშოვათ, მე და თამაზს გვინაწილებდნენ. დიდი ოჯახი ჰქონდათ და როცა კლარას მამა გამოზომილად დამზადებულ ფაფას ან წვენს ჩამოარიგებდა, პირველი და ყველაზე სავსე ჩამჩა ჩვენი იყო.

თამარი მალე დაუკავშირდა ადგილობრივ პარტიზანებს და ვალმოხდილი შეხვდა საბჭოთა ჯარის ნაწილებს, რომლებმაც 1944 წლის ზაფხულში გაათავისუფლეს ხერსონი.

იმავე წლის სექტემბერში თამარი თავისი ვაჟით საქართველოში დაბრუნდა.

— ბეწვზე გადავრჩით! — ნაღვლიანად დასძენს თავდადებული დედა, — განკითხვა სად იყო!.. ანანიაშვილისა და გელაშვილის ცოლ-შვილი, ჩვენ რომ წამოვედით, იმ შემოდგომაზე დაუხვრეტიათ ბრესტში!..

ბარათს ოცი წელი დააგვიანდა

1941 წლის ნოემბრის ერთ პირქუშ ღამეს, როცა პოლონეთის ტყეები თოვლს დაეფარა და არყიანებში ქარბუქი ბრუნავდა, სოფელ ზემბრს არაქათგამოცლილი ქართველი ვაჟკაცი მიუახლოვდა.

ტყე-ტყე მიდიოდა და ქარბუქში არც შეუნიშნავს, როგორ ჩამოიტოვა გზის სიახლოვით დაჩიავებული ხეები და გაშლილ ველს დაადგა. შიმშილით გონარეულს იქნებ კიდევ დიდხანს ევლო ასე და დათოვლილი გზატკეცილი ვერც გაერჩია, რომ უცბად რაღაც გუმანით არ მიმხვდარიყო, ტყე რომ აღარ ჰფარავდა... ისეთი უმწეობა იგრძნო, თითქოს იარაღი აჰყარესო. გზები ფაშისტების ხელთ იყო, ჭაბუკი კი მათ გაურბოდა. როგორც იქნა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, გზა სირბილით გადაჭრა და დანამჭრულ ხის ფესვებს იმედით ჩაებღაუჭა.

იმ წელს ადრიანად დაზამთრდა, ნოემბერში ყინვა უკვე მძლავრად უჭერდა.

ჭაბუკმა გათოშილი ხელებით გიმნასტურაზე შეყინული თოვლი ჩამოიფერთხა და დაგლეჯილი ჩექმიდან ერთხელ კიდევ სცადა ქუსლში შერჭობილი ქაცვის ამოღება, მაგრამ დამზრალი თითები არ ემორჩილებოდა. ქაცვი ღრმად წასულიყო ხორცში. ისეთ სასოწარკვეთილებამდე იყო მისული, როცა ადამიანი სიკვდილს შერიგებია და ჩამხობილი ელის აღსასრულს. მაგრამ ბოლო თვეებში გამოვლილი ტანჯვა-წამება და თავისი მიზანი რომ მოაგონდებოდა, უნებურად გულს იმაგრებდა.

ეს ამბავი ბრესტში დაიწყო.

პოლკის სკოლა, სადაც უფროსი სერჟანტი ოცმეთაურის თანაშემწედ მსახურობდა, 22 ივნისს ციხე-სიმაგრის მახლობლად პოლიგონზე იმყოფებოდა. განთიადისას ქალაქი უკვე მტერს ეჭირა. ციხე-სიმაგრეს სალტესავით შემორტყმოდა ალყა. იღბლად გადარჩენილი კურსანტები მახლობელი ნაწილის კარგა შეთხელებულ რაზმს შეუერთდნენ და სამჯერ გა-

დავიდნენ ქალაქის იერიშზე, მაგრამ იძულებული გახდნენ სამჯერვე უკან დაეხიათ. შემდეგ სიმაგრის სამხრეთით გამაგრდნენ და ხუთ დღეს იგერიებდნენ ფაშისტებს. მეექვსე დღეს, ხელჩართულ ბრძოლებში დაქანცული რაზმი, რომელსაც ზემდეგი ტუტიაევი და თვითონ უფროსი სერჟანტი მეთაურობდნენ, მტერს ხელიდან დაუსხლტა და „ქიმიური დასახლების“ მიმართულებით გაიქცა.

თხუთმეტი კაცილა იცავდა 333-ე პოლკის უმცროს მეთაურთა სკოლის ღირსებას.

დღისით ულრან ტყეში იმალებოდნენ, ღამით იმავე ტყეს აღმოსავლეთით მიჰყვებოდნენ. მოწინააღმდეგის დიდ ნაწილებს გაურბოდნენ, მცირე რაზმებს — თავშესაფრიდან ესროდნენ, ხოლო პატარა ჯგუფებს პირდაპირ ესხმოდნენ თავს. თითქმის ყველა სნაიპერი იყო. მეტყვიამფრქვევე უჩიაევმა, მისმა მოადგილემ ბალაჩიევმა და უფროსმა სერჟანტმა ფაშისტების სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ისინი მთელი თვე მიიკვლევდნენ გზას მტრის მიერ დაკავებულ საბჭოთა მიწაზე, მაგრამ ფრონტის ხაზი გიგანტური ნახტომით გაურბოდა მათ.

ივლისის ბოლოს, ტყის პირას საბჭოთა ფორმაში გამოწყობილ დიდ რაზმს წააწყდნენ. არეული დრო იყო.

მარტო ტანსაცმლით აბა რას გამოიცნობდი ვინ იყვნენ და მათაც საბრძოლო პოზიცია დაიკავეს. იმ „რაზმელებმა“ გაუღიმეს, რუსულად გამოელაპარაკნენ და თავშესაფრიდან რომ გამოიტყუეს, მაშინ დაუშინეს ტყვია.

შეტაკებამ ხუთიოდე წუთს გასტანა. მძიმედ დაჭრილი სერჟანტი ფაშისტებმა ბიალაპოდლიასკაში მიიყვანეს. ეს იყო სიკვდილის ბანაკი.

ჭრილობები დაუჩირქდა. ძველს ახალი იარებიც მიემატა — ზედამხედველთა ნამათრახალი.

სექტემბერში ეტაპით გაგზავნეს დასავლეთისაკენ. ღამით, როდესაც ვარშავას უახლოვდებოდნენ, ბიჭებმა ვაგონის ფიცრები აჰყარეს, გაქანებული მატარებლიდან გადმოხტნენ და სხვადასხვა მიმართულებით დაიფანტნენ.

უფროსმა სერჟანტმა ორი დღე არხში გაატარა, მერე მთელი ღამე იარა და განმარტოებული ქოხის კარზე ფრთხილად დააკაკუნა. პოლონელმა გლეხმა თავაზიანად მიიღო სტუმარი, ხოლო მეორე დილას სამშვიდობოს გაიყვანა.

მთელი თვე იარა ბუგამდე. ამასობაში კიდეც დაზამთრდა, მაგრამ ყინული საკმარისად არ იყო გამაგრებული და ჯერჯერობით მდინარის გადალახვა არ ხერხდებოდა. ხიდებს, ფონსა და გადასასვლელებს მტრის გუშაგები იცავდნენ. უფროსი სერჟანტი ტყეში დაეხეტებოდა, გადასასვლელს ეძებდა და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა.

სოფელში გამოჩენა სახიფათო იყო. ფაშისტები გააფთრებით ნადირობდნენ გაქცეულებზე, სახლებს ჩხრეკდნენ, ხალხს აწიოკებდნენ, მძევლები მიჰყავდათ.

ყველას ვერც ენდობოდი; ასი თუ საიმედო იყო, ერთი, შეიძლება, გადაცმული მტერი, ფაშისტების სამოქალაქო მოსამსახურე ან აგენტი გამომდგარიყო.

ამ წანწალში რა ჯურის კაცს არ გადაეყარა! ერთმა ბობოლამ, რომელმაც შეივრდომა ლტოლვილი, დაბანა, დააპურა, გაუმასპინძლდა, მერე ჭკუის სწავლებაც დაუწყო: ღმერთს მადლობა შესწირე, შვილო, რომ გადარჩი, სული გიდგია. ფრონტისკენ რაღას მიიწევ? აქ დარჩი, ჩემთან, მომეხმარე, მოგეხმარები. ამასობაში ჩხუბი დამთავრდება და შინ მშვიდობით დაბრუნდებიო...

ათიოდე დღეც ერთ კალატოზთან გაატარა, რომელიც საბ-

ძელში მალავდა. ერთხელ მწვანე ქაღალდზე დაბეჭდილი რაღაც განცხადება მიუტანა და ჩუმად წაუკითხა.

ჰიტლერული მთავარსარდლობის ბრძანება იყო. „ვართეგაუსა“ და „საგენერალ-გუბერნატოროს“ პოლონურ მოსახლეობას მკაცრად აფრთხილებდნენ: ვინც გაქცეულ საბჭოთა ტყვეს დახმარებას აღმოუჩენს და არ გვაცნობებს, ოჯახის ყველა წევრს სათითაოდ ჩამოვახრჩობთ, კარ-მიდამოს გადავუბუგავთ, ხოლო სოფელს ავყრითო.

ამის შემდეგ ყოველ გზაჯვარედინზე, ყველა ფირნიშზე, ყოველი შენობის კედელზე, ტყის განაპირა ხეებზეც კი უფროსი სერჟანტი იმ მწვანე ქაღალდს ხედავდა და რაც შეიძლება ერიდებოდა სოფელს. თავსაც უფრთხილდებოდა და მოსახლეობაც ენანებოდა.

უკანასკნელ ხუთ დღეს ტყიდან არ გამოუხედავს, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო. ცალკე შიმშილმა დაჯაბნა, ცალკე ყინვამ და ავადმყოფობამ.

მდინარეზე არა და არ ჩანდა სანდო ფონი. ფიქრობდა, იქნება ვისმე, ჩემს დღეში მყოფს, გადავეყაროო. იცოდა, რომ მასავით ბევრი დაეხეტებოდა ახლა ამ გზებსა და ტყეებში... ბევრი მის დღეში მყოფი მიდიოდა ალმოსავლეთისაკენ, რათა მწყობრს დაბრუნებოდა. ისინი შეუპოვრად მიიწევდნენ წინ, ეძებდნენ თავიანთ ნაწილებს, რომლებიც, ვინ იცის, სად იყვნენ ახლა... ძნელი იყო ეს გზა. ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იყო ჩასაფრებული, ყოველი მოსახვევიდან მტრის თვალი იმზირებოდა.

დაბინდდა თუ არა, უფროსი სერჟანტი ტყიდან შარაგზაზე გამოვიდა და სოფლისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

ბევრი სიარული აღარ შეეძლო. პირველსავე ეზოში შევიდა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

ორიოდე წუთის შემდეგ შუახნის ჭაღარა კაცმა კარი ფრთხილად გამოაღო და ლტოლვილი, რომელსაც მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი, უსიტყვოდ შინ შეიწვია.

სტუმარი ღუმელთან მიიყვანეს, ჩექმა გახადეს და დამზრალი ხელ-ფეხი თოვლით დაუზილეს. მიართვეს წვნიანი, პური და კარტოფილი.

ჯარისკაცი ხარბად მიეძალა საჭმელს.

ოჯახის უფროსი, მისი ცოლი, ვაჟი და რძალი კარებთან იდგნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

სტუმარი სმენად იქცა. მართალია, პოლონური არ იცოდა, მაგრამ ალღოთი მიხვდა, რომ მასზე იყო ლაპარაკი და რაღაც მიუწვდომელი გულისხმით თითქოს საუბრის შინაარსიც გაიგო. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ბავშვები კალთაში უსხდნენ, ხშირად ახსენებდა ვიღაც გლეხს, წინა დღით რომ ფაშისტებს ჩამოეხრჩოთ გაქცეული ტყვის დამალვისათვის. ბევრი იდავეს, და ბოლოს, გადაწყვიტეს: ცოდვაა! ამ უკუნეთში გარეთ ვერ გავაგდებთ, ერთი ღამე მაინც გავათევინოთო.

ნავახშმევს მასპინძლის ვაჟმა სტუმარი სხვენზე აიყვანა, თივა გაუშალა და ფარაჯა წააფარა.

ხიზანი დილაადრიან გააღვიძეს, დაბამბული ჯუბა ჩააცვეს და მეზობლისას წაიყვანეს.

შავგვრემანი, ულვაშა მასპინძელი სტუმრებს თბილ სარდაფში ჩაუძღვა, ჯარისკაცი დააპურა და ვინაობა ჰკითხა.

— ქართველი ვარ, არმიაში ოცმეთაურის მოადგილედ ვმსახურობდი, — თქვა სერჟანტმა.

ულვაშამ სტუმარს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

-- თქვენში ასეთი ზამთარი არ იცის, მაგრამ, გეტყობა, შართლა მაღაროელი ხარ, ამდენი გაჭირვებისათვის რომ გაგიძლია!

სტუმარ-მასპინძელს შორის ერთბაშად დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. დედაბერმა ცრემლიანი ხმით შესტირა ხიზანს:

— როგორ მოხდა, შვილო, რომ შვაბებს ჩაუცვივდით ხელში! რაღა გვეშველება!

— ქურდულად დაგვესხნენ თავს, დედი, ოლ გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ ვერ მიართვეს! რაკი ფრონტი შევაკავეთ, აღარაფერია საშიში!

სერჟანტმა დიდხანს ილაპარაკა ასე იმედიანად და მისი აზრები რომ უფრო დამარწმუნებელი მოსჩვენებოდათ, მასპინძლები განგებ ეკამათებოდნენ, ათასგვარ საჭოჭმანო შეკითხვას აძლევდნენ.

ოჯახის უფროსმა გულისტკივილით ჩაილაპარაკა:

— შვაბები მოსკოვთან და ლენინგრადთან არიან, შვილო. ყველაფერი იმათ ხელშია, ვიღა მოერევა ახლა მათ!

ჯარისკაცს არ სწყენია ეს დაეჭვება. იცოდა, ხალხს სიმართლის გაგება სწყუროდა, გამხნევება ესაჭიროებოდა და ისიც კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა საბჭოთა ქვეყნის ძლიერებაზე.

— გავიმარჯვებთ, უსათუოდ გავიმარჯვებთ! — არწმუნებდა ის პოლონელებს, — თქვენს სოფელშიც მოვლენ გამარჯვებული საბჭოთა ჯარები და მაშინ მომიგონებთ. წინ კიდევ დიდი ბრძოლებია. მე დავიღუპები და ბევრი ჩემისთანა, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენია, გამარჯვება ზემბრამდეც მოაღწევს.

— მშობლები გყავთ, შვილო? — ჰკითხა მასპინძელმა თვალაკიანთებულ მოსაუბრეს.

— მყავს დედ-მამა, ექვსი და და ხუთი ძმა.

— ქართველო ვაჟკაცო! — უთხრა მაშინ მასპინძელმა, — შენ ისე მტკიცედ გწამს გამარჯვება, რომ ჩვენც იმედი მოგვეცა. სულ გამარჯვებით გევლოს! თუ ვინიცობაა, ბედმა გიმუხთლა, ბარათი მაინც დატოვე ამ სახლში. სადაც მუდამ გვემახსოვრები. მისწერე მშობლებს შენი ამბავი. როცა ომი დამთავრდება და ჩვენ გავიმარჯვებთ, როგორც შენ ამბობ, ამ ბარათს შენიანებს გავუგზავნით.

ამ სიტყვებით მასპინძელმა საწერი მაგიდა ღუმელთან მიდგა, უჯრიდან სედლეცის საგუბერნიო სტამბაში ოდესღაც დაბეჭდილი რუსული დავთარი ამოიღო, იქიდან ორი ფურცელი ამოხია, მერე თაროდან ჩამოიღო შინ ნაკეთები მელნით სავსე მაღალი შუშა, წვერბლაგვი კალამი და ყველაფერი ეს უცხო სტუმარს წინ დაულაგა.

ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ.

უფროს სერჟანტს სახე შეეცვალა, თითქოს მოსწყდაო იქაურობას და მღელვარედ დაიწყო წერა.

„14 ნოემბერი, 1941 წ.

სალამი ძვირფას მშობლებს!

უპირველეს ყოვლისა, ამ წერილში გისურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას, ძვირფასო მშობლებო, დებო და ძმებო. შეიძლება, ჩემგან მეტი წერილი ვეღარ მიიღოთ და ვერც მე ჩამოვიდე ცოცხალი. ამ წერილს მხოლოდ მაშინ მიიღებთ, როცა ომი დამთავრდება და ჩვენ გავიმარჯვებთ. 23 ივლისს ფაშისტებმა ხელთ ჩაგვიგდეს და ოთხ თვეს ტყვეობაში დავყავით. შემდეგ გამოვიქეცით, მაგრამ ახლა

მარცხნიდან: მიხეილ მუმლაძე, მწერალი სერგეი სმირნოვი, გენადი კანტურიძე.

გამოსავალ გზას ვერ ვპოულობ. ძალზე დიდი სიცივეებია, ავადაც გავხდი დეზინტერიით და ჯერჯერობით ვერა მოვუხერხე რა. მე მგონია, თან გადამიტანს. დავდივარ პოლონეთში, მერე და მერე რა იქნება, არ ვიცი. თანდათან ვსუსტდები. ექიმი არაა და წამალი. გამოჩენაც კი გვეშინია, ვიმალებით. მე თუ ვერ ჩამოვედი სახლში, ამ ჩემს წერილს მაინც მიიღებთ პატარა სურათთან ერთად და იმ დღიდან ცოცხლად ნუღარ მიგულებთ. ნუ დამივიწყებთ, საკურთხი ხშირად მიყეთეთ. ამ წერილის დაწერა მირჩია ერთმა პოლონელმა, დაწერე წერილი და ჩხუბი რომ გათავდება, გავუგზავნი შენს მშობლებსო. მე დავთანხმდი, იმიტომ რომ, როგორც მიწიდან ამოღებული,

ისე ვარ. ოთხი თვე ბლუზის ამარა გავატარე წვიმასა და სიცივეში, ცის ქვეშ. ახლა, დედაჩემო და მამაჩემო, მომიკითხეთ ყველანი, დები, ძმები, მეზობლები და კეთილები... მოსაგონებელი გადაიხადეთ, ეს წერილი რომ მიიღოთ... სიცივე რომ არ იყოს, შეიძლებოდა ნელ-ნელა წამოსვლა. ყინვა ყოველდღე მატულობს, ყოველდღე გვჭირდება ღამის გასათევის ძებნა, დავწრიალებთ სოფლებში, სად საჭმელი უნდა ითხოვო და სად ღამის გასათევი. ამათაც ეშინიათ, გერმანიის ტერიტორიაა და გაცხადებული აქვთ, ვინც გაქცეულ ტყვეს სახლში შეუშვებს, დავხვრეტთო. ასე, ჩემო ძვირფასო მშობლებო, ნუ მიჯავრებთ. ჯაბანივით არ მოვკვდები.

გწერთ თქვენი შვილი გენადი ჭანტურიძე".

ქაღალდი გადმოაბრუნა და ჩაფიქრდა. უცბად რაღაც ნაღველმა შეიპყრო, მერე მსხვილი ასოებით წააწერა:

„ამ წერილს მიიღებთ ომის დამთავრების შემდეგ. მე დღეს მივდივარ აქედან. თუ გადავრჩი, ხომ ჩამოვალ და ის იქნება... ისე კი ძნელია, ძალიან ჭირს თავის გატანა..."

ჩექმის ქუსლიდან ხუთი თვის წინათ შენახული პატარა ფოტოსურათი ამოიღო და სამკუთხედად მოკეცილ ბარათში ჩადო.

ჭანტურიძემ წერილის დამთავრება ძლივს მოასწრო, რომ მასპინძელს შეატყობინეს, ზემბრში ფაშისტების საველე პოლიციის რაზმი შემოვიდა და სახლების ჩხრეკა დაიწყოო.

ფერდაკარგულმა მასპინძელმა ბარათი სასწრაფოდ გადამალა, უნდოდა სტუმრის გადასარჩენად რაღაც გზა გამოენახა, მაგრამ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ ჭანტურიძე სარდაფიდან ზემო სართულში აიჭრა და გარეთ გავარდა...

ამას წინათ ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საზანოში

კოლმეურნე ანთიმოზ ჭანტურიძეს გადასცეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ლუბლინის სავოევოდოს სოფელ ზემბრიდან გამოგზავნილი სქელი კონვერტი. კონვერტში აღმოჩნდა ოცი წლის წინათ დაწერილი შვილის ბარათი, ფოტოსურათი და შემდეგი წერილი რუსულად:

„ბატონო ანთიმოზ ჭანტურიძე!

მართალი მოგახსენოთ, რუსული ენა კარგად არ ვიცი, ქართული კი სრულებით არ მესმის. ვფიქრობ, არც თქვენ გეცოდინებათ პოლონური.

ჰიტლერული ოკუპაციის დროს, 1941 წელს, ჩვენთან მოვიდა თქვენი შვილი გენადი და გვითხრა, ქართველი წითელარმიელი ვარო. ფაშისტების ტყვეობიდან გამოვიქეცი, ტყეში ვიმალებოდი, ახლა მძიმე ავადმყოფი ვარ და ან სნეულება მომკლავს, ან გერმანელების ტყვიაო. დაწერა ეს წერილი და გადმომცა, რომ ომის შემდეგ თქვენთვის გამომეგზავნა. სასტიკი ზამთარი იყო და თქვენი შვილი აღარ მინახავს. ვფიქრობ, პოლონეთის მიწაზე დაიღუპა.

ძალიან საშიში დრო იყო. წითელარმიელის წერილი რომ ენახათ, ჰიტლერელები დაგვხვრეტდნენ და ააწიოკებდნენ ჩვენს ოჯახებს. ეს ბარათი საგულდაგულოდ შევინახე და დღემდე ვუცდიდი თქვენი შვილის ამბავს, — მაგრამ ოცი წელი გავიდა და ვერაფერი გავიგე. ახლა გიგზავნით ამ წერილს და გთხოვთ მიპასუხოთ. მომწერეთ თქვენი ოჯახისა და საქართველოს შესახებ.

მარიამ ვერჟეისკი“.

ვერჟეისკის ოჯახიდან გაქცეულმა გენადი ჭანტურიძემ გერმანელთა საველე ჟანდარმერიას დიდი გაჭირვებით დააღწია თავი და იმ დღესვე სცადა მდინარე ბუგის გადალახვა.

მაგრამ ყინული ჯერ კიდევ სუსტი აღმოჩნდა. უფროსი სერჟანტი კარგა ხანს სოფელ ბარსუკში იმალებოდა. დეკემბრის დამდეგს კი, როცა მდინარე მთლიანად გაიყინა, სამ ამხანაგთან ერთად მტრის მიერ ოკუპირებულ საბჭოთა მიწაზე გადმოვიდა და მალე მწყობრს დაუბრუნდა — შეუერთდა პარტიზანულ ბრიგადას „ვო იმია როდინი“.

საბრძოლო დახასიათებაში, რომელსაც ხელს აწერენ ბრიგადის მეთაური სმირნოვი, კომისარი ობლოვაცკი და შტაბის უფროსი დიკუნოვი, ნათქვამია: „გენადი ანთიმოზის ძე ჭანტურიძე იბრძოდა პარხომენკოს სახელობის რაზმში და თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა მებრძოლმა...

მეკავშირედ ყოფნისას ამხ. ჭანტურიძემ ქ. ბელსკში ცეცხლს მისცა მტრის სამხედრო ობიექტი. მოსპო გარაჟი, სამი ავტომანქანა, საწვავის საწყობი, 54 კასრი ბენზინი, ნახშირისა და შეშის საწყობები. ამხ. ჭანტურიძე მონაწილეობდა ბელსკი-გაინოვსკის გზატკეცილზე, ფაშისტების ძირითადი მოძრაობის ხაზზე, სტრატეგიული ხიდის აფეთქებაში. იმავე უბანზე ააფეთქა მტრის სამხედრო ეშელონი — ორთქლმავალი და ექვსი ვაგონი, რის შედეგადაც მოკლული იქნა 36 გერმანელი სალდათი და ოფიცერი, დაიჭრა 40...

მილენჩიკის რაიონში ამხ. ჭანტურიძე მონაწილეობდა მტრის ალყაშემორტყმული ნაწილების განადგურებაში და ტყვედ წამოიყვანა გერმანელი ოფიცერი და 57 სალდათი, სრული აღჭურვილობით. სოფელ ბისტრის მახლობლად იგი თავდადებით ებრძოდა გერმანელთა ჯავშნოსან ტრანსპარტიორებს და ა. შ...

ამხ. ჭანტურიძემ ყველა ამ ბრძოლაში გამოავლინა სო-

ციალისტური სამშობლოს დიდი სიყვარული და მუხანათი მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილი...“

1945 წელს გენადი ჭანტურიძე ზესტაფონში დაბრუნდა. ყველაფერი, რაც გამოიარა, ახალ ენერგიად, სიცოცხლის დიდ სიყვარულად იქცა: დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, მხარში ამოუდგა დედ-მამას, ხელი შეაშველა უმცროს და-ძმებს და დაოჯახდა.

მთელი რაიონი იცნობს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გენადი ჭანტურიძეს, მაგრამ ყველას ადვილად როდი დაარწმუნებთ, რომ ეს წყნარი, მოკრძალებული კაცი ოცდახუთი წლის წინ ბრძოლაში ხიშტს ატრიალებდა და ბელორუსიის რკინიგზებზე ოკუპანტთა ეშელონებს აფეთქებდა.

გენადის ოჯახის წევრები, ამხანაგები, თანასოფლელები აღტაცებით ლაპარაკობენ პოლონელ მეგობრებზე, მათ სიკეთესა და თავდადებაზე.

ხოლო თორმეტი შვილის აღმზრდელი გაიანე ჭანტურიძე, რომელსაც მკერდზე გმირი დედის ოქროს მედალი უბრწყინავს, მხურვალედ ლოცავს კეთილ ადამიანებს, რომლებმაც სიცოცხლე შეუნარჩუნეს მის შვილს და ათახობით მისთანას საშუალება მისცეს პირნათლად მოეხადათ თავიანთი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

* * *

უფროსი ლეიტენანტი სერგო ინჯია და ლეიტენანტი ვალოდია უგრეხელიძე 21 ივნისს ღამის თორმეტ საათზე დაბრუნდნენ ციხე-სიმაგრიდან ქალაქში. 125-ე პოლკის მე-

თაურმა მაიორმა დულკევიჩმა კაზემატების ფერდობზე თათბირი ჩაატარა, — ფხიზლად იყავით, შორს არ წახვიდეთ, ამაღამ გაძლიერებულ პატრულს ვნიშნავთო.

— ღამის პირველ საათზე არავითარი ხმაური არ შეგვიმჩნევია, — იგონებს ს. ინჯია. — საზღვარზე სამარისებური სიჩუმე იდგა. მე და ვალოდია გაუხდელად წამოვწექით, მაგრამ საშინელმა გრგვინვამ ერთბაშად წამოგვყარა ფეხზე... დივიზიის შტაბი უკვე აღარ არსებობდა, ყველაფერი იწვოდა. მაშინვე ციხე-სიმაგრისაკენ გავქანდით. ჩვენი პოლკის ოთხივე ბატალიონი იქ გვეგულებოდა. სადგურთან არმიის სარდალს, გენერალ პოპოვს, შევეჩეხეთ. „შეაგროვეთ მებრძოლები, სადაც და რამდენსაც ნახავთ და დაუყოვნებლივ ჩაებით ბრძოლაში!“ — გვიბრძანა მან.

მე და უგრეხელიძემ ჩრდილოეთის მხრიდან შევაღწიეთ სიმაგრეში. ქალაქის გზა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკავებული მტერს. იარაღის საწყობში ოთხი ასეული ნაღმსატყორცნი, ხელყუმბარები და შაშხანები გადარჩენილიყო... ჩვენთან ერთად იყვნენ: ლეიტენანტი კუპა, წითელარმიელები: ზიკოვი, ოსტროვსკი, თედიაშვილი... პოზიცია დავიკავეთ რკინა-ბეტონის ცეცხლგამძლე წერტში, სასაფლაოსთან. ჩვენს წინ პატარა სოფელი მოჩანდა. იგი ათ საათზე უკვე ხელთ იგდეს გერმანელებმა. მეორე დილით ოთხი სათვალთვალო პუნქტი მოვაწყვეთ... როცა სიმაგრეში ფაშისტური რეპროდუქტორები ახრიალდა, ზიკოვთან და ოსტროვსკისთან ერთად საკანალიზაციო მილით, ბატარეის პარკის უკან გავედით და ხაზები გადავჭერით. პროვოკაციული რადიოგადაცემები შეწყდა. შემდეგ რეპროდუქტორები სოფლის მახლობლად მოაწყვეს, მაგრამ 24 ივნისს იქიდანაც უკუვაქციეთ მტერი... ასეულის

სერგო ინჯია.

ნაღმსატყორცნები ბუგის გადმოსასვლელებს უშენდნენ ცეცხლს და ხელს უშლიდნენ დესანტის გადმოსხმას...

24 ივნისს მტერმა ჩვენს პოზიციაზე ტანკები გამოუშვა, მაგრამ იმ დროს უკვე მზად გვქონდა 26 ცალი ბენზინიანი ბოთლი (ბენზინი წამოვიღეთ პოლონელი მოტოციკლეტისტის ფრანკის ოჯახიდან, რომელიც მეზობელ სოფელში ცხოვრობდა)...

ვ. უგრეხელიძემ და ზიკოვმა ორი ტანკი ააფეთქეს, ხოლო როცა ეკიპაჟმა კოშკურის სარქველი ახადა, ს. ინჯიამ ავტომატის ცეცხლით მოსპო ოთხი ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი... მას შემდეგ ამ უბანზე ტანკები კარგა ხანს აღარ გამოჩენილა... მტერი მცირე ჯგუფებად უტევდა მდინარის მხრიდან...

27 ივნისს ს. ინჯია ყუმბარის ნამსხვრევებით თავში დაიჭრა. ვ. უგრეხელიძე, ზიკოვი, კუპა, გაბო თედიაშვილი, ოსტროვსკი იერიშის დროს დაიღუპნენ.

* * *

8 ივლისს ს. ინჯია მეორედ დაიჭრა. ამჯერად ტყვია მუხლში მოხვდა. ამხანაგებმა ფარაჯაში გახვეული გაიყვანეს სოფელში და ბელორუს გლეხებს ჩააბარეს. რამდენიმე დღე იარა ჭაობიან ადგილებში და ბრესტიდან ასი კილომეტრის დაშორებით, საჰაერო სადესანტო ნაწილის ნაცნობ ოფიცერს შეხვდა. მან ს. ინჯია თვითმფრინავით ზურგში გაგზავნა. ერთ ხანს ბელოცერკოვის საველე ჰოსპიტალში მკურნალობდა. გამოჯანმრთელების შემდეგ პირველ საჰაერო-სადესანტო კორპუსში ჩარიცხეს. 25 აგვისტოს ხელჩართულ ბრძოლაში მესამეჯერ დაიჭრა და როგორც ომის ინვალიდი, 1942 წლის მარტში საქართველოში დაბრუნდა. ომის დამთავრებამდე თბილისში მსახურობდა საავარიო-აღმდგენი ბატალიონის ასეულის მეთაურად.

ამჟამად სამამულო ომის ინვალიდი სერგო ინჯია თბილისში ცხოვრობს. ომგადახდილ ვაჟკაცს ბრესტში მოხვედრილი ტყვია დღესაც მარჯვენა მუხლში აქვს.

ომმა თან ბევრი საიდუმლოება გაიყოლია. თანამებრძოლი, წამის წინ რომ გვერდით გედგა, ერთბაშად გაქრა და აღარავინ იცის, რა ბედი ეწია...

ჩემი ბრესტელი ნაცნობ-მეგობრებიდან განსაკუთრებით მაღელვებდა ბატალიონის მეთაურის — კაპიტან იაკობ გელაშვილის, მე-2 ასეულის მეთაურის — უფროს ლეიტენანტ გიორგი ანანიაშვილისა და მათი ოჯახების ამბავი. ზოგი რამ თამარ ჯიჯიშვილმა მიამბო, მაგრამ 1942 წელს იგი ბრესტიდან უკრაინაში გადავიდა და შემდეგ იქ რა მოხდა, არაფერი იცოდა.

როგორც აღვნიშნე, ომის დაწყების წინ ი. გელაშვილმა და გ. ანანიაშვილმა ცოლ-შვილი საქართველოდან ბრესტში ჩამოიყვანეს. ი. გელაშვილს ქალ-ვაჟი ჰყავდა: ცხრა წლის ლენა და ოთხი წლის მელსიყი; გ. ანანიაშვილს კი — ორი ქალიშვილი: თოთხმეტი წლის ელიკო (ლენა) და შვიდი წლის მარგარიტა.

ჰიტლერელთა მოულოდნელი თავდასხმის დროს ი. გელაშვილი და გ. ანანიაშვილი პირველი ბატალიონის განლაგების უბანზე იმყოფებოდნენ, ბრესტიდან შვიდი-რვა კილომეტრის დაშორებით.

შინ დარჩენილმა მარო გელაშვილმა და ნინო ანანიაშვილმა რუსული ენა არ იცოდნენ და ჯერ არც ნაცნობები ჰყავდათ. ციხე-სიმაგრე რომ ცეცხლის ალში გაეხვია, გაოგნებულებმა ძლივს მოასწრეს დახანძრული სახლებიდან ბავშვების გამოყვანა და რკინა-ბეტონის კიბეს შეაფარეს თავი. მეორე თუ მესამე დღეს, სხვა მეთაურთა ოჯახის წევრებთან ერთად ისი-

ნი გერმანელებმა ქალაქის საპატიმროში გამოამწყვდიეს, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, გესტაპოს მკაცრი მეთვალყურეობით, ომის დამთავრებამდე ბრესტში ცხოვრების ნება დართეს.

აი, თითქმის ყველაფერი, რაც 1961 წელს, ამ წიგნის პირველი გამოცემის დროს, მათ შესახებ ვიცოდი. ისიც ვერ გამომერკვია, რომელი რაიონიდან იყვნენ და ჰყავდათ თუ არა ახლობელი ნათესავები.

1965 წლის მარტში ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიიდან ნანული ანანიაშვილის წერილი მივიღე: „წავიკითხე თქვენი წიგნი „დღეები ბრესტის სიმაგრეში", — მწერდა ის. — წიგნში დასახელებულ გმირებს შორის ამოვიკითხე ჩემი ბიძაც, გიორგი ანანიაშვილი... გთხოვთ, გამაგებინოთ, როდის შეხვდით პირველად მას, რამდენი ხანი იყავით ერთად და როდის დაშორდით... ხომ არ იცით, სად და როდის დაიღუპა?.."

ორიოდე თვის შემდეგ, თამარ ჯიჯიშვილმა მახარა, გ. ანანიაშვილის უმცროსი ქალიშვილი — მარგარიტა. ცოცხალი ყოფილაო და ირკუტსკიდან გამოგზავნილი ბარათი გადმომცა. წერილი რუსულად იყო დაწერილი. „რომ იკოდეთ, როგორ მინდა თქვენი ნახვა, — სწერს იგი თამარ ჯიჯიშვილს. — აქამდე ჩემი ნათესავების ნაამბობით გიცნობდით. ახლა კი წავიკითხე ა. კალანდაძის წიგნის რუსული თარგმანი და მივხვდი, ვინ ხართ და საიდან იცით ჩვენი ოჯახის ამბავი... მე და თქვენი თამაზი ხომ თითქმის ტოლები ვართ... 31 წლისა გავხდით, იმ ხნისა, რამდენისაც მაშინ ჩვენი დედები იყვნენ. თქვენ, ცხადია, არ შეგეძლოთ გცოდნოდათ, რომ მე სრულიად მარტო დავრჩი და, როგორც ხედავთ, ყველაფერს გავუძელი..."

გიორგი ანანიაშვილი.

გავიგე თუ არა მისამართი, მარგარიტა ანანიაშვილს ირ-ქუტსკში წერილი გავუგზავნე და ვთხოვე, დაწვრილებით მო-ეწერა თავისი თავგადასავალი. პასუხიც მალე მივიღე.

სიზმარივით ახსოვს ბრესტში ჩასვლა... ომის პირველი წუ-თები... სატუსაღო, სადაც მხოლოდ დამარილებულ თევზს აძლევდნენ... აცრემლებული დედა... „შემდეგ რკინიგზის სადგურთან, სარდაფში, ვცხოვრობდით, წაბლნარის ქუჩაზე. არ ვიცი, მართლა ასე ერქვა იმ ქუჩას, თუ ბევრ- წაბლის ხე რომ იდგა იმიტომ დამამახსოვრდა... ჩვენს მახლობლად, თუ ჩვენთან ერთად, სხვა ქართველებიც ცხოვრობდნენ. ისინი

ალბათ, გელაშვილის ცოლ-შვილი იყვნენ. ჩვენ მას დეიდა მარუსიას ვეძახდით... მე შვიდი წლის ვიყავი. მამის შესახებ დიდხანს არაფერი ვიცოდით... ერთხელ, ჭიშკართან ვდგავარ (ტანსაცმლის მიხედვით ვიგონებ, რომ ზამთარი იყო), ვხედავ, ვიღაც ღარიბულად ჩაცმული მამაკაცი მიახლოვდება... მაშინვე ვიცანი მამაჩემი. უცებ ქუჩის კუთხეში შეუხვია. მე მივირბინე მამასთან. გადამკოცნა და დედის დასაძახებლად გამგზავნა. დედა შინ იყო, ჩემი უფროსი და ელიკო კი სხვაგან იყო წასული. როცა მე და დედაჩემი ქუჩაში გამოვედით, მამა იქ აღარ დაგვხვდა, მაგრამ მალე სხვა კუთხეში ამოფარებული ვიპოვეთ. მერე მდინარის ნაპირას ჩამოვსხედით: მშობლები რამდენიმე წუთს ლაპარაკობდნენ. მამა წავიდა და დიდხანს აღარ გამოჩენილა. დედამ, მგონი, იცოდა, სადაც იყო. იმ წელს მე, ჩემი და და გელაშვილის ქალიშვილი სკოლაში შეგვიყვანეს. მაგრამ რა სწავლა; რისი სწავლა?! გაკვეთილამდე და გაკვეთილების შემდეგ სულ ლოცვებს გვიკითხავდნენ. მალე სხვა ქუჩაზე გადაგვაბარგეს საცხოვრებლად. არ მახსოვს, რომელი ქუჩა იყო. გელაშვილები და ჩვენ იქაც ერთ სახლში ვცხოვრობდით. ერთხელ ჩვენთან მამა მოვიდა, ბავშვები მაშინვე ეზოში გაგვგზავნეს სათამაშოდ. გვითხრეს, უცხო ვინმეს თუ შეამჩნევთ, შეგვატყობინეთო... რა ბედნიერება იყო მამასთან ყოფნა!...

ერთ ზაფხულს, ბელორუსიის შორეულ სოფელში გამგზავნეს მამაჩემის მეგობართან, იგი ადრეც ბევრჯერ ყოფილა ჩვენსას. იქ მამამ მინახულა. ეს იყო ჩემი მესამე და უკანასკნელი შეხვედრა მამასთან. რა ცხადად მახსოვს მისი სახე!.. ჩვენ თივის ზვინულში ვისხედით. მხოლოდ არ მაგონდება, რაზე ვლაპარაკობდით. იმის შემდეგ მამა აღარ მინახავს...

ერთხელ, დედამ კვლავ გამგზავნა სოფელში, ნაცნობ გლეხთან და მითხრა, საღამოს ჩვენ და გელაშვილებიც მოვალთო. მაგონდება ეს გამომშვიდობება... ყველა ლაპარაკობდა, მალე მამასთან წავალთ ტყეშიო... მაგრამ აღარავინ მოსულა ჩემთან. დავრჩი ობლად, ნაცნობი გლეხის ოჯახში. იმ კაცის არც გვარი მაგონდება და არც სახელი. ის კი მახსოვს, რომ ორი ვაჟი ჰყავდა. რამდენიმე დღის შემდეგ რაღაც ფუთა გადმომცეს. შიგ ჩემი დისა და დედის ტანსაცმელი იყო გახვეული. დღესაც ვერ მივმხვდარვარ, საიდან და როგორ გაჩნდა ეს ფუთა ჩემთან!.. მალე ჩემი მასპინძელი თავისი ოჯახიანად სხვა სოფელში გადასახლდა. მე კი დავრჩი ავადმყოფ დედაბერთან, თითქმის სრულიად მარტო. რა გაჭირვებაში გადატანა არ მომიხდა! უკანდახევისას გერმანელები სოფლებს წვავდნენ. ერთხელ, ღამით, ცეცხლისაგან თავი რომ გადაგვერჩინა, სხვა სოფელში გავიქეცით. იქ პირველად გავიგე მამაჩემის ამბავი. ვიღაც მოვიდა და იკითხა: „გრიშა ქართველის ქალიშვილი აქაოო?“ (მამაჩემს ყველა „გრიშა ქართველს“ ეძახდა). მითხრეს, მამაშენი გერმანელებმა ჩაიგდეს ხელშიო. მაგრამ როგორ, სად, რანაირად, არ გამიმხილეს. ბრესტის განთავისუფლების შემდეგ, კობრინის უპატრონო ბავშვთა სახლში გამგზავნეს. არ ვიცი, რატომ — იქ სახელი შემიცვალეს და თამარი დამარქვეს. ჩემი ნამდვილი სახელი კი მარგარიტაა, კარგად მახსოვს, დედა მაგულას მეძახდა. ქართული უკვე სულ გადამავიწყდა.

ერთხელ ბრესტში გამგზავნეს მოსწავლეთა ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად. იქ შემხვდა ჩემი დის — ელიკოს შეგობარი ვალია სიკორსკაია. ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. ოკუპაციის დროს ბრესტში ვცხოვრობდით და კარგად ვიც-

ნობდით მათ ოჯახს. 1942 წელს ელიკოსთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი მაჩუქა. მათი ოჯახი ახლაც ბრესტში ცხოვრობს

1945 წელს უპატრონო ბავშვთა სახლში ქართველმა ოფიცერმა, კაპიტანმა ვლადიმერ ქინქლაძემ მომაკითხა. დიდხანს მელაპარაკა, მეკითხებოდა ბრესტში გადატანილ ომის დღეებზე. მე კი თითქმის აღარაფერი მახსოვდა. ვიცოდი მხოლოდ ჩემი გვარი, ქალაქი გორი და ბიძია არტემი, რომლის სახლთანაც წისქვილი იდგა. წასვლისას ვ. ქინქლაძე შემპირდა, შენს მშობლებსა და ნათესავებს მოვძებნიო. ორი წლის შემდეგ მივიღე მისი წერილი, — ჩემი ნათესავებისათვის მართლაც მიეგნო.

1947 წელს ვ. ქინქლაძე კობრინში მოვიდა და გორში წამიყვანა. მაშინ იგი ცოლ-შვილით სხვაგან სახლობდა. ახლა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში ცხოვრობს.

საქართველოში ნათესავები მოვძებნე. ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში ვიპოვე მამაჩემის უფროსი ძმა ირაკლი, ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცაში კი — მეორე ბიძა — სერგო. რადგან სოფლად რუსული სკოლა არ იყო, გორში ვცხოვრობდი ბიძია არტემ მინაზაროვის ოჯახში. ბრესტში წასვლამდე მამა გორში მსახურობდა და მინაზაროვებისა და ჩვენი ოჯახები დაშეგობრდნენ. მინაზაროვები გახდნენ ჩემი მეორე მშობლები. ათი წელი გავატარე მათთან და არასოდეს არ გამოვურჩევივარ ერთმანეთ ღვიძლ ქალიშვილში. ბიძია არტემი 1964 წელს გარდაიცვალა. დეიდა ანა გიორგის ასული კი ახლაც გორში ცხოვრობს. ძალიან მინდა, უსათუოდ ესტუმროთ მათ. გაუხარდებათ... დეიდა ანა ხომ ჩემი დედობილია.

1953 წელს გორში დავამთავრე რუსული საშუალო სკოლა და ხუთ წელიწადს იქვე ვმუშაობდი. 1958 წელს გავთხოვდი. ჩემი ქმარი — თედორე კუზმას ძე პროხორენკო, ციმბირელია, ვცხოვრობთ ირკუტსკში; გვყავს ორი გოგონა—ლარისა და ნინო. საახალწლოდ ოროთახიანი ბინა მივიღეთ. ძალიან დაგვეხმარა საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის შუამდგომლობა. ვმსახურობ ასლის გადამღებად. ქმარი ირკუტსკის ნავსადგურში მუშაობს, გასულ წელს დაამთავრა ენერგომშენებლობის ტექნიკუმი და ემზადება ინსტიტუტში შესასვლელად"...

ასე ჩარჩა 7—8 წლის გოგონას მეხსიერებაში ომისა და ოკუპაციის მძიმე წლები, დედ-მამის, დის, მეგობრების დაღუპვა. იგი არაფერს წერს მათ გმირობაზე. არაფერს წერს, რომ მისი და გელაშვილის ოჯახის წევრები დიდი სამამულო ომის პირველი ქართველი პარტიზანები იყვნენ, რომ ისინი მტრის შემოჭრის პირველი დღეებიდანვე აქტიურად ჩაებნენ სახალხო შურისმაძიებელთა რიგებში და სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს. ელიკო ანანიაშვილი ხომ პირველი ქართველი კომკავშირელი პარტიზანი გოგონაა, რომელიც სამი წლის განმავლობაში დედ-მამასთან ერთად შორეული ბელორუსიის მიწაზე გმირულად ებრძოდა ფაშისტ მტაცვალებს. მაგრამ ჩვენმა ხალხმა ძალიან ცოტა. თითქმის არაფერი იცის თავისი საამაყო ქალიშვილის ამ რაინდულ თავდადებაზე. ისიც არ ვიცით, სად, რა პირობებში აწამეს ფაშისტმა მტაცვალებმა თვრამეტი წლის უშიშარი, ხალისიანი გოგონა... მაგულას მოგონებიდან ჩანს, რომ დედასთან და გელაშვილებთან ერთად ელიკო სწორედ იმ საღამოს შეიპყრეს, როცა

ავტომატგადაკიდებული ტყეში მიდიოდა მამასთან — პარტიზანული რაზმის ლეგენდარულ მეთაურთან — „გრიშა ქართველთან“, კაპიტან გიორგი ანანიაშვილთან... და სანამდე მისულა ფაშისტი ჯალათების გაბოროტება და ცინიზმი: ცხრა წლის უპატრონო გოგონასათვის იმავე დღესვე გაუგზავნიათ წამებული დედისა და დის სისხლიანი ტანსაცმელი!..

* *

ახლახან გამოირკვა, რომ ბრესტის ოლქში დღემდე ახსოვთ „ოცდაათიოდე წლის გამხდარი, თაფლისფერთვალება, ცოცხალი და მხიარული „გრიშა გრუზინი“ — პარტიზანთა უშიშარი მეკავშირე, ფაშისტური გარნიზონების რისხვა... ცრემლითა და სიყვარულით იგონებენ მას კობრინის პარტიზანული ბრიგადის ყოფილი მეთაური გაპასიუკი, მეკავშირე გრიგოლ კომისარიუკი, მიხეილ ობრაზცოვი, სტეფანე დუდკო... მაგრამ გვარი მხოლოდ კობრინის პირველი საბავშვო ბაღის გამგემ ზინაიდა ბურაკოვამ გაიხსენა, რომელიც ომამდე ბრესტის ციხე-სიმაგრეში მსახურობდა და ანანიაშვილის ოჯახს კარგად იცნობდა...

1941 წლის ზაფხულიდან გიორგი ერთ ხანს კობრინის მახლობლად, სოფელ ოგოროდნიკში იმალებოდა, სადაც გაეცნო პარტიზანული რაზმის მეკავშირეს, გრიგოლ კომისარიუკს. გამოცდილმა ქართველმა მეთაურმა მალე უჩინარი მზვერავის სახელი გაითქვა. მას უკვე ათობით გაბედული ოპერაცია ჰქონდა ჩატარებული, ასობით ოკუპანტი ჰყავდა მოკლული, როცა 1942 წლის ზაფხულში პარტიზანთა სარდლობამ ნება



ელიკო. მაგელი და ნინო ანანიაშვილები.

დართო ბრესტიდან გამოეტაცა თავისი და გელაშვილის ცოლ-შვილი, რომელთაც არალეგალური მუშაობისათვის დახვრეტა მოელოდათ. რამდენიმე ამხანაგთან ერთად გ. ანანიაშვილი ღამით ფარულად მივიდა ქალაქის გარეუბანში, სადაც, წინასწარი შეთანხმებით, უცდიდნენ ლტოლვილები, მაგრამ ეტყობა, ისინი ვიღაცამ გასცა. ჩასაფრებული ფაშისტები მოულოდნელად დაესხნენ თავს, რამდენიმე პარტიზანი მოკლეს, გიორგი მძიმედ დაჭრეს, ხოლო ქალები და ბავშვები შეიპყრეს და წამებით დახოცეს...

მომაკვდავი გ. ანანიაშვილი ამხანაგებმა სოფელ ბრატუ-ლევოში მიიყვანეს და ოლგა ზემლიაკოვას ოჯახში მკურნა-ლობდნენ. როცა პოლიციამ გეში აიღო, დაჭრილი საჩქაროდ სოფელ კროვლინში გადაიყვანეს, სადაც გამოჯანმრთელებამ-დე დარჩა. იმავე წლის ბოლოს გიორგი კვლავ დაუბრუნდა პარტიზანთა რაზმს და შურისძიებით აღვსილი მუსრს ავლებ-და მტრებს...

1943 წლის ზაფხულის ერთ საღამოს ქ. ჟაბინკოვსკის ეკლესიაში ფაშისტებს დიდი თათბირი ჰქონდათ გამართული. პარტიზანული ბრიგადის სარდლობამ ეკლესიაზე თავდასხმა გ. ანანიაშვილს დაავალა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, — სახალხო შურისმაძიებლებმა ბევრი გერმანელი ოფიცერი და ფაშისტი მოხელე ამოჟლიტეს, ხოლო როცა მტერს მაშველი ნაწილები მოუვიდა, ორგანიზებულად უკან დაიხიეს. სოფელ ლასტოვკასთან რაზმი ჩასაფრებულ ესესელებს წააწყდა. მათ დავალებული ჰქონდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ცოცხ-ლად შეეპყროთ „უხილავი მზვერავი“ — „გრიშა გრუზინი“.

უთანასწორო ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა... ორნიღა გადარჩნენ ცოცხალი, ორივე მძიმედ დაჭრილი. ალყას თავი დააღწიეს და ტყისკენ წავიდნენ. მაგრამ სისხლისაგან იცლე-ბოდნენ და სოფლის განაპირა ქოხთან ჭრილობის შესახვევად შეჩერდნენ. მდევრებმა იქ მოუსწრეს. გიორგიმ და მისმა ამხანაგმა სხვენზე ასვლა მოასწრეს, პოზიცია დაიკავეს და წრიული ცეცხლი გახსნეს. ჩამობნელდა. ფაშისტები დარ-წმუნდნენ, რომ პირდაპირი იერიშით ვერაფერს გახდებო-დნენ, ქოხს თივა-ბულული შემოუწყვეს და ალყაში მოქცეულ პარტიზანებს ცეცხლის წაკიდებით დაემუქრნენ. განუწყვე-ტელ სროლაში გიორგიმ ერთადერთი ამხანაგიც დაკარგა და

როცა უკანასკნელი ვაზნა დაცალა, ისლის სახურავი აარღვია, ფაშისტს, რომელიც აპირებდა თივისათვის ცეცხლი წაეკიდებინა, თავზე დაახტა და ავტომატი აართვა... მაგრამ სიხარულისაგან დაცლილს ძალა აღარ ეყო და უგონოდ დაეცა.

დიდხანს აწვალეს გ. ანანიაშვილი ჟაბინკოვსკის გესტაპოში, მაგრამ „არ ვიცი"-ს მეტი ვერაფერი ათქმევინეს.

ნაცემ-ნაგვემი, დატანჯული, ხიშტითა და დანით დაღადრეული „გრიშა ქართველი" მაინც ღიმილით ავიდა ეშაფოტზე...

და კიდევ რამდენი რამ რჩება ბუნდოვანი და გაურკვეველი გიორგი, ნინო, ელიკო ანანიაშვილების, იაკობ, მარო, ლენა, მელსიე გელაშვილების თავგადასავალში!.. შეიძლებოდა კიდევ შევკითხოდით ვისმე, შეიძლებოდა კიდევ გაგვეგო ცოტა რამ, მაგრამ საჭიროა?!.

შევძლებთ კი სრულად აღვადგინოთ მათი საოცარი ბრძოლისა და ტანჯვის სურათი? დე, დარჩეს მათი ლამაზი ცხოვრება ამოუცნობ ლეგენდად, რომელშიაც თვითეული ჩვენგანის ფანტაზია ახალ-ახალ საიდუმლოს ამოიკითხავს.

* * *

ბრესტის მიწაზე ერთ წუთს არ შეწყვეტილა ბრძოლა. დალუპულ პარტიზანთა ადგილს ახალ-ახალი რაზმები იკავებდნენ... 1943 წლის ზაფხულში, როცა ფაშისტებმა ანანიაშვილისა და გელაშვილის ოჯახები ამოხოცეს, პოლონეთიდან ბუგი გადმოცურეს საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოქცეულმა პარტიზანებმა: შალვა კობიაშვილმა, შალვა ბაბუნაშვილმა, ლევან გამცემლიძემ, ს. ნოზაძემ, გ. საჯაიამ, კ. რა-

მიშვილმა, კ. გოგებაშვილმა, გ. ჯიბუტმა, გ. სვანიშვილმა, მ. გურაშვილმა და სხვებმა. ბრესტის მახლობლად ერთ პარტიზანულ შენაერთში ორმოცამდე ქართველი იბრძოდა.. აღარ იყო მტრის რისხვა „გრიშა ქართველი“, მაგრამ სულ მალე არანაკლებ გაითქვა სახელი „საშკა ქართველმა“, მოხევე შალვა კობიაშვილმა, პარტიზანული ასეულის კომისარმა... დოგაჩევის საძმო საფლავში განისვენებენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაღუპული გმირები: გიორგი საჯაია, სტეფანე ნოზაძე, შაქრო გურჯანელი...

* * *

ეს წიგნი კარგა ხნის დამთავრებული მქონდა, როცა თამარ ჯიჯიშვილმა მახარა, ჩვენთან, კარდიოლოგიის ინსტიტუტში, კიდევ ერთი ბრესტელი აღმოჩნდა და თქვენი გაცნობა სურსო.

იმავე საღამოს ჯიჯიშვილებს ვესტუმრე. ოთახში შემომეგება მაღალი, ახოვანი ვაჟკაცი.

— გაიცანით, ჩვენი ინსტიტუტის ასპირანტი, გვარდიის ლეიტენანტი ბიძინა მაცაბერიძე! — მომმართა დიასახლისმა.

გაღიმებულებმა მაგრად ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს.

შემოვუსხედით თუ არა მაგიდას, ჩემს ახალ ნაცნობს ზედიზედ მივაყარე კითხვები: — რომელ ნაწილში მსახურობდით? რომელ უბანზე იბრძოდით სიმაგრეში? იცნობდით ალექსანდრე ჯიჯიშვილს, პანტელეიმონ აფხაზავას, იაშა გელაშვილს, ონისიმე ასათიანს, გოგი ანანიაშვილს?..

— არა, არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი! — ცოტა დაბნეულად მიპასუხა ბიძინამ.

მე იჭვნეულად ავათვალიერ-ჩავათვალიერე ახალი ნაცნობი.

— როცა თქვენ 1941 წლის ზაფხულში ბრესტის სიმაგრეში იბრძოდით, მე ჯერ ისევ საქართველოში ვიყავი... მერე ბრძოლით გავიარე შორი გზა კავკასიის მთებიდან დასავლეთ ბუგამდე და 1944 წლის ზაფხულში, ომის დაწყებიდან ზუსტად სამი წლის შემდეგ, მონაწილეობა მივიღე ბრესტის განთავისუფლებაში!..

ვიგრძენი, რომ ჩემ წინ გადაიშალა ბრესტისათვის ბრძოლის ახალი, საყურადღებო ფურცელი და სულგანაბულმა მივუგდე ყური ომგადახდილ ქართველ ექიმს:

— ყუბანის კაზაკთა 34-ე ლენინის ორდენოსანი გვარდიული კავალერიის კორპუსის შენაერთებში, რომელსაც საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი გენერალი ისა პლიევი მეთაურობდა, ბევრი ქართველი მსახურობდა.

...1944 წლის ივლისში კავალერისტთა ახალი აღტყინება გამოიწვია გენერალ ტუტარინოვის ბრძანებამ — პირველნი გავსულიყავით სახელმწიფო საზღვარზე.

ცხენოსნები საათში ათი-თორმეტი კილომეტრით მიიწევდნენ წინ; არტილერია და „კატიუშები“ გზას გვიკაფავდა...

ბრესტის მისადგომებს გერმანელები უბრძოლველად არ თმობდნენ. პრუჟანთან ჩვენმა პოლკმა მტერს სასტიკი დამარცხება აგემა და ბრესტ-ბელოსტოკის რკინიგზის ხაზიც დაიკავა. 18 ივლისს, საღამოს, სოფელ რუდაკთან სახელმწიფო საზღვარსაც მივაღწიეთ... გამოჩნდა ძმათა სისხლით მორწყული წმიდა მიწა!.. მუხლზე დავეცით და ვეამბორეთ.

ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა ნახევრად დანგრეული რკინაბეტონის საცეცხლე წერტები, დამწვარი და გადამტვრეუ-

ლი ხეები, — უთანასწორო გმირული ბრძოლის უტყუარი მოწმენი.

პირველმა და მეორე ესკადრონებმა მალე გადალახეს მდინარე ბუგი და ბრესტის ჩრდილო-დასავლეთით პლაცდარმი დაიკავეს. ფაშისტებმა გააფთრებული კონტრიერიში წამოიწყეს. მესამე ესკადრონის პოზიცია საფრთხეში აღმოჩნდა, აუცილებელი შეიქნა ახალი ზღუდის გადალახვა. განსაცდელში მყოფ ამხანაგებს ჯახაია იცავდა ტყვიამფრქვევით. იგი მარტოდმარტო დარჩა მტრის პირისპირ და განუწყვეტელი ცეცხლით აკავებდა ფაშისტთა იერიშებს. მამაცური თავგანწირვით ჯახაიამ უზრუნველყო ესკადრონის მანევრირება და როცა საკუთარი ტყვიამფრქვევის საფარქვეშ ამხანაგებისაკენ უნდოდა გადანაცვლება, უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა. იმავე ესკადრონში იბრძოდა სერგო სიხარულიძე. 22 ივლისს ბუგის გადასასვლელზე მძიმედ დაიჭრა არჩილ მდინარაძე.

ბრესტში გამომწყვდეული გერმანელები გასაქცევ გზას ეძებდნენ და ტანკების დახმარებით განუწყვეტლივ კონტრიერიშზე გადმოდიოდნენ. მაგრამ ჩვენი საზენიტო არტილერია და „კატიუშები“ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

ამასობაში, ფრონტის ერთ-ერთმა დაჯგუფებამ ქალაქს სამხრეთით შემოუარა და პოლონეთში შეიჭრა.

28 ივლისს ბრესტი მთლიანად გავათავისუფლეთ.

ასრულდა სიმაგრის 1941 წლის დამცველთა ოცნება.

მათ გმირობაზე ლეგენდარულ ამბებს გადმოგვცემდნენ იქაური მცხოვრებნი.

ბრესტის განთავისუფლებაში მონაწილეობისათვის უმაღ-

ლესი მთავარსარდლის მადლობა მივიღე და იმ დღეთა მოსაგონებლად ეს სახსოვარიც დამრჩა.

ბიძინამ ჯიბიდან ამოიღო მედალი „მამაცობისათვის“ და ჩემ წინ მაგიდაზე დადო.

შეკამჩნიე, რომ მედალი შუაში ჩაპობილი იყო და თანამოსაუბრეს გაკვირვებით შევხედე.

— ბუგზე რომ გადავდიოდით. ბრესტის სიმაგრესთან ნამსხვრევი მომხვდა მკერდზე. ამ მედალმა გადამარჩინა.

დიდხანს დავყურებდი ნატყვიარ მედალს და მერე, უნებლიეთ, ტახტის წინ გაფენილ ნოხის ნაჭერს გადავხედე.

თვალწინ გაიელვა სამმა ქარბუქიანმა წელმა, რომლებიც ომის ამ რელიქვიებს ერთმანეთს აშორებდა.

მაგრამ, ვინ მოთვლის, რამდენ რამეს ეუბნება ჩემს გულს ეს ორი წმიდა სახსოვარი!

ვინ მოთვლის, რამდენ რამეს გაახსენებდნენ ისინი უგუნურ გადამთიელებს, რომლებმაც ვერაგულად აღმართეს ხელი თავისუფალ ხალხზე და დღემდე ვერაფერი ისწავლეს ისტორიის გაკვეთილებიდან!

დაე, თვალწინ ედგათ ბრესტის სიმაგრე, როგორც ბრალდება და მრისხანე გაფრთხილება!